



ბოჩოს ვიანი

დღეთა ქაფი

ბორის ვიანი

# დღეტა ქაფი

ფრანგულიდან თარგმნა  
პაატა ჯავახიშვილმა

*ვუძღვნი ჩემს ბიბის*

# წინასიტყვაობა

ცხოვრებაში მთავარია ყველაფერი აპრიორულად განსაჯო. ჩანს, მასები მართლაც ცდებიან, ინდივიდები კი მუდამ მართლები არიან. აქედან ქცევის წესების დადგენა საფრთხილო საქმეა: ამ წესებს არ უნდა სჭირდებოდეს ჩამოყალიბება, რათა ადამიანმა დაიცვას. ორად ორი რამეა: ლამაზი გოგონების ყოველგვარი სიყვარული და ახალი ორლეანის ანუ დიუკ ელინგტონის მუსიკა, რაც ერთი და იგივეა. დანარჩენი, წესით, უნდა გაქრეს, რადგან ეს დანარჩენი სიმახინჯეა. ამის თვალსაჩინო მაგალითი რამდენიმე მომდევნო ფურცელი გახლავთ, რასაც ის ფაქტი აძლიერებს, რომ ეს სავსებით ნამდვილი ამბავია, რაკი თავიდან ბოლომდე მე მოვიგონე. თვით ამის ხორცშესხმა კი, უმთავრესად, სინამდვილის მრუდე, შემთბარ ატმოსფეროში პროეცირებითა და მისი უსწორმასწოროდ მოლივლივე, დაბრეცილ სიბრტყეზე ასახვით მიიღწევა. აი, ნახავთ, სულაც არ არის სათაკილო ხერხი.

*ახალი ორლეანი, 1946 წლის 10 მარტი.*

## თავი პირველი

კოლენს ბანაობა დაემთავრებინა. სააბაზანოდან გამოსვლისას ხაონი ქსოვილის განიერ პირსახოცში გახვეულიყო, საიდანაც მხოლოდ ფეხები და გულ-მკერდი მოუჩანდა. შუშის კარადას სასხურებელი გამოართვა და ღია ფერის თმაზე თხელი და სურნელოვანი ზეთი იპკურა. ქარვის სავარცხელმა სტაფილოსფერი ფაფუკი მასა გრძელ ხაზებად დააცალკევა, ისე, როგორც მხიარული მიწათმოქმედი ავლებს ხოლმე ჩანგლით ხნულებს გარგრის მურაბაში. კოლენმა სავარცხელი დადო და, მზერისათვის იდუმალემა რომ მიეცა, ფრჩხილების საჭრელი მაკრატლით მქრქალი ქუთუთოების კუთხეები ირიბად აითალა. ხშირ-ხშირად უნდა ექნა ასე, თორემ სწრაფად ეზრდებოდა. გამადიდებელი სარკის პატარა ლამბა ანთო და ეპიდერმის მდგომარეობის შესამოწმებლად სახე ახლოს მიიტანა. ცხვირის ნესტოების ირგვლივ რამდენიმე ფერიმჭამელა გამობურცულიყო. გამადიდებელ სარკეში თავიანთი სიმახინჯის დანახ-

ვაზე ფერიმჭამელები სასწრაფოდ შეიმაღლნენ კანქვეშ და კოლენმაც კმაყოფილმა ჩააქრო ლამბა. წელზე შემოჭერილი პირსახოცი მოიხსნა და სისველის უკანასკნელი კვალის გასაქრობად მისი ერთ-ერთი კუთხე ფეხის თითებს შორის გაიტარ-გამოიტარა.

სარკეში შეიძლებოდა დანახვა, თუ ვის ჰგავდა – ქერათმიანს, პოლივულ კანტენში სლიმის როლს რომ ასრულებს. თავი მრგვალი ჰქონდა, ყურები – პატარა, ცხვირი – სწორი, პირი-სახე – ოქროსფერი. ხშირად იღიმებოდა ჩვილის ღიმილით და ამან ძალიან ჩაუკეცა კანი ნიკაპზე. საკმაოდ მაღალი, ტანხმელი, გრძელფეხება და ძალზე თავაზიანი იყო. სახელი კოლენი შეეფერებოდა კიდევ. გოგოებს ნაზად ელაპარაკებოდა, ბიჭებს – მხიარულად. თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე იყო, დანარჩენ დროს კი ეძინა.

აბაზანას ფსკერი გაუხვრიტა და ასე დაცალა. სააბაზანო ოთახის ღია ყვითელი ფერის კერამიკული ფილებით მოპირკეთებული დაქანებული იატაკი ქვედა სართულის მობინადრის სამუშაო მაგიდის ზედ თავზე მდებარე ხვრელისაკენ მიმართავდა წყალს. ცოტა ხნით ადრე, ისე რომ კოლენი არც კი გაუფრთხილებია, ამ უკანასკნელს თავისი სამუშაო მაგიდა სხვა ოთახში გაეტანა. ეხლა წყალი მის საკუჭნაო კარადას ესხმებოდა. ფეხები ღამურის ტყავის სანდლებში წაყო და ელეგანტური საშინაო კოსტიუმი – ძალიან ღრმა წყლისფერზოლებიანი მწვანე ხავერდის შარვალი და თხილისფერი გოსპანის პიჯაკი მოიცვა. პირსახოცი საშრობზე ჩამოკიდა, სააბაზანოს ხალიჩა აბაზანის პირზე გადო და ჩარჩენილი წყლის ამოსაშრობად ზემოდან მსხვილი მარილი მოაფრქვია. ხალიჩამ ქაფი მოიგდო და საპნიანი პატარა ბუშტებიც მტევენებად დალაგდა.

სააბაზანო ოთახიდან გამოვიდა და, საჭმლის უკანასკნელი სამზადისისათვის თვალის შესავლებად, სამზარეულოსაკენ გაემართა. როგორც

ყოველ ორშაბათ საღამოს, სადილად თავისი ამხანაგი შიკი დაეპატიჟებინა, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. ჯერჯერობით მხოლოდ შაბათი იყო, მაგრამ კოლენს შიკის ნახვის სურვილი გაუჩნდა და მოუნდა მისთვის ნიკოლას, ახალი მზარეულის მიერ მკაცრი სიხარულით დამუშავებული მენიუ გაესინჯებინა. შიკიც მარტოხელა იყო. კოლენის ტოლს, ოცდაორი წლისას, მისნაირი ლიტერატურული გემოვნება, მაგრამ ნაკლები ფული ჰქონდა. კოლენი საკმაო ქონებას ფლობდა, რათა საკადრისად ეცხოვრა და სხვებისთვის არ ემუშავა. შიკი კი, კვირაში ერთხელ მაინც უნდა მისულიყო სამინისტროში, ბიძამისი ენახა და მისგან ფული ესესხა, რადგან ინჟინრის ხელობას მისთვის იმდენი არ მოჰქონდა, რომ თავი თუნდაც თავისი ქვეშევრდომი მუშების დონეზე ერჩინა. არადა ძნელია განაგებდე შენზე უკეთ ჩაცმულ და ნაკვებ ხალხს. კოლენი შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მას, სადილად პატიჟებდა როცა კი შეეძლო, მაგრამ, თან შიკის თავმოყვარეობა აიძულებდა, ფრთხილად ყოფილიყო და არ დაენახვებინა, რომ ამ მეტისმეტად ხშირი წყალობით მისი დახმარება სურდა. სამზარეულოს დერეფანი ნათელი, ორივე მხარეს შემინული იყო და თითოეული მხრიდან თითო მზე ანათებდა, რადგან კოლენს სინათლე უყვარდა. თითქმის ყველგან გულდასმით გაპრიალებული თითბრის ონკანები ეყენა. ონკანებზე მზის ათინათები ჯადოსნურად კიაფობდა. სამზარეულოს თავგებს უყვარდათ ცეკვა, როცა ონკანებზე მზის სხივების შეხების ხმა ისმოდა და პატარა რგოლებს დასდევდნენ, რომლებიც, თითქოს ყვითელი სინდიცი ცვივაო, არეკლილი სხივების ძირს გაბნევისაგან ჩნდებოდა. გზად კოლენმა ერთ-ერთ თავგს მიუალერსა, რომელსაც ძალიან გრძელი, შავი უღვაშები ჰქონდა, ტანად კი ნაცრისფერი, თხელი და საოცრად კრიალა იყო. მზარეული მათ ძალიან კარგად კვებავდა, თანაც ისე, რომ ზედმეტად არ გასუქებულიყვნენ. დღისით თავგები არ ხმაურობდნენ და მხოლოდ დერეფანში თამაშობდნენ.

კოლენმა სამზარეულოს მოჭიქული კარი შეაღო. მზარეული ნიკოლა სამზარეულო აღჭურვილობის მაჩვენებლებს მისჩერებოდა. პულტს მის-ჯდომოდა, რომელიც ასევე მოჭიქული იყო ღია ყვითლად და ზედ კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული კულინარული აპარატების შესაბამისი სხვადასხვა ციფერბლატები ჰქონდა. შემწვარ ინდაურზე დაყენებული ელექტრული ქურის ისარი „თითქმის“ – ს და „მზად“ – ს შორის მერყეობდა. გამოღების დრო მალე დადგებოდა. ნიკოლამ მწვანე ღილაკს თითი დააჭირა და მგრძნობიარე საცეცი გამოშალა. ეს უკანასკნელი დაუბრკოლებლად შეიჭრა ქურაში და ამ დროს ისარიც „მზად“ – ზე დადგა. ნიკოლამ სწრაფი მოძრაობით გამოუთიშა ქურას დენი და თეფშების გამაცხელებელი ჩართო. – გემრიელი იქნება? – ჰკითხა კოლენმა.

– ბატონს შეუძლია დარწმუნებული იყოს ამაში! – დაუდასტურა ნიკოლამ. ინდაური ზომა-წონით ჩინებულად იყო შერჩეული.

– პირველ კერძად რა მოამზადეთ?

– ღმერთო ჩემო, – თქვა ნიკოლამ, – ამ ერთადერთხელ არავითარი სიახლე არ შემომიტანია. გუფეს მიბაძვით შემოვიფარგლე.

– მერედა მაგას რა სჯობს! – შენიშნა კოლენმა, – მისი ნაშრომის რომელ ნაწილს ასხამთ ხორცს?

– ლაპარაკია მისი სამზარეულო წიგნის 638-ე გვერდის შესახებ. ბატონს შესაბამის ნაწყვეტს წავუკითხავ. კოლენი კაუჩუკით გატენილ გაპოხილ აბრეშუმგადაკრულ და კედლების ფერებთან შეხამებულ უჯრულა დასაჯდომიან ტაბურეტზე ჩამოჯდა და ნიკოლამ შემდეგი სიტყვებით დაიწყო: – პირველ კერძად ცხელი ღვეზელი გამოაცხვეთ. ამისათვის აიღეთ მსხვილი გველთევზა, რომელსაც სამსანტიმეტრიან ნაჭრებს ჩამოაჭრით. ჩააწყეთ გველთევზის ეს ნაჭრები ქვაბში, დაუმატეთ თეთრი ღვინო, მარილი და პილპილი, ალყა-ალყად დაჭრილი ხახვი, ოხრახუში ღერებად, ქონდარი, დაფნა და ერთი პატარა კბილი ნიორი.



– ნივრის კბილი ისე ვერ გავლესე, როგორც მინდოდა, – თქვა ნიკოლამ, – სალესი ძალიან გაცვეთილია.

– გამოვაცვლევენებ, – თქვა კოლენმა.

ნიკოლამ განაგრძო:

– მოშუშეთ. ამოიღეთ გველთევზა ქვაბიდან და შესაბრაწად დადეთ ტაფაზე. ნახარში გადაწურეთ აბრეშუმის საწურში, დაუმატეთ მცირეოდენი ესპანური სოუსი და შეასქელეთ იქამდე, სანამ სოუსი კოვზს არ შემოეკვრება. გაატარეთ საცერში, მოასხით სოუსი გველთევზას და ადუღეთ ორი წუთის განმავლობაში. გველთევზა გაასწორეთ და დაადეთ ცომს. ცომის კიდეებზე ჩაამწკრივეთ სოკოები. შუაში ჩაუდეთ ჭანრის ქვირითის თაიგული. ზევიდან სოუსის მოტოვებული ნაწილი მოასხით.

– კეთილი, – კვერი დაუკრა კოლენმა, – მე მგონი, შიკს მოეწონება.

– არა მაქვს პატივი ვიცნობდე ბატონ შიკს, – დაასკვნა ნიკოლამ, – მაგრამ თუ არ მოეწონება, მომავლისათვის სხვა რამეს გავაკეთებ და ეს მე საშუალებას მომცემს, მართალია სანახევროდ დარწმუნებულმა, მაგრამ მაინც, სივრცული წესრიგი მოვუძებნო მის მოწონებულსა და დაწუნებულს.

– დიიხს!? – თქვა კოლენმა, – მე თქვენ გტოვებთ, ნიკოლა, წავალ, ჭურჭლეულს მივხედავ.

იგი საპირისპირო მხრიდან გავიდა დერეფანში და, საკუჭნაოს გავლით, სასადილო-სასტუმრო ოთახს მიაშურა, რომლის ბაცი ცისფერი ხალიჩა და ჩალისფერ-ვარდისფერი კედლები გახელილ თვალებზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. ოთახი, დაახლოებით ოთხი მეტრი ხუთზე, დღის სინათლეს ლუი არმსტრონგის პროსპექტზე გამავალი ორი წაგრძელებული სარკმლიდან იღებდა. დაუბინდავი მინები კედელში შედიოდა და როცა გარეთ გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა, შიგნით უშვებდა. მოპირდაპირე მხარეს, ოთახის ერთ-ერთი კუთხე მუხის დასაკეც მაგიდას

ეჭირა. ორი სწორსაზურგიანი გრძელი სკამი მაგიდის ორ გვერდს იკავებდა, ხოლო დანარჩენი ორი გვერდის გასწვრივ სახელურებიანი, ერთმანეთს შეხამებული, ლურჯტარსიკონგადაკრული სკამები იდგა. ბევრ სხვა რამეს შორის ამ ოთახის მორთულობაში იყო ფირფიტების შესანახად მოწყობილი რაღაც დაბალი ავეჯი, კარგა მოზრდილი ფირსაკრავი და კიდევ ერთი რაღაც, პირველის სიმეტრიული, რომელშიც შურდულები, თეფშები, ჭიქები და კიდევ სხვა ისეთი მოწყობილობები ელაგა, ცივილიზებული ხალხი შინ რომ იყენებს ჭამის დროს.

კოლენმა ხალიჩასთან შეხამებული ლურჯი სუფრა აირჩია. მაგიდის შუაგულში დადგა დეკორატიული ლარნაკი:

ფორმალინიანი ფიალა, რომელშიც ქათმის ორი ემბრიონი თითქოს ნიჟინსკის ქორეოგრაფიის ვარდის აჩრდილს განასახიერებდა. გარშემო ეშვებიანი მიმოზის რამდენიმე ტოტი შემოაწყო: მისი მეგობრის მებაღე ამას ჩვეულებრივი მრგვალთავა მიმოზისა და შავი ძირტკბილას ლენტის შეჯვარებით აღწევდა, ლენტისა, გაკვეთილებიდან გამოსვლისას გალანტერეით მოვაჭრესთან რომ წააწყდები კაცი. შემდეგ თითოეულისათვის თეთრი ფაიფურის, გამჭვირვალე ოქროს ჯვარედინჩარჩოიანი ორ-ორი თეფში და უჟანგავი ფოლადის თითო დანა-ჩანგალი აიღო, რომლის აყურულ ტარებში პლექსიგლასის ორ ფირფიტას შორის ბედნიერების მომტანი ჭიამაიის ფიტულები მოქცეულიყო. ამ ყველაფერს ბროლის თასი და მღვდლის ქუდივით დაკეცილი ხელსახოცები დაუმატა; ამას გარკვეული დრო სჭირდებოდა. ის იყო სამზადისს ამთავრებდა, რომ ზარი კედელს მოსწყდა და შიკის მოსვლა აუწყა. კოლენმა სუფრის ნაკეცი გაასწორა და კარის გასაღებად გაეშურა.

– როგორა ხარ? – ჰკითხა შიკმა.

– შენ? – კითხვითვე უპასუხა კოლენმა, – გაიძრე ეგ საწვიმარი და მოდი, ნახე, რას აკეთებს ნიკოლა.

– შენი ახალი მზარეული?

– ხო! – თქვა კოლენმა, – დეიდაჩემს გავუცვალე ძველში და კიდევ ერთ კილო ბელგიურ ყავაში.

– კარგია? – იკითხა შიკმა.

– როგორც ეტყობა, იცის საქმე. გუფეს მოწაფვა.

– იმ ჩემოდნის კაცის? – ჩაეძია შეძრწუნებული შიკი. პატარა შავი ულვაში ტრაგიკულად ჩამოეშვა.

– არა, შე შტერო. ჟიულ გუფესი, ცნობილი მზარეულის. – ააა! ხომ იცი, ჟან-სოლ პარტრის გარდა ბევრს არაფერს ვკითხულობ, – მიუგო შიკმა.

კოლენს ფილებიან დერეფანში შეჰყვა, თაგვებს მიეფერა და, გზად, სანთებელაში რამდენიმე წვეთი მზე ჩაუშვა.

– ნიკოლა, – უთხრა კოლენმა შესვლისას, – წარმოგიდგენთ ჩემს მეგობარს, შიკს.

– გამარჯობა, ბატონო, – თქვა ნიკოლამ.

– გამარჯობა, ნიკოლა, – უპასუხა შიკმა, – თქვენ დისწული ხომ არა გყავთ, სახელად ალიზ?

– დიას ბატონო, – თქვა ნიკოლამ, – სხვათაშორის, ლამაზი ახალგაზრდა გოგო, თუ შეიძლება ასეთი დახასიათება გამოვიყენო.

– დიდი ნათესაური მსგავსებაა თქვენსა და მას შორის, – თქვა შიკმა, – მიუხედავად იმისა, რომ ბიუსტის მხრივ გარკვეული სხვაობა შეინიშნება.

– მე საკმაოდ განიერი ვარ, – თქვა ნიკოლამ, – ის კი უფრო პერპენდიკულარული მიმართულებითაა განვითარებული, თუ ბატონი ნებას მომცემს, დავძინო ეს დაზუსტება.

– მაშ ყველანი შინაურები ვყოფილვართ, – თქვა კოლენმა, – თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ, რომ დისწული გყავთ, ნიკოლა. – ჩემი და ძალიან

დაითარსა, ბატონო, – თქვა ნიკოლამ, – ფილოსოფიური განათლება მიიღო. ასეთი რამეებით ტრაზახი კი ტრადიციებით ამაყ ოჯახებში არ უყვართ?

– ჰო?, – თქვა კოლენმა, – ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ. ყოველ შემთხვევაში მე თქვენი მესმის. მაჩვენეთ გველთევზის ღვეზელი?

– ქურის გაღება ეხლა საშიშია, – გააფრთხილა ნიკოლამ, – შედეგად, წყლის ორთქლით იმაზე ნაკლებ მდიდარი ჰაერი შეიძლება შევიდეს, ვიდრე შიგნით არის ამ დროისათვის. – მირჩევნია მაგიდაზე დავინახო პირველად, – თქვა შიკმა. – არ შემიძლია არ დავეთანხმო ბატონს, – თქვა ნიკოლამ, – შეიძლება გავკადნიერდე და ბატონს ვთხოვო, რომ ისურვოს და ნება დამართოს, განვაგრძო ჩემი სამუშაო?

– განაგრძეთ, ნიკოლა, ვთხოვთ.

ნიკოლა მიუბრუნდა თავის საქმიანობას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ყალიბიდან უნდა ამოეღო თევზის გარნირად განკუთვნილი, თირკმელა სოკოს ფირფიტებით მოოჭვილი ზღვის ენის ფილებების ლაბა. კოლენმა და შიკმა სამზარეულო დატოვეს.

– დალევ აპერიტივს? – ჰკითხა კოლენმა, – ჩემი პიანოქტიელი მზად არის, შეგიძლია გამოცადო.

– მუშაობს? – ჰკითხა შიკმა.

– შესანიშნავად. საბოლოოდ გამართვა ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ბლუკ ენდ თენ ფანტაზის-გან მართლაც გამაოგნებელი ნაზავი გამომივიდა. – და რა პრინციპით მუშაობს? – ჰკითხა შიკმა.

– თითოეულ ნოტს თითო არაყი, ლიქიორი ან არომატი შეესაბამება, – თქვა კოლენმა, – გამაძლიერებელი პედალი ათქვეფილ კვერცხს ნიშნავს, შემასუსტებელი – ყინულს. სელცის წყლისათვის მაღალ რეგისტრში ტრელია საჭირო. რაოდენობები პირდაპირ არის დამოკიდებული

გრძლიობაზე: ოთხმაგ მერვედს ერთი მეთექვსმეტედი შეესაბამება, შავს – მთელი, მრგვალს – ოთხი მთელი. როდესაც ნელ სიმღერას უკრავ, რეგისტრის სისტემა ისე ამოქმედდება, რომ გაიზრდება არა ღოზა, – რაც კოქტიელს გააბევრებდა, – არამედ სპირტის შემცველობა. სიმღერის ხანგრძლიობის მიხედვით, თუკი გვინდა, შეგვიძლია ვცვალოთ ერთეულის ღირებულება, მაგალითად, შევამციროთ მებასედამდე, რათა ისეთ სასმელს მივაღწიოთ, რომელიც დამატებითი შესწორებების საშუალებით ყველა ჰარმონიას გაითვალისწინებს.

– რთულია, – თქვა შიკმა.

– ყველაფერი ელექტრონული კონტაქტებითა და რეაქციებით იმართება. დაწვრილებებს არ გაწვდი, შენ ეს იცი. თანაც, სხვათაშორის, პიანინო მართლა მუშაობს.

– სასწაულია! – თქვა შიკმა.

– ერთადერთი უხერხულობაა, – თქვა კოლენმა, – გამაძლიერებელი პედალი ათქვეფილი კვერცხისათვის. იძულებული გავხდი საგანგებო მიერთების სისტემა დამეყენებინა, იმიტომ რომ, როცა რაიმე ძალიან ჰოტს უკრავ, კოქტიელში ეროკვერცხის ნაჭრები ცვივა და გადასაყლაპად ძნელია. ოდესმე გადავაკეთებ. ჯერჯერობით კი, საკმარისია ყურადღებით იყო. არაჟნისთვის დაბალი სოლია.

– ლავლის ლავ-ზე გავიკეთებ, – თქვა შიკმა, – მაგარი იქნება. – ძველმანების ოთახშია, სახელოსნო სადაც მოვაწყე, – თქვა კოლენმა, – იმიტომ რომ დამცველი ფირფიტები არ არის მიხრახნული. წამო, წავიდეთ. თავიდან ორი, დაახლოებით ოც სანტილიტრიანი კოქტიელისათვის გავმართავ.

შიკი პიანინოს მიუჯდა. სიმღერის ბოლოს, წინა ფიცრის ნაწილი უეცარი ჩხაკუნით ჩამოეშვა და ჭიქების ორი მწკრივი გამოჩნდა. ორი მათგანი რალაც მადისმომგვრელი სასმელით იყო გადაპიპინებული.

- შემეშინდა, - თქვა კოლენმა, - ერთ ადგილას ყალბი ნოტი აიღე. საბედნიეროდ, ჰარმონიაში ჩაჯდა.

- ჰარმონია ანგარიშგასაწევია? - იკითხა შიკმა.

- მთლიანობაში არა, თორემ ძალიან რთული იქნებოდა, - მიუგო კოლენმა, - უბრალოდ, რალაც შეზღუდვებია. დალიე და წამო მაგიდასთან.

## თავი მეორე

– ეს გველთევზის ღვეზელი შესანიშნავი რამეა, – თქვა შიკმა, – ვინ მოგაწოდა ამის გაკეთების იდეა?

– ეგ იდეა ნიკოლას მოუვიდა, – თქვა კოლენმა, – ერთი გველთევზაა – უფრო სწორად, იყო, – რომელიც მისი პირსაბნის ცივი წყლის მილით მოდიოდა ხოლმე ყოველდღე.

– უცნაურია! – თქვა შიკმა, – ვითომ რატომ?

– გამოყოფდა ხოლმე თავს გველთევზა და კბილების დაჭერით კბილის პასტას უცლიდა. ნიკოლა მარტო ამერიკულ ანანასის პასტას ხმარობს და ალბათ ამან აცდუნა.

– როგორ დაიჭირა? – ჰკითხა შიკმა.

– პასტის ნაცვლად მთლიანი ანანასი დაუდო. გველთევზა პასტას რომ ჩაავლებდა, ყლაპავდა და მერე თავს უკან შეყოფდა ხოლმე, მაგრამ ანანასით არ გამოუვიდა და რაც მეტს ეწეოდა, კბილები მით უფრო ესობოდა ანანასში. ნიკოლამ?

კოლენი გაჩერდა.

- ნიკოლამ რა? - ჰკითხა შიკმა.

- ვყოყმანობ, გითხრა თუ არა, შეიძლება მადა გაგიფუჭდეს. - მიდი, - უთხრა შიკმა, - თითქმის აღარც დარჩა.

- ნიკოლა სწორედ მაგ დროს შევიდა და თავი გაუპო სამართებლით. მერე ონკანი გაალო და დანარჩენიც გადმოვიდა. - სულ ეს არის? - თქვა შიკმა, - კიდევ მომაწოდე ერთი ეგ ღვეზელი. იმედი მაქვს, მილში მრავალრიცხოვანი ოჯახი დარჩა. - ჟოლოს პასტა დაღო ნიკოლამ საცდელად? - თქვა კოლენმა, - მაგრამ, ერთი ეს მითხარი, ეგ ალიზ, ვისზეც შენ ელაპარაკებოდი?

- ეხლაც თვალწინ მიდგას, - თქვა შიკმა, - ჟან-სოლის ერთერთ მოხსენებაზე შევხვდი პირველად. ორივენი მუცელზე გართხმულები ვიწექით ესტრადის ქვეშ. ესე გავიცანი. - როგორია?

- ვერ აღვწერ,? - თქვა შიკმა,? - რა? ლამაზია!?

- აჰ!? - თქვა კოლენმა.

ამ დროს ნიკოლა შემოვიდა და ინდაური შემოიტანა.

- დაბრძანდით ჩვენთან, ნიკოლა, - უთხრა კოლენმა, - ბოლოს და ბოლოს, როგორც შიკმა თქვა, თითქმის ოჯახის წევრი ყოფილხართ.

- ჯერ წავალ, თავგებს მივხედავ, თუ ბატონს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, - თქვა ნიკოლამ, - მერე მოვალ, ინდაური დაჭრილია. სოუსიც აქ არის?

- ნახავ, - უთხრა კოლენმა, - დაწნული ხბოს რულეტში ამოკერილი მანგოს კრემიანი ღვიის სოუსია. ზევიდან დააჭერ და ფილუებად გამოდის.

- მაგარია! - თქვა შიკმა.

- ხომ არ გინდა მამცნო, თუ როგორ მოახერხე ურთიერთობის დამყარება იმ გოგოსთან?? - განაგრძო კოლენმა. - ხოოო, - მიუგო შიკმა, -



ვკითხე, მოგწონს თუ არა ჟან-სოლ პარტრი-მეთქი, მითხრა, მის ნაშრომებს ვაგროვებო? მაშინ ვუთხარი, მეც-მეთქი? და, ყველაფერზე, რასაც ვეუბნებოდი, მპასუხობდა მეცო?, და პირიქით? მერე, ბოლოს, უბრალოდ, ეგზისტენციალისტური ექსპერიმენტის ჩასატარებლად ვუთხარი, ძალიან მომწონხართ-მეთქი, იმან კი, ოჰო!

- ექსპერიმენტმა არ გაამართლა? - თქვა კოლენმა.

- ხო, - უთხრა შიკმა, - მაგრამ არ წასულა. მაშინ მე ვუთხარი, მე აქეთ მივდივარ-მეთქი, იმან - მე არაო? მერე დაუმატა, მე იქითო.

- არაჩვეულებრივია!?! - ჩაურთო კოლენმა.

- ვუთხარი, მეც-მეთქი!?! - განაგრძო შიკმა, - და გასაქანი არ მივეცი?!

- მერე როგორ დამთავრდა ეგ ამბავი? - ჰკითხა კოლენმა. - ისაა!?! - დაიწყო შიკმა, - ძილის დრო იყო და?

კოლენს რაღაცა გადასცდა და, სულის მოსათქმელად, ნახევარი ლიტრი ბურგუნდული დალია.

- ხვალ საციგურაოდ მივდივარ იმასთან ერთად? - თქვა შიკმა, - კვირაა. წამოხვალ ჩვენთან ერთად? ჩვენ დილა ავირჩიეთ, ძალიან ბევრი ხალხი რომ არ იყოს. მაინცდამაინც გულზე არ მეხატება ეგ ამბავი, - შენიშნა მან, - იმიტომ რომ, ცუდად ვსრიალებ ციგურებით, მაგრამ, სამაგიეროდ, პარტრზე ვილაპარაკებთ.

- წამოვალ? - დაჰპირდა კოლენი, - ნიკოლასთან ერთად წამოვალ? იქნებ სხვა დისწულებიც ჰყავდეს.

## თავი მესამე

კოლენი მეტროდან გამოვიდა და კიბეებს აუყვია. მხარი ექცა, გზის გასაგნებად სადგურს მოუარა და თავისი ყვითელი აბრეშუმის ცხვირსახოცის საშუალებით ქარის მიმართულებას დაადგა. ქარის მიერ წაღებული ცხვირსახოცის ფერი რაღაც დიდ, უსწორმასწორო შენობას გადაეფარა, რომელიც თანდათანობით მოლიტორის აუზად და საციგურაო მოედნად გამოისახა. მის წინ ზამთრის აუზი იყო. გასცდა და გვერდითი ფასადიდან, სპილენძის ზღუდეებიანი, შემინული, აქეთ-იქით მოქანავე ორმაგი კარის გავლით ამ გაქვავებულ დაწესებულებაში შეაღწია. წინ თავისი აბონემენტი გაიწოდა, რომელმაც ორი მრგვალი ნახვრეტით თვალი ჩაუკრა კონტროლიორს. კონტროლიორმაც თანამზრახველური ღიმილით უპასუხა, მაგრამ ფორთოხლისფერი მუყაო მესამე ადგილას მაინც გაჩხვლიტა და ბარათი დაბრმავდა. კოლენმა დაუდევრად ჩაიღო ბარათი ქალაქის რუსულ პორტტყავში და მარცხნივ გაუყვია კაუჩუკის ხალიჩიან დერეფანს, სადაც ჩამწკრივებული კაბინები გამოდიოდა. პირველ

სართულზე ადგილი აღარ იყო. ამიტომ, ბეტონის კიბე აიარა, რომლითაც ლითონის ვერტიკალურ ციგურის პირებზე ამხედრებული დიდი არსებები ჩამოდინდნენ და, თვალში საცემი უხერხულობის მიუხედავად, თავს ძალას ატანდნენ, რომ ბუნებრივად ეკუნტრუშათ. თეთრჯემპრიანმა კაცმა კაბინის კარი გაუღო, გასამრჯელო ჯიბეში გაიქანა, რაც უთუოდ საჭმელად გამოადგებოდა, რადგან მატყუარის გამომეტყველება ჰქონდა, და მას შემდეგ, რაც რაღაც გაუბედურებული ცარცით კაბინის შიგნითა მხარეს კლიენტის ინიციალები მიაწერა ამ საქმისათვის განკუთვნილ ჩაშავებულ მართკუთხედზე, იგი ამ საკანში მარტო დატოვა. კოლენმა შენიშნა, რომ კაცს ადამიანის კი არა, მტრედის თავი ება, და ვერ გაიგო, რატომ მუშაობდა იგი საციგურაო მოედანზე, და არა აუზზე. საციგურაო ბილიკიდან ოვალური ხმაური ამოდინდა, რომელსაც გარშემო მიმოფანტული დინამიკების მუსიკა აბუნდოვანებდა. მოციგურავეთა თქარათქური ჯერ ვერ აღწევდა ხალხის მოზღვაგების იმ ხმოვან დონეს, როდესაც იგი ქვაფენილზე, ჭუბჭუბა ტალახში ჯარის ნაწილის ნაბიჯების ხმას ემსგავსება. კოლენი თვალებით ეძებდა ალიზს და შიკს, მაგრამ ისინი ყინულზე არ ჩანდნენ. ნიკოლა ცოტა მოგვიანებით აპირებდა მოსვლას; შუადღის საუზმის მოსამზადებლად ჯერ კიდევ საქმე ჰქონდა სამზარეულოში.

კოლენმა ფეხსაცმლის თასმები შეიხსნა, გაიხადა და შეამჩნია, რომ ლანჩები სადღაც წასულიყვნენ. ჯიბიდან წებოვანი თავთის სალბუნის ხვეული ამოიღო, მაგრამ სალბუნი ცოტალა დარჩენილიყო. მაშინ ფეხსაცმელები ცემენტის სკამის ქვეშ გაჩენილ პატარა გუბეში ჩააწყო და კონცენტრირებული სასუქით მორწყა, რათა ტყავი გაზრდილიყო. ფეხები ყვითელ და იისფერ, ერთმანეთის მონაცვლე ფართოზოლებიან შალის წინდებში ჩაყო და საციგურაო ფეხსაცმელები ჩაიცვა. მიხვევ-მოხვევის

გასაადგილებლად მისი ციგურების რკინის პირები წინისაკენ ორად იყოფოდა.

გამოვიდა და ერთი სართული უკანვე ჩაიარა. ფეხები ოდნავ ელრიცებოდა დახვრეტილი კაუჩუკის ხალიჩაზე, რომელიც მობეტონებულ დერეფნებს ამშვენებდა. ის იყო, საციგურაო ბილიკზე გასვლა უნდა გაებოდა, რომ წაქცევის თავიდან ასაცილებლად იძულებული გახდა მთელი სისწრაფით ასულიყო უკან, ხის ორ საფეხურზე: ერთ მოციგურავე ქალს დიდი არწივის შესანიშნავი ილეეთის შემდეგ მოზრდილი კვერცხი გაგარდა და კოლენის ფეხებთან გაუტყდა.

იმ დროს, როცა ერთ-ერთი პირფარემდამსუფთავებელთაგანი მიმოფანტულ ნაჭუჭებს კრეფდა, კოლენმა შიკი და ალიზი შენიშნა, რომლებიც მეორე მხარეს, ბილიკის ბოლოში გასულიყვნენ. ხელი დაუქნია, მაგრამ მათ ვერ დაინახეს, და, მოციგურავეთა სრიალის მიმართულებისათვის ანგარიშის გაუწევლად კოლენი მათ შესახვედრად გაქანდა. ამას შედეგად პროტესტანტთა მნიშვნელოვანი ჯგროს სწრაფი გაჩენა მოჰყვა. გროვას წამდაუწუმ ემატებოდნენ ადამიანები, რომლებიც, სანამ პირველდაცემულებს დაასკდებოდნენ ზევიდან, ხელებს, ფეხებს, მხრებს და ტანებს უიმედოდ ასავსავებდნენ ჰაერში. და როცა მზემაც გააღწო ზედაპირი, აჭყაპუნდა ამ ზედახორის ქვეშეთი.

მცირე ხანში მოციგურავეთა ცხრა მეათედმა იქ მოიყარა თავი და მთელი ბილიკი თითქმის მხოლოდ შიკისა და ალიზის განკარგულებაში აღმოჩნდა. მოფუთფუთე გროვას რომ მიუახლოვდნენ, შიკმა ორად გაყოფილი ციგურებით კოლენი იცნო, ქუსლებზე მოსწია და ზედახორიდან გამოათრია. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. შიკმა ალიზი გააცნო და კოლენიც მას მარცხნიდან ამოუდგა, რადგან მარჯვენა ფლანგი უკვე შიკს ეკავა.

საციგურაო ბილიკის მარჯვენა ბოლოში მისვლისას გამწკრივდნენ, რათა ადგილი დაეტოვებინათ პირფარეშდამსუფთავებელთათვის, რომელთაც უკვე იმედი გადასწურვოდათ, რომ მსხვერპლთა მთაში დისლოცირებული ინდივიდუალობის უინტერესო ნაფლეთების მეტს რაიმეს მოიძიებდნენ და ამიტომ საფხეკებით აღჭურვილნი, ძირს გართხმულთა სრული შემადგენლობის მოსაშთობად ნაფხეკ ნაგვის ორმოს ადიდებდნენ, თანაც ვაიან-კუტიურიეს 1709 წელს დაწერილ მოლიტორის ჰიმნს მღეროდნენ, რომელიც ასე იწყება: ქალბატონებო და ბატონებო, გთხოვთ, დაცალოთ ბილიკი, (თუ შეიძლება) რათა მოგვცეთ საშუალება, რომ შევუდგეთ დასუფთავებას.

ამ ყველაფერს ზედ პიპინის ხმები ემატებოდა, რათა თვით საუკეთესოდ ნაწრთობი სულების სიღრმეში თავაშვებული ტერორის ჟრუანტელს დაეკლო.

ჯერ კიდევ ფეხზე მდგარი მოციგურავეები ტაშით შეეგებნენ ამ წამოწყებას და ტრაპიც ზედახორის თავზე დაიხურა. შიკმა, ალიზმა და კოლენმა მოკლე ლოცვა წარმოთქვეს და სრიალი განაახლეს.

კოლენი ალიზს შესცქეროდა. უცნაური შემთხვევითობით მას თეთრი მაისური და ყვითელი ქვედაკაბა ემოსა. თეთრი და ყვითელი ფეხსაცმელები ეცვა და ჰოკეის ციგურები ეკეთა. კვამლისფერი აბრეშუმის მაღალ წინდებზე თეთრი დაბალყელიანი წინდები მოუჩანდა, რომლებიც კოჭზე სამფად შემოხვეული თეთრი ბამბის თასმებით შეკრულ დაბალ ფეხსაცმელებზე ჰქონდა გადმოფენილი. ამას თან ერთვოდა მჭახე მწვანე აბრეშუმის თავსაფარი და არაჩვეულებრივად ხშირი ქერა თმა, რომელიც სახეს მჭიდრო ხუჭუჭ ჩარჩოში უქცევდა. გახელილი ლურჯი თვალებით იყურებოდა და მისი მოცულობა ნაზი, ოქროსფერი კანით იყო შემოწერილი. ჩამრგვალებულ მკლავებსა და კანკებს, კოხტა ტანს და ისე კარგად გამონატულ მკერდს ფლობდა, გეგონებოდა ფოტოაო.

წონასწორობის აღსადგენად კოლენმა სხვა მხარეს გაიხედა. ამას მი-  
აღწია კიდეც და შიკს თვალუბდახრილმა ჰკითხა, გველთევზის ღვეზელმა  
დაუბრკოლებლად ჩაიარა თუ არაო. – არ მითხრა, – მიუგო შიკმა, – მთე-  
ლი ღამე ვითევზავე ჩემს ონკანში, რომ მენახა მეც დავიჭერდი თუ არა.  
მაგრამ ჩემთან მარტო კალმანები მოდიან.

– ნიკოლას ალბათ მაგითაც შეუძლია რამის გაკეთება! – დაამშვიდა  
კოლენმა, შემდეგ უფრო ალიზის საყურადღებოდ განაგრძო, – არაჩვეუ-  
ლებრივად ნიჭიერი ბიძა გყოლიათ. – ოჯახის სიამაყეა, – თქვა ალიზმა,  
– დედაჩემი დღემდე თავში ხელს იცემს ვილაც მათემატიკის აგრეჟეს რომ  
გაჰყვა ცოლად, მაშინ როცა მისმა ძმამ ბრწყინვალე წარმატებას მიაღ-  
წია ცხოვრებაში.

– მამათქვენი მათემატიკის აგრეჟეა?

– დიახ, პროფესორია კოლეჟ დე ფრანსში და ინსტიტუტის თუ რალაც  
ამგვარის წევრია? – თქვა ალიზმა, – სავალალოა ოცდათვრამეტი წლის  
ასაკში. არადა, ხომ შეეძლო ხელი გაეწვია. საბედნიეროდ, ძია ნიკოლა  
გვყავს.

– აქ არ უნდა მოსულიყო დღეს დილას? – იკითხა შიკმა. ალიზის ნა-  
თელ თმას შესანიშნავი სუნი უდიოდა. კოლენი ცოტა გვერდზე გადაა.

– მე მგონი, დაიგვიანებს. დილას რალაც აზრი მოუვიდა თავში? ხომ  
არ წამოხვალთ სასაუზმოდ ჩემთან?? ვნახოთ, რა იყო ესა!?

– ძალიან კარგი, – თქვა შიკმა, – მაგრამ შენ თუ გგონია, რომ მე დაგ-  
თანხმდები ეგეთ წინადადებაზე, ყალბ წარმოდგენას იქმნი სამყაროს შე-  
სახებ. ვინმე მეოთხე უნდა იპოვო. მე ვერ გამოვუშვებ ალიზს შენთან, პი-  
ანოქტიელის ჰარმონიებით მოხიბლავ და მე ეგ სულაც არ მინდა.

– ოჰ!?! – აღშფოთდა კოლენი, – არა, გესმით??

კოლენს პასუხი არ გაუგონია, რადგანაც ერთმა უკიდურესად წინ გა-  
დახრილმა, უზომო სიგრძის ინდივიდმა, რომელიც წინა ხუთი წუთის

განმავლობაში სისწრაფის დემონსტრაციას ახდენდა, ფეხებს შუა გაუ-  
არა და, ამგვარად წარმოქმნილმა ჰაერის ნაკადმა კოლენი მიწიდან რამ-  
დენიმე მეტრის სიმაღლეზე ატყორცნა. იგი მეორე სართულის შუშაბან-  
დის კიდეს ჩააფრინდა, ყირა გაჭიმა, უკუღმა გადმოეშვა და შიკის და  
ალიზის გვერდით დახტა.

– უნდა უშლიდნენ ასე ჩქარა სიარულს! – თქვა კოლენმა. შემდეგ  
პირჯვარი გადაიწერა, რადგან ის მოციგურავე ბილიკის მეორე მხარეს,  
რესტორნის კედელს შესკდომოდა და, სასტიკი ბავშვის მიერ პაპიემაშეს  
შაყნაკრავი მეღუზასავით, ეგრევე მიკრული დარჩენილიყო.

პირფარეშ-დამსუფთავებლებმა კიდეც ერთხელ გააკეთეს თავიანთი  
საქმე და ერთ-ერთმა მათგანმა უბედური შემთხვევის ადგილას ცინულის  
ჯვარი აღმართა. სანამ ჯვარი დნებოდა, მოედნის გამგემ რელიგიური  
ფირფიტები ააჟღერა.

შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. შიკი, ალიზი და კოლენი კვლავ სრი-  
ალებდნენ.

## თავი მეოთხე

– აი ნიკოლა! – შეჰყვირა ალიზმა.

– აი იზისიცი! – თქვა შიკმა.

ნიკოლა შემოსასვლელში გამოჩნდა, იზისი კი – ბილიკზე. პირველი ზედა სართულებისაკენ გაემართა, მეორე – შიკის, კოლენისა და ალიზისაკენ.

– გამარჯობა, იზის, – უთხრა კოლენმა, – მე თქვენ წარმოგიდგენთ ალიზს. ალიზ, ეს იზისია. შიკს იცნობთ. ატყდა ხელების ჩამორთმევა და ერთი ამბავი, რითაც შიკმა ისარგებლა, ალიზთან ერთად გაიპარა და იზისი კოლენს შეატოვა მკლავებში. ესენიც მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრნენ. – მოხარული ვარ თქვენი ნახვით, – თქვა იზისმა.

კოლენიც მოხარული იყო მისი ნახვით. თვრამეტი წლის ასაკში იზისმა იმას მიაღწია, რომ წაბლისფერი თმით, თეთრი ჯემპრით, ყვითელი



ქვედაკაბით, მჟავე მწვანე თავსაფრით, თეთრი და ყვითელი ფეხსაცმელებით და მზის სათვალით აღჭურვილიყო. ლამაზი იყო. მაგრამ კოლენი ძალიან კარგად იცნობდა მის მშობლებს.

– იქით კვირაში საზეიმო დილაა ჩვენთან, – თქვა იზისმა, – დიუპონის დაბადების დღეა.

– ვინ დიუპონის?

– ჩემი პუდელის. ამიტომ, ყველა მეგობარი დაგპატიჟე. ხომ მოხვალთ? ოთხ საათზე.

– დიას! – თქვა კოლენმა, – დიდი სიამოვნებით?

– თქვენს მეგობრებსაც სთხოვეთ, მოვიდნენ! – უთხრა იზისმა. – შიკს და ალიზს?

– დიას, კარგები არიან. ესე იგი, მომავალ კვირამდე! – უკვე მიდიხართ? – ჰკითხა კოლენმა.

– დიას? მე არასოდეს ვრჩები ხოლმე ძალიან დიდხანს. ათი საათიდან აქა ვარ, ხომ იცით, ჰოდა?

– ჯერ ხომ მხოლოდ თერთმეტი საათია! – უთხრა კოლენმა. – ბარში ვიყავი!? ნახვამდის!?

## თავი მეხუთე

კოლენი გაჩახჩახებულ ქუჩებში მიიჩქაროდა. მშრალი და ძლიერი ქარი უბერავდა და მის ფეხებქვეშ დახეთქილი ყინულის პატარა ადგილები ტკაცა-ტკუცით იმსხვრეოდა.

ხალხი, რითაც შეეძლო, ნიკაპს იმით იმაღავდა: მოსასხამის საყელოთი, თავსაფრით, მუფთით, ვიღაც ისეთიც კი დაინახა, ვინც ამ საქმისათვის რკინის მავთულებიან ჩიტის გალიას იყენებდა, რომლის ზამბარიანი კარიც შუბლზე აწვეებოდა. – ხვალ პონტოზანებთან მივდივარ, – ფიქრობდა კოლენი. ესენი იზისის მშობლები იყვნენ.

– დღეს საღამოს შიკთან ერთად ვსადილობ?

– სახლში მივალ, ხვალისთვის რომ მოვემზადო?

დიდი ნაბიჯი გადადგა, რათა გადასასვლელის ზოლისთვის არ დაეზებინა, რომელიც საშიში ჩანდა.

– თუ შევძლებ, რომ ოცი ნაბიჯი ისე გავიარო, ზედ არ დავაბიჯო, – თქვა კოლენმა, – ხვალ ცხვირზე მუწუკი არ მექნება.? – არა უშავს, –

დაასკვნა თავადვე, როდესაც მეცხრე ზოლი მთელი სიმძიმით გასრისა, – იდიოტობაა ეგეთი რალაცეები. მაინც არ მექნება მუწუკი.

ლურჯ-ვარდისფერი ორქიდეის მოსაწყვეტად დაიხარა, ყინვას მიწიდან რომ ამოეყვანა.

ყვავილს ალიზის თმის სურნელი უდიოდა.

– ხვალ ალიზს ვნახავ!

თავიდან მოსაშორებელი აზრი იყო. ალიზი სრული უფლებით ეკუთვნოდა შიკს.

– ხვალ ნამდვილად გავიცნობ ვინმე გოგოს!

მაგრამ მისი ფიქრები ალიზზე ჩერდებოდა.

– ნეტა მართლა ჟან-სოლ პარტრზე ლაპარაკობენ, როცა მარტოები არიან??

შეიძლება ჯობდა კიდეც, არ ეფიქრა იმაზე, თუ რას შვრებოდნენ ისინი მარტო ყოფნისას.

– ნეტა რამდენი სტატია დაწერა ჟან-სოლ პარტრმა ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

ყოველ შემთხვევაში, სახლში მისვლამდე მათ დათვლას ვერ მოასწრებდა.

– ნეტა რას გააკეთებს ნიკოლა სალამოსთვის?

კარგად რომ გეფიქრა, ალიზის და ნიკოლას მსგავსება არაჩვეულებრივს არაფერს წარმოადგენდა, რაკი ნათესავეები იყვნენ. მაგრამ ამას ნელ-ნელა ისევ აკრძალული თემისაკენ მიჰყავდა.

– ნეტა რას გააკეთებს-მეთქი ნიკოლა დღეს სალამოსთვის? – მე არ ვიცი, ნიკოლა, რომელიც ალიზს ჰგავს, რას გააკეთებს დღეს სალამოსთვის.

ნიკოლა თერთმეტი წლით უფროსია ალიზზე. ანუ, ოცდაცხრისაა. ძალიან მიდრეკილია მზარეულობისაკენ. ფრიკანდოს გააკეთებს.

კოლენი სახლს უახლოვდებოდა.

– საყვავილეებს არასოდეს არა აქვს რკინის ფარდები. არავის თავში არ მოსდის ყვავილების მოპარვა.

ადვილი გასაგები იყო. მან ფორთოხლისფერ-ნაცრისფერი ორქიდეა მოწყვიტა, რომელსაც ძირს დასთრევდა სუსტი გვირგვინი. ათას ფერად ბრჭყვინავდა.

– შავულვაშებიანი თავის ფერი აქვს? სახლშიც მოვედი. კოლენმა შალგადაკრული ქვის კიბე აიარა და მოვერცხლილშუშიანი კარის ჭუჭ-რუტანაში პატარა ოქროს გასაღები შეაცურა.

– ჩემთან, ჩემო ერთგულნო მსახურნო! რადგან აი, მე დავბრუნდი.

მოსასხამი სკამზე მიაგდო და ნიკოლასაკენ გასწია.

## თავი მეექვსე

– ფრიკანდოს აკეთებთ დღეს სალამოსთვის, ნიკოლა? – ჰკითხა კოლენმა.

– ღმერთო ჩემო, – თქვა ნიკოლამ, – ბატონს არ გავუფრთხილებივარ. სხვა გეგმები მქონდა.

– რა ჯანდაბად და ეშმაკად მელაპარაკებით გამუდმებით მესამე პირში? – თქვა კოლენმა.

– თუ ბატონს სურს, ნება დამრთოს, მოვახსენო ამის მიზეზი, მე ვფიქრობ, რომ როდესაც ადამიანები ერთად გაწევენ ჭაპანს, ერთგვარი ფამილიარობაც მხოლოდ ამის შემდეგაა დასაშვები, ჩვენს შემთხვევაში კი ასე არ არის.

– ქედმაღალი ყოფილხართ, ნიკოლა, – თქვა კოლენმა. – მე ვამაყოფ ჩემი ადგილით, ბატონო, – თქვა ნიკოლამ, – და თქვენ მე ამას ვერ მისაყვედურებთ.

– რა თქმა უნდა! – თქვა კოლენმა, – მაგრამ მე არ მინდა, რომ თქვენ ასეთი უკარება იყოთ.

– მე ბატონთან მართალია დაფარული, მაგრამ გულწრფელი სიყვარული მაკავშირებს, – თქვა ნიკოლამ.

– მე ამით ამაყი და ბედნიერი ვარ, ნიკოლა, და მეც სწორედ ასევე ვართქვენდამი. ასე რომ, რას აკეთებთ დღეს საღამოს? – კიდევ ერთხელ მივყვები გუფეს ტრადიციებს და ამჯერად დავამუშავებ კუნძულურ კუპატუნას მუშკოვანი პორტოთი. – და როგორ სრულდება ეს? – იკითხა კოლენმა.

– შემდეგნაირად: აიღეთ ერთი კუპატუნა, რომელსაც, მიუხედავად მისი ჭყვიტინისა, გაატყავებთ. ტყავი საგულდაგულოდ შეინახეთ. გატენეთ კუპატუნა ასთაკვების თხლად დაჭრილი და საკმაოდ ცხელ კარაქში, დაოთხილად მოშუშული ფეხებით. დააგდეთ ყინულზე, მსუბუქ ქვაბში. გააღვივეთ ცეცხლი და ამგვარად მოგებულ სივრცეზე გემოვნებით განალაგეთ ნელ ცეცხლზე მოხარშული, მრგვლად დაჭრილი ბრინჯი. როდესაც კუპატუნა ბოხ ხმას გამოუშვებს, დაუყოვნებლივ გადმოდგით ცეცხლიდან და მოასხურეთ ხარისხიანი პორტო. გახვრიტეთ პლატინის ფითხით. მოუსვით ცხიმი რაიმე ყალიბს და შეინახეთ, რომ არ დაჟანგდეს. სუფრასთან მიტანის წინ გააკეთეთ საწებელი ერთი მისხალი ლითიუმის მარილითა და მეოთხედი ლიტრი ახალი რძით. მორთეთ ბრინჯით, დადგით სუფრაზე და გაეცალეთ იქაურობას. – ჩავიჭერი! – თქვა კოლენმა, – დიდი ადამიანი ყოფილა გუფე. მითხარით, ნიკოლა, ხვალ მექნება ცხვირზე მუწუკი? ნიკოლამ კოლენის ცხვირი შეათვალიერა და უარყოფითი დასკვნა გამოიტანა.

– ბარემ აქა ვარ და, ხომ არ იცით, როგორ ცეკვავენ ბიგლემუას?

– მე მის ბუასიერულ აცაბაცა სტილზე და ცისკრულაზე გავჩერდი, შარშან, წლის ბოლოს რომ შეიქმნა ნეილიში, – თქვა ნიკოლამ, – ასე

რომ, ძირფესვიანად ვერ ვფლობ ბიგლემუას და მის ოდენ რუდიმენტებს ვიცნობ.

– როგორ ფიქრობთ, ერთ გაკვეთილში შესაძლებელია საჭირო ტექნიკის შეძენა? – ჰკითხა კოლენმა.

– ვგონებ, კი, – თქვა ნიკოლამ, – უმთავრესი არ არის რთული. ოლონდ, უხემ უზუსტობებსა და უგემოვნობას უნდა ერიდოთ: ერთ-ერთი მათგანი ბიგლემუას ბუგი-ვუგის რიტმში ცეკვაში მდგომარეობს.

– ეს უზუსტობაა?

– არა, უგემოვნობა.

ნიკოლამ მაგიდაზე დადო გრეიპფრუტი, რომელიც ამ საუბრის დროს გაეფცქვნა და ხელები გრილ წყალს შეუშვირა. – გეჩქარებათ? – ჰკითხა კოლენმა.

– ღმერთო ჩემო, არა, ბატონო, – უპასუხა ნიკოლამ, – ჩემი სამზარეულო მუშაობს.

– მაშინ, დიდად დამავალეხთ, ბიგლემუას ამ რუდიმენტებს თუ მასწავლით, – უთხრა კოლენმა, – წამოდით სასტუმრო ოთახში, ფირფიტას დავდებ.

– ბატონს დიუკ ელინგტონის მიერ კლოეს სტილში არანჭირებული განწყობის, ან ჯონი ჰოჯესისთვის შეთხზული კონცერტის ტემპს ვურჩევ? – თქვა ნიკოლამ, – ატლანტიკის გადაღმა მუდით ან სალტრი ტუნით რომ მოიხსენიებენ.

## თავი მეშვიდე

– ბიგლემუას პრინციპი, რომელსაც ბატონი უეჭველად იცნობს, – თქვა ნიკოლამ, – უმკაცრესად სინქრონული რხევითი მოძრაობით ნასაზრდოები ორი წყაროს მიერ ინტერფერენციების წარმოქმნას ემყარება.

– არ ვიცოდი, საქმეში ასეთი რთული ფიზიკის ელემენტები თუ ერთვებოდა, – თქვა კოლენმა.

– ამ სახეობაში, – თქვა ნიკოლამ, – მოცეკვავე კაცი და მოცეკვავე ქალი ერთმანეთისაგან საკმაოდ ახლო მანძილზე დგებიან და მთელ სხეულს მუსიკის რიტმის შესაბამის ბიზინს აწყებინებენ.

– ჰოო? – იკითხა ცოტა არ იყოს შეწუხებულმა კოლენმა. – ამ დროს წარმოიქმნება სტატიკურ ტალღათა სისტემა, – თქვა ნიკოლამ, – რომელიც, ისევე როგორც აკუსტიკაში, ტალღის ამობურცულ და ჩაბურცულ ადგილებს წარმოადგენს და ამით არც თუ ისე ცოტათი უწყობს ხელს საცეკვაო დარბაზში ატმოსფეროს შექმნას.



– ნამდვილად? – ჩაიჩურჩულა კოლენმა.

– ზოგჯერ, ბიგლემუას პროფესიონალები ზოგიერთი თავისი კიდურის ცალ-ცალკე, მაგრამ სინქრონული ვიბრაციით, პარაზიტი ტალღების კერებსაც კი აჩენენ, – განაგრძო ნიკოლამ, – მე ამას არ დავიჟინებ და ვეცდები, ბატონს ვაჩვენო, როგორ უნდა ცეკვა.

კოლენმა ამოიღო კლოე, როგორც ნიკოლამ ურჩია, და ფირსაკრავზე დადო. ნემსის წვერი სათუთად ჩადო პირველი კვალის სიღრმეში და ნიკოლას საწყის ვიბრაციულ მოძრაობებს თვალი შეავლო.

## თავი მერვე

– ბატონი სულ მალე შეძლებს! – თქვა ნიკოლამ, – აბა, ერთხელაც.

– კი მაგრამ, ესე ნელ სიმღერაზე რატომ ცეკვავენ? – იკითხა გახვით-ქულმა კოლენმა, – ესე ხომ ბევრად უფრო ძნელია. – ამის მიზეზი არსებობს, – თქვა ნიკოლამ, – პრინციპში, მოცეკვავე კაცი და ქალი ერთმანეთისაგან საშუალო მანძილზე დგანან. ნელი სიმღერით ბიბინი ისე მიიღწევა, რომ ფიქსირებული კერა ორივე პარტნიორისათვის საშუალო სიმაღლეზე მდებარეობს: მაშინ, თავი და ფეხები მოძრავნი ხდებიან. თეორიულად, აი, ეს შედეგი უნდა მივიღოთ. თუმცა ყოფილა, და რარიგ დასანანია, რომ არაკეთილსინდისიერ ადამიანებს ბიგლემუა შავების სტილში, ჩქარ ტემპში უცეკვიათ. – ანუ? – ჰკითხა კოლენმა.

– ანუ მობილური კერით ფეხებში, თავში და, საუბედუროდ, ერთი მოძრავი შუამავლით გავის სიმაღლეზე, ფიქსირებული წერტილებით, ან ფსევდოსახსრებით, ანუ გულ-მკერდის არითა და მუხლებით.

კოლენი გაწითლდა.

– მესმის! – თქვა მან.

– ბუგის რიტმში, ძირითადად, რაც უფრო ასაკვიატებელი სიმღერაა, ეფექტი, ზუსტი სიტყვით რომ ვთქვათ, მით უფრო უხამსია, – დაასკვნა ნიკოლამ.

კოლენი ფიქრებში გართულიყო.

– სად ისწავლეთ ბიგლემუა? – ჰკითხა მან ნიკოლას. – ჩემმა დისწულმა მასწავლა? – უპასუხა ნიკოლამ, – ბიგლემუას სრული თეორია ჩემს სიძესთან საუბრების დროს შევქმენი. იგი ინსტიტუტის წევრია, როგორც ბატონმა უწყის უთუოდ, და დიდი სირთულეები არ ჰქონია მეთოდის ჩავლებაში. ისიც კი მითხრა, ცხრამეტი წლის წინ ვქენი ესაო?

– თქვენი დისწული თვრამეტი წლისაა? – ჰკითხა კოლენმა. – და სამი თვის? – შეუსწორა ნიკოლამ, – თუ ბატონს აღარ ვჭირდები, წავალ, სამ-ზარეულოს მივხედავ?

– მიდით, ნიკოლა, და გმადლობთ, – თქვა კოლენმა და აიღო ფირფიტა, რომელიც სულ რამდენიმე წამის წინ გაჩერებულიყო.

## თავი მეცხრე

ჩავიცვამ ჩალისფერ კოსტიუმს და ლურჯ პერანგს, ნაჩვრეტებიან ზამშის ფეხსაცმელებს და წითელ და ჩალისფერ წინდებს, და ჩალისფერ და წითელ ჰალსტუხს გავიკეთებ. ჯერ განვიბანები, გავიპარსები და თავს შევიმოწმებ. მერე სამზარეულოში ნიკოლას ვკითხავ:

– ნიკოლა! გნებავთ მობრძანდეთ და იცეკვოთ ჩემთან ერთად?

– ღმერთო ჩემო, – თქვა ნიკოლამ, – თუ ბატონი დაჟინებით მთხოვს ამას, წამოვალ, ხოლო თუ ეს ესე არ არის, მოხარული ვიქნები, თუ რამდენიმე საქმის მოგვარება დამცალდა, რომელთა გადაუდებლობა სულ უფრო და უფრო იმპერატიული ხდება. – მოურიდებლობა იქნება, თუ უფრო ჩაგვიძიებით, ნიკოლა? – მე ამ უბნის შინამოსამსახურე ხალხის სიბრძნისმეტყველების წრის მეთაური ვარ, – თქვა ნიკოლამ, – და, აქედან გამომდინარე, ერთგვარად ვალდებული, ყოველთვის დავესწრო კრებებს.

– ვერ ვბედავ, დღევანდელი კრების თემა გკითხვით, ნიკოლა? – ლაპარაკი იქნება სამსახურებში მიღების შესახებ. პარალელი გაივლება ჟანსოლ პარტრის თეორიების მიხედვით ანგაჟირებას, კოლონიურ ჯარებში გაწვევა – ხელმეორე გაწვევას, და კერძო პირების მიერ შინამოსამსახურე ხალხად წოდებულთა სამსახურში მიღება-დაქირავებას შორის. – აი, ეს კი დაინტერესებდა შიკს! – თქვა კოლენმა. – დამამწუხრებლად დასანანი, – თქვა ნიკოლამ, – მაგრამ წრე ძალიან ჩაკეტილია. ბატონი შიკი ვერ დაიშვება. მხოლოდ შინამოსამსახურეთ?

– ნიკოლა, – ჰკითხა კოლენმა, – რატომ ხმარობენ ყოველთვის მრავლობითს?

– ბატონი უთუოდ შენიშნავს, – თქვა ნიკოლამ, – რომ „შინამოსამსახურე კაცი“ უწყინარი რჩება, „შინამოსამსახურე ქალი“ კი აშკარად აგრესიულ მნიშვნელობას იძენს? – მართალი ხართ, ნიკოლა. თქვენი აზრით, გავიცნობ მე დღეს ჩემს სულიერ დას?? თქვენი დისწულისნაირი სულიერი და მინდა, რომ მყავდეს?

– ბატონი ცდება, ჩემს დისწულზე რომ ფიქრობს, – თქვა ნიკოლამ, – რადგან, როგორც უახლესი მოვლენებიდან ჩანს, ბატონმა შიკმა პირველმა გააკეთა არჩევანი?

– კი, ნიკოლა, – თქვა კოლენმა, – მაგრამ, მე ისე მინდა, რომ შეყვარებული ვიყო?

ჩაიდნის ცხვირიდან მსუბუქი ორთქლი გამოვიდა და ნიკოლა კარის გასაღებად წავიდა. კონსიერჟს ორი წერილი ამოეტანა. – წერილებია? – იკითხა კოლენმა.

– უკაცრავად ვარ, ბატონო, მაგრამ ორივე ჩემთვისაა. ბატონი ელოდება რაიმე ახალ ამბავს?

– მინდა, რომ ვინმე გოგომ მომწეროს! – თქვა კოლენმა, – ძალიან შევიყვარებდი.

– შუადღეა? – აღნიშნა ნიკოლამ, – ისაუზმებს ბატონი? არის ძროხის დაფხვნილი კუდი და მათლაფა პუნში ქარსალის კარაქწასმული პურის ყუების არომატებით.

– ნიკოლა, რატომ არ უნდა შიკს სასაუზმოდ მოსვლა თქვენს დის-წულთან ერთად, მე თუ ვინმე სხვა გოგოსაც არ დავპატიჟებ? – ბატონი მაპატიებს, – თქვა ნიკოლამ, – მაგრამ მეც ასევე მოვიქცეოდი. ბატონი ნამდვილად საკმაოდ ლამაზი ბიჭია. – ნიკოლა, – თქვა კოლენმა, – თუ ამ საღამოს მე მართლა შეყვარებული არ ვიქნები, მე? მე დიუშეს დე ბო-ვუარის ნაწარმოებების შეგროვებას დავიწყებ, ტოლი რომ არ დავუდო ჩემს მეგობარ შიკს.

## თავი მეათე

– მე მინდა ვიყო შეყვარებული, – თქვა კოლენმა, – შენ გინდა იყო შეყვარებული. მას უნდა იგივე (იყოს შეყვარებული). ჩვენ, თქვენ, გვინდა, გინდათ იყოთ. მათაც უნდათ, გახდნენ შეყვარებულნი.

სააბაზანო ოთახის სარკის წინ ჰალსტუხს იკრავდა.

– ჩასაცმელი დამრჩა პიჯაკი და პალტო, და ყელსახვევი და მარჯვენა ხელთათმანი და მარცხენა ხელთათმანი. ქული არ მინდა, გავიწეწები. რას შვრები, შენ, მანდ?

შავულგაშებიან ნაცრისფერ თავგს გასძახა, რომელიც ნამდვილად არ აყო თავის ადგილას – კბილების ჭიქაში ჩამხტარს, ზემოხსენებული ჭიქის პირზე იდაყვებიც კი ჩამოეყრდნო და არხეინი სახით იყურებოდა.

– წარმოიდგინე, – უთხრა თავგს და, კიდევე უფრო რომ მიახლოებოდა, ყვითელი მინანქრის მართკუთხა აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა, – პონტოზანებთან ჩემს რომელიმე ძველ მეგობარს რომ წავაწყდე.

თავგმა კვერი დაუკრა.

– წარმოიდგინე, მას რომ ბიძაშვილი გოგონა ჰყავდეს. რატომაც არა? მას თეთრი ჯემპრი და ყვითელი ქვედაკაბა ეცმეოდა და ერქმეოდა ალ? და ერქმეოდა ონეზიმი.

თავმა თათები გადაიჯვარედინა და სახეზე გაკვირვება გამოენატა.

– არაა ლამაზი სახელი, – თქვა კოლენმა, – მაგრამ შენ თავი ხარ და გაქვს ულვაში. მერე რა?

წამოდგა.

– უკვე სამი საათია. ხედავ, დროს მაკარგვინებ. შიკი და? შიკი ნამდვილად ძალიან ადრე მივა.

თითი გაილოკა და თავსზევით აწია. თითქმის მაშინვე ჩამოშშვა. იქ ისე დაეწვა, თითქოს ლუმელში შეყოო. – ჰაერში სიყვარული იტრიალებს, – დაასკვნა, – ეს კი ათბობს?

– მე ვდგები, შენ დგები, ის დგება, ჩვენ, თქვენ, ისინი, ვდგებით, დგებთ, დგებთან. თუ შეიძლება, ამობრძანდი მაგ ჭიქიდან!

იმის დასამტკიცებლად, რომ არავის დახმარება არ სჭირდებოდა, თავი თვითონ ამოხტა და საპნის პატარა ნაჭრისაგან საწოვარა გამოთალა.

– ყველგან ნუ მიუსვ-მოუსვამ! – უთხრა კოლენმა, – რა ღორმუცელა ხარ?

გამოვიდა, თავის ოთახში შეიარა და პიჯაკი მოიცვა. – ნიკოლა უკვე წავიდოდა? არაჩვეულებრივ გოგოებს უნდა იცნობდეს? ამბობენ, ოტიელი გოგოები ფილოსოფოსებს ძალიან ახლო მოახლეებად უდგებიანო?

თავისი ოთახის კარი დახურა.

– ჩემი მარცხენა სახელოს სარჩული ოდნავ გახეულია? ჩატერტონი კი აღარა მაქვს? რას იზამ, ლურსმანს ჩავარჭობ? მის უკან კარი შიშველ ტრაკზე შიშველი ხელის დარტყმის ხმით გაჯახუნდა? გააჟრჟოლა?



– სხვა რამეზე მინდა ვიფიქრო? დავუშვათ, რომ კიბეზე კისერს ვიტეხ?

კიბის ძალიან ღია იისფერი ხალიჩა მხოლოდ ყოველ მესამე საფეხურზე იყო გაცვეთილი: მართლაც, კოლენი ყოველთვის დრიგინ-დრიგინით ჩარბოდა. ფეხები ერთ-ერთ მონიკელებულ კარნიზში გაეხლართა და კიბის საფეხურებს შეერწყა. – ესე ჰკუას ვისწავლი, როგორ უნდა სისულელეების თქმა. უკვე ესეც არის. მე, შენ, ვარ, ის შტერია.

ზურგი სტკიოდა. მიზეზი ქვევით რომ აღმოჩნდა, მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა მოსასხამის საყელოდან მთელი კარნიზი გამოიღო.

მის ზურგსუკან სადარბაზოს კარი შიშველ მხარზე კოცნის ხმით მიიხურა?

– ნეტა რა არის სანახავი ამ ქუჩაზე?

პირველ პლანზე ორი მიწის მუშა კლასობანას თამაშობდა. ამ ორთაგან უფრო მსუქნის მუცელი არათანაბრად ხტოდა და მისი პატრონის ხტომას არ ემთხვეოდა. ჯილად წითლად შეღებილ ჯვარცმას ხმარობდნენ, რომელსაც ჯვარი აკლდა.

კოლენმა ჩაუარა.

მარჯვნივ და მარცხნივ ჩალანარევი თიხის, ჩამოსაშვებფანჯრებიანი ლამაზი ნაგებობები აღმართულიყო. ერთ-ერთი ფანჯრიდან ვილაც ქალი გადმოყუდებულიყო. კოლენმა კოცნა გაუგზავნა, ქალმა კი საწოლის წინ გასაფენი შავი და ვერცხლისფერი მოლტონის პატარა ნოხი – მის ქმარს რომ არ მოსწონდა – ზედ თავზე დააბერტყა.

მაღალსართულიანი სახლების პირქუშ იერს მაღაზიები თუ აცოცხლებდა. კოლენის ყურადღება ფაკირთა აღჭურვილობის ვიტრინამ მიიპყრო. შენიშნა, რომ ნაირფერი შუშის ნამსხვრევებისა და ავეჯის დასატენად გამოსადეგი ლურსმნების ფასები გასულ კვირასთან შედარებით მომატებულიყო. გვერდით ერთმა ძაღლმა და ორმა ადამიანმა ჩაუარეს.

სიცივე ხალხს შინ აკავებდა. ისინი კი, რომლებმაც ამ ტყვეობიდან თავის დაღწევა მოახერხეს, ტანსაცმლის ნაფლეთებს ქუჩაში ტოვებდნენ და ანგინით იხოცებოდნენ.

გზაჯვარედინზე პოლიციელს თავი ლაბადაში ჩაემალა. დიდ შავ ქოლგას წააგავდა. კაფეს გარსონებს მის გარშემო წრე შეეკრათ და გასათბობად რონდოს ცეკვავდნენ.

ჭიშკრის თალის ქვეშ ორი შეყვარებული იდგა და ერთმანეთს კოცნიდა.

– მაგათი დანახვა არ მინდა? არ, არ მინდა მაგათი დანახვა? გამიწყალეს გული?

კოლენმა ქუჩა გადაჭრა. ჭიშკრის თალის ქვეშ ორი შეყვარებული იდგა და ერთმანეთს კოცნიდა.

თვალეები დახუჭა და გაიქცა?

ძალიან მალევე გაახილა, რადგან ქუთუთოების ქვეშ უამრავ გოგოს ხედავდა და ეს უთუოდ გზას აუბნევდა. ერთ-ერთი მათგანი მის წინ იყო. გოგო იმავე მიმართულებით მიდიოდა. თეთრი ცხვრის ჩექმებში თეთრი ფეხები მოუჩანდა, ტანთ ავაზაკის ტყავის გაქუცული მანტო ემოსა, ხოლო თავზე მის ფერს შეხამებული მაღალი ქუდი ეხურა. ქუდის ქვემოდან წითური თმა ჩამოშლოდა. მანტო მხრებს უგანივრებდა და მის ირგვლივ შრიალით ირწეოდა.

– მინდა გავუსწრო? მინდა სახე დავინახო.

გაუსწრო და ატირდა. სულ ცოტა ორმოცდაცხრამეტი წლისა მანც იქნებოდა. ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდა და ისევ ატირდა. ეს დიდ შვებას ჰგვრიდა. ცრემლები ოდნავი ტკაცა-ტკუცით იყინებოდა და ტროტუარის გლუვ გრანიტზე იმსხვრეოდა. ხუთი წუთის შემდეგ შენიშნა, რომ თურმე იზის პონტოზანის სახლის წინ იმყოფებოდა. ორმა ახალგაზრდა გოგომ წინ ჩაუარა და სახლის ვესტიბიულში შევიდა.

გული ჯერ უზომოდ გაებერა, შემდეგ შეუმსუბუქდა და მიწიდან წა-  
მოახტუნა. კოლენი მათ კვალდაკვალ შეჰყვა.

## თავი მეთერთმეტე

იზისის მშობლების სახლში თავშეყრილთა ჟივილ-ხივილის ბუნდოვანი ხმა მეორე სართულიდანვე ისმოდა. კიბე თავის ირგვლივ სამ წრეს უვლიდა და სადარბაზოში ბგერებს ისე აძლიერებდა, როგორც პატარა ფრთები ვიბრაფონის ცილინდრულ რეზონატორში. კოლენი აღიოდა და ცხვირი იმ ორი გოგოს ქუსლებზე ჩამოედო. ხორცისფერი ნეილონის წინდურებს თხელი ტყავის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და ნატიფი კოჭები მოჰყვებოდა. შემდეგ გრძელი მუხლუხობივით ოდნავ ჩაჩაჩული ნაქსოვი წინდები და მუხლების სახსართა ღრმულები მოდიოდა. კოლენი გაჩერდა და ორი საფეხური წააგო. მერე სვლა განაგრძო. ეხლა იგი მარცხენა გოგოს წინდების ზედა მხარეს, თვლების ორმაგ სისქეს და ბარძაყის შუქ-ჩრდილიან სითეთრეს ხედავდა. მეორის ბრტყელნაკეცებიანი ქვედაკაბა ასეთივე თვალის გასართობ სანახაობას არ სთავაზობდა, მაგრამ თავისი ტყავის მანტოს ქვეშ თეძოები უფრო ჩამრგვალებოდა, ვიდ-

რე პირველს, და თან, რიგ-რიგობით პატარ-პატარა, მოღუნული ნაკეცე-ბიც უჩნდებოდა. კოლენმა კრძალვით უწყო ფეხებზე ყურება და დაინახა, როგორ შეჩერდნენ ისინი მესამე სართულზე. მოახლემ კარი გააღო და კოლენი გოგოებს შეჰყვა.

– გამარჯობა, კოლენ! – უთხრა იზისმა, – ხომ კარგად ხართ? – გაგი-მარჯოთ, – თქვა კოლენმა, – გილოცავთ დაბადების დღეს!?

თავისკენ მიიზიდა და თმასთან აკოცა. გოგოს კარგი სუნი უდიოდა.

– კი მაგრამ, ჩემი დაბადების დღე ხომ არ არის! – იუარა იზისმა, – დიუპონისაა!?

– სად არის დიუპონი? მივულოცო, ერთი!?

– ეგ საძაგელი, ეგა, – თქვა იზისმა, – რომ გაგველამაზებინა, დღეს დილას მკრეჭელთან გვყავდა, ვაბანავეთ და ყველაფერი, მაგრამ ორ სა-ათზე სამი მეგობარი მოუვიდა, ძვლების ძველი, ამაზრზენი შეკვრა მო-უტანეს და მერე თან წაიყვანეს. ნამდვილად საშინელ მდგომარეობაში დაბრუნდება!?

– ბოლოს და ბოლოს, დღეს ხომ მაგის დაბადების დღეა, – შენიშნა კოლენმა.

ორმაგი კარის ღრიჭოში კოლენმა გოგო-ბიჭებს მოჰკრა თვალი. ერთი, თორმეტნი მაინც ცეკვავდნენ. უმრავლესობა ერთმანეთის გვერდი-გვერდ, ერთი და იმავე სქესის მიხედვით დაწყვილებული და ზურგს უკან ხელებდაწყობილი იდგა და ერთმანეთს არც თუ ისე დამაჯერებელი სა-ხით არც თუ ისე დამაჯერებელ შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

– გაიხადეთ მანტო! – უთხრა იზისმა, – და წამოდით, ბიჭების გასახ-დელში მიგიყვანთ.

კოლენი გაჰყვა. გზად ორმა გოგომ ჩაუარა, რომლებიც გოგოების გა-სახდელად ქცეული იზისის ოთახიდან ჩანთებისა და საბუდრეების ჩხა-რაჩხურით გამოვიდნენ. ჭერზე ყასბისაგან ნათხოვარი რკინის კაუჭები

ეკიდა. მოსართავად იზისს მისთვის ცხვრის ორი კარგად გატყავებული თავიც გამოერთმია, რომლებიც კაუჭების მწკრივების ორივე ბოლოდან ნაზად ილიმებოდნენ.

იზისის მამის სამუშაო ოთახში ბიჭების გასახდელის მოსაწყობად მხოლოდ და მხოლოდ ავეჯი მოეშოთ.

ტანსაცმელს კი ძირს ყრიდნენ, ეს იყო და ეს. არც კოლენს დაურღვევია ეს წესი და სარკის წინ მცირე ხანს შეყოვნდა. – წამოდით, რა! – ველარ ითმენდა იზისი, – მომხიბლავ გოგონებს გაგაცნობთ.

კოლენმა იგი ორივე მაჯით თავისკენ მიიზიდა.

– შესანიშნავი კაბა გაცვიათ! – უთხრა მას.

დიდი მოოქროვილი კერამიკის ღილებით გაწყობილი, მომწვანო-მონუმისფრო, სულ მთლად უბრალო მაუდის კაბა იყო, რომელსაც ზურგში ნაჭედი რკინის ბადე ედგა.

– ესე იგი, მოგწონთ! – თქვა იზისმა.

– ალტაცებული ვარ, – მიუგო კოლენმა, – ბადის გისოსებში ხელი რომ შევყო, ხომ არავინ მიკბენს?

– ძალიანაც ნუ ენდობით! – უთხრა იზისმა.

თავი გაითავისუფლა, კოლენს ხელი ჩაავლო და საოფლეთის შუაგულისაკენ წაათრია. გზად წვეტიანი სქესის ორ ახალმოსულს დაეჯახნენ, დერეფნის მოსახვევში შესრიალდნენ და მთავარ ბირთვს სასადილო ოთახის კარიდან შეუერთდნენ.

– დახე! – შეიცხადა კოლენმა, – ალიზი და შიკი უკვე აქ ყოფილან?

– დიახ, – თქვა იზისმა, – მოდით, გაგაცნობთ?

გოგონათა ნახევარი წარმოსადეგი იყო. ერთ-ერთ მათგანს დიდი მოოქროვილი ღილებით მორთული, მომწვანო-მონუმისფრო მაუდის, ზურგში უცნაური ფორმის ნაჭერჩატანებული კაბა ეცვა.

– უფრო აი, ის გამაცანით, – სთხოვა კოლენმა.

იზისმა დასაშოშმინებლად შეანჯღრია.

– მოიქცევით თუ არა ჭკვიანად, ბოლოს და ბოლოს??

კოლენი უკვე სხვას უთვალთვალებდა და თავის მეგზურს ხელზე ეწეოდა.

– ეს კოლენია, – თქვა იზისმა, – კოლენ, გაიცანით კლოე? კოლენმა ნერწყვი გადაყლაპა. პირში დამწვარი მაჭკატის ნაფშვენების გემო ჰქონდა.

– გამარჯობა! – თქვა კლოემ?

– გამარჯობა, თქვენ დიუკ ელინგტონისაგან ხართ არანყირებული??

– ჰკითხა კოლენმა და უცბად გაიპარა, იმიტომ რომ ღრმად იყო დარწმუნებული, სისულელე ვთქვიო.

შიკმა იგი პიჯაკის კალთით დაიჭირა.

– ეგრე სად მიდიხარ? ეხლა ხომ არ წახვალ?? შეხედე. და ჯიბიდან წითელი ტარსიკონის ყდიანი პატარა წიგნი დააძრო.

– პარტრის პარადოქსი ნარწყევის შესახებ, ორიგინალია? – მაინც გიშოვია!? – თქვა კოლენმა. შემდეგ გაახსენდა, რომ მიიპარებოდა და გაიპარა.

ალიზმა გზა გადაუღობა.

– ისე მიდიხართ, რომ ერთხელაც არ გიცეკვიათ ჩემთან ერთად? – ჰკითხა მან.

– მაპატიეთ? – მიუგო კოლენმა, – მაგრამ სულ ახლახანს იდიოტურად მოვიქეცი? და მეუხერხულება დარჩენა.

– ისე, როცა ადამიანს ესე უყურებენ, ის იძულებულია დათანხმდეს?

– ალიზ? – ამოიკვნესა კოლენმა, ჩაეხუტა ალიზს და ლოყა თმაზე მიუქლასუნა.

– რაო, ჩემო კარგო კოლენ?

– ფუი? ფუი? და ოხრობა!? ჯანდაბა და ღოზანა. ხედავთ იმ გოგოს, აი იქ?

– კლოეს??

– იცნობთ?? – ჰკითხა კოლენმა, – რაღაც სისულელე ვუთხარი და მაგიტომ მივდიოდი.

აღარ დაუმატებია, რომ ღრმად, გულში, გერმანული სამხედრო მუსიკასავით რაღაც სჭირდა, სადაც დიდი დოლების ბაგუნის მეტი არაფერი ისმის.

კლოეს წითელი ტუჩები, წაბლისფერი თმა და ბედნიერი სახე ჰქონდა და კაბა აქ არაფერ შუაში იყო.

– ვერ გავბედავ! – თქვა კოლენმა.

შემდეგ ალიზს ხელი გაუშვა და კლოე საცეკვაოდ გამოიწვია. კლოემ შეხედა. მერე გაიცინა და მარჯვენა ხელი მხარზე დაადო. კოლენი კისერზე გრილ თითებს გრძნობდა. შემდეგ, თავის ქალაში გონივრულად შერჩეული წყვილი ნერვის გავლით, ტვინიდან მარჯვენა ბიცეფსს დამოკლების ბრძანება გადასცა, და ამით სხეულებს შორის დაშორება შეამცირა.

კლოემ ისევ შეხედა. ლურჯი თვალები ჰქონდა. ხუჭუჭი, მზინავი თმის უკან გადასაგდებად თავი აიქნია და მტკიცე და გაბედული მოძრაობით საფეთქელი კოლენის ლოყას მიაწება. გარშემო სრული სიჩუმე ჩამოწვა და დანარჩენი ხალხის უმრავლესობა მათთვის აღარაფერს ნიშნავდა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფირფიტა გაჩერდა. კოლენი მხოლოდ მაშინლა მოეგო გონს და შენიშნა, რომ ჰერში უთვალავი ჭუჭურუტანა იყო, რომლებიდანაც ზედა სართულების მცხოვრებნი იჭყიტებოდნენ, რომ წყლის ზამბახის ხშირ ბუჩქებს კედლების ქვედა ნაწილები



დაეფარა, რომ აქა-იქ გაჩენილი ხვრელებიდან ნაირფერი გაზები გამო-  
დიოდა, და რომ მის წინ მისი მეგობარი იზისი იდგა და ჰერცინულ ლან-  
გარზე დაწყობილ ნამცხვრებს სთავაზობდა.

– არა, გმადლობ, იზის, – კულულების რხევით უთხრა კლოემ. – გმად-  
ლობ, იზის, – თქვა კოლენმა და მინიატურული და გაფარჩხული ეკლერი  
აიღო.

– ცდებით! – უთხრა მან კლოეს, – ძალიან გემრიელია. შემდეგ დაახ-  
ველა, რადგან პირში, საუბედუროდ, ნამცხვარში ჩამალული ზღარბის  
ეკალი მოხვდა.

კლოეს გაეცინა და ლამაზი კბილები გამოუჩნდა.

– რა არის?

თავის გემოზე რომ ეხველა, კოლენი იძულებული გახდა გვერდზე გამ-  
დგარიყო. ბოლოს ჩაუწყნარდა. კლოე ორი ჭიქით დაბრუნდა.

– დალიეთ, – უთხრა მან, – მოგიხდებათ.

– გმადლობთ! – მიუგო კოლენმა, – შამპანურია?

– ნარევია.

კოლენმა ერთი კარგად მოსვა და გადასცდა. კლოე სიცილს ვეღარ  
იკავებდა. მათ შიკი და ალიზი მიუახლოვდნენ. – რა სჭირს? – იკითხა  
შიკმა.

– სმა არ იცის! – უპასუხა კლოემ.

ალიზმა ნაზად მოუტყაპუნა ხელი ზურგზე, რამაც ბალიური გონგის  
ხმა გამოსცა. სუფრასთან დასაჯდომად ყველამ ერთბაშად შეწყვიტა  
ცეკვა.

– ესეც ესე! – თქვა შიკმა, – დაგწყნარდით. რამე კარგი ფირფიტა ხომ  
არ დაგვედო?

და თვალი ჩაუკრა კოლენს?

– ბიგლემუა ხომ არ წაგვეცეკვა? – შესთავაზა მათ ალიზმა? შიკი ფირსაკრავის გვერდით, ფირფიტების გროვაში იქექებოდა.

– მეცეკვე, შიკ, უთხრა ალიზმა?

– აი, – უპასუხა შიკმა, – ვდებ ფირფიტას.

ეს იყო ბუგი-ვუგი.

კლოე იცდიდა.

– ამაზე ბიგლემუას ცეკვას ხომ არ აპირებთ?? – ჰკითხა თავზარდაცემულმა კოლენმა შიკს და ალიზს.

– რატომაც არა?? – ჰკითხა შიკმა.

– არ უყუროთ! – უთხრა კოლენმა კლოეს.

და ჩაიხუტა, ხოლო კლოემ თვალები კოლენის ჩალისფერი პიჯაკის საყელოში ჩარგო.

კოლენმა თავი ოდნავ დახარა და ყურსა და მხარს შორის აკოცა. კლოე შეკრთა, მაგრამ თავი არ გაუწევია.

არც კოლენს გაუწევია ტუჩები.

ამ დროს ალიზი და შიკი თავდავიწყებით და შესანიშნავად ასრულებდნენ ბიგლემუას ზანგურ სტილში.

ფირფიტა ძალიან მალე დამთავრდა. ალიზმა თავი დაიხსნა და ახალი ფირფიტის ძებნას შეუდგა. შიკი ღივანში ჩაასკდა. კოლენი და კლოე მის წინ იდგნენ. შიკმა ისინი ფეხებით დაიჭირა და თავის გვერდზე, აქეთ-იქით მიმოიძნეყვა.

– აბა, ჩემო გვრიტებო, – უთხრა მათ, – ყველაფერი რიგზეა? კოლენი წამოჯდა და კლოე მის გვერდით მოხერხებულად მოკალათდა.

– ძალიან საყვარელია ეს პატარა გოგო, ჰა, – თქვა შიკმა. კლოეს გაელღიმა. კოლენს არაფერი უთქვამს, კისერზე ხელი მოხვია კლოეს და დაუდევრად დაუწყო თამაში მისი კაბის პირველ ღივანს, რომელიც წინა მხარეს ეკერა.

ამ დროს ალიზი მოვიდა.

– ჩაიწიე, შიკ, შენ და კოლენს შორის მინდა ჩავჯდე. მას ზუსტად აერჩია ფირფიტა. დიუკ ელინგტონის მიერ არანჭირებული კლოე იყო. კოლენი ყურთან თმას სწიწკნიდა კლოეს. ჩასჩურჩულა:

– ზუსტად თქვენ ხართ.

და, სანამ კლოე პასუხის გაცემას მოასწრებდა, სხვები, რომლებიც მიხვდნენ, რომ, მართლაც, სრულიად არ იყო სუფრასთან ჯდომის დრო, საცეკვაოდ დაბრუნდნენ.

– ო!?! – თქვა კლოემ, – რა დასანანია!?

## თავი მეთორმეტე

– აპირებ კიდეც კლოეს ნახვას? – ჰკითხა შიკმა.

ისინი მაგიდასთან, ნიკოლას ბოლო ქმნილებას, თხილებიან გოგრას უსხდნენ.

– არ ვიცი, – თქვა კოლენმა, – არ ვიცი, რა ვქნა. იცი, ძალიან კარგად აღზრდილი გოგოა. ბოლოს, იზისთან, ბევრი შამპანური დალია.

– ძალიან უხდებოდა, – თქვა შიკმა, – ძალიან ლამაზია. ნუ გაქვს ეგეთი სახე! წარმოიდგინე, დღეს დაუკუწუბოებელ ჰიგიენურ რულონზე გამოცემულ პარტრის თხზულებას წავაწყდი, წინასწარი არჩევანი პირღებინების წინ.

– კი მაგრამ, სად შოულობ მაგდენ ფულს? – ჰკითხა კოლენმა. შიკი მოიღუმა.

– ძალიან ძვირი მიჯდება, მაგრამ არც უმაგისობა შემიძლია, – თქვა მან, – პარტრი მჭირდება. მე ხომ კოლექციონერი ვარ. ყველაფერი მინდა, რაც კი შეუქმნია.

– კი, მაგრამ ის სულ ქმნის და ქმნის, არ ჩერდება! – უთხრა კოლენმა,  
– კვირაში ხუთ სტატიას მაინც აქვეყნებს? – ვიცი, ვიცი? – თქვა შიკმა.

კოლენმა გოგრის ნაჭერი გადაალებინა.

– როგორ ვნახო კლოე? – იკითხა მან.

შიკმა შეხედა და გაულიმა.

– მართალი ხარ, – თქვა მან, – გაგიჭირე საქმე ჟან-სოლ პარტრის ამ-  
ბებით. ძალიან მინდა დაგეხმარო? როგორ მოვიქცე? – საშინელებაა, –  
თქვა კოლენმა, – სასოწარკვეთილი და, ამავედროულად, საზარლად ბედ-  
ნიერი ვარ. ძალიან სასიამოვნოა, ასე გინდოდეს რამე.

– ვნატრობ ვიწვევ ოდნავ მოხრუკულ ბალახში, – განაგრძო მან, – იყოს  
მშრალი მიწა, მზე, ხომ იცი, მყიფე და თივასავით ყვითელი ბალახი, იყოს  
უამრავი პატარა ცხოველი, მშრალი ხავსი. გაწვები მუცელზე და უყუ-  
რებ. უნდა იყოს კიდევ ღობე, ქვები, მიღრეცილ-მოღრეცილი ხეები და  
პატარ-პატარა ფოთლები. ძალიან მარგებელია.

– და კლოე, – თქვა შიკმა.

– და კლოეც, ბუნებრივია, – თქვა კოლენმა, – კლოეც, ფიქრებში.

რამდენიმე წამით დადუმდნენ. ამით გრაფინმა ისარგებლა და ბრო-  
ლის ხმა გამოსცა, რომელიც კედლებზე აირეკლა. – ცოტა კიდევ მიირთვი  
სოტერნი, – უთხრა კოლენმა. – ხო, – მიუგო შიკმა, – გმადლობ.

ნიკოლას გაგრძელება, ანუ ფორთოხლის კრემიანი ანანასის ნამცხვა-  
რი მოჰქონდა.

– გმადლობთ, ნიკოლა, – უთხრა კოლენმა, – თქვენი აზრით, როგორ  
ვნახო გოგო, რომელიც შემიყვარდა?

– ღმერთო ჩემო, ბატონო, – თქვა ნიკოლამ, – ცხადია, შეიძლება შემ-  
თხვევა გამოჩნდეს? უნდა ვაღიარო ბატონის წინაშე, რომ მე ასეთი რამ  
არასდროს დამმართნია.

– ცხადია, – თქვა შიკმა, – თქვენ ზუსტად ჯონი ვაისმიულერის აღნაგობა გაქვთ. მაგრამ ეს არ არის ზოგადი წესი.– მადლობას მოვასხენებ ბატონს შეფასებისათვის, რომელიც პირდაპირ გულს მეფონება! – თქვა ნიკოლამ და კოლენის მისამართით განაგრძო, – ბატონს კი ვურჩევ, რომ ინებოს და იმ პირის საშუალებით, ვისთანაც შეხვდა პირს, რომლის აქ არყოფნაც, ჩანს, აგრერიგად გულს აკლია ბატონს, შეკრიბოს გარკვეული ცნობები ამ უკანასკნელის ჩვევებისა და იმ ადგილთა შესახებ, სადაც იგი დაიარება ხოლმე.

– მიუხედავად თქვენი გამოთქმების სირთულისა, ნიკოლა, – თქვა კოლენმა, – მე მგონი, ეს მართლაც შესაძლებელია. მაგრამ, იცით, როცა კაცი შეყვარებული ხარ, თან იდიოტიცა ხარ. სწორედ მაგიტომ არ მითქვამს შიკისთვის, რომ დიდი ხანია, ამაზე ვფიქრობ.

ნიკოლა სამზარეულოში გაბრუნდა.

– ფასდაუდებელი ბიჭია! – თქვა კოლენმა.

– ხო, – თქვა შიკმა, – იცის მზარეულის საქმე.

კიდევ დალიეს სოტერნი.

ნიკოლა უზარმაზარი ნამცხვრით დაბრუნდა.

– დამატებითი დესერტია, – თქვა მან.

კოლენმა დანა აიღო და ერთიანი ზედაპირის აჭრა რომ დააპირა, გაჩერდა.

– მეტისმეტად ლამაზია, – თქვა მან, – ცოტა ხანს დავიცადოთ. – ლოდინი მინორული ტონალობის პრელუდიაა, – თქვა შიკმა.

– რა გაფიქრებინებს ამას? – ჰკითხა კოლენმა.

შიკის ჭიქა აიღო და მოუქნელი ეთერზეთივით ბლანტი, მძიმე და ოქროსფერი ღვინით შეავსო.

– არ ვიცი, – თქვა შიკმა, – მეყსეული აზრია.

– გასინჯე! – უთხრა კოლენმა.

ჭიქები ერთდროულად დაცალეს.

– მაგარია, – თქვა შიკმა, რომლის თვალეზმაც მოციმციმე და მოწითალო ცეცხლებივით იწყეს ნათება.

კოლენს გულ-მკერდი ხელით ეჭირა.

– უფრო მეტიც! – თქვა მან, – არაფერ ნაცნობს არა ჰგავს. – არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, – თქვა შიკმა, – არც შენ ჰგავხარ არაფერს ნაცნობს.

– დარწმუნებული ვარ, თუ საკმაოდ დავლევთ, კლოე ეხლავე მოვა, – თქვა კოლენმა.

– აბა, ვინ იცის! – თქვა შიკმა.

– შენ მე გამომიწვიე! – უთხრა კოლენმა და ჭიქა გაუწოდა. შიკმა ორივე ჭიქა გაავსო.

– მოიცა! – უთხრა კოლენმა.

და ჭალი და პატარა ლამბა, რომელიც მაგიდას ანათებდა, ჩააქრო. მხოლოდ შოტლანდიური ხატის მწვანე შუქილა ელავდა, რომლის წინაც, ჩვეულებრივ, კოლენი ფიქრებში იძირებოდა ხოლმე.

– ოჰ!?! – ჩაიჩურჩულა შიკმა.

ბროლიდან ღვინის ბრჭყვიალა და ციმციმა შუქი ისე გამოსჭვიოდა, თითქოს ყველა ფერის ურიცხვი ელვარე წერტილიდან გამოიყოფაო.

– დალიე! – უთხრა კოლენმა.

დალიეს. შუქი ტუჩებზე შერჩათ. კოლენმა ნათურა აანთო. თითქოს ყოყმანობდა, დამჯდარიყო თუ არა.

– ამ ერთხელ არა უშავს, – თქვა მან, – მე მგონი, შეგვიძლია ჩავცალოთ ეს ბოთლი.

– ნამცხვარი ხომ არ დაგვეჭრა? – იკითხა შიკმა.

კოლენი ვერცხლის დანას სწვდა და ნამცხვრის პრიალა სითეთრეზე სპირალის ხაზვას შეუდგა. უცბად გაჩერდა და გაკვირვებულმა შეხედა თავის ნაშრომს.

– ერთ რაღაცას ვცდი, – თქვა მან.

მაგიდაზე მდგარი ჭყორის თაიგულიდან ერთი ფოთოლი ამოიღო. ცალი ხელით ნამცხვარს დასწვდა, თითის წვერზე სწრაფად დაატრიალა და მეორე ხელით ჭყორის ეკალი სპირალს დაადო.

– უსმინე!?! – თქვა მან.

შიკმაც მოუსმინა. დიუკ ელინგტონის არანაქირებული კლოე იყო.

შიკმა კოლენს შეხედა. მთლად გაფითრებულიყო.

– ვერ? ვერ ვბედავ გაჭრას? – თქვა კოლენმა.

შიკმა მას დანა ხელიდან გამოსტაცა და მტკიცე მოძრაობით ნამცხვარში ჩაასო. ორად გაპოზილ ნამცხვარში შიკისათვის პარტრის ახალი სტატია, ხოლო კოლენისათვის – კლოესთან პაემანი აღმოჩნდა.



## თავი მეცამეტე

კოლენი მოედნის კუთხეში იდგა და კლოეს ელოდებოდა. მოედანი მრგვალი იყო, ხოლო ზედ ეკლესია, მტრედები, სკვერი და სკამები მოჩანდა. გარშემო, ქუჩებში, მანქანები და ავტობუსები იდგა. კლოეს მზეც ელოდებოდა, მაგრამ მზეს შეეძლო თან თავიც შეექცია – გაეჩინა ჩრდილები, გაელვივებინა ველური ლობიოს მარცვლები საამისო ღრიჭოებში, დაელო დარაბები და სეპედისტის დაუდევრობით დარჩენილი ანთებული ქუჩის ფარანიც შეერცხვინა.

კოლენი ხელთათმანების კიდევს აწვალვებდა და პირველ წინადადებას ამზადებდა. ეს უკანასკნელი კი, რაც დრო ახლოვდებოდა, სულ უფრო სწრაფ-სწრაფად იცვლებოდა. კოლენმა არ იცოდა, რა ექნა კლოესთან ერთად. შეიძლებოდა ჩაის სახლში წაეყვანა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ატმოსფერო იქ მეტად დამთრგუნველია, და არა, არც ორმოცი წლის გაუმაძლარი ქალბატონები უყვარდა კოლენს, შვიდ-შვიდ ნამცხვარს რომ ჭამენ ნეკებაბზეკილები. გაუმაძღრობა მხოლოდ კაცებისთვის მიაჩნდა

დასაშვებად, სადაც იგი, ანუ გაუმადლობა, მთელ თავის აზრს ისე იძენს, რომ მათ ბუნებრივ ღირსებას არ უკარგავს. არც კინო შეიძლება – კლოე არ დათანხმდება. არც დეპუტატოდრომი – არ მოეწონება. არც ხბოების რბოლა – შეეშინდება. არც სენლუსის საავადმყოფო – აკრძალულია. არც ლუვრის მუზეუმი – ასირიელ ქერუბინებს უკან სატირები უდგანან. არც სენ-ლაზარის სადგური – ურიკების მეტი აღარაფერია, არცერთი მატარებელი. – გამარჯობა!?

კლოე ზურგიდან მოსულიყო. კოლენმა ხელთათმანები სწრაფად გაწია უკან, ჩატენა შიგ ხელები, ერთი კარგი მუშტი მიირტყა ცხვირში, უი-ო!?, შესძახა და ხელი ჩამოართვა. კლოე იცინოდა.

– შეწუხებული გამომეტყველება გაქვთ!?

თავისივე თმის ფერი გრძელბეწვიანი ქურქი ეცვა, ქუდიც ბეწვისა ეხურა, და შიგნიდან ბეწვიანი, მოკლეყელიანი პატარა ჩექმები ეცვა.

კოლენს მკლავში წაავლო ხელი.

– გამიყარეთ ხელი! დღეს რალაც ვერა ხართ ისეთი ცქვიტი? – წინაზე უკეთ გამომდიოდა, – აღიარა კოლენმა.

კლოემ ისევ გაიცინა, შეხედა და ხელმეორედ უფრო უკეთ გაიცინა.

– დამცინით, – საცოდავად თქვა კოლენმა, – ეს კი არ არის ლმობიერი საქციელი.

– გაგიხარდათ ჩემი დანახვა? – ჰკითხა კლოემ.

– დიახ? – უპასუხა კოლენმა.

ნელი სიარულით გაუყვნენ პირველშემხვედრ ტროტუარს. ციდან ღრუბლის პატარა, ვარდისფერი ქულა ჩამოდიოდა და მათ უახლოვდებოდა.

– დავიწყო? – შესთავაზა ღრუბელმა.

– მიდი! – უთხრა კოლენმა და ქულა მათ გარს შემოეხვია. შიგნით ცხელოდა და დარიჩინიანი შაქრის სუნი იდგა. – ველარ გვხედავენ!? – თქვა კოლენმა, – ჩვენ კი მათ ვხედავთ.

– ცოტა გამჭვირვალეა, – თქვა კლოემ, – არ ენდოთ. – არა უშავს, მაინც ჯობია ასე, – თქვა კოლენმა, – რას აპირებთ??

– მხოლოდ სეირნობას, ხომ არ მოგწყინდებათ?

– მაშინ რამეები მითხარით?

– მე რამეები კარგად არ ვიცი, – თქვა კლოემ, – შეგვიძლია შევხედოთ ვიტრინებს. შეხედეთ აი, ამას! საინტერესოა. ვიტრინაში, ზამბარებიან ლეიბზე, ვიღაც ლამაზი ქალი ისვენებდა. მკერდი შიშველი ჰქონდა და თეთრ და ნაზ ბუსუსებიანი რაღაც ხელსაწყო ძუძუებს ზევითკენ უპრებდა. იქვე ეწერა: დაზოგეთ თქვენი ფეხსაცმელები ღირსი შარლის ანტიპოდით.

– კარგი აზრია! – თქვა კლოემ.

– კი მაგრამ, რა შუაშია! – თქვა კოლენმა, – ხელით ბევრად უფრო სასიამოვნოა.

კლოე გაწითლდა.

– ნუ ამბობთ ეგეთ რაღაცეებს. არ მიყვარს ისეთი ბიჭები, გოგოების თანდასწრებით რომ ამბობენ საშინელებებს. – ვწუხვარ, უკაცრავად! – თქვა კოლენმა, – არ მინდოდა? იმდენად შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ კლოემ გაუღიმა და ოდნავ შეანჯღრია, რომ ეჩვენებინა, არ გაგბრაზებულვარო. მეორე ვიტრინაში ყასბის წინსაფრიანი მსუქანი კაცი ყელებს სჭრიდა პატარა ბავშვებს. ეს საზოგადოებრივი ქველმოქმედების საპროპაგანდო ვიტრინა იყო.

– აი, თურმე სად მიდის ფული, – თქვა კოლენმა, – ყოველ საღამო ამის წმენდა საშინლად ძვირი უნდა უჯდებოდეთ მაგათ. – ეგენი ნამდვილები არ არიან! – თქვა შემფოთებულმა კლოემ?

- აბა საიდან გაიგებ? - იკითხა კოლენმა, - მაგათ თითქმის მუქთად შოულობს საზოგადოებრივი ქველმოქმედება.

- არ მომწონს, - თქვა კლოემ, - წინათ ეგრე ვერ ნახავდი საპროპაგანდო ვიტრინებს. არა მგონია, პროგრესი იყოს ეს. - მაგას არა აქვს მნიშვნელობა, - თქვა კოლენმა, - ეგ მხოლოდ იმათზე მოქმედებს, ვისაც უკვე სჯერა მაგ სიყეყეჩის. - და ესა?? - იკითხა კლოემ.

ვიტრინაში კაუჩუკის ბორბლებზე კაი ჩამრგვალებული და ჩასუქებული მუცელი ამხედრებულიყო. განცხადებაში ეწერა: არც თქვენი გაიკეთებს ნაოჭებს, თუკი მას გააუთოებთ ელექტრო უთოთი.

- ვაჰ! მე ვიცნობ მაგას! - თქვა კოლენმა, - ეგ ხომ სერჟის, ჩემი ყოფილი მზარეულის მუცელია!? ნეტა რას უნდა შვრებოდეს აქ??

- ეს არაფერს არ ცვლის! - თქვა კლოემ, - მაგ მუცლის გარჩევა-განხილვას ხომ არ აპირებთ. მართლა ძალიან სქელია, სხვათაშორის.

- მზარეულის საქმე რომ იცოდა, მაგიტომაც!?

- წავიდეთ აქედან, - თქვა კლოემ, - ვიტრინების დანახვა აღარ მინდა, გულს მირევს.

- რა ვქნათ? - იკითხა კოლენმა, - დავლიოთ ჩაი სადმე? - ო!?! ამ დროს ვინ სვამს ჩაის!?! თანაც, მაინცა და მაინც არც მიყვარს.

კოლენმა შვებით ამოისუნთქა და მისმა აჭიმმა ტკაცუნი გაადინა.

- რისი ხმა იყო?

- ხმელ ტოტს დავაბიჯე, - აუხსნა აჭარხლებულმა კოლენმა. - ტყეში ხომ არ გაგვესეირნა?? - იკითხა კლოემ.

კოლენმა აღტაცებულმა შეხედა?

- ძალიან კარგი აზრია? არავინ არ იქნება.

კლოე გაწითლდა.

– მაგიტომ კი არა. სხვათაშორის, დიდი ხეივნიდან არ გადავუხვევთ, პატარებში ფეხები დავვისველდება, – შურის საძიებლად დაუმატა მან.

კოლენმა ოდნავ მოუჭირა მკლავს, რომელიც თავისი მკლავის ქვეშ იგრძნო.

– მიწისქვეშაითი გადავიდეთ, – თქვა მან.

მიწისქვეშა გადასასვლელში, აქეთ-იქით, დიდი ზომის სამტრედები იყო ჩამწკრივებული, სადაც ქალაქის მომწყობებს სკვერებისა და მონუმენტებისათვის სათადარიგო მტრედები მოეთავსებინათ. იდგა ბელურების სანაშენებელიც და პატარა ბელურების ჟიჟივიც. ხალხი აქ ხშირად არ ჩამოდის, იმიტომ რომ ჩიტების ფრთები ჰაერის საშინელ ნაკადს ქმნიდა და პაწაწკინტელა ლურჯი და თეთრი ბუმბულების კორიანტელს აყენებდა.

– არასოდეს არ აჩერებენ ფრთებს, – თქვა კლოემ და ქუდი რომ არ გაფრენილიყო, მიიბა.

– ყოველთვის ერთი და იგივენი კი არ არიან, – თქვა კოლენმა.

იგი თავისი მოსასხამის კალთებით იბრძოდა.

– ცოტა სწრაფად გავცდეთ მტრედებს, ბელურები ნაკლებ ქარს აყენებენ, – თქვა კლოემ და კოლენს მიეკრო.

ნაბიჯს აუჩქარეს და საშიში ზონიდან გამოვიდნენ. ღრუბლის პატარა ქულა მათ იქ არ ჩაჰყოლია – მოკლეზე მოეჭრა და უკვე ამოსასვლელთან იცდიდა.

## თავი მეოთხე

სკამი ცოტა ნესტიანად და მუქ მწვანედ გამოიყურებოდა. ყველაფრისდა მიუხედავად, ამ ხეივანს ხალხი მაინცა და მაინც არ ეტანებოდა და მათაც კარგად იგრძნეს თავი.

– ხომ არ გცივათ? – ჰკითხა კოლენმა.

– ამ ღრუბლის წყალობით არა, – უთხრა კლოემ, – მაგრამ მაინც მინდა, უფრო მოგიახლოვდეთ.

– ოჰ! – თქვა კოლენმა და გაწითლდა. უცნაური გრძნობა მოერია. ხელი წელზე მოხვია. კლოეს ქუდი მეორე მხარეს გადახრილიყო და კოლენს ტუჩებთან ჰქონდა მისი მბზინავი თმის ერთი კულული.

– მე მსიამოვნებს თქვენთან ერთად ყოფნა, – თქვა მან. კლოეს არაფერი უთქვამს. ოდნავ აუჩქარა სუნთქვას და შეუმჩნევლად მიუჩოჩდა. კოლენი თითქმის ყურში ელაპარაკებოდა.

– ხომ არ მოგწყინდათ? – ჰკითხა მან.

კლოემ თავით ანიშნა, არაო, და ამ მოძრაობის წყალობით კოლენმა მოახერხა კიდევ უფრო მიახლოებოდა.

– მე? – უთხრა მთლად ყურში და ამ დროს, თითქოს უცაბედად, კლოემ თავი მოაბრუნა და კოლენმა მას ტუჩებში აკოცა. დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ამბავი; მაგრამ მეორედ ბევრად უკეთ გამოვიდა. მაშინ მან კლოეს თმაში ჩარგო თავი და დარჩნენ ასე, უსიტყვოდ.

## თავი მეთხუთმეტე

– ძალიან კარგი ქენით, რომ მოხვედით, ალიზ, – თქვა კოლენმა, – თუმცა თქვენ ერთადერთი გოგონა იქნებით? – არა უშავს, – თქვა ალიზმა, – შიკი თანახმაა.

შიკმა კვერი დაუკრა. მაგრამ, სიმართლე ითქვას, ალიზს ხმა მთლად მხიარული არ ჰქონდა.

– კლოე არ არის პარიზში, – თქვა კოლენმა, – ვილაც ნათესავებთან ერთად სამხრეთში წავიდა სამი კვირით. – აჰ! – თქვა შიკმა, – ალბათ ძალიან უბედური ხარ. – უფრო ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ! – თქვა კოლენმა, – მინდოდა თქვენთვის ჩემი ნიშნობის ამბავი მეცნობებინა? – გილოცავ!? – უთხრა შიკმა.

თან თვალს არიდებდა ალიზს.?

– რა გჭირთ ორივეს? – იკითხა კოლენმა, – რაღაც ვერ გამოიყურებით მაინცა და მაინც ყოჩაღად.

– არაფერი, – თქვა ალიზმა, – სულელია შიკი.



– ო, არა, არა, – თქვა შიკმა, – ნუ უსმენ, კოლენ? არაფერია. – ერთსა და იმავეს ამბობთ და ერთმანეთს კი არ ეთანხმებით, – თქვა კოლენმა, – მაშასადამე, ან ერთ-ერთი ტყუით, ან ორივენი. მოდით, ვისადილოთ.

სასადილო ოთახში გავიდნენ.

– დაბრძანდით, ალიზ, – თქვა კოლენმა, – მოდით ჩემ გვერდით და მითხარით, რა ხდება.

– შიკი სულელია, – თქვა ალიზმა, – მეუბნება, არა ვარ მართალი, გვერდიდან რომ არ გიმორებო, იმიტომ რომ ფული არა მაქვს, რომ კარგად გაცხოვროო, და მრცხვენია, ცოლად რომ ვერ გირთავო.

– სალახანა ვარ, – თქვა შიკმა.

– არ ვიცი, რა გითხრათ, – თქვა კოლენმა?

ისეთი ბედნიერი იყო, რომ ეს ამბავი უზომოდ ამწუხრებდა? – ფული სწორედაც რომ არაფერ შუაშია, – დაიწყო შიკმა, – უბრალოდ, ალიზის შშობლები არასოდეს მოინდომებენ, რომ მე ის ცოლად მოვიყვანო და მართალნიც იქნებიან. ერთი ესეთი ამბავია პარტრის ერთ-ერთ წიგნში.

– ბრწყინვალე წიგნია, – თქვა ალიზმა, – არ წაგიკითხავთ, კოლენ?

– აი, თურმე რა ყოფილა? – თქვა კოლენმა, – დარწმუნებული ვარ, მთელი ფული ისევ მაგაში მიგდით.

შიკმა და ალიზმა ცხვირები ჩამოუშვეს.

– ჩემი ბრალია! – თქვა შიკმა, – ალიზი აღარ ხარჯავს არაფერს პარტრზე. რაც ჩემთან ერთად ცხოვრობს, სულ აიცრუა გული.

ხმაში საყვედური იგრძნობოდა.

– პარტრზე უფრო მე შენ მიყვარხარ! – თქვა ალიზმა. ტირილის პირას იყო?

– შენ კარგი ხარ, – უთხრა შიკმა, – მე შენი ღირსი არა ვარ. პარტრის შეგროვება ჩემი ნაკლია და ინჟინერი, საუბედუროდ, ყველაფრის უფლებას ვერ მისცემს თავს.

– ვწუხვარ! – თქვა კოლენმა, – მინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს თქვენთვის. აბა, ეხლა გაშალეთ თქვენ-თქვენი ხელსახოცები.

შიკის ხელსახოცის ქვეშ ნახევრადსკუნისის ტყავგადაკრული რწყევასის ეგზემპლარი იდო, ალიზის ხელსახოცის ქვეშ კი – გულისრევის ფორმის მსხვილი ოქროს ბეჭედი.

– ოჰ! – თქვა ალიზმა.

ხელები კისერზე შემოხვია კოლენს და აკოცა.

– შენ ხელგაშლილი ხარ! – უთხრა შიკმა, – არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა, სხვათაშორის, ძალიან კარგად იცი, რომ ვერ გადაგიხდი მადლობას ისე, როგორც მე მინდა?

კოლენმა ცოტა მხნეობა იგრძნო. და ალიზი სილამაზით ბრწყინავდა ამ საღამოს.

– თქვენ რა სუნამო გაქვთ? – ჰკითხა კოლენმა, – კლოე ორქიდეის ორნახად ესენციას ხმარობს.

– მე არა მაქვს სუნამო!? – თქვა ალიზმა.

– ეგ სუნი ბუნებრივადა აქვს! – თქვა შიკმა.

– სასწაულია! – თქვა კოლენმა, – თქვენ ნაკადულიანი და პატარა ბაჭიებიანი ტყის სურნელს აფრქვევთ.

– კლოეზე გველაპარაკეთ! – თქვა ქებაშეფერებულმა ალიზმა.

ნიკოლას სხვადასხვა სასუნავები მოჰქონდა.

– გამარჯობა, ნიკოლა, – მიესალმა ალიზი, – ხომ კარგადა ხარ?

– კი, – უპასუხა ნიკოლამ.

და ლანგარი მაგიდაზე დადო.

– არ მაკოცებ? – ჰკითხა ალიზმა.

– ნუ მოგერიდებთ, ნიკოლა, – უთხრა კოლენმა, – და ჩვენთან ერთადაც თუ ისადილებთ, დიდად მასიამოვნებთ? – ხო, ხო! – თქვა ალიზმა, –

ისადილე ჩვენთან ერთად? – ბატონი ერთობ მაბნევს! – თქვა ნიკოლამ,  
– მე არ შემიძლია ამ ტანსაცმლით მივუჯდე მის მაგიდას.

– მისმინეთ, ნიკოლა, – უთხრა კოლენმა, – თუ გნებავთ, წადით, გამოიცვალეთ, მაგრამ მე თქვენ გიბრძანებთ, რომ ისადილოთ ჩვენთან ერთად.

– მე ვმადლობ ბატონს, – თქვა ნიკოლამ, – ეხლავე გამოვიცვლი.  
ლანგარი მაგიდაზე დადო და გავიდა.

– ხო, – თქვა ალიზმა, – მაშ, კლოეო?

– გადაიღეთ, – თქვა კოლენმა, – არ ვიცი, რა არის, მაგრამ გემრიელი უნდა იყოს.

– რაღას აჯანჯლებ, ერთი სული გვაქვს! – დაიწყო შიკმა. – კლოეს ერთ თვეში შევირთავ, – თქვა კოლენმა, – მინდა, ეს ამბავი ხვალ იყოს.

– ოჰ! – თქვა ალიზმა, – ბედი გქონიათ?

კოლენს შერცხვა ასეთი მდიდარი რომ იყო.

– მისმინე, შიკ, – თქვა მან, – გინდა ჩემი ფულის ნაწილი?? ალიზმა ნაზად შეხედა კოლენს. იგი ისეთი კეთილშობილი იყო, რომ ჩანდა, როგორ მოძრაობდა ცისფერი და იისფერი აზრები მისი თხელი ხელების ვენებში.

– არა მგონია რამეში გამომადგეს, – თქვა შიკმა?

– ცოლად მოიყვანდი ალიზს! – უთხრა კოლენმა.

– მის მშობლებს არ უნდათ-მეთქი, – უპასუხა შიკმა, – მე კიდევ არ მინდა, რომ ალიზი იმათ ეჩხუბოს. ძალიან პატარაა? – არც ისე პატარა ვარ! – თქვა ალიზმა და რბილ სკამზე გაიმართა, რათა თავისი გამომწვევი მკერდი სააშკარაოზე გამოეთანა.

– მაგას არ გულისხმობს! – გააწყვეტინა კოლენმა, – მისმინე, შიკ, მე ასი ათასი ლუბლუზონი მაქვს, მეოთხედს მოგცემ და წყნარად იცხოვრებ. გააგრძელებ მუშაობას და ყველაფერიც კარგად იქნება.

– ვერასოდეს საკადრის მაღლობას ვერ გადაგიხდი, – თქვა შიკმა.

– ნურც გადამიხდი, – უთხრა კოლენმა, – მე მსურს ბედნიერება არა ყველა, არამედ თითოეული ადამიანისა. კარზე დარეკეს.

– მე გავაღებ!? – თქვა ალიზმა, – მე ხომ ყველაზე პატარა ვარ, თქვენ თვითონ მსაყვედურობთ ამას?

წამოდგა და მისმა თხელმა ტერფებმა მსუბუქი კვალი დატოვა რბილ ხალიჩაზე.

ნიკოლა უკანა კიბით ჩამოსულიყო. ამჯერად მას გოდონის სქელი ქსოვილის მოჩალისფრო-მომწვანო შევრონებიანი მოსასხამი მოეგდო და თავზე უკიდურესად ბრტყელი ამერიკული ფეტრის ქუდი ეხურა. ღატაკი ღორის ხელთათმანები და მტკიცე გავიალის ფეხსაცმელები ჩაეცვა და მანტო რომ შემოიხსნა, სპილოსძვლის პირებიან წაბლისფერ ხავერდის პიჯაკსა და ხუთი თითის და კიდევ ერთი გოჯის სიგანის ამონაკეციან, მონავთისფრო-მოლურჯო შარვალში გამოწკეპილი მართლაც რომ დიდებული სანახავი იყო.

– ო! – თქვა ალიზმა, – რა სმარტ ხარ!?

– როგორა ხარ, დისწულო? მარად ლამაზო...?

და ხელი მკერდსა და თეძოებზე მიუცაცუნა.

– მოდი სუფრასთან, – უთხრა ალიზმა.

– სალამი, მეგობრებო! – თქვა ნიკოლამ და შემოვიდა. – როგორც იქნა! – თქვა კოლენმა, – ნორმალურად გადაგიწყვეტიათ ლაპარაკი.

– რასაკვირველია! – თქვა ნიკოლამ, – შემძლია კიდევ. ერთი ეს მითხარი, – განაგრძო მან, – ერთმანეთში შენობით ხომ არ გველაპარაკა ჩვენ, ოთხს?

– კეთილი! – უთხრა კოლენმა, – დადე.

ნიკოლა შიკის პირდაპირ დაჯდა.

– გადაიღე რამე, – თქვა ამ უკანასკნელმა.

– ბიჭებო, – დაიწყო კოლენმა, – ხომ არ გინდათ ჩემი მამრი მეჯვარეები იყოთ?

– რა თქმა უნდა!?! – კვერი დაუკრა ნიკოლამ, – ოლონდ, ნუ დაგვაწყვილებთ საშინელ გოგოებთან, ჰა? კლასიკური და კარგად ცნობილი ხრიკია.

– ვაპირებ, მდედრი მეჯვარეობა ალიზსა და იზისს ვთხოვო, – თქვა კოლენმა, – ძმები დემარეები კი პედერასტი მეჯვარეები იქნებიან.

– შევთანხმდით! – თქვა შიკმა.

– ალიზ, – წამოიწყო ნიკოლამ, – წადი სამზარეულოში და ქურაში რომ კერძია, მოიტანე. უკვე მზად უნდა იყოს. ალიზმა შეასრულა ნიკოლას მითითებები და მძიმე ვერცხლის ლანგარი შემოიტანა. და როცა შიკმა სახურავი ახადა, შიგნით ბატის ღვიძლისგან გამოძერწილი ორი პატარა ფიგურა გამოჩნდა, რომლებიც კოლენს ფრაკში, კლოეს კი საქორწინო კაბაში გამოწყობილს გამოსახავდნენ. გარშემო, წრეზე, შეგედლოთ წაგეკითხათ ქორწინების თარიღი, ხოლო ერთ-ერთ კუთხეში იყო ხელმოწერა: ნიკოლა.

## თავი მეთექვსმეტე

კოლენი ქუჩაში მირბოდა.

– ძალიან ლამაზი ქორწილი იქნება? ხვალაა, ხვალ დილას. ყველა ჩემი მეგობარი იქნება?

ქუჩას კლოესკენ მიჰყავდა.

– კლოე, თქვენ ნაზი ტუჩები გაქვთ. ხილისფერი კანი. თქვენი თვალები ხედავენ ისე, როგორც უნდა ხედავდნენ და თქვენი სხეული მათობს? შუშის ბურთულები ქუჩაში დაგორავდნენ და ბავშვები დასდევდნენ.

– თვეები, თვეები იქნება საჭირო, რომ მე გაგძღე თქვენი კოცნით. საჭირო იქნება თვეების წლები, რომ გული ვიჯერო თქვენი, თქვენი ხელების, თმის, თვალების, კისრის დაკოცნით? სამი პატარა გოგონა სულ მთლად მრგვალ რონდოს მღეროდა და სამკუთხედად ცეკვავდა.

– კლოე, მინდა ორივე ხელით ჩაგიხუტოთ და შევიგრძნო თქვენი შიშველი ძუძუები ჩემს მკერდზე, თქვენი ხელები ჩემი კისრის გარშემო,

თქვენი სურნელოვანი თავი ჩემი მხრის ღრმულში, და თქვენი მფეთქავი კანი, და კიდევ სუნი, რომელიც თქვენგან მოდის?

ცა ნათელი და ლურჯი იყო, ჯერ კიდევ მაგრად ციოდა, მაგრამ ნაკლებად. მთლად შავ ხეებს გახუნებულ ტოტებში მწვანე და დაბერილი კვირტები გამოეყარათ.

– როცა თქვენ ჩემგან შორსა ხართ, თვალწინ მიდგახართ იმ ვერცხლისლილებიან კაბაში, მაგრამ როდის გეცვათ? არა, პირველად რომ გნახეთ, არა. ეს პაემნის დღეს იყო, მძიმე და ნაზი მანტოს ქვეშ, თქვენს ტანზე.

მაღაზიის კარს მიაწვა და შევიდა.

– აურაცხელი ყვავილი მინდა კლოესთვის!? – თქვა მან. – როდის უნდა მივუტანოთ? – ჰკითხა ყვავილების გამყიდველმა.

ახალგაზრდა და სუსტი იყო, ხელები კი წითელი ჰქონდა. ძალიან უყვარდა ყვავილები.

– ხვალ დილას მიუტანეთ, შემდეგ ჩემთანაც მოიტანეთ. სავსე იყოს ჩვენი ოთახი შროშანებით, თეთრი გლადიოლუსებით, ვარდებით, უამრავი სხვა თეთრი ყვავილით, და, რაც მთავარია, წითელი ვარდების დიდი თაიგულიც მოაყოლეთ?

## თავი მეჩვიდმეტე

ძმები დემარეები საქორწილოდ იცვამდნენ. მათ ხშირად იწვევდნენ პედერასტ მეჯვარეებად, რადგან, ძალიან წარმოსადეგნი, კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ტყუპები იყვნენ. უფროსს კორიოლანი ერქვა. მას შავი ხუჭუჭი თმა, ნაზი თეთრი კანი, უმანკო გამოხედვა, სწორი ცხვირი და, დიდი ყვითელი წამწამების მიღმა, ლურჯი თვალები ჰქონდა. უმცროსი, სახელად პეგასი, მსგავსი იერ-სახისა იყო, ოღონდ, ძმისაგან განსხვავებით, მწვანე წამწამები ჰქონდა, რაც, ჩვეულებრივ, სავსებით კმაროდა მათი ერთმანეთისგან გასარჩევად. პედერასტის კარიერას ისინი საჭიროებისა და თავიანთი გემოვნების გამო ჩაეკონენ, მაგრამ რადგანაც პედერასტ მეჯვარეობაში კარგად უხდიდნენ, მეტს თითქმის აღარც მუშაობდნენ და, საუბედუროდ, ეს დამლუპველი უსაქმურობა მათ დრო და დრო ცუდი ამბებისაკენ უბიძგებდა ხოლმე: ისე მოხდა, რომ წინა დღეს



კორიოლანმა რაღაც მიჰქარა ვიღაც გოგოსთან ერთად. პეგასი კარგა მაგრად უფუცხუნებდა ძმას და თან, სამკარიანი სარკის წინ, გავის კანს მამარი ნუშის ნელსაცხებლით იზელდა.

– და რომელ საათზე დაბრუნდი, პა? – ეკითხებოდა პეგასი. – აღარ მახსოვს, – უპასუხა კორიოლანმა, – დამანებე თავი. შენს გავას მიხედე.

კორიოლანი სისხლძარღვების მომჭერი პინცეტით წარბებს იპუტავდა.

– ურცხვი ხარ! – თქვა პეგასმა, – გოგო! ერთი დეიდაშენი გხედავდეს!?

– ოო!? შენ რა, არასოდეს გიქნია, პა? – მრისხანედ შესძახა კორიოლანმა.

– ეგ როდის? – იკითხა ცოტა არ იყოს ნირწამხდარმა პეგასმა. მასაჟი შეწყვიტა და სარკის წინ რამდენიმე მოთელვითი მოძრაობა გააკეთა.

– კარგი!? – თქვა კორიოლანმა, – არ ჩაგაცივდები. არ მინდა მიწასთან გაგასწორო. ჯობია, ტრიკოს ღილები შემიკრა. მათს საგანგებო ტრიკოებს უკანა მხარეს ისეთი შესაკრავები ჰქონდა დატანებული, რომ ერთმანეთის დაუხმარებლად ძნელად იკრავდნენ.

– აჰ! – ჩაიხიბნითა პეგასმა, – ხედავ?? ვერაფერსაც ვერ ამბობ!?

– კარგი-მეთქი! – შეუღრინა კორიოლანმა, – ვინ ქორწინდება დღეს?

– კოლენი ირთავს კლოეს!? – ზიზლით უპასუხა ძმამ. – რატომ ამბობ მაგ ტონით? – ჰკითხა კორიოლანმა, – კარგი ვინმეა ეგ ტიპი!?

– კი, ბიჭი კარგია, – ვნებიანად ჩაილაპარაკა პეგასმა, – მაგრამ გოგოს იმდენად მრგვალი მკერდი აქვს, რომ ნამდვილად ვერ წარმოიდგენ ბიჭად.

კორიოლანი გაწითლდა.

– მე კი მელამაზება ეგ გოგო? – ჩაიჩურჩულა კორიოლანმა, – მკერდზე შეხების სურვილი გიჩნდება კაცს? შენზე ეგრე არ მოქმედებს?

ძმამ გაოგნებული სახით შეხედა.

– რა სალახანა ყოფილხარ! – დაასკვნა ენერგიულად, – შენზე გარყვნილი ადამიანი ჯერ არ მინახავს? ამ დღეებში შენ ცოლსაც შეირთავ?

## თავი მეთვრამეტე

ღვთისმოსავი სამკვეთლურიდან გამოვიდა. უკან მნუთე და შტიქროსანი მოჰყვებოდნენ. ხელში დეკორატიული ელემენტებით სავსე ტალღოვანი მუყაოს დიდი ყუთები ეჭირათ. – მღლაბნელების სატვირთო მანქანა რომ მოვა, საკურთხევლამდე შემოაყვანინეთ, ჟოზეფ, – უთხრა მან შტიქროსანს. (მართლაც, თითქმის ყველა პროფესიონალ შტიქროსანს ხომ ჟოზეფი ჰქვია.) – სულ ყვითლად ვღებავთ? – იკითხა ჟოზეფმა.

– იისფერი ზოლებით, – თქვა მნუთემ, ემანუელ იუდამ, ბრვე და სიმპათიურმა ჭაბუკმა, რომლის უნიფორმა და ოქროს ჯაჭვი ცივი ცხვირებზე კრიალებდა.

– დიახ, – თქვა ღვთისმოსავმა, – იმიტომ რომ, ლოცვა-კურთხევისთვის ეპისკოპოსი მოდის. მოდით, ყველა ელემენტით, რომელიც ამ ყუთებშია, მუსიკოსთა აივანი მოვრთოთ. – რამდენი მუსიკოსია? – იკითხა შტიქროსანმა.

– სამოცდაცამეტი, – თქვა მნუთემ.

– და თოთხმეტი ეკლესიის მსახური ბავშვი, – ამაყად თქვა ღვთისმოსავმა.

ერიპაააააო, გრძლად ამოთქვა შტიქროსანმა.

– ჯვარს კი მარტო ორნი იწერენ! – აღტაცებით დაუმატა მან. – ხო, – თქვა ღვთისმოსავმა, – ასეა მდიდრებში.

– იქნება ხალხი? – იკითხა მნუთემ.

– უამრავი! – თქვა შტიქროსანმა, – მე ჩემი წითელი შუბნაჯახი და წითელი ანკვესი მექნება თან.

– არა, – თქვა ღვთისმოსავმა, – საჭიროა ყვითელი შუბნაჯახი და იისფერი ანკვესი, ესე უფრო დახვეწილი იქნება. ისინი აივნის ქვეშ მივიდნენ. ღვთისმოსავმა თალის საყრდენ სვეტში დამალული კარი გამოაღო და სვეტიც გაიღო. არქიმედეს ხრახნისმაგვარ ვიწრო კიბეს ერთიმეორის მიყოლებით აუყვნენ. ზემოდან სუსტი სინათლე ჩამოდიოდა.

ხრახნის ოცდაოთხი წრე აიარეს და სულის მოსათქმელად შეჩერდნენ.

– მძიმეა! – თქვა ღვთისმოსავმა.

შტიქროსანმა, ყველაზე დაბალმა, დაუდასტურა და ორ ცეცხლს შუა მოხვედრილი მნუთეც დანებდა ამ დებულებას. – კიდევ ორნახევარი წრეა, – თქვა ღვთისმოსავმა.

მათ საკურთხევლის საპირისპირო მხარეს, ბაქანზე ამოყვინთეს, რომელიც, მიწიდან ას მეტრზე, სქელ ნისლში გახვეული, ძლივს მოჩანდა. ღრუბლები ეკლესიაში არხეინად შემოდიოდნენ და ნავს ღიდრონ, ნაცრისფერ ფიფქებად მიუყვებოდნენ.

– კარგი ამინდი იქნება! – თქვა მნუთემ, როცა ღრუბლები დაყნოსა, – ურცის სუნი უდით.

– სულ ერთი ბეწო ნაქურთივაცაა! – თქვა შტიქროსანმა, – კი, მაგის სუნიც დგას.

– იმედი მაქვს, ცერემონია კარგად ჩაივლის! – თქვა ღვთისმოსავმა.

მუყაოს ყუთები დააწყვეს და დეკორატიული ელემენტებით მუსიკოსთა სკამების მორთვას შეუდგნენ. შტიქროსანი ამ ელემენტებს შლიდა, მტვრის მოსაშორებლად სულს უბერავდა, და მნუთესა და ღვთისმოსავს აწოდებდა.

მათ თავზე სვეტები ადიოდა, ადიოდა და, ძალიან შორს, თითქოს ერთმანეთს უერთდებოდა. მქრქალ ქვას, რომლის ლამაზ სითეთრესაც ოდნავ კრემისფერი დაჰკრავდა, დღის ნაზი სინათლე ელაციცებოდა და შემდეგ მსუბუქ და მშვიდ შუქად ირეკლებოდა.

მთლად ზევით ლაჟვარდისფერი სუფევდა.

– მიკროფონები გავალაპლაპოთ, – უთხრა ღვთისმოსავმა შტიქროსანს.

– ბოლო ელემენტს გავშლი! და მაგასაც მივხედავ, – თქვა შტიქროსანმა.

აბგიდან წითელი ჩვარი ამოიღო და ბეჯითად შეუდგა პირველი მიკროფონის სადგარის ხეხვას. ორკესტრის სკამების წინ განლაგებული ოთხი მიკროფონი იმგვარად იყო მოწყობილი, რომ თითოეულ სიმღერას ელესიის გარეთ ზარების თავისებური რეკვა შეესაბამებოდა; და თან, შიგნით მუსიკა ისმოდა. – აუჩქარე, ჟოზეფ, – უთხრა ღვთისმოსავმა, – მე და ემანუელი მოვრჩით საქმეს.

– დამიცადეთ! – თქვა შტიქროსანმა, – ხუთი სათნო წუთის საქმელა დამრჩა.

მნუთემ და ღვთისმოსავმა ელემენტების ყუთებს ხუფები დაახურეს და აივნის კუთხეში მიაწყვეს, რათა ჯვრისწერის შემდეგ იქვე დახვედროდათ.

– მზად ვარ, – თქვა შტიქროსანმა.

მათ პარაშუტების ღვედები შეიბნის და სიცარიელეში გრაციოზულად გადაეშენენ. სამი დიდი, ფერადოვანი ყვავილი უნაზესი დგაფუნით გაიშალა და ნაგის პრიალა ფილებზე სრულიად დაუბრკოლებლად დაეშვა.

## თავი მეცხრამეტე

– შენი აზრით, ლამაზი ვარ?

კლოე თავს ვერცხლის ქვიშამოყრილი აუზის წყალში უყურებდა, სადაც წითელი თევზი თავის ნებაზე დანავარდობდა. მის მხარზე შავულვაშიანი ნაცრისფერი თავგი თათებით ცხვირს იფხანდა და ცელქ ათინათებს თვალს ადევნებდა.

კლოეს თავისი ქერა კანისფერი, საკმევლის კვამლივით თხელი წინდები და თეთრი ტყავის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. სხვა მხრივ, მთლად შიშველი იყო, თუ არ ჩავთვლით ლურჯი ოქროს მძიმე სამაჯურს, რომელიც მის ისედაც მოხდენილ მაჯას კიდევ უფრო მეტ გარეგნულ სიმეფეს მატებდა. – ფიქრობ, რომ უნდა ჩავიცვა??

თავგი კლოეს მრგვალკისერზე ჩასრიალდა და საყრდენი მის ერთ-ერთ სურნელოვან ძუძუზე იპოვა. ქვევიდან ახედა და, ჩანდა, ამავე აზრისა იყო.

– მაშინ ჩადი ძირს! – უთხრა კლოემ, – იცი, დღეს საღამოს კოლენთან ბრუნდები. აქაურებს დაემშვიდობები.

თავი ხალიჩაზე დასვა, ფანჯარაში გაიხედა, ფარდები ჩამოუშვა და თავის საწოლს მიაშურა. იქ მისი გაშლილი კაბა და იზისისა და ალიზის ღია წყლისფერი კაბები ეფინა.

– მზად ხართ??

სააბაზანო ოთახში ალიზი თმის ვარცხნაში ეხმარებოდა იზისს. მათაც უკვე ეცვათ ფეხსაცმელები და წინდები. – ძალიან სწრაფად ვერ ვმოქმედებთ, ვერც თქვენ და ვერც მე, – ვითომ მკაცრად თქვა კლოემ, – იცით, ბავშვებო, რომ დღეს დილას ჯვარს ვიწერ?

– ერთი საათი კიდევ გაქვს! – უთხრა ალიზმა.

– სავსებით საკმარისია! – თქვა იზისმა, – შენ უკვე დავარცხნილი ხარ.

კლოემ კულულების რხევით გაიცინა. ორთქლით სავსე სააბაზანოში ცხელოდა და ალიზის ზურგი ისეთი მადისმომგვრელი იყო, რომ კლოე თავისი ჩაბურცული ხელისგულებით მიეფერა. სარკის წინ მჯდარი იზისი თავის მორჩილ თავს ალიზის ზუსტ მოძრაობებს აყოლებდა.

– მეღიტინება! – თქვა ალიზმა და სიცილი აუტყდა.

კლოე განგებ ეფერებოდა ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს ეღიტინება – ფერდებში და თეძოებზე. ალიზის კანი თბილი და ცოცხალი იყო.

– ეგრე ვერ შემიკრავ ბაფთას, – თქვა იზისმა, რომელიც, დროის გასაყვანად, ფრჩხილებს იწესრიგებდა.

– ორივენი ლამაზები ხართ, – თქვა კლოემ, – დასანანია, ეგრე რომ ვერ წამოხვალთ, კარგი იქნებოდა, მარტო წინდების და ფეხსაცმელების ამარა ყოფილიყავით.

– წადი, ბავშვო, ჩაიცვი, – უთხრა ალიზმა, – თორემ ყველაფერს ჩაშლი.

– მაკოცე, – უთხრა კლოემ, – რა ბედნიერი ვარ!



ალიზმა იგი სააბაზანოდან გააძევა და კლოეც საწოლზე ჩამოჯდა. იჯდა, კაბის მაქმანების უყურებდა და თავისთვის იცინოდა. თავდაპირველად ცელოფანის პატარა ლიფი და თეთრი სატინის ტრიკო ჩაიცვა, რომელსაც მისი მკვრივი ფორმები უკანა მხარეს სათუთად ბურცავდა.

## თავი მეოცე

– ჰა, გამოდის? – ჰკითხა კოლენმა.

– ჯერ არა! – უპასუხა შიკმა.

შიკმა მეთოთხმეტედ სცადა კოლენის ჰალსტუხის გამონასკვა, მაგრამ კვლავ არაფერი გამოდიოდა.

– შეიძლებოდა ხელთათმანებით გვეცადა! – თქვა კოლენმა. – რატომ?

– ჰკითხა შიკმა, – ეგრე უფრო გამოვა?

– არ ვიცი, – თქვა კოლენმა, – უპრეტენზიო აზრია. – კარგი ვქენით, ადრევე რომ შევუდექით ამ საქმეს! – თქვა შიკმა.

– ხო, – თქვა კოლენმა, – მაგრამ მაინც დავიგვიანებთ, თუ დროზე ვერ ვქენით.

– ო! – თქვა შიკმა, – ვიზამთ.

მან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რამდენიმე სწრაფი მოძრაობა განახორციელა და ორივე ბოლოს ძლიერად მოსწია. ჰალსტუხი შუაში გადატყდა და შიკს ხელებში შერჩა. – ეს მესამეა! – უაზრო სახით შენიშნა კოლენმა.

– ო! – თქვა შიკმა, – ვიცი, არა უშავს.

სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებში ჩაძირული სახით ნიკაპი მოიქექა.

– ვერ გავიგე, რა ხდება, – თქვა მან.

– ვერც მე, – თქვა კოლენმა, – მაგრამ უჩვეულოა.

– ჰო, – თქვა შიკმა, – სწორედაც რომ. ერთხელ ისე ვცდი, რომ არ შევხედავ.

მეოთხე ჰალსტუხი აიღო და კოლენს დაუდევრად შემოავლო კისერზე, თან თვალს ძალზე დაინტერესებული იერით ზუილას ფრენას აყოლებდა. სქელი ბოლო პატარის ქვეშ გაატარა, რკალში გამოაძვრინა, ერთი წრე მარჯვნისაკენ, ქვევიდან შეატარა, მაგრამ, თარსად, თვალი თავისი შემოქმედებისაკენ გაეპარა და ამ დროს, უცებ, ჰალსტუხი უხეშად შეიკრა და საჩვენებელი თითი მოუჭეჭყა. შიკი ტკივილისგან აკრუსუნდა.

– ეგ ოხერი! – თქვა მან, – და მუდრეგი!

– გატკინა? – თანაგრძნობით ჰკითხა კოლენმა.

შიკი ძლიერად იწუწნიდა თითს.

– სულ გამიშავდება ფრჩხილი! – თქვა მან.

– საწყალო! – თქვა კოლენმა.

შიკმა რაღაცა ჩაიბურტყუნა და თვალი კოლენის კისერს შეავლო.

– ერთი წუთი!? – ამოისრუტუნა მან, – კვანძი შეკრულია!? არ გაინძრე!?

უკან ფრთხილად, თვალის მოუცილებლად დაიხია და მაგიდაზე მდგარ პასტელის ფიქსატორის ბოთლს დასწვდა. ნელა წაიღო პირისკენ

შესასურებელი პატარა ტუბის ბოლო და უნმაუროდ მიუახლოვდა. კო-  
ლენი ღიღინებდა და შიკის დასანახად შესცქეროდა ჭერს.

სასხურის ნაკადი ჰალსტუხის კვანძის ზედ შუაგულს მიესხურა. ჰალ-  
სტუხმა ერთი შეიფრთხიალა და გუმფისის გამაგრებისთანავე ადგილზე  
გაქვავდა.

## თავი ოცდამეერთე

კოლენი შიკთან ერთად შინიდან გამოვიდა. კლოეს წამოსაყვანად გზას ფეხით გაუდგნენ. ნიკოლას მათთვის პირდაპირ ეკლესიაში უნდა მიეკითხა. იგი გუფესთან აღმოჩენილი რალაც საგანგებო კერძის მომზადებას ადევნებდა თვალყურს, რომლისგანაც სასწაულებს ელოდა.

გზად წიგნების მალაზია იყო, რომლის წინაც მოულოდნელად შიკი ადგილზე გაშეშდა. ზუსტად ვიტრინის შუაგულში, კარგი ძვირფასი სამკაულივით, დიუმეს დე ბოფუარის ღერბებიანი, იასამნისფერი ტარსიკონის ჩარჩოში ჩასმული, პარტრის სიმყაყის ერთ-ერთი ეგზემპლართაგანი ბზინავდა.

– ო! – თქვა შიკმა, – შეხედე!?

– რას? – იკითხა კოლენმა და უკან დაბრუნდა. – ა! ამას? – ხო? – თქვა შიკმა. სიხარბისგან დორბლი სდიოდა. მის ფეხებთან პატარა ნაკადული გაჩნდა და მტვრის ათასგვარი უსწორმასწორობის შემოვლით ტროტუარის ნაპირს გაუყვა. – მერე? – იკითხა კოლენმა, – ხომ გაქვს ეგ??

– ეგეთი ყდით არა!? – თქვა შიკმა.

– ოო! ნუ გააწყალე გული, – უთხრა კოლენმა, – წამო, გვეჩქარება.

– სულ ცოტა ერთი ან ორი დუბლეზონი მაინც ეღირება, – თქვა შიკმა.

– ნამდვილად!? – თქვა კოლენმა და გზას გაუყვავა?

შიკმა ჯიბეები მოიჩხრიკა.

– კოლენ! – დაუძახა მან? – მასესხე რა ცოტა ფული. კოლენი ისევ გაჩერდა. მოწყენილი სახით თავი გააქნია. – მე მგონი, – თქვა მან, – ოც-დახუთი ათასი დუბლეზონი, მე რომ შენ დაგპირდი, დიდხანს ვერ გაგიძლებს.

შიკი გაწითლდა, ცხვირი ჩამოუშვა, მაგრამ ხელი გაიშვირა. ფული აიღო და მალაზიაში შევარდა. კოლენი შეფიქრიანებული იცდიდა. შიკის გაბადრული სახის დანახვაზე ისევ გაიქნია თავი, ამჯერად თანაგრძნობით, და ტუჩებზე ცალყბა ღიმილი გამოესახა.

– გიჟი ხარ, ჩემო საბრალო შიკ! რამდენი გადაიხადე? – ამას მნიშვნელობა არა აქვს! – თქვა შიკმა, – ვიჩქაროთ. ნაბიჯს უმატეს. შიკი მფრინავ დრაკონებზე ამხედრებულს ჰგავდა.

კლოეს სახლთან ხალხი კოლენის მიერ შეკვეთილ ლამაზ, თეთრ მანქანას მისჩერებოდა, რომელიც, საცერემონიო მძღოლთან ერთად, სულ ახალი მოყვანილი იყო. თეთრი ბეწვით იყო გაწყობილი და განცხრომაში მყოფს, შეგეძლო მუსიკაც მოგესმინა.

ცა ისევ ლურჯი იყო, ღრუბლები – მსუბუქი და ბუნდოვანი. გადაუჭარბებლად ციოდა. ზამთარი იწურებოდა.

ლიფტის იატაკი ფეხქვეშ გაიბერა და ისინი ერთი დიდი და რბილი სპაზმით მეორე სართულზე აიყვანა. კარი მათ წინ გაიღო. ზარი დარეკეს. გააღეს. კლოე მათ ელოდებოდა. ცელოფანის ლიფის, პატარა ტრიკოსა და მალაყელიანი წინდების გარდა, სხეულზე ორმაგი მუსლინი და ტიულის დიდი პირბადე ჰქონდა, რომელიც მხრებიდან იწყებოდა და თავს

სრულებით არ ეხებოდა. ალიზი და იზისიც ამგვარადვე გამოწყობილიყვნენ, ოღონდ მათ წყლისფერი კაბები ეცვათ. ხუჭუჭი თმა მზეზე ბრწყინავდა და მხრებზე მძიმე და სურნელოვან გროვებდა მრგვალდებოდა. ხალხმა არ იცოდა, მათგან რომელი ამოერჩია. კოლენმა კი იცოდა. მან ვერ გაბედა კლოესთვის ეკოცნა, ეშინოდა მისი მორთულობის ჰარმონია არ დაერღვია, და ეს ხარვეზი იზისითა და ალიზით შეივსო. მათაც, რომ დაინახეს, რა ბედნიერი იყო კოლენი, თავის ნებაზე მიუშვეს.

მთელი ოთახი კოლენის არჩეული თეთრი ყვავილებით იყო სავსე, ხოლო აულაგებელი ლოგინის ბალიშზე წითელი ვარდის ფურცელი იდო. ყვავილების სუნი და გოგოების სურნელი ერთმანეთში მჭიდროდ ირეოდა და შიკმა იფიქრა, ფუტკარი ვარ სკამიო. ალიზს თმაში იისფერი ორქიდეა ეკეთა, იზისს – ალისფერი ვარდი, კლოეს კი – დიდი თეთრი კამელია. ხელში შროშანების კონა ეჭირა, ხოლო სუროს მარადმწვანე და ახლადლაქწასმული ფოთლების სამაჯური ლურჯი ოქროს მსხვილი სამაჯურის გვერდით უბრწყინავდა. ნიშნობის ბეჭედი კვადრატული და წაგრძელებული აღმასებით იყო მოკირწყლული და, მორზეს ანბანით, კოლენის სახელი იკითხებოდა. ერთ-ერთ კუთხეში, ერთ-ერთი კონის ქვეშ, კინკრიხო მოუჩანდა ვიღაც კინემატოგრაფისტს, რომელიც უიმედოდ ატრიალებდა სახელურს.

რამდენიმე წამით მას კოლენი დაუდგა კლოესთან ერთად სურათის გადასაღებად, შემდეგ – შიკი, ალიზი და იზისი. მერე ყველანი ერთად შეგროვდნენ და კლოე მათ ლიფტში შეუძღვა. ამ მძიმე ტვირთის წონის ქვეშ კაბელნი მისნი ისე დაგრძელდნენ, რომ ლილაკზე თითის დაჭერის საჭიროება აღარ შეიქნა, მაგრამ ყველამ თადარიგი დაიჭირა იქიდან ერთბაშად გამოსასვლელად, რათა კაბინას კვლავ ზევით აღარ აჰყოლოდნენ.

მძლოლმა კარი გააღო. სამი გოგო და კოლენი უკან ჩასხდნენ, შიკი წინ მოთავსდა და წავიდნენ. ქუჩაში გამვლელები მათკენ ტრიალდებოდნენ და ხელებს იქნევდნენ, იმიტომ რომ პრეზიდენტი ეგონათ, შემდეგ გზას აგრძელებდნენ და მბრწყინავ და მბრჭყვინავ რალაცეებზე ფიქრობდნენ.

ეკლესია არ იყო ძალიან შორს. მანქანამ ელევანტური კარდიოიდი მოხაზა და საფეხურების წინ გაჩერდა.

ბაქანზე, ქანდაკებებით მორთულ ორ სვეტს შორის, ღვთისმოსავი, მნუთე და შტიქროსანი ჯვრისწერისწინა ოინებს ატარებდნენ. მათ უკან თეთრი აბრეშუმის გრძელი კრეტსაბმელები მიწამდე ეშვებოდა, ხოლო ეკლესიის თოთხმეტი მსახური ბავშვი რალაც ბალეტს ასრულებდა. მათ თეთრი ბლუზები, წითელი მოკლე შარვლები და თეთრი ფეხსაცმელები ემოსათ. გოგონებს მოკლე შარვლების ნაცვლად ნაკეცებიანი წითელი მოკლე ქვედაკაბები ეცვათ და თმაში თითო წითელი ბუმბული ეკეთათ.

ღვთისმოსავს დიდი დოლი ეჭირა, მნუთე სტვირზე უკრავდა, შტიქროსანი კი მარაკებით რიტმს სკანდირებდა. რეფრენი სამივემ ერთად, გუნდად იმღერა, შემდეგ კი შტიქროსანმა კლაკეტი დაუარა, მერე კონტრაბასს დასწვდა და ხემით საქორწინო მუსიკის რალაც სენსაციური თემა შეასრულა. აივანზე სამოცდაცამეტი მუსიკოსი უკვე უკრავდა და ზარებიც ყურისწამლებად რეკავდა. შეცრად ერთმა არეულმა აკორდმა გაიჟღერა, რადგან ღირიჟორი, რომელიც მეტისმეტად მიახლოვებოდა კიდეს, უფსკრულში გადაიჩეხა და ორკესტრის მართვა ვიცე-ღირიჟორმა ითავა. იმ წამს, როცა ღირიჟორი ფილაქნებს ეჭყლიტებოდა, დაცემის ხმის დასაფარად, მათ კიდევ ერთი აკორდი აიღეს, მაგრამ ეკლესია საძირკველშივე შეზანზარდა.

კოლენი და კლოე აღფრთოვანებულები შესცქეროდნენ ღვთისმოსავის, მნუთესა და შტიქროსნის ოინბაზობებს, ხოლო ორი ქვე-შტიქროსანი უკან, ეკლესიის კართან უცდიდა შუბნაჯახის წარმოდგენის მომენტს.



ღვთისმოსავმა უკანასკნელად გაიარ-გამოიარა ჯოხების ქონგლიო-რობით, ხოლო მნუთემ თავის სტვირს ისეთი ზემოქაზე კნავილი გამოაშვე-ბინა, რომ კიბის საფეხურების მთელ სიგრძეზე პატარძლის სანახავად ჩამწკრივებულ ფარისეველ ქალთა ნახევარი ერთბაშად ღვთისმომშიში გახდა, შტიქროსანმა კი ბოლო აკორდით თავისი კონტრაბასის სიმები დაწყვიტა. მაშინ ეკლესიის ბავშვებმა კიბის საფეხურები ერთიმეორის მიყოლებით ჩაიარეს და გოგონები მანქანის კარიდან მარჯვნივ, ბიჭები კი მარცხნივ ჩამწკრივდნენ.

კლოე გადმოვიდა. თეთრ კაბაში თვალწარმტაცი და გაცისკროვნებუ-ლი იყო. ალიზი და იზისიც გადმოჰყვნენ. ახლადმოსული ნიკოლა ჯგუფს მიუახლოვდა. კოლენმა კლოეს ჩაჰკიდა ხელი, ნიკოლამ – იზისს, შიკმა – ალიზს და ასე აიარეს საფეხურები. უკან ძმები დემარეები მიჰყვებოდნენ, კორიოლანი მარჯვნივ და პეგასი მარცხნივ, ეკლესიის ბავშვები კი წყვილწყვილად და პრანჭვა-გრეხით მოდიოდნენ კიბის მთელ სიგრძეზე. ღვთისმოსავი, მნუთე და შტიქროსანი, თავ-თავიანთი ინსტრუმენტების დაბინავების შემდეგ, მათ მოლოდინში რონდოს ცეკვავდნენ.

ბაქანზე კოლენმა და მისმა მეგობრებმა რალაც რთული მოძრაობა გა-ნახორციელეს და ეკლესიაში შესასვლელად შემდეგნაირად განლაგდნენ: კოლენი და ალიზი, ნიკოლა და კლოე ხელკავით, შემდეგ შიკი და იზისი, და ბოლოს ძმები დემარეები, მაგრამ ამჯერად პეგასი მარჯვნივ და კო-რიოლანი მარცხნივ. ღვთისმოსავმა და მისმა დამქაშებმა ბუქნაობა შეწყვიტეს, კორტეჟს სათავეში ჩაუდგნენ და ძველებური გრიგორიანული ქოროს გალობით ყველანი ერთად კარისაკენ გაცვივდნენ. ზღურბლზე ქვე-შტიქროსნები მათ ნაკურთხი წყლით სავსე თხელი ბროლის პატარა ბურთულებს თავზე ამსხვრევდნენ და თმაში ანთებულსაკმეველიან ჩხი-რებს ურჭობდნენ. კაცებისა ყვითელი, ქალებისა კი იისფერი ალით იწვო-და.

ეკლესიის შესასვლელში პატარა ვაგონები ჩამწკრივებულიყო. კოლენი და ალიზი პირველივეში ჩასხდნენ და მაშინვე დაიძრნენ. იქიდან ბნელ გვირაბში ხვდებოდი, სადაც რელიგიის სუნი იდგა. ლიანდაგებზე ვაგონი ჭექა-ქუხილის ხმით მიგორავდა და მუსიკა დიდი ძალით ჟღერდა. გვირაბის ბოლოს ვაგონმა რალაც კარი შეანგრია, სწორკუთხოვნად მოუხვია და მწვანე შუქში წმინდანი გამოჩნდა. იგი საზარლად იმანჭებოდა და ალიზი კოლენს მიეკრო. მათ ობობის ქსელები სახეზე ცოცხებივით ეხებოდა და თავში ლოცვების ნაწყვეტები მოსდიოდათ. მეორე ხილვად ღვთისმშობლისა იყო, ხოლო მესამეზე, უკმაყოფილო სახის ცალთვალ-ჩალურჯებული უფლის პირისპირ, კოლენმა მთელი ლოცვა გაიხსენა და ალიზისთვის მისი თქმაც კი მოახერხა. გვერდითი მალის თალის ქვეშ ვაგონი უცებ გამაყრუებელი ლაწალაწით გავარდა წინ და იქვე გაჩერდა. კოლენი გადმოვიდა, თავისი ადგილიც ალიზს დაუთმო და კლოეს დაელოდა, რომელმაც მალევე ამოყვინთა.

მათ თვალი შეავლეს ნავს. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველა, ვინც კი მათ იცნობდა, იქ იყო, მუსიკას ისმენდა და თან ამ ლამაზი ზემით ხარობდა.

მალე ლამაზ სამოსში გამოწყობილი, მოკუნტრუმე შტიქროსანი და მნუთე გამოჩნდნენ. მათ უკან ღვთისმოსავი მოემართებოდა და თან ეპისკოპოსს მოუძლოდა. ყველანი წამოდგნენ, ხოლო ეპისკოპოსი ხავერდგადაკრულ დიდ სავარძელში ჩაბრძანდა. სკამების ხმა ფილაქნებზე ძალიან ჰარმონიულად ისმოდა.

მუსიკა უცებ შეწყდა. ღვთისმოსავმა საკურთხევლის წინ მუხლი მოიყარა და თავი სამჯერ სცა მიწას. მნუთე კოლენისა და კლოესაკენ გაემართა, რათა ისინი თავ-თავის ადგილებზე მიეყვანა, ხოლო შტიქროსანმა ეკლესიის ბავშვები საკურთხევლის აქეთ-იქით ჩაამწკრივა. ეკლესიაში ღრმა სიჩუმემ დაისადგურა და ხალხმაც სუნთქვა შეიკრა.

დიდი შუქები სხივთა კონებს აგზავნიდნენ ყველგან, მოოქროვილი საგნები კი ყველა მიმართულებით ირეკლავდნენ მათ და ეკლესიის ყვე-  
თელი და იისფერი განიერი ზოლები ნავს ვეებერთელა დაწოლილი ბზი-  
კის შიგნიდან დანახული მუცლის იერ-სახეს აძლევდა.

ძალიან ზევით მუსიკოსებმა რაღაც ბუნდოვანი ქორო წამოიწყეს.  
ღრუბლები შემოდინდნენ. მათ ქინძისა და მთის ბალახის სუნი ჰქონდათ.  
ეკლესიაში ცხელოდა და ყველა გრძნობდა, რომ გარს კეთილთვისებიანი  
და დათბუნებული ატმოსფერო ერტყა.

საკურთხევლის წინ, თეთრ ხავერდგადაკრულ დაბალ სალოცავ სკა-  
მებზე კოლენსა და კლოეს მუხლი მოეყარათ და ხელიხელჩაკიდებულები  
იციდინდნენ. მათ წინ ღვთისმოსავი რაღაც სქელ წიგნში გამწარებით იქე-  
ქებოდა, რადგან საჭირო გამოთქმები აღარ ახსოვდა. დრო და დრო  
თვალს აპარებდა კლოესკენ, რომლის კაბაც ძალიან მოსწონდა. ბოლოს,  
როგორც იქნა, წიგნის ფურცვლას მორჩა, წელში გასწორდა და ხელით  
რაღაც ანიშნა ღირიყორს, რომელმაც უვერტიურას შეუტია; ღვთისმო-  
სავმა ღრმად ჩაისუნთქა და უნისონში მჟღერი თერთმეტი პირდაცობი-  
ლი საყვირის ფონზე ცერემონიალის სიმღერა დაიწყო. ეპისკოპოსს ხელი  
კვერთხზე ჩამოედო და ნაზად თვლემდა. იცოდა, მისი სიმღერის დრო  
რომ დადგებოდა, გააღვიძებდნენ. უვერტიურა და ცერემონიალი კლასი-  
კური ბლუზის თემებზე იყო დაწერილი. კოლენმა წინასწარ ითხოვა,  
უშუალოდ ჯვრისწერის დროს ძველი და კარგად ცნობილი სიმღერის,  
კლოეს დიუკ ელინგტონისეული არანჟირება დაუკარითო.

კოლენის წინ, ტიხარზე ჩამოკიდებულ შავ ჯვარზე იესო მოჩანდა. მას  
ბედნიერი სახე ჰქონდა იმის გამო, რომ დაპატიჟეს და ამ ყველაფერს ინ-  
ტერესით ადევნებდა თვალს. კოლენს კლოეს ხელი ეჭირა და გაურკვევ-  
ლად უღიმოდა იესოს. ცოტა დაღლილი იყო. ცერემონია ძალიან ძვირი,  
ხუთი ათასი ღებლეზონი დაუჯდა და კმაყოფილი იყო, წარმატებით რომ

მიმდინარეობდა. საკურთხევლის გარშემო ყველგან ყვავილები ეწყო. კოლენს მოსწონდა მუსიკა, რომელსაც ამ დროს უკრავდნენ. წინ ღვთისმოსავი დაინახა და სიმღერა იცნო. მაშინ ნაზად დახუჭა თვალები, ოდნავ წინ გადაიხარა და, დიახო, თქვა. კლოემაც თქვა, დიახო, და ღვთისმოსავმა ორივეს ღონივრად ჩამოართვა ხელი. ორკესტრმა უფრო ლამაზი რამ წამოიწყო და ეპისკოპოტი შეგონების წარმოსათქმელად წამოიმართა. შტიქროსანი ადამიანთა ორ რიგს შორის გაძვრა, რათა შიკისათვის, რომელსაც თავისი წიგნი გადაეშალა და არ უსმენდა, დიდი ჯოხი ჩაერთყა თითებში.

## თავი ოცდამეორე

ეპისკოპოტი წასულიყო; კოლენი და კლოე, სამკვეთლურში იდგნენ და ბედნიერების მომტან ხელისმითათუნებებსა და ლანძღვა-გინებებს ლებულობდნენ. სხვები რჩევებს აძლევდნენ ლამისათვის, ერთმა მეწვრილმანე ვაჭარმა ჩაიარა და საგანმანათლებლო ფოტოებიც კი შესთავაზა. თანდათანობით დაქანცულობა ერეოდათ. მუსიკა კვლავ უკრავდა და ხალხიც ცეკვავდა ეკლესიაში, სადაც მათ ნაკურთხი ნაყინით, ვირთევზას პატარ-პატარა სენდვიჩებით და სხვადასხვა ღვთისმომშიშური გამაგრილებელი სასმელებით უმასპინძლდებოდნენ.

ღვთისმოსავს თავისი ყოველდღიური სამოსელი ეცვა და ტრაკს დიდი ნახვრეტი უმშვენებდა, მაგრამ ამ ხუთი ათასი დუბლეზონიდან დარჩენილი მოგების ხარჯზე ახლის ყიდვას აპირებდა. თანაც, მან ის-ის იყო უთაღლითა ორკესტრს, როგორც ხდება ხოლმე ყოველთვის, და უარი განაცხადა დირიჟორის გასამრჯელოს გადახდაზე, რაკი ეს უკანასკნელი საქმის დაწყებამდე გარდაიცვალა. მნუთე და შტიქროსანი ბავშვებს

ხდიდნენ, რათა კოსტიუმები თავის ადგილას ჩაელაგებინათ. შტიქროსანი უპირატესად გოგონებით იყო დაკავებული. საგანგებოდ დაქირავებული ორი ქვე-შტიქროსანი უკვე წასულიყო. მდღაბნელების საბარგო გარეთ იცდიდა. ისინი ყვითლისა და იისფრის ასაფხეკად და რაღაც გული-სამრევ ქილებში ჩასაბრუნებლად ემზადებოდნენ.

კოლენისა და კლოეს გვერდით, ხელისმოთათუნებებს ალიზიცა და შიკიც, იზისიცა და ნიკოლაც ღებულობდნენ. ძმები დემარეები კი პირიქით, გასცემდნენ. და როცა პეგასი ხედავდა, რომ მისი ძმა ოდნავ ზედმეტად უახლოვდებოდა თავის გვერდით მდგომ იზისს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თეძოზე ჩქმეტდა და სულ დედათმავალს უწოდებდა.

თორმეტიოდე კაციღა რჩებოდა. ესენი კოლენისა და კლოეს პირადი მეგობრები იყვნენ, რომლებიც ნაშუადღევის წვეულებაზე უნდა მისულიყვნენ. საკურთხევლის ყვავილებისათვის უკანასკნელი მზერის მოვლების შემდეგ ყველანი გამოვიდნენ ეკლესიიდან და ბაქანზე გასვლისას იგრძნეს, როგორ მოხვდათ ცივი ჰაერი სახეში. კლოეს ხველება აუტყდა და თბილ მანქანაში ჩასაჯდომად კიბის საფეხურები სწრაფად ჩაიარა. ბალიშებში მოიკუნტა და კოლენს დაელოდა.

სხვები ბაქანზე იდგნენ და თვალით აცილებდნენ მუსიკოსებს, რომლებსაც საპატიმრო მანქანაში ერეკებოდნენ, იმიტომ რომ ყველა მათგანს ვალები ჰქონდა. მანქანაში ტევა აღარ იყო და შიგ ჩაჭეჭყილი მუსიკოსები შურის საძიებლად თავ-თავიანთ ინსტრუმენტებში უბერავდნენ, რაც მევიოლინეთა მხრიდან ერთობ ამაზრზენ ხმაურს ქმნიდა.

## თავი ოცდამესამე

კოლენის საგრძნობლად კვადრატულ, საკმაოდ მაღალჭერიან საძინებელ ოთახში გარედან დღის სინათლე ორმოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლის სარკმლიდან იჭრებოდა, რომელიც, ძირიდან დაახლოებით მეტრი და ოცის სიმაღლეზე, კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა. იატაკზე ბაცი ფორთოხლისფერი სქელი ხალიჩა ევინა, ხოლო კედლებზე ბუნებრივი ტყავი იყო აჭიმული.

საწოლი ხალიჩაზე კი არა, არამედ კედლის შუაში გამოშვებულ ბაქანზე იდგა. მასზე ასვლა მოწითალო-მოთეთრო სპილენძით გაწყობილი სირაკუზებუმი მუხის პატარა კიბით შეიძლებოდა. საწოლის ქვეშ, ბაქანით წარმოქმნილი ნიშა ბუდუარად გამოიყენებოდა. იქ წიგნები, კომფორტული სავარძლები და დაღაი-ლამას ფოტო იყო.

კოლენს ისევ ეძინა. კლოეს გაღვიძებოდა და მას უყურებდა. თმა აწეწილი ჰქონდა და ასე კიდევ უფრო ახალგაზრდას ჰგავდა. ლოგინზე თეთრეულიდან მხოლოდ ქვეშ დაგებული ზეწარილა დარჩენილიყო, რადგან

დანარჩენები ცეცხლოვანი ტუმბებით გამთბარ ოთახში აქეთ-იქით დაფრიალებდა. კლოე წამომჯდარიყო, მუხლები ნიკაპქვეშ ამოეწყო და თვალებს იფშვინებდა, შემდეგ გადაიწია, უკან გადაწვა და ბალიში მისი წონის ქვეშ ჩაიზნო.

კოლენი მუსცელზე იწვა, ხელები მუთაქისტვის შემოეხვია და დიდი ბავშვივით ნერწყვი სდიოდა. კლოეს სიცილი აუტყდა და, ღონივრად რომ შეენჯღრია, მის გვერდით ჩაიმუხლა. კოლენს გაეღვიძა, მაჯებზე წამოიწია, წამოჯდა და თვალებდახუჭულმა აკოცა. ერთგვარი თანაგრძნობით კლოემ იგი თავის ნებაზე მიუშვა და თან რჩეული ადგილებისკენაც წაუძღვა. ქარვისფერი და ნუშის ცომივით გემრიელი კანი ჰქონდა.

შავულგაშიანი ნაცრისფერი თავი კიბეზე ამოცოცდა და გააფრთხილა, ნიკოლა გიცდითო. მათაც გაახსენდათ, რომ სამოგზაუროდ მიდიოდნენ და ლოგინიდან წამოხტნენ. თავმა მათი უყურადღებობით ისარგებლა და დიდი ყუთიდან, საწოლის სასთუმალთან რომ იდო, საპოტიანი შოკოლადები ბლომად აწაპნა.

ხელ-პირი ცქვიტად დაიბანეს, ერთმანეთს შეხამებულ კოსტიუმებში გამოეწყვნენ და სამზარეულოს მიაშურეს. ნიკოლას ისინი თავის სამფლობელოში მიეწვია საუზმეზე. თავი მათ დაედევნა და დერეფანში გაჩერდა. უნდოდა ენახა, თუ რატომ არ შემოდიოდნენ მზეები ისე, როგორც ყოველთვის და, თუ შემთხვევა მიეცემოდა, კარგად დაელანძლა ისინი.

– მაშ, – თქვა ნიკოლამ, – კარგად გეძინათ?

ნიკოლას ამოლამებული თვალელები და მეტ-ნაკლებად არეული სახის ფერი ჰქონდა.

– ძალიან კარგად, – თქვა კლოემ და სკამზე დაეშვა, რადგან ფეხზე დგომა უჭირდა.



– შენ? – ჰკითხა კოლენმა, რომელიც გასრიალდა და ისე აღმოჩნდა მიწაზე, რომ არაფერი უღონია თავის შესაკავებლად. – მე, – დაიწყო ნიკოლამ, – მე იზისი მივაცილე და, როგორც წესი და რიგია, დამალევიანა.

– მშობლები არ იყვნენ? – იკითხა კლოემ.

– არა, – უპასუხა ნიკოლამ, – ოღონდ, ორი ბიძაშვილი გოგონა დაგვხვდა და ისინიც ჩამაცივდნენ, დარჩი, დარჩიო. – რა ასაკისანი იყვნენ? – ცბიერად იკითხა კოლენმა. – არ ვიცი, – თქვა ნიკოლამ, – მაგრამ, ხელის შეხებით, ერთი თექვსმეტი წლისა იქნებოდა, მეორე – თვრამეტის.

– ღამე იქ გაატარე? – ჰკითხა კოლენმა.

– ისაა? – დაიწყო ნიკოლამ, – სამივენი ცოტა ნასვამები იყვნენ და იძულებული გავხდი ლოგინში ჩამეწვინა. იზისის საწოლი ძალიან დიდია? ერთი ადგილი კიდევ აღმოჩნდა. თქვენი გაღვიძება არ მინდოდა და იმათთან ერთად მეძინა.

– გეძინა კი?? – იკითხა კლოემ, – ეტყობა, ლოგინი კარგა მაგარი იყო, იმიტომ რომ ძალიან ცუდად გამოიყურები? ნიკოლამ ცოტა არაბუნებრივად ჩაახველა და ელექტრონული აპარატების გარშემო აფუსფუსდა.

– აბა ეს გასინჯეთ, – თქვა მან სიტყვის ბანზე ასაგდებად. ფინიკითა და ქლიავის ჩირით გატენილი, ზეთოვან სიროპში ჩაწყობილი პრიალა-ზედაპირიანი გარგრები იყო.

– შეძლებ მანქანის ტარებას? – ჰკითხა კოლენმა.

– ვეცდები, – თქვა ნიკოლამ.

– გემრიელია, – თქვა კლოემ, – ჭამე ჩვენთან ერთად, ნიკოლა.

– მე რამე სხვა, უფრო ჯან-ღონის მომცემი მირჩევნია, – თქვა ნიკოლამ.

და კოლენისა და კლოეს თვალწინ რაღაც საზარელი სითხე დაიმზადა. იყო თეთრი ღვინო, ერთი კოვზი ძმარი, ხუთი კვერცხის გული, ორი ხამანწკა და არაყნიანი და ერთი მისხალი სოდის ჰიპოსულფიტის ასი

გრამი დაკეპილი ხორცი. ეს ყველაფერი მის ხახაში ჩაეშვა, რამაც მთელი სიჩქარით ამოძრავებული ციკლოტრონის ხმა გამოსცა.

– ჰა? – ჰკითხა კოლენმა, რომელიც, ნიკოლას დამანჭული სახის დანახვაზე, სიცილისაგან გაგუდვის პირას იყო. – არა მიშავს? – გაჭირვებით უპასუხა ნიკოლამ.

მართლაც, თითქოს ბენზოლით მოუწმინდესო, თვალებიდან სიშავე უცბად გაუქრა და სახეც საგრძნობლად გაუნათდა. შეჯანჯღარდა, მუშტები შეკუმშა და დაიღრიალა. კლოე ცოტა შეწუხებული უყურებდა.

– მუცელი ხომ არ გტკივა, ნიკოლა??

– სულაც არა! – ყიჟინა დასცა ნიკოლამ, – მორჩა. შემდეგ კერძსაც მოგიტანთ და წაგედით?

## თავი ოცდამეოთხე

დიდი თეთრი მანქანა ფრთხილად მიიწევდა წინ ოღროზოღრო გზაზე. უკან მჯდარი კოლენი და კლოე პეიზაჟს ერთგვარი დარდით გასცქეროდნენ. ცა ჩამოწოლილიყო, წითელი ჩიტები ტელეგრაფის მავთულების სიმაღლეზე დაფრინავდნენ, მავთულებივით ადი-ჩადიოდნენ და მათი მჭახე სივსივი გუბეების ტყვიისფერ წყალზე ირეკლებოდა.

– რატომ წამოვედით ამ გზით? – ჰკითხა კლოემ კოლენს. – მოკლეა, – უთხრა კოლენმა, – და სავალდებულო. მთავარი გზა გაფუჭებულია. ყველას იმ გზით უნდოდა სიარული, იმიტომ რომ იქ ყოველთვის კარგი ამინდი იდგა და ეხლა მარტო ეს გზა დარჩა. ნუ წუხნარ, ნიკოლამ იცის ტარება.

– ეს სინათლე, – დაიწყო კლოემ.

გული სწრაფად უძგერდა, თითქოს მაგარ ნაჭუჭში ყოფილიყო ჩაჭეპილი. კოლენმა კლოეს მხრებზე ხელი გადახვია და მისი ნაზი კისერი

თმის ქვეშ, თითებში მოიქცია, როგორც პატარა კატას იყვანენ ხოლმე ხელში.

– ხო, – თქვა კლოემ და თავი მხრებში ჩარგო, რადგან კოლენი უღი-  
ტინებდა, – არ გამიშვა ხელი, მეშინია მარტოს. – გინდა ყვითელი შუშები  
ამოვწიო? – ჰკითხა კოლენმა. – რამდენიმე ფერი ამოსწიე.

კოლენმა თითი მწვანე, ლურჯ, ყვითელ და წითელ ღილაკებს დააჭი-  
რა და მანქანის შუშები შესაბამისმა შუშებმა შეცვალა. თავი ცისარტყე-  
ლაში გეგონებოდა და ტელეგრაფის ყოველი ბოძის გავლისას ჭრელი  
ჩრდილები თეთრ ბეწვზე ცეკვავდნენ. კლოე უკეთ გრძნობდა თავს.

გზის ორივე მხარეს ფერდაკარგული მწვანე, თხელი და გაქუცული  
ხავსი, ალაგ-ალაგ კი, დაღრეცილი და გაბურძენილი ხეები მოჩანდა. ოდ-  
ნავი სიოც კი არ ატოკებდა ტალახის სუფრას, რომელიც მანქანის ბორ-  
ბლების ქვეშ ჰყაპუნობდა.

ნიკოლა ძალიან დაძაბული ინარჩუნებდა სვლის მიმართულებას და  
ძლივს აკავებდა მანქანას ჩანთხლეული გზის შუაგულზე. ერთი წამით  
შემობრუნდა.

– ნუ დარდობთ, – უთხრა მან კლოეს, – ეს დიდხანს არ გაგრძელდება.  
გზა მალე იცვლება.

კლოემ მარჯვენა შუშაში გაიხედა და გააყრყოლა.

ტელეგრაფის ერთ-ერთ ბოძთან რაღაც ქერცლოვანი ცხოველი იდგა  
და მათ თვალს აყოლებდა.

– შეხედე, კოლენ, ეს რა არის??

კოლენმა გაიხედა.

– არ ვიცი, – თქვა მან, – მაგრამ, რაღაც? არ უნდა იყოს ბოროტი.

– ეგ კაცი მავთულების მეთვალყურეა, – გზისთვის თვალისმოუშო-  
რებლად თქვა ნიკოლამ, – მაგათ ეგრე აცვიათ ხოლმე, რომ არ გატალ-  
ახიანდნენ?

– ძალიან? ძალიან მახინჯი იყო? – ჩაიჩურჩულა კლოემ. კოლენმა აკოცა.

– ნუ გეშინია, ჩემო კლოე, ეს ხომ ადამიანი იყო?

ბორბლების ქვეშ მიწა ოდნავ გამყარდა. ჰორიზონტი რაღაც ბუნდოვანი შუქით შეფერილიყო.

– გაიხედე! – თქვა კოლენმა, – მზეა?

ნიკოლამ თავი გააქნია.

– ეს სპილენძის მალაროებია, – თქვა მან, – გავივლით. ნიკოლას გვერდით თავგმა ყური ცქვიტა.

– ხო, – უთხრა ნიკოლამ, – სულ მალე დაცხება?

გზამ რამდენჯერმე მიუხვ-მოუხვია. ტალახს ეხლა ოხშივარი ასდიოდა. მანქანას სპილენძის მძაფრი სუნიტ გაჟღენთილი თეთრი ორთქლი ერტყა გარს. შემდეგ, ტალახი სრულიად გახმა და დახეთქილი და მტვრიანი შარაგზაც გამოჩნდა. წინ, შორს, ჰაერი როგორც დიდი ღუმლის თავზე, ისე ლივლივებდა. – არ მომწონს! – თქვა კლოემ, – არ შეიძლება სხვა მხარეს გავიაროთ?

– მარტო ეს გზაა? – უთხრა კოლენმა, – გინდა გუფეს წიგნი? თანა მაქვს?

რაკი ყველაფრის ყიდვას გზაში აპირებდნენ, სხვა ბარგი არ წამოელოთ.

– ჩამოვუშვათ ფერადი შუშები? – კვლავ იკითხა კოლენმა. – ხო, – თქვა კლოემ, – ეხლა უკვე არა უშავს სინათლეს. გზამ უეცრად ისევ მოუხვია და ისინი შუაგულ სპილენძის მალაროებში აღმოჩნდნენ. მალაროები ორივე მხარეს, ძირიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ახორხლილიყო. მომწვანო სპილენძის თვალუწვდენელი, გამომხმარი გროვები უსასარულობამდე გაწელილიყო. კოცონების გარშემო ჰერმეტიკულ კომბინეზო-

ნებში გამოწყობილი ასობით ადამიანი ფუსფუსებდა. სხვები წესიერ პირამიდებად ახვავებდნენ საწვავს, რომელიც განუწყვეტლივ მოჰქონდათ პატარა ელექტრონული ურიკებით. სიცხის გამო სპილენძი დნებოდა და დასვრეტილი, ქვასავით მაგარი წიდის ფორებიან წითელ მდინარედ მოედინებოდა. ალაგალაგ მას დიდ რეზერვუარებში აგროვებდნენ, სადაც მანქანები ტუმბავდნენ და ოვალურ მილებში უშვებდნენ.

– რა საშინელი სამუშაოა!?! – თქვა კლოემ.

– საკმაოდ კარგად კი უხდიან!?! – თქვა ნიკოლამ.

რამდენიმე კაცი გაჩერებულყო და მანქანას თვალს აყოლებდა. თვალბში მხოლოდ და მხოლოდ ქედმაღალი სიბრალული ედგათ. დიდები და ძლიერები იყვნენ და უძრავი სახეები ჰქონდათ.

– არ მოვეწონეთ? – თქვა კლოემ, – წავიდეთ აქედან. – მუშაობენ? – თქვა კოლენმა.

– ეგ არ არის მიზეზი, – თქვა კლოემ.

ნიკოლამ ცოტა მოუმატა სიჩქარეს. მანქანა დახეტქილ ხრიოკზე, ხელსაწყობისა და მდნარი სპილენძის ხმაურში მიიკვლევდა გზას.

– მალე ძველ გზაზე გავალთ, – თქვა ნიკოლამ.

## თავი ოცდამეხუთე

– რატომ აქვთ ასეთი ზიზღიანი სახეები? – იკითხა კლოემ, – არც ისე კარგია მუშაობა.

– მათ უთხრეს, რომ კარგია, – თქვა კოლენმა, – საერთოდ, ხალხს ეს კარგი ჰგონია. სინამდვილეში კი არავინაც არ ფიქრობს ასე. ამას ისე, ჩვეულებით შვრებიან და, ზუსტად იმიტომაც, რომ არ იფიქრონ ამაზე.

– ყოველ შემთხვევაში, სისულელეა შეასრულო სამუშაო, რომლის გაკეთებაც მანქანებს შეუძლიათ.

– მანქანები უნდა ააწყო, – თქვა კოლენმა, – ვინ იზამს ამას? – ო, რა თქმა უნდა, – თქვა კლოემ, – კვერცხისთვის საჭიროა ქათამი, მაგრამ, როცა გყავს ქათამი, შეგიძლია უამრავი კვერცხი გქონდეს. ესე იგი, სჯობს ქათამით დაიწყო.

– უნდა იცოდე ვინ და რა გიშლის მანქანების შექმნაში ხელს, – თქვა კოლენმა, – ეს ალბათ დროის სიმცირეა. ხალხი საცხოვრებლად კარგავს დროს, და ამიტომ, სამუშაოდ დრო აღარ რჩება.

– პირიქით არ არის? – იკითხა კლოემ.

– არა, – თქვა კოლენმა, – მაგათ მანქანების შექმნის დრო რომ ჰქონდეთ, მერე არაფრის გაკეთება აღარ მოუწევდათ. იმის თქმა მინდა, რომ ეგენი მუშაობენ, იმისთვის რომ იცხოვრონ, და არ მუშაობენ მანქანების შექმნაზე, რომლებიც შემდეგ მაგათ უშრომლად აცხოვრებთ.

– რთულია, – დაასკვნა კლოემ.

– არა, – თქვა კოლენმა, – ძალიან მარტივია. ცხადია, ეს თანდათანობით უნდა მოხდეს. მაგრამ იმდენი დრო იკარგება ისეთი რაღაცეების კეთებაში, რაც ცვდება.

– და შენ ფიქრობ, რომ მაგათ არ ურჩევნიათ ისხდნენ სახლებში, კონკონ თავიანთ ცოლები და წავიდნენ აუზზე, ან სხვა გასართობ ადგილებში?

– არა, – თქვა კოლენმა, – იმიტომ რომ, ეგენი მაგაზე არ ფიქრობენ.

– მაგრამ განა მაგათი ბრალია, რომ ფიქრობენ, მუშაობა კარგიაო?

– არა, – თქვა კოლენმა, – მაგათი ბრალი არაა. იმიტომ რომ, მაგათ უთხრეს, შრომა წმიდათაწმიდაა, კარგია, ლამაზია, ყველაფერზე მთავარია და მხოლოდ მშრომელებს აქვთ ყველაფრის უფლებაო. უბრალოდ, საქმე ისე მოაკვარახჭინეს, რომ მაგათ გაუჩერებლად ამუშავებენ და, ამიტომ, ეგენი უკვე ვეღარ სარგებლობენ ამ უფლებით.

– ესე იგი, სულელები ყოფილან, – თქვა კლოემ.

– კი, სულელები არიან, – თქვა კოლენმა, – მაგიტომ ეთანხმებიან თავსმოხვეულ აზრს, რომ შრომა საუკეთესო რამეა. ეს მაგათ თავიდან აცილებს ფიქრის, წინსვლის ძიების და უშრომელობის საშუალებას.

– სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, – თქვა კლოემ, – დამღლელია ეგ თემები. მითხარი, მოგწონს თუ არა ჩემი თმა.

– ხომ უკვე გითხარი?

მუხლებში ჩაისვა. კვლავ გრძნობდა, რომ ბოლომდე ბედნიერი იყო.



– მე შენ უკვე გითხარი, მთლიანობაშიც მიყვარხარ და ნაწილნაწილაც-მეთქი. – მაშ, დამანაწილე, – თქვა კლოემ და, ანკარასავით ალერსიანი, კოლენის მკლავებში გადაწვა.

## თავი ოცდამეექვსე

– უკაცრავად, ბატონო, – თქვა ნიკოლამ, – ბატონს სურს, რომ აქ გავჩერდეთ?

მანქანა გზისპირას, რაღაც სასტუმროს წინ იდგა. გზა კარგი იყო, ლაპ-ლაპა, ფოტოგენური ანარეკლებით მოლივლივე, ორივე მხარეს ჩამწკრივებული ზედმიწევნით ცილინდრული ხეებით, ქორფა ბალახით, მზით, მინდვრებში – ძროხებით, ჭიისგან დახრული ღობეებით, ყვავილოვანი გალავნებით, ხეებზე ვაშლებითა და, ალაგ-ალაგ, გამხმარი ფოთლების პატარა გროვებით, აქა-იქ თოვლით პეიზაჟის მრავალფეროვნებისთვის, პალმებით, მიმოზებით, ჩრდილოეთის ფიჭვებით სასტუმროს ეზოში და ერთი წითურთმიანი გაბურძენული ბიჭით, რომელიც ორ ცხვარსა და ერთ მთვრალ ძაღლს მოერეკებოდა. გზის ცალ მხარეს ქარი ქროდა, მეორე მხარეს – არა. იმას ამოირჩევდით, რომელიც მოგეწონებოდათ. ორიდან მხოლოდ ერთი ხე იძლეოდა ჩრდილს, ხოლო თხრილებიდან მარტო ერთში თუ იპოვიდით ბაყაყებს.

– გავჩერდეთ აქ, – თქვა კოლენმა, – ბოლოს და ბოლოს, დღეს ვერც ჩავალწევთ სამხრეთში.

ნიკოლამ კარი გააღო და გადმოვიდა. მას ღორის ტყავისგან შეკერილი მძლოლის ლამაზი კოსტიუმი ეცვა და შესაფერისი ელეგანტური ქუდიც ეხურა. ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მანქანას თვალი შეავლო. კოლენი და კლოეც გადმოვიდნენ.

– საკმაოდ გაითხუბნა ჩვენი მანქანა! – თქვა ნიკოლამ, – მთელი ტალახი, რაც გზად გამოვიარეთ, სულ ზედა აქვს. – არა უშავს, – თქვა კლოემ, – სასტუმროში გავარეცხინებთ. – შედი, ნახე, თუ აქვთ ოთახები, – თქვა კოლენმა, – და რაიმე საკვები.

– ძალიან კარგი, ბატონო, – თქვა ნიკოლამ და ხელი ისე გამაღიზიანებლად მიიტანა ქუდთან, რომ მეტი არ შეიძლებოდა. გაპრიალებული მუხის ჭიმკარი შეაღო, რომლის ხავერდგადაკრული სახელურის შეხებაზეც ტანში გააჟრჟოლა. მის ფეხქვეშ ხრეშმა გაიჩხრიალა. ორი საფეხური აიარა. შემინული კარი ადვილად დაემორჩილა მიწოლას და ნიკოლა შენობაში გაუჩინარდა.

ქალუზები ჩამოშვებული იყო და შიგნიდან ჩამი-ჩუმი არ მოისმოდა. მზე ნაზად ათბობდა ჩამოცვენილ ვაშლებს, მათგან პატარა, მწვანე და ქორფა ხეები ამოჰყავდა, რომლებიც დაუყოვნებლივ ყვავდებოდა და კიდევ უფრო მომცრო ვაშლებს ისხამდა. მესამე თაობაში მწვანე და ვარდისფერი ერთგვარი ხავსის მეტი უკვე აღარაფერი ჩანდა, სადაც პაწაწკინტელა ვაშლები ბურთულებივით დაგორავდა.

სხვადასხვაგვარი მწერები მზეზე ზუზუნებდნენ და მორჩილად ასრულებდნენ რაღაც გაუგებარ ამოცანებს, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ და მხოლოდ ადგილზე სწრაფ ტრიალში მდგომარეობდა. გზის ქარიან მხარეს ყანები უხმოდ ბიბინებდა, ფოთლები ჰაერში დაფარფატებდა და ერთმანეთს მსუბუქად ეხლებოდა. რამდენიმე ხეშემფრთოსანი მწერი

ცდილობდა გამკლავებოდა ნაკადს და ფრთებით ისეთ ტლაშუნს გამოსცემდა, როგორც დიდი ტბებისკენ მცურავი გემის ბორბალმა იცის ხოლმე. კოლენი და კლოე ერთიმეორის გვერდიგვერდ, მდუმარედ ეფიცებოდნენ მზეს და გულები ბუგის რიტმში უძგერდათ.

შემინული კარი სუსტად გაჭრიალდა. ნიკოლა გამოჩნდა. ქული გვერდზე მოჰქცევოდა, ხოლო კოსტიუმი აჩაჩულ-დაჩაჩული ჰქონდა.

– გამოგაძევეს? – ჰკითხა კოლენმა.

– არა, ბატონო! – თქვა ნიკოლამ, – მათ შეუძლიათ ბატონისა და ქალბატონის მიღება, და მანქანასაც მიხედავენ. – რა დაგემართა? – ჰკითხა კლოემ.

– ისაა? – დაიწყო ნიკოლამ, – პატრონი აქ არ არის. მისმა ქალიშვილმა მიმიღო.

– მოწესრიგდი, – უთხრა კოლენმა, – არ იქცევი სწორად. – მე ვთხოვ ბატონს, მაპატიოს, – თქვა ნიკოლამ, – მაგრამ ვიფიქრე, ორი ოთახი ღირდა-მეთქი მსხვერპლად.

– ჩვეულებრივი ტანსაცმელი ჩაიცვი, – უთხრა კოლენმა, – და ნორმალურად ილაპარაკე. ნუ დამაწყვიტე ნერვები.

კლოე გაჩერდა და თოვლის პატარა გროვით დაიწყო თამაში. ნაზი და ცივი ფიფქები არც სითეთრეს კარგავდა და არც დნებოდა. – ნახე, რა ლამაზია!? – უთხრა მან კოლენს.

თოვლის ქვეშ ფურისულები, ღიღილოები და ყაყაჩოები მოჩანდა.

– ხო, – მიუგო კოლენმა, – მაგრამ ნუ, ნუ მოჰკიდებ ხელს, თორემ შეგცივდება.

– ო! არა! – თქვა კლოემ და ისეთი ხველა აუტყდა, თითქოს აბრეშუმის ნაჭერი იხევაო.

– ჩემო კლოე?, – უთხრა კოლენმა და ხელები მოხვია, – ნუ ახველებ ასე? ცუდად ვხდები?

კლოემ ხელი გაუშვა თოვლს, რომელიც ბუმბულივით ნელა დაეშვა და კვლავ აბრწყინდა მზეზე.

– არ მომწონს ეს თოვლი?, – ჩაიჩურჩულა ნიკოლამ.

გონება უცბადვე მოიკრიბა.

– ბატონს ვთხოვ, მომიტევეს ენაზე მომდგარი ეს სიტყვები. კოლენმა ცალი ფეხსაცმელი გაიძრო და სახეში გაუქანა ნიკოლას, რომელიც, სწორედ ამ დროს, შარვლიდან პატარა ლაქის ამოსაფხეკად დახრილიყო და წელში მხოლოდ შუშის ჩამსხვრევის ხმაზელა გაიმართა.

– ო!? ბატონო!? – საყვედურით თქვა ნიკოლამ, – ეს ხომ ბატონის ოთახის ფანჯარაა?

– მერე რა, რას იზამ, – თქვა კოლენმა, – ჩვენ გავნიავდებით. შენ კი ჭკუას ისწავლი, ყეყეჩივით რომ ლაპარაკობ. კლოეს დახმარებით იგი ასკინკილა გაემართა სასტუმროს კარისაკენ. გატეხილი მინა ნელ-ნელა ზრდას იწყებდა. ფანჯრის ჩარჩოს ნაპირებზე პრიალა, უცნაურად მბრჭყვინავი, ბუნდოვან და ცვალებად ფერებიანი თხელი აფსკი გაჩნდა.

## თავი ოცდამეშვიდე

– როგორ გეძინა? – ჰკითხა კოლენმა.

– არა უშავს, შენ? – კითხვა შეუბრუნა ამჯერად უკვე ჩვეულებრივად გამოწყობილმა ნიკოლამ.

კლოემ დაამთქნარა და კაპარის სიროპიანი პატარა სურა აიღო.

– ამ შუშამ არ დამაძინა? – თქვა მან.

– არ დაიხურა? – ჰკითხა ნიკოლამ.

– მთლიანად არა, – თქვა კლოემ, – ყიფლიბანდი ჯერ კიდევ საკმაოდ ღიაა და საშინელ ორპირს ატარებს. დღეს დილას მთელი ფილტვები სავსე მქონდა თოვლით.

– აუტანელია, – თქვა ნიკოლამ, – შავ დღეს დავაყრი ამათ. მართლა, გავდივართ დღეს დილას?

– შუადღის მერე, – თქვა კოლენმა.

– მძლოლის ტანსაცმლის ჩაცმა მომიწევს, – თქვა ნიკოლამ. – ო, ნიკოლა, – დაიწყო კოლენმა, – თუ კიდევ გააგრძელებ ეგრე, მე?

– დიხ, – თქვა ნიკოლამ, – მაგრამ ეხლა არა.

მან თასით კაპარის სიროპი გადაყლაპა და კარაქიანი პური მიაყოლა.

– სამზარეულოში შევივლი, – გამოაცხადა მან, წამოდგა და ჰალსტუხის კვანძი ჯიბის ბურღით შეისწორა. ოთახი დატოვა და მისი ნაბიჯების ხმა ნელ-ნელა, ალბათ სამზარეულოსაკენ, მიწყდა.

– რა გინდა, რომ ვქნათ, ჩემო კლოე? – ჰკითხა კოლენმა. – ვაკოცოთ ერთმანეთს, – თქვა კლოემ.

– რა თქმა უნდა!? – უპასუხა კოლენმა, – მაგრამ მერე? – მერე, – თქვა კლოემ, – ხმამალა ვერ ვიტყვი.

– კარგი! – მიუგო კოლენმა, – მაგის მერე?

– მერე, – თქვა კლოემ, – საუზმის დროც მოვა. მომხვიე ხელები. მცირა. ო, ეს თოვლი.

მზე ოქროსფერ ტალღებად შემოდოდა ოთახში.

– არ ცივა აქ, – თქვა კოლენმა.

– არა, – თქვა კლოემ და მიეხუტა, – მაგრამ მე მცივა. მერე ალიზს მივწერ.

## თავი ოცდამერვე

დარბაზში მოსახვედრად, სადაც ჟან-სოლი მოხსენებას კითხულობდა, ხალხი ქუჩის თავშივე ირეოდა. რაკი მიმოქცევაში ათიათასობით ყალბი მოსაწვევი იყო გაშვებული, ბარათების ვარგისიანობის შემოწმებით დაკავებული სანიტარული კორდონის მეთვალყურეთა მოსატყუებლად ხალხი ნაირ-ნაირ ხრიკებს მიმართავდა.

ზოგიერთნი მიცვალებულთა ბალდახინებით მოდიოდნენ და ჟანდარმები ფოლადის გრძელ შუბებს ასობდნენ კუბოებში, სამუდამოდ აკრავდნენ მათ მუხაზე და დასაკრძალად მათი იქიდან გამოყვანა ვეღარ ხდებოდა. ამით მხოლოდ და მხოლოდ იქ შემთხვევით მოხვედრილი ნამდვილი მკვდრები ზარალდებოდნენ, რადგან სუდარები სულ მთლად უოხრდებოდათ. სხვები საგანგებო თვითმფრინავიდან ხტებოდნენ პარაშუტებით (ზოგნი ბურჟესთანაც კი იბრძოდნენ თვითმფრინავში ასასვლელ-



ლად). მეხანძრეთა რაზმი სამიზნედ სახავდა მათ და, სახანძრო შლანგების საშუალებით, გეზს სენისაკენ უცვლიდა, სადაც ისინი ბოლოს საწყალობლად იხრჩობოდნენ.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიწისქვეშა გაყვანილობებით ცდილობდნენ დარბაზში შეღწევას. იმ დროს კი, როდესაც ისინი ხელებზე იწეოდნენ და ამოსასვლელად ნაწიბურებს ებლაუჭებოდნენ, სახსრებში ნალებდაკრული ჩექმების მძიმე დარტყმებს ღებულობდნენ და დანარჩენსაც ვირთაგვები კისრულობდნენ. მაგრამ ეს ჟინიანი ხალხი არაფრით გულს არ იტეხდა (უნდა ვალიაროთ, რომ დამხრჩვალთ და სხვადასხვა მცდელობებში ახირებულთ სულ ახლები და ახლები ემატებოდნენ) ხოლო მათი ეს ხმაური ცაში, ზენიტისაკენ მიიწევდა და ღრუბლებში ყრუდ ირეკლებოდა.

მხოლოდ უმწიკვლოთ, საქმეში ჩახედულთა და განდობილთ ჰქონდათ ყალბისაგან ძალზე ადვილად გასარჩევი ნამდვილი მოსაწვევები და, ამის გამო, სახლებს შორის მოქცეულ, და ყოველ ორმოცდაათ სანტიმეტრში მუხრუჭებად გადაცმული საიდუმლო აგენტების მიერ დაცულ ვიწრო ხეივანს შეუფერხებლად მიუყვებოდნენ. ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და უკვე სავსე დარბაზი უსასრულოდ განაგრძობდა ახლადმოსულების მიღებას. შიკი წინა დღიდან ადგილზე იყო. ოქროს ფასად მოიპოვა კონსიერჟისგან მისი შეცვლის უფლება და, რათა ეს შეცვლა შესაძლებელი გამხდარიყო, დომკრატის საშუალებით ზემოხსენებულ კონსიერჟს მარცხენა ფეხი მოსტეხა. არ ზოგავდა ღუბლეზონებს, როცა საქმე პარტრს ეხებოდა. ალიზი და იზისი მასთან ერთად ელოდებოდნენ მომხსენებლის გამოჩენას. ამ მოვლენას რომ არ გამოჰკლებოდნენ, ღამე მათაც იქ გაეტარებინათ. კონსიერჟის მუქ მწვანე უნიფორმაში გამოწყობილი შიკი უაღრესად მიმზიდველად გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც კოლენის

ოცდახუთ ათას დუბლეზონს დაეუფლა, თავის სამსახურს ერთობ უდიერად ეპყრობოდა.

იქ შეგროვილი პუბლიკა ძალზე თავისებურად გამოიყურებოდა. უკლებლივ ყველას თმა გაპტურდგნოდა, პირში სიგარეტის გაყვითლებული ნამწვი გაეჩარა, სათვალისანი, სხარტი სახე ჰქონდა და ტკბილეულისაგან აბოყინებდა, ქალებს კი, თავზე ჯღანი ნაწნავები წაეკრათ და პირდაპირ, შიშველ ტანზე ეცვათ ცხვრის ტყავის გრძელი, წელში შემოფსკვნილი ტყაპუჭები, რომლის ღრიჭოებიდანაც ჩრდილის ფონზე ძუძუები მოუჩანდათ. პირველ სართულზე მდებარე ნახევრად შემინულ, ნახევრად კი მძიმე წყლით მოხატული ფრესკებით მორთულჭერიან დიდ დარბაზში, სადაც ეს ფრესკები იმისათვის იყო გამიზნული, რომ დამსწრეთა გონებაში ეჭვები აღეძრა ასეთი სასოწარმკვეთი ქალური ფორმებით აღსაგსე ცხოვრების მიზანშეწონილობაში, ზღვა ხალხს მოეყარა თავი და გვიან მოსულთ სიღრმეში ცალ ფეხზე დგომის საშუალება აღჩებოდათ. მეორე ფეხი უახლოესი მეზობლების მოსაგერიებლად თუ გამოადგებოდათ. საგანგებო ლოჟა, რომელშიც დიუმეს დე ბოვუარი თავისი ამალით გამოჭიმულიყო, არაქათგამოცლილი ბრბოს მზერას იპყრობდა და, თავისი მაღალხარისხოვანი ბრწყინვალეობით, დასაკეც სკამებზე ჩამწკრივებული ფილოსოფოსების პიროვნული სამზადისის დროებით ხასიათს გამომწვევად შეურაცხყოფდა. მოხსენების დრო ახლოვდებოდა და ბრბოშიც ციებცხელება ნელ-ნელა მატულობდა. საქმე თანდათანობით ალიაქოთისაკენ მიდიოდა, იმიტომ რომ, დარბაზის სიღრმეში, რამდენიმე სტუდენტი ბარონესა ორცის „ფიცი მთაზე“ ორაზროვნად დამახინჯებული ნაწყვეტების ხმამაღალი და მაღალფარდოვანი კითხვით დამსწრეთა გონებაში ეჭვების დათესვას ცდილობდა. მაგრამ ჟან-სოლი გამოჩნდა. ქუჩაში სპილოს ხორთუმიდან გამოცემული ხმები გაისმა და შიკი თავისი ლოჟის

ფანჯრისაკენ დაიხარა. შორს, ჟან-სოლის სილუეტს ჯავშნოსანი ტახტრევნიდან ამოეყო თავი, რომლის ქვეშაც, სპილოს უსწორმასწორო და დანაოჭებული ზურგი წითელი შუქით განათებისას ერთობ უჩვეულო იერ-სახეს იღებდა. ტახტრევნის ყოველ კუთხეში ნაჯახით შეიარაღებული და ყველაფრისათვის მზადმყოფი თითო რჩეული ჩუბინი იდგა. სპილო გრძელი ნაბიჯებით მიიკვლევდა გზას ბრბოში და გაჭყლეთილ სხეულებზე გადავლილი ოთხი სვეტის ყრუ ხმა სულ უფრო და უფრო ულმობლად ახლოვდებოდა. კარის წინ სპილომ ჩაიმუხლა და რჩეული ჩუბინები ჩამოხდნენ. მათ შუა პარტრი ჰაეროვანი მოძრაობით ჩასკუპდა და, ნაჯახების აქეთ-იქით ქნევით, ყველანი ესტრადის გზას დაადგნენ. პოლიციელებმა კარი ჩარაზეს და შიკი ფარული დერეფნისკენ გაიქცა, რომელიც ესტრადის უკან შედიოდა, და წინ ალიზი და იზისი გაირეკა.

ესტრადის უკანა მხარე კისტებიანი ხავერდის ქსოვილით იყო მორთული, რომელშიც შიკს რამდენიმე ნახვრეტი გაეკეთებინა გასაჭყეტად. მუთაქებზე ჩამოსხდნენ და ლოდინი დაიწყეს. მათგან, ჰა და ჰა, ერთ მეტრში პარტრი თავისი მოხსენების წასაკითხად ემზადებოდა. თავისი მოქნილი და ასკეტური სხეულიდან იგი მომაჯადოებელ გამოსხივებას აფრქვევდა და ამ სახიფათო ხიბლით დატყვევებული პუბლიკა, რომელიც მის ყოველ უმცირეს მოძრაობას გაფაციცებით აღევნებდა თვალს, გულგადაღებული ელოდებოდა დაწყების ნიშანს.

მრავალრიცხოვანი იყო საშვილოსნოს შიდა ეგზალტაციით გამოწვეული გულყრის შემთხვევები, რაც განსაკუთრებით მღერ პუბლიკას ემართებოდა, ხოლო ალიზს, იზისსა და შიკს, თავ-თავის ადგილებში ჩამალულთ, მკაფიოდ ესმოდათ ოცდაოთხი მაყურებლის ქშენის ხმა. ეს უკანასკნელნი ესტრადის ქვეშ შემძვრალიყვნენ და, ნაკლები ადგილის დასაკავებლად, ხელების ცეცებით მთლად შიშვლდებოდა.

– გახსოვს? – ჰკითხა ალიზმა და ნაზად შეხედა შიკს. – კი, – უთხრა შიკმა, – იქ გავიცანით ერთმანეთი? ალიზისაკენ გადაიხარა და ნაზად აკოცა.

– აი იქ, ქვეშ იყავით? – იკითხა იზისმა.

– კი, – უპასუხა ალიზმა, – ძალიან საამუშრო იყო.

– მჯერა, – თქვა იზისმა, – ეგ რაღაა, შიკ?

შიკი დიდ შავ ყუთს, გვერდით რომ ედო, აუჩქარებლად ალებდა.

– ჩამწერია? – თქვა მან, – მოხსენებისთვის ვიყიდე. – ო!? – თქვა იზისმა, – რა კარგი აზრია? ესე ხომ მოსმენაც აღარ დაგვჭირდება.

– ხო, – თქვა შიკმა, – და შინ რომ დავბრუნდებით, თუ გვინდა, შეგვიძლია მთელი ღამე ვისმინოთ, მაგრამ, ფირფიტები რომ არ გაფუჭდეს, ჩვენ ამას არ ვინამთ. ჯერ ამათ ასლს გავაკეთებინებ და მერე შეიძლება კომპანია „თავკაცის კივილს“ კომერციული ტირაჟის გამოშვებაც ვთხოვო.

– ალბათ ძალიან ძვირი დაგიჯდათ? – თქვა იზისმა.

– ოჰ, – თქვა შიკმა, – ამას მნიშვნელობა არა აქვს. ალიზმა ამოიოხრა. მაგრამ ისე მსუბუქად, რომ მარტო თვითონ გაიგონა? თანაც ძლივს გაიგონა.

– ესეც ესე! – თქვა შიკმა, – იწყებს!? ჩემი მიკროფონი ოფიციალური რადიოს მიკროფონებთან ერთად დავდგი, მაგიდაზე რომაა, ვერ შეამჩნევენ.

ჟან-სოლმა დაიწყო. სულ თავიდან ფოტოაპარატების ჩხაკუნის მეტი არაფერი ისმოდა. პრესისა და კინოს ფოტოგრაფები და რეპორტიორები გულითად სიხარულს ეძლეოდნენ. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი თავისი აპარატის უკუცემისაგან აყირავდა, რასაც საზარელი აურზაური მოჰყვა. განრისხებულმა თანამოძმეებმა იგი ჩაწიხლეს და ზემოდან მაგნიუმის

ფხვნილი მოაყარეს. დამაბრმავებელი კაშკაშით მისმა გაქრობამ საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია, ხოლო დანარჩენები, უკლებლივ ყველა, პოლიციელებმა ციხეში წაასხეს.

– ეს ხომ სასწაულია! – თქვა შიკმა, – ჩანაწერი მარტო მე მექნება?

პუბლიკას, რომელიც აქამდე შედარებით წყნარად ძლებდა, მღელვარება დაუფლა და პარტრის მიმართ აღფრთოვანებას მის მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვაზე ყვირილისა და საყოველთაო ოვაციის გაძლიერებით გამოხატავდა. ეს კი ტექსტის სრულყოფილ გაგებას საკმაოდ ართულებდა.

– ყოველ სიტყვას ნუ გამოეკიდებით, – თქვა შიკმა, – თავისუფალ დროს ჩანაწერს მოვისმენთ.

– მით უმეტეს, რომ აქ არც არაფერი ისმის, – თქვა იზისმა, – ესეც თავგზე მეტ ხმას არ იღებს. მართლა, კლოესგან ხომ არაფერია ახალი?

– წერილი მივიღე მისგან, – თქვა ალიზმა.

– ბოლოს და ბოლოს ჩავიდნენ?

– კი, მგზავრობით კარგად იმგზავრეს, მაგრამ იქ ყოფნის დროს შეამოკლებენ, რადგან კლოე ვერ გრძნობს თავს ძალიან კარგად, – თქვა ალიზმა.

– და ნიკოლა? – იკითხა იზისმა.

– კარგადაა. კლოემ მითხრა, საშინლად აიშვა თავი ყველა სასტუმროს პატრონის ქალიშვილთან, სადაც კი გაგზერდითო. – კარგი ვინმეა ნიკოლა, – თქვა იზისმა, – ვერ გამიგია, რატომაა მზარეული.

– ხო, – თქვა შიკმა, – უცნაურია.

– ვითომ რატომ? – იკითხა ალიზმა, – მე ეგ უკეთესი მგონია, ვიდრე პარტრის კოლექციონერობა, – დაუმატა მან და შიკს ყურზე უჩქმიტა.

– მაგრამ კლოე მძიმედ არ არის ავად, არა? – იკითხა იზისმა. – არ მეუბნება, რა სჭირს, – უპასუხა ალიზმა, – ტკივილები მაქვს მკერდშიო.

– რა ლამაზია კლოე, – თქვა იზისმა, – ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, რომ ავად იყოს.

– ოჰ!?! – ამოიხვნეშა შიკმა, – შეხედეთ!

ჭერის ნაწილი აწეულიყო და იქიდან თავების მთელი მწკრივი მოჩანდა. გულადი თაყვანისმცემლები ვიტრაჟამდე გახოხებულიყვნენ და იქ განებორციელებინათ ეს დელიკატური ოპერაცია. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მათ ხელს ჰკრავდნენ და პირველნიც ენერგიულად ებლაუჭებოდნენ პირდაღებული ჭერის ნაწიბურებს.

– ეგენი არ ცდებიან, – თქვა შიკმა, – შესანიშნავი მოხსენებაა. პარტრი ფეხზე წამომდგარიყო და პუბლიკას ნარწყევის ფიტულების ნიმუშებს უჩვენებდა. ყველაზე ლამაზმა, უმმა ვაშლმა და შავმა ღვინომ, ალალი წარმატება დაიმსახურა. ნელ-ნელა აღარავის აღარაფერი ესმოდა, თვით ფარდის უკანაც კი, სადაც იზისი, ალიზი და შიკი იმალებოდნენ.

– და როდის იქნებიან აქ? – იკითხა იზისმა.

– ხვალ ან ზეგ, – მიუგო ალიზმა.

– რა დიდი ხანია, რაც ეგენი არ გვინახავს, – თქვა იზისმა. – ჰო, – თქვა ალიზმა, – ქორწილის მერე.

– რა კარგად ჩაიარა ქორწილმა, – დაასკვნა იზისმა. – ხო, – თქვა ალიზმა, – იმ საღამოს იყო, ნიკოლამ რომ გაგაცლია?

საბედნიეროდ, დარბაზში მთელი ჭერი ჩამოიქცა, რამაც იზისი დაწვრილებებისაგან იხსნა. მტვრის კორიანტელი დადგა. ჩამონგრეულ ბათქაშებში მოთეთრო ლანდები ხელ-ფეხს იქნევდნენ, დაბარბაცებდნენ და ნანგრევების თავზე ჩამოწოლილი მძიმე ღრუბლით გაგუდულები ძირს იშხლართებოდნენ. პარტრი გაჩერებულიყო. ამდენ ხალხს ამ ამბავში რომ ხედავდა ჩაბმულს, ბედნიერებისაგან გულიანად იცინოდა და ხე-

ლებს ფეხებზე იტყაპუნებდა. მერე მტვრის კარგა მოზრდილი ულუფა გადასცდა და გიჟური ხველა აუტყდა. შიკი გაშმაგებული ატრიალებდა ჩამწერის ლილაკებს. იქიდან რაღაც დიდი და მწვანე შუქი გამოჩნდა, რომელიც მიწაზე დაეშვა და პარკეტის ღრიჭოში გაუჩინარდა. ამას მეორე, შემდეგ მესამე მოჰყვა, და შიკმა ზუსტად იმ დროს გამორთო დენიდან, როცა რაღაც უამრავთათება ბინძური მხეცი მოტორიდან გამოძვრომას ლამობდა.

– რა ვქნა? – თქვა მან, – გაიჭედა. მტვერია მიკროფონში. ჯოჯოხეთმა მწვერვალს მიაღწია. პარტრი პირდაპირ გრაფინიდან სვამდა წყალს და წასასვლელად ემზადებოდა, რადგანაც უკანასკნელი ფურცელი ის იყო უკვე წაეკითხა. შიკმა გაბედა.

– მე მას აქედან გაყვანას შევთავაზებ, – თქვა მან, – თქვენ წინ გაიქეცით, დაგეწევით.

## თავი ოცდამეცხრე

დერეფანში გავლისას ნიკოლა გაჩერდა. მზეები აშკარად ცუდად შე-  
მოდიოდნენ. ყვითელი კერამიკის ფილები უფერული და მსუბუქი ნის-  
ლით დაცვარულიყო და სხივები, ნაცვლად იმისა, რომ ლითონის წინ-  
წკლებად ქცეულიყვნენ, მიწას ენარცხებოდნენ და თავთხელ და ზარმაც  
გუბებზედ ერთდებოდნენ. მზის ათინათებით მოფენილი კედლები უწინ-  
დელივით ერთგვაროვნად აღარ ბრწყინავდნენ. თავგები ამ ცვლილებით  
განსაკუთრებულად დამწუხრებულნი არ ჩანდნენ, გარდა ნაცრისფერი  
შავულგამასი, რომლის ღრმად დადარდიანებული იერი ერთი შეხედვი-  
თაც თვალში საცემი იყო. ნიკოლას ვარაუდით, მას მოულოდნელად შეწ-  
ყვეტილ მოგზაურობასა და იმ ურთიერთობებზე სწყდებოდა გული, რომ-  
ლის დამყარებაც გზაში მოასწრო.

– არა ხარ კმაყოფილი? – ჰკითხა ნიკოლამ.

თავს სახეზე ზიზლი გამოეხატა და კედლებზე მიუთითა. – ხო, – თქვა  
ნიკოლამ, – ეს ის აღარ არის. წინათ უკეთესი იყო. არ ვიცი, რა ხდება.



თავგი თითქოს ერთ წამს დაფიქრდაო, შემდეგ თავი დააქნია და დაბნეული სახით ხელები გაშალა.

– არც მე მესმის, – თქვა ნიკოლამ, – გახეხვაც არაფერს ცვლის. ალბათ, ნელ-ნელა ატმოსფერო ხდება დამანგრეველი. გაჩერდა, ჩაფიქრდა, მანაც დააქნია თავი და შემდეგ გზა განაგრძო. თავგმა ხელები გულზე გადაიჯვარედინა და უაზრო სახით დაიწყო ლეჭვა, შემდეგ კატების სალჭი რეზინის გემო ეცა პირში და სასწრაფოდ გადმოაფურთხა. გამყიდველს შეშლოდა. სასადილო ოთახში კლოე კოლენთან ერთად საუზმობდა. – ჰა, – ჰკითხა ნიკოლამ, – უკეთ ხართ?

– ვაჰ? – თქვა კოლენმა, – ადამიანურად გადაგიწყვეტია ლაპარაკი.

– ჩემი ფეხსაცმელები არ მაცვია, – აუხსნა ნიკოლამ. – არა გვიშავს, – თქვა კლოემ. მზრწყინავი თვალები, კარგი სახის ფერი და შინ დაბრუნებით გამოწვეული ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა.

– ქათმის ტორტის ნახევარი ამან შეჭამა, – თქვა კოლენმა. – მსიამოვნებს ეგ ამბავი, – თქვა ნიკოლამ, – ეგ გუფესი არ იყო.

– დღეს რას აპირებ, კლოე? – ჰკითხა კოლენმა.

– ხო, – თქვა ნიკოლამ, – ადრე ვსაუზმობთ თუ გვიან? – მე მინდა, რომ თქვენ ორთან, იზისტან, შიკთან და ალიზთან ერთად საციგურაო მოედანზე და მალაზიებში წავიდე, და სალამოს სადმე, სტუმრად, – თქვა კლოემ, – და კიდევ, ჩემთვის კოთხოიანი მწვანე ბეჭედი ვიყიდო.

– კარგი! – თქვა ნიკოლამ, – მაშინ ეხლავე მივდივარ სამზარეულოში.

– მაგავე ტანსაცმლით იმზარეულე, ნიკოლა, – თქვა კლოემ, – ამითი ჩვენც ისე ნაკლებად ვიღლებით. თანაც, ესე უკვე მზად ხარ. – მე ფულს ავიღებ ჩემი დუბლეზონების ზარდახშიდან, – თქვა კოლენმა, – შენ კი, კლოე, მეგობრებს დაურეკე. დღეს კარგად ვისეირნებთ.

– ვრეკავ? – თქვა კლოემ.

წამოდგა და ტელეფონისაკენ გაიქცა. ყურმილი აიღო და მოყიჟინე კატის ჩხავილს მიჰბაძა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შიკთან უნდოდა ლაპარაკი.

მაგიდის ასალაგებლად ნიკოლამ რომელიღაც პატარა ბერკეტს თითი დააჭირა და ხალიჩის ქვეშ მიმალული მსხვილი პნევმატური მილით ჭუჭყიანი ჭურჭელი სარეცხი ნიჟარის გზას გაუყენა.

შემდეგ ოთახი დატოვა და დერეფანში გავიდა.

უკანა თათებზე შემდგარი თავგი ხელებით ერთ-ერთ ფერდაკარგულ ფილას ხეხავდა. იქ, სადაც უკვე მოეხება, ისევ ბრწყინავდა.

– ვაჰ, ვაჰ, – თქვა ნიკოლამ, – გამოგდის!?! შესანიშნავია. აქომინებულ თავგი გაჩერდა და ნიკოლას თავისი გადატყავებული და დასისხლიანებული ხელის თითები უჩვენა. – ო! – თქვა ნიკოლამ, – მოგიკლავს თავი? მოდი, მოეშვი. ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ კარგად შემოდის მზე აქ. მოდი შევიხვიო.

გულის ჯიბეში ჩაისვა; თავს თავისი საბრალო, დაშავებული თათები ჯიბიდან გადმოეკიდა და სუნთქვაშეკრულს თვალები მიელულა.

კოლენი თავისი დუბლეზონების ზარდახშის ღილაკებს სწრაფად და ღიღინით ატრიალებდა. წინა დღეების დარდი გულიდან მოეშორებინა და გულს ეხლა, თითქოს ფორთოხლის ფორმა აქვსო, ისე გრძნობდა. ზარდახშა სპილოსძვლით მოოჭვილი თეთრი მარმარილოსი იყო, ღილაკები კი – მომწვანო-მოშავო ამეთვისტოსი. დონის მაჩვენებელი სამოცათას დუბლეზონზე იდგა.

ხუფი შეზეთილი ჩხაკუნით აიხადა და კოლენს ღიმილი სახეზე შეაშრა. კაცმა არ იცის, რა მიზეზით გაჭედილი დონის მაჩვენებელი ორი-სამი შექანქარების შემდეგ ოცდათხუთმეტ ათას დუბლეზონზე გაჩერდა. მან ზარდახშაში ხელი ჩაყო და უკანასკნელი რიცხვის სისწორე შეამოწმა.

სწრაფი ზეპირი ანგარიშის შემდეგ დაადგინა, რომ ეს რიცხვი სიმართლისგან შორს არ უნდა ყოფილიყო: ასი ათასიდან ოცდახუთი ათასი შიკს მისცა, თხუთმეტი ათასი მანქანაში გადაიხადა, ხუთი ათასი – ცერემონიაში? დანარჩენი, ბუნებრივია, გაიპარა. ამან ოდნავ დაამშვიდა.

– ნორმალურია, – თქვა მან ხმამაღლა და თავისივე ხმა უცნაურად შეცვლილი მოეჩვენა. რამდენიც სჭირდებოდა იმდენი ამოიღო, შეეყოყმანდა, დაქანცული მოძრაობით ნახევარი უკანვე ჩააბრუნა და ხუფი დახურა. ღილაკები სწრაფად დატრიალდნენ და ჩუმი, მკაფიო ჩხაკუნი გამოსცეს. კოლენმა დონის მაჩვენებლის ციფერბლატს ხელი მოუტყაპუნა და დარწმუნდა, რომ თანხას სწორად უჩვენებდა.

შემდეგ წამოდგა და რამდენიმე წამით შეეყოვნდა.

გაკვირვებული იყო გაღებულ თანხების სიდიდით, რომლითაც კლოესთვის უნდოდა მიეცა ის, რის ღირსადაც თვლიდა მას კოლენი და გაელიმა, როცა თვალწინ თმაგაჩეჩილი, დილას ლოგინში მოკოტრიალე, ქარვისფერკანიანი, ტანზე ზეწარშემოხვეული, და მერე ზეწარშემოხსნილი კლოე დაუდგა და უცბად თავს ძალა დაატანა, ისევ ზარდახმაზე ფიქრა, იმიტომ, რომ ეხლა არ იყო ასეთ რალაცეებზე ფიქრის დრო.

კლოე იცვამდა.

– ნიკოლას უთხარი სენდვიჩები გააკეთოს, – თქვა მან, – და ეხლავე გავიდეთ? ყველას იზისთან დავუნიშნე შეხვედრა. კოლენმა ისარგებლა კლოეს მხრის გამოჩენით, ზედ აკოცა და ნიკოლას გასაფრთხილებლად გაიქცა. ნიკოლა თავგის მკურნალობას ამთავრებდა და ბამბუკისაგან წყვილ პატარა ყავარჯენს უმზადებდა.

– აჰა? – თქვა მან ბოლოს, – დღეს საღამომდე ამით იარე და აღარ დაგემჩნევა.

– რა სჭირს? – იკითხა კოლენმა და თავგს თავზე მოეფერა. – დერეფნის ფილების გაწმენდა მოინდომა, – თქვა ნიკოლამ, – მოახერხა კიდეც, მაგრამ თან დაშავდა.

– ამაზე ნუ წუხხნარ, – უთხრა კოლენმა, – ეს თავისით გამოსწორდება.

– არ ვიცი, – თქვა ნიკოლამ, – უცნაურია. გეგონება, ცუდად სუნთქავენ ფილებიო.

– გამოსწორდება, – თქვა კოლენმა, – ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ? ესეთი რამ ჯერ არ მომხდარა?

– არა, – თქვა ნიკოლამ.

კოლენი რამდენიმე წამით სამზარეულოს ფანჯრის წინ შეჩერდა.

– შეიძლება, უბრალოდ, გაცვდნენ, – თქვა მან, – შეგვიძლია გამოცვლა ვცადოთ?

– ძალიან ძვირი დაჯდება, – თქვა ნიკოლამ.

– ხო? – თქვა კოლენმა, – ჯობია მოვიცადოთ.

– რა გინდოდა? – ჰკითხა ნიკოლამ.

– ნურაფრის კეთებას ნუ დაიწყებ, – უთხრა კოლენმა, – მარტო სენდვიჩები, ეხლავე გავდივართ.

– კარგი, ჩავიცვამ, – თქვა ნიკოლამ.

და ძირს ჩასვა თავვი, რომელიც თავისი პატარა ყავარჯნებით ყანყალ-ყანყალით გაემართა კარისკენ. გრძელი ულვაშები ზურგიდანაც კი ორივე მხარეს მოუჩანდა.

## თავი ოცდამეათე

კოლენისა და კლოეს გამგზავრების შემდეგ ქუჩას მთლიანად შეეცვალა იერ-სახე. ხეებს უკვე დიდი ფოთლები მოესხათ და სახლებიც თავიანთ მკრთალ ფერებს იშორებდნენ, რათა ზაფხულის რბილი ჩალისფრის შექენამდე ჯერ მქრქალ მწვანედ შეფერილიყვნენ. ფეხქვეშ ქვაფენილი ნელ-ნელა რბილი და მოქნილი ხდებოდა და ჰაერში ყოლოს სურნელი ტრიალებდა. ჯერ კიდევ გრილოდა, მაგრამ მოცისფრო მინებიანი ფანჯრების მიღმა კარგი ამინდი იგრძნობოდა. ტროტუარების გაყოლებაზე მწვანე და ლურჯი ყვავილები ამოსულიყო და მათ წვრილ ღეროებში წვენი ლოკოკინას კოცნასავით მსუბუქი, ნოტიო ხმით მოძრაობდა.

წინ ნიკოლა მიაბიჯებდა. მას მდოგვისფერი შალის თბილი სპორტული კოსტიუმი, შიგნით კი ნაქსოვი მაღალყელიანი ჯემპერი ეცვა, რომელსაც წინ შამბორულად დამზადებული ორაგული ეხატა, ისე, როგორც ეს გუფეს სამზარეულო წიგნის 607-ე გვერდზეა გამოსახული. მისი კრეპის

ლანჩებიანი, ყვითელი ტყავის ფეხსაცმელები მცენარეულობას სულ ოდნავ თელავდა. ცდილობდა იმ ორ კვალში ევლო, რომლებსაც მანქანებს უტოვებდნენ გასავლელად.

კოლენი და კლოე უკან მიჰყვებოდნენ. კლოეს კოლენის ხელი ეჭირა და ჰაერში მოტრიალე სურნელებას ღრმად ისუნთქავდა. ტანთ თეთრი შალის ვიწრო კაბა და ბენზოლში გამოყვანილი ჯიქის ტყავის მოკლე წამოსასხამი ეცვა, რომლის ამგვარი დამუშავებისაგან გაბაცებული ხალეზი აქეთ-იქით შარავანდედებად იშლებოდა და ერთმანეთში უცნაურ ინტერფერენციებად ირეოდა. მის ფუმფუმსა და თავისუფლად მოფრიალე თმას ჟასმინისა და მიხაკის სურნელით გაჟღენთილი ნაზი ორთქლი ასდიოდა. თვალბმილულული კოლენი ამ სურნელს მიჰყვებოდა და ყოველ ჩასუნთქვაზე ტუჩები ნაზად უთრთოდა. სახლების ფასადები ოდნავ დუნდებოდნენ, ხაზთა მკაცრი სისწორისაგან თავისუფლდებოდნენ და ამით ქუჩა ისე გადასხვავდებოდა, რომ ნიკოლას ზოგჯერ თავგზა ერეოდა და მინანქრიანი წარწერების წასაკითხად გაჩერება უხდებოდა ხოლმე.

– ჯერ რას ვაპირებთ? – იკითხა კოლენმა.

– მაღაზიების მონახულებას, – უპასუხა კლოემ, – ერთი კაბა აღარა მაქვს.

– არ გინდა, დებ კალოტებთან წავიდეთ, როგორც ყოველთვის? – ჰკითხა კოლენმა.

– არა, – უპასუხა კლოემ, – მე მინდა წავიდე მაღაზიებში და ვიყიდო მზა კაბები. და კიდევ რალაც-რალაცეები.

– იზისი ნამდვილად კმაყოფილი იქნება შენი ნახვით, ნიკოლა, – თქვა კოლენმა.

– ვითომ რატომ? – იკითხა ნიკოლამ.

– რა ვიცი?

მათ სიღნეი ბეშეს ქუჩაზე შეუხვიეს და კიდევაც მივიდნენ. კარის წინ კონსიერჟი ქალი მექანიკურ სარწეველა სავარძელში ქანაობდა, რომლის ძრავიც პოლკას რიტმზე ბახა-ბუხის ხმებს გამოსცემდა. მოძველებული სისტემა იყო.

მათ იზისი გამოეგება. შიკი და ალიზი უკვე იქ იყვნენ. იზისს წითელი კაბა ეცვა და ნიკოლას გაუღიმა, კლოეს ჩაეხუტა და მერე, რამდენიმე წამის განმავლობაში, ყველა ერთმანეთს კოცნიდა. – კარგად გამოიყურები, ჩემო კლოე, – უთხრა იზისმა, – მე მეგონა, ავად იყავი. ეხლა, რომ დაგინახე, ცოტა დავმწვიდდი. – ჰო, უკეთა ვარ! – თქვა კლოემ, – ნიკოლამ და კოლენმა ძალიან მომიარეს.

– გოგონები როგორ არიან, თქვენი ბიძაშვილები? – ჰკითხა ნიკოლამ. იზისი ყურებამდე გაწითლდა.

– დღეგამოშვებით თქვენს ამბებს მეკითხებიან? – თქვა მან. – მომხიბლავი გოგონები არიან! – თქვა ნიკოლამ და თვალი ოდნავ აარიდა, – მაგრამ თქვენ უფრო მაგარი ხართ. – დიახ, – თქვა იზისმა.

– მოგზაურობამ როგორ ჩაიარა? – იკითხა შიკმა.

– კარგად, – თქვა კოლენმა, – თავიდან ძალიან ცუდი გზა იყო, მაგრამ მერე ყველაფერი მოგვარდა.

– თოვლის გარდა, – თქვა კლოემ, – ძაან?

და ხელი მკერდთან მიიტანა.

– ძალიან ცივი იყო ეს თოვლი.

– სად მივდივართ? – იკითხა ალიზმა.

– მე შემიძლია პარტრის მოხსენება შეგიჯამოთ, თუ გინდათ, – თქვა შიკმა.

– ჩვენი გამგზავრების მერე კიდევ ბევრი იყიდე? – ჰკითხა კოლენმა.

– ო? არა? – უპასუხა შიკმა.

– შენი სამსახური როგორ არის? – ჰკითხა კოლენმა. – ოჰ!? არა უშავს!  
– თქვა შიკმა, – ერთი ტიპი მყავს, მენაცვლება ხოლმე, როცა გამოსას-  
ვლელი ვარ.

– და ამას უანგაროდ შვრება? – ჰკითხა კოლენმა.

– ოჰ!? თითქმის? – თქვა შიკმა, – ესე იგი, თქვენ გინდათ, რომ ეხლავე  
წავიდეთ საციგურაო მოედანზე?

– არა? ჯერ მაღაზიებში მივდივართ, – თქვა კლოემ, – მაგრამ, თუ  
კაცებს საციგურაოდ გინდათ წასვლა?

– კარგი აზრია? – თქვა კოლენმა.

– მე ამათ მაღაზიებში გავყვები, – თქვა ნიკოლამ, – მეც რაღაცეები  
მაქვს საყიდელი.

– ჰო, ესე აჯობებს, – თქვა იზისმა, – ოღონდ მალე წავიდეთ, რომ მერე  
საციგურაოდაც დაგვრჩეს დრო.



## თავი ოცდამეთერთმეტე

უკვე ერთი საათი იყო, რაც კოლენი და შიკი ციგურაობდნენ, როცა ხალხმა ნელ-ნელა იწყო ყინულზე გამოსვლა. ისევ იგივე გოგონები, ისევ იგივე ბიჭუნები, ისევ იგივე დაძნელებები და იგივე საფხეკებიანი პირფარეშ-დამსუფთავებლები. გამგეს ფირსაკრავზე რაღაც მომაბეზრებელი სიმღერა დაედო, რომელიც მუდმივ კლიენტებს უკვე რამდენიმე კვირა იყო, რაც ზეპირად დაესწავლათ. რაკი მისი ახირებული ხასიათი უკვე ცნობილი იყო, ყველა მოელოდა, რომ ფირფიტას შემდეგ მეორე მხარეს გადააბრუნებდა.

ასეც მოხდა, მაგრამ ფირფიტა უეცრად გაჩერდა და ყველა დინამიკში, გარდა ერთისა, – დისიდენტისა, რომელმაც მუსიკა განაგრძო, – რაღაც ყრუ ხმა გაისმა. ხმა მოკრძალებით სთხოვდა ბატონ კოლენს, რომ, თუ არ შეწყუბდებოდა, კონტროლის კაბინაში მისულიყო, რადგან მას ტელეფონთან იხმობდნენ. – რა შეიძლება იყოს, – თქვა კოლენმა.

იგი ნაპირისაკენ გაექანა და ფეხი კაუჩუკის ხალიჩაზე შედგა. შიკი კვალდაკვალ მიჰყვა. კოლენმა ბარს გვერდით ჩაუარა და კონტროლის კაბინაში შევიდა, სადაც მიკროფონი იყო. მეფირფიტე კაცი ერთ-ერთ ფირფიტას ხმარებისაგან გაჩენილი ნაფხაჭუნების მოსაშორებლად ჭანგის ჯაგრისს უსვამდა. – ალო! – თქვა კოლენმა ყურმილის ალბისას.

და სმენად იქცა. შიკმა დაინახა, როგორ დაედო უეცრად მის გაკვირვებულ სახეს ყინულის ფერი.

– რამე სერიოზულია? – ჰკითხა შიკმა.

კოლენმა, გაჩუმდით, ანიშნა.

– მოვდივარ, – თქვა მან და ყურმილი დაკიდა.

ამასობაში კაბინის კედლები ნელ-ნელა შემჭიდროვებულიყო და კოლენმა, რომელიც კინალამ გაიჭყლიტა, ძლივს გამოასწრო. შიკი გვერდიდან არ სცილდებოდა. კოლენი ციგურებით გარბოდა. ფეხები აქეთ-იქით ებრიცებოდა. ვილაც ბიჭს დაუძახა.

– სწრაფად გამიღეთ კაბინა. 309-ე.

– მეც, – თქვა შიკმა, – 311-ე.

ბიჭი მათ ზღაზვნით გაჰყვა. კოლენმა უკან მიიხედა და, იგი თავისგან ათ მეტრში რომ დაინახა, გაჩერდა, დააცადა, მის სიმაღლემდე ამოსულიყო. მერე უცებ ველურივით გაქანდა, ციგურიანი ფეხი ჩინებულად გასცხო ნიკაპქვეშ და ბიჭის თავი სამანქანო მოწყობილობების ერთ-ერთ სავენტილაციო მილში შეგორდა. ამასობაში კოლენი დაეპატრონა გასაღებს, რომელიც უაზრო სახით ცხედარს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა, რომელიც კაბინის კარი გამოაღო, გვამი შიგ შეათრია, დააფურთხა და 309-ისკენ მოქუსლა. შიკმა კარი მიხურა.

– რა ხდება? – ქოშინით იკითხა მან, როცა კოლენის კაბინაში შევიდა. კოლენს უკვე ციგურებიც მოეხსნა და ფეხსაცმელებიც ჩაეცვა.

– კლოე? – თქვა კოლენმა, – ავადაა.

– მძიმედ?

– არ ვიცი, – თქვა კოლენმა, – გული წასვლია.

უკვე მზად იყო და გარბოდა.

– სად მიდიხარ? – დაუყვირა შიკმა.

– სახლში? – იყვირა კოლენმა, და მკლერი ბეტონის კიბეებში გაუჩინარდა.

საციგურაო მოედნის მეორე ბოლოდან სამანქანო მოწყობილობების მუშები გარეთ გამოცვენილიყვნენ, და, რადგან ვენტილაცია აღარ მუშაობდა, სულშეგუბებულები და არაქათგამოცლილები მთელ ბილიკზე აქეთ-იქით ეყრებოდნენ. განცვიფრებული და გაოგნებული შიკი, ცალი ციგურით ხელში, იდგა და მზერით ეძებდა იმ ადგილს, სადაც თვალს მიეფარა კოლენი. 128-ე კაბინის კარის ქვეშიდან ქაფიანი სისხლის წვრილი ნაკადი ნელა მოიკლაკნებოდა. წითელი სითხე მსხვილ, მბოლავ და მძიმე წვეთებად ჩაედინებოდა ყინულზე.

## თავი ოცდამეთორმეტე

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მირბოდა და გამვლელები მის თვალწინ, ნელა იხრებოდნენ აქეთ-იქით, რათა, ბრტყლად დაგდებული დიდი მუყაოს რბილი ბარტყანის ხმით, ქვაფენილზე ჩამწკრივებული კეგლებივით ძირს მიმოფანტულიყვნენ. კოლენი კი მირბოდა, მირბოდა და სახლებს შორის მოქცეული პორიზონტის მახვილი კუთხე მისკენ მოისწრაფოდა. მის ფეხქვეშ ღამე იყო. შავი ბამბის, უსახური და უსიცოცხლო ღამე. უფერო ცა, ეს კიდევ ერთი მახვილი კუთხე, ბნელი ჭერივით ეხურა თავზე, და კოლენი პირამიდის წვერისაკენ მირბოდა. შუაგულში ნაკლებ მრუმე ღამეების გადაკვეთამ შეაჩერა, მაგრამ მის სახლამდე კიდევ სამი ქუჩა იყო გასავლელი.

ფერმიხდილი კლოე მათ საქორწინო ღამაზე საწოლზე ესვენა. თვლები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ცუდად სუნთქავდა. ალიზი მასთან იყო. იზისი ნიკოლას ეხმარებოდა, რომელიც გუფეს მიხედვით ჯანზე მომყვან

რალაცას ამზადებდა, ხოლო თავი თავისი ბასრი კბილებით სასასთუმლო ნაყენის მოსახარშად რომელიღაც ბალახის მარცვლებს ფქვავდა.

მაგრამ კოლენმა ეს არ იცოდა, მირბოდა და ეშინოდა. ნეტა რატომ არ არის საკმარისი მუდამ ერთად ყოფნა, თან უნდა გეშინოდეს, უბედური შემთხვევა ხომ არაა, ან მანქანამ ხომ არ გაიტანა. ალბათ ლოგინში წვეს, ალბათ ისინი დამიშლიან შესვლას და მე მას ვერ ვნახავ. მაგრამ, იქნებ თქვენ გგონიათ, რომ მე ჩემი კლოესი მეშინია, არა, მე თქვენ არ დაგეკითხებით, არა, არა, არ შეხვიდეთ, კოლენ, და ვნახავ მას. იქნებ, სულ უბრალოდ დაშავდა. მაშინ ხვალ არაფერიც არ ექნება, ერთად წავალთ ტყეში და იმ სკამს მოვინახულებთ, მე რომ მისი ხელი მქონდა ჩაბლუჯული და მისი თმა – ჩემს თმასთან, მისი სურნელი ბალიშზე. მე ყოველთვის მის ბალიშს ვიღებ ხოლმე, ისევ დავერევით საღამოობით ერთმანეთს, ჩემი ბალიში ძალიან გატენილია მისთვის, სულ მთლად მრგვალი რჩება მის თავქვეშ, მე მერე უკან ვართმევ და ბალიშს მისი თმის სურნელი ასდის ხოლმე. ველარასოდეს ველარ შევიგრძნობ მისი თმის ნაზ სუნს. ტროტუარი წინ აღემართა. უზარმაზარი ნახტომით გადალახა, მეორე სართულზე აღმოჩნდა, ავიდა, კარი გააღო. სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა, არც შავებში ჩაცმული ხალხი დაუხვდა, არც ეკლესიის მსახურნი, მხოლოდ და მხოლოდ მოცისფრო-მონაცრისფრო ნახატებიანი ხალიჩების სიმყუდროვე. ნიკოლამ, არაფერი ისეთიო, უთხრა, და კლოემ გაუღიმა, ბედნიერი იყო კოლენის დანახვით.

## თავი ოცდამეცამეტე

კოლენს ხელში კლოეს თბილი და მიმნდობი ხელი ედო. კლოე კოლენს უყურებდა და თავისი ნათელი და ოდნავ გაკვირვებული თვალებით ამ-  
შვიდებდა. ბაქნის ქვეშ, ოთახში წუხილები შეგროვილიყვნენ და ერთმა-  
ნეთის დასახრჩობად გამმაგებით იწევდნენ. კლოე სხეულში რალაც  
ბლანტ ძალას, გულ-მკერდში კი რალაც არსებას გრძნობდა. არ იცოდა,  
როგორ შებრძოლებოდა და, ხორცში ღრმად ჩამჯდარი მეტოქის შესან-  
ჯღრევად, დროგამოშვებით ახველებდა. ეჩვენებოდა, რომ ღრმად სუნ-  
თქვისას ცოცხლად ნებდებოდა მტრის ბუნდოვან ცოფსა და ვერაგ ხრი-  
კებს. მკერდი სულ ოდნავ ასდი-ჩასდიოდა და გრძელ და შიშველ ფეხებზე  
კრიალა თეთრეულის შეხებისას მის მოძრაობებში სიმშვიდე ისადგურებ-  
და. ოდნავ მოხრილი კოლენი გვერდით ეჯდა და თვალს არ აშორებდა.  
სასთუმალთან, ხორკლიანი ბროლის მრგვალ ფირფიტაში გამოკეტილი  
და კედელზე მიმაგრებული ანთებული ლამპის პატარა მანათობელი

ბირთვის გარშემო მოახლოებული ღამე კონცენტრულ შრეებად იშლებოდა.

– ჩამირთე მუსიკა, ჩემო კოლენ, – უთხრა კლოემ, – შენ რომ გიყვარს, ის სიმღერები დადე.

– დაილლები, – თქვა კოლენმა. სადღაც, ძალიან შორიდან ლაპარაკობდა და ცუდად გამოიყურებოდა. მის გულს მთელი მკერდი ეკავა და მხოლოდ ეხლავა ხვდებოდა ამას.

– არა, ძალიან გთხოვ, – თქვა კლოემ.

კოლენი წამოდგა, მუხის პატარა კიბე ჩაიარა და ხელსაწყო მომართა. დინამიკები ყველა ოთახში გადიოდა. მხოლოდ იმ ოთახისა ჩართო.

– რა დადე? – ჰკითხა კლოემ.

ილიმებოდა. კარგად იცოდა, რასაც დადებდა.

– გახსოვს? – ჰკითხა კოლენმა.

– მახსოვს?

– ხომ არ გტკივა??

– ძალიან არ მტკივა?

იმ ადგილებში, სადაც მდინარეები ზღვაში ჩაედინება, ძნელად გადასალახი ზღუდეები და ქაფიანი მორეგები ჩნდება, რომლებშიც გადაყრილი ნარჩენები ცეკვავენ. მრუმე ღამესა და ღამის შუქს შორის სიბნელიდან მოგონებები მოედინებოდნენ, სინათლეს ეჯახებოდნენ და, ხან ჩაძირულნი, ხანაც ამოტივტივებულნი, თეთრ მუცლებსა და ვერცხლისფერ ზურგებს აჩენდნენ. კლოე ოდნავ წამოიშრებოდა.

– მოდი, ჩამოჯექი ჩემთან?

კოლენი მივიდა და საწოლზე წამოწვა. კლოეს მისი მარცხენა მკლავის ღრმულში ედო თავი. მსუბუქი პერანგის მაქმანი კლოეს ოქროსფერ კანზე მკერდის დასაწყისისაგან ნაზად ამობურცულ, კაპრიზულ ბადეს

ხატავდა. ხელში კოლენის მხარი ებლუჯა. – გაბრაზებული ხომ არა ხარ??

– რატომ უნდა ვიყო?

– ესეთი ტუტრუცანა ცოლი რომ გყავს?

კოლენმა მიმნდობი მხრის ღრმულში აკოცა.

– ჩაყავი ხელი, ჩემო კლოე. გაცივდები.

– არა მცივა, – თქვა კლოემ, – მოუსმინე ფირფიტას. ჯონი ჰოჯესის დაკვრაში მართლაც იყო რაღაც ჰაეროვანი, რაღაც აუხსნელი და სრულიად გრძნობისმიერი.

გრძნობისმიერობა სუფთა სახით, ხორცს მოცილებული. მუსიკის გავლენით ოთახის კუთხეები სახეს იცვლიდნენ და მრგვალდებოდნენ. კოლენი და კლოე ეხლა სფეროს შუაგულში იწვნენ.

– რა იყო ეს? – იკითხა კლოემ.

– The Mood to be wooed?, – უპასუხა კოლენმა.

– ასეც ვგრძნობდი, – თქვა კლოემ, – როგორღა შემოვა ექიმი ოთახში, ასეთი ფორმა რომ აქვს?



## თავი ოცდამეთოთხმეტე

ნიკოლა კარის გასაღებად წავიდა. ზღურბლზე ექიმი იდგა. – მე ექიმი ვარ? – თქვა მან.

– კეთილი! – თქვა ნიკოლამ, – წამომყევით, თუ შეიძლება. და უკან გაიყოლა.

– აი, – სასმისი შესთავაზა მან, როდესაც სამზარეულოში შევიდნენ, – გასინჯეთ და მითხარით, რას ფიქრობთ. სილიკო-სოდო-კალციუმის მინადქვეულ სასმისში რაღაც სასმელი ესხა, რომლის უცნაური შეფერილობაც კასიუსის მეწამულს, შარდის ბუშტის მწვანესა და, სულ ოდნავ, ქრომისფერ ლურჯს შორის მერყეობდა.

– რა არის? – ჰკითხა ექიმმა.

– ნაყენი? – უპასუხა ნიკოლამ.

– მესმის, – თქვა ექიმმა, – მაგრამ, რა დანიშნულებისაა?

– ჯანზე მომყვანია! – თქვა ნიკოლამ.

ექიმმა ჭიქა ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა, აინთო, შეისუნთქა და მოყ-  
ლუპა. უცებ, საექიმბაშო ჩანთა ძირს დააგდო და მუცელი ორივე ხელით  
დაიჭირა.

– როგორია, ჰა? – ჰკითხა ნიკოლამ.

– უჰ,? მაგარია, – თქვა ექიმმა, – არის ამაში რაღაც ფეხების გამფშე-  
კი? თქვენ ვეტერინარი ბრძანდებით?

– არა, – თქვა ნიკოლამ, – მზარეული. ჰო, მოკლედ, კარგია. – არა  
უშავს! – თქვა ექიმმა, – შემაჭიკჭიკა.

– მობრძანდით ავადმყოფის სანახავად, – თქვა ნიკოლამ, – უკვე დე-  
ზინფეცირებული ხართ.

ექიმი გზას გაუღდა, მაგრამ მხარი ეცვალა. ჩანდა, ძლივძლივით  
იმორჩილებდა მოძრაობებს.

– ერთი ეს მითხარით, – თქვა ნიკოლამ, – ხომ ძალგიძთ გამოკვლევის  
ჩატარება, ჰა?

– კაი ერთი? – თქვა ექიმმა, – უბრალოდ, კოლეგის აზრი მჭირდებო-  
და, ამიტომ მანუქმანუს ვთხოვე მოსულიყო?

– კეთილი! – თქვა ნიკოლამ, – მაშინ აქეთ მობრძანდით? და უკანა  
კიბის კარი გაუღო.

– სამ სართულს ჩაივლით და მარჯვნივ გაუხვევთ. შეხვალთ და იქა  
ხართ?

– კეთილი! – თქვა ექიმმა.

რამდენიმე საფეხური ჩაიარა და უცებ გაჩერდა.

– კი მაგრამ, სადა ვარ?

– მანდ! – ჩასძახა ნიკოლამ.

– აჰ!? კეთილი!? – თქვა ექიმმა.

ნიკოლამ კარი მიხურა. ამ დროს კოლენიც გამოჩნდა. – რა იყო? –  
იკითხა მან.

– ვილაც ექიმი. იდიოტის სახე ჰქონდა და თავიდან მოვიშორე. – მაგრამ ექიმი ხომ მაინც საჭიროა, – თქვა კოლენმა. – რასაკვირველია! – თქვა ნიკოლამ, – მანჟმანში უნდა მოვიდეს.

– ეგრე ჯობს! – თქვა კოლენმა.

ზარი ხელახლა დაირეკა.

– ფეხი არ მოიცვალა, – თქვა კოლენმა, – მე გავაღებ. დერეფანში ფეხიდან თავი ააცოცდა და მარჯვენა მხარზე დაასკუპდა. კოლენმა ნაბიჯს აუჩქარა და პროფესორს კარი გაუღო.

– გამარჯობა, – თქვა ამ უკანასკნელმა.

შავებში იყო გამოწყობილი და ჭყეტელა ყვითელი პერანგი ეცვა.

– ფიზიოლოგიურად, შავ ფონზე ყვითელი მაქსიმალურ კონტრასტს ქმნის. დაგუმატებ, რომ თვალს არ ღლის და ქუჩაში მანქანის ქვეშ მოხვედრისაგან გიცავს, – განაცხადა მან. – ნამდვილად! – კვერი დაუკრა კოლენმა.

პროფესორი მანჟმანში ჰა, ჰა, ორმოცი წლისა იქნებოდა. ამდენს, თითქოს, კი აიტანდაო. მეტს ვერა, ვერცერთს. უბალნო სახე პატარა, წვეტიანი წვერითა და ექსპრესიული სათვალით შეემკო.

– შემობრძანდებით, ხომ? – შესთავაზა კოლენმა.

– არ ვიცი, – თქვა პროფესორმა, – ვცოყმანობ.

ბოლოს მაინც გადაწყვიტა, გაჰყოლოდა.

– ვინ არის ავად?

– კლოე, – თქვა კოლენმა.

– აჰ! – თქვა პროფესორმა, – ეს ერთ სიმღერას მაგონებს? – დიახ, – თქვა კოლენმა, – ზუსტად ეგ არის.

– კეთილი!? – დაასკვნა მანჟმანმა, – წავიდეთ. უფრო ადრე უნდა გეთქვათ. რა სჭირს?

– არ ვიცი, – თქვა კოლენმა.

- არც მე, - აღიარა პროფესორმა, - ეხლა სწორედაც რომ ამის თქმა შემიძლია თქვენთვის.

- მაგრამ გეცოდინებათ, არა? - ჰკითხა შეფიქრებულმა კოლენმა.

- შესაძლებელია, - ეჭვნარევი ხმით უთხრა პროფესორმა მანჟიმანშმა, - ამისათვის, ჯერ უნდა განვსინჯო.

- მაშ, მობრძანდით! - უთხრა კოლენმა.

- რა თქმა უნდა! - თქვა პროფესორმა.

კოლენი მას კარამდე მიუძღვა და უცებ რაღაც გაახსენდა. - შესვლის დროს ყურადღებით იყავით, - თქვა მან, - მრგვალია.

- დიახ, მაქვს საამისო ჩვევები, - თქვა მანჟიმანშმა, - ორსულადაა?

- არა, არა! - თქვა კოლენმა, - რა იდიოტი ხართ. ოთახია მრგვალი.

- სულ მრგვალი? - იკითხა პროფესორმა, - ეტყობა, ელინგტონის რომელიღაც ფირფიტა მოგისმენიათ?

- დიახ, - თქვა კოლენმა.

- მეც მაქვს მისი რაღაცეები სახლში, - თქვა მანჟიმანშმა, - იცნობთ Slap Happy-ს?

- მე მირჩევნია? - დაიწყო კოლენმა? და გაახსენდა კლოე, რომელიც მას ელოდებოდა და პროფესორი ოთახში შეეგდო. - გამარჯობა! - თქვა პროფესორმა. კიბე აიარა.

- გამარჯობა, - უპასუხა კლოემ, - როგორ ბრძანდებით? - ღმერთო ჩემო, - უპასუხა პროფესორმა, - ხანდახან ღვიძლი მაწუხებს ხოლმე. ხომ იცით, ეს რა არის.

- არა, - თქვა კლოემ.

- რა თქმა უნდა! - უპასუხა პროფესორმა, - თქვენ ნამდვილად არა გაქვთ ავადმყოფი ღვიძლი.

კლოეს მიუახლოვდა და ხელი დაადო.

- ცოტა ცხელია, ჰა??

– მე ვერა ვგრძნობ.

– ღიახ, – თქვა პროფესორმა, – მაგრამ ცდებით.

საწოლზე ჩამოჯდა.

– გაგსინჯავთ, თუ არ გეზარებათ.

– გთხოვთ, – თქვა კლოემ.

პროფესორმა თავისი აბგიდან გამაძლიერებლიანი სტეტოსკოპი ამოიღო და კაფსულა ზურგზე დაადო კლოეს. – დაითვალეთ, – თქვა მან.

კლოემ დაითვალა.

– ეგრე არ გამოვა, – თქვა ექიმმა, – ოცდაექვსის მერე ოცდაშვიდია.

– ღიახ, – თქვა კლოემ, – მაპატიეთ.

– სხვათაშორის, კმარა, – თქვა ექიმმა, – გახველებთ. – ღიახ, – თქვა კლოემ და დაახველა.

– რა სჭირს, ექიმო? – ჰკითხა კოლენმა, – რამე სერიოზულია? – ჰოო-ო? – თქვა პროფესორმა, – რაღაცა აქვს მარჯვენა ფილტვში. მაგრამ, არ ვიცი, რა.

– ანუ? – იკითხა კოლენმა.

– უფრო სრულყოფილი გასინჯვისათვის საჭიროა, ჩემთან მოვიდეს, – თქვა პროფესორმა.

– მაინცა და მაინც არ მინდა, რომ ადგეს, ექიმო, – თქვა კოლენმა, – უცბად ცუდად რომ გახდეს, დღევანდელივით? – არა, – თქვა ექიმმა, – სერიოზული არაფერია. რეცეპტს მოგცემთ; უნდა დაიცვათ.

– რასაკვირველია, ექიმო, – თქვა კლოემ.

ხელი პირზე მიიფარა და ხველება აუტყდა.

– ნუ ახველებთ, – თქვა მანქმანშმა.

– ნუ ახველებ, ძვირფასო, – თქვა კოლენმა.

– ვერ ვიკავებ თავს, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა კლოემ. – უცნაური მუსიკა ისმის მის ფილტვში, – თქვა პროფესორმა. ოდნავ მოწყენილი იერი ჰქონდა.

– მერე ნორმალურია ეს, ექიმო? – ჰკითხა კოლენმა. – გარკვეულ დრომდე? – უპასუხა პროფესორმა.

თავის პატარა წვერი ქვევით დასწია. წვერი ხმელი ტკაცანით დაბრუნდა თავის ადგილას.

– როდის მოვიდეთ თქვენ სანახავად, ექიმო? – ჰკითხა კოლენმა.

– სამ დღეში, – თქვა პროფესორმა, – აპარატურა უნდა გავმართო.

– ყოველდღიურად არ იყენებთ? – იკითხა თავის მხრივ კლოემ.

– არა, – თქვა პროფესორმა, – თვითმფრინავების მცირე მოდელების აგება ბევრად მირჩევნია, მაგრამ უამრავი მომკითხავი მყავს, ამიტომ, ავერ უკვე ერთი წელია, ერთსა და იმავეზე ვარ და ვერა და ვერ გამოვნახე დრო დასამთავრებლად. გამაღიზიანებელია, ყველაფერს რომ თავი დაანებო.

– უთუოდ, – თქვა კოლენმა.

– ნამდვილი ზვიგენები არიან? – თქვა პროფესორმა, – მე ჩემს თავს თანაგრძნობით ვადარებ გემის დალუპვის შემდეგ ტივზე მოხვედრილ იმ უმწეო არსებას, რომელსაც ეს გაუმაძლარი ურჩხულები გაფაციცებით უთვალთვალევენ, ჩათვლემს თუ არა, არიქა, დავეძგეროთ და ეს ციციქნა ტივიც გადავუყირავოთო. – ლამაზი სურათი დახატეთ, – თქვა კლოემ და ისევ ხველება რომ არ ასტყდომოდა, ნაზად გაიცინა.

– ფრთხილად, ჩემო პატარავ, – უთხრა პროფესორმა და ხელი მხარზე დაადო, – ეს სრულიად ტუტუცური სურათია, ვინაიდან, 1944 წლის 15 ოქტომბრის სამოქალაქო განაშენიანების მიხედვით, და ახლანდელი შეხედულების საწინააღმდეგოდ, ზვიგენტა ოცდათხუთმეტი ცნობილი სა-

ხეობიდან მხოლოდ და მხოლოდ სამი თუ ოთხი თუა კაციჭამია! ამასთანავე, ისინი გაცილებით ნაკლებად უტევენ ადამიანს, ვიდრე ადამიანი – მათ.

– რა კარგად ლაპარაკობთ, ექიმო, – აღფრთოვანება ვერ დაფარა კლოემ.

ძალიან მოსწონდა ეს ექიმი.

– მე კი არა, სამოქალაქო განაშენიანება ლაპარაკობს კარგად, – თქვა ექიმმა, – ეხლა კი, უნდა დაგტოვოთ. კლოეს მარჯვენა ლოყაზე აკოცა, მხარზე ხელი მოუტყაპუნა და პატარა კიბეს ჩაუყვა. გზაში მარჯვენა ფეხი მარცხენაში გაებლანდა, მარცხენა – მოაჯირის ბოლო რიკულში, და ბრაგვანი გაადინა.

– უცნაური განლაგება გქონიათ! – ზურგის ღონიერი ზელით შესჩივლა კოლენს.

– მაპატიეთ, – უთხრა კოლენმა.

– თანაც, – დაუმატა პროფესორმა, – ამ სფერულ ოთახს აქვს რაღაც დამორგუნველი. სცადეთ Slap Happy, ალბათ თავის ადგილას დააბრუნებს ოთახს, თუ არადა, გააშალაშინეთ. – ასეც მოვიქცევით, – თქვა კოლენმა, – რას იტყოდით პატარა აპერიტივზე?

– ყაბულს ვარ, – თქვა პროფესორმა. – ნახვამდის, ჩემო პატარავ, – ოთახიდან გასვლის წინ მიაძახა კლოეს. კლოე ისევ იცინოდა. ქვევიდან თუ შეხედავდით, დაბალ, დიდ საწოლზე ისე წამომჯდარიყო, როგორც ელექტრონული ნათურით გვერდიდან განათებულ საზეიმო ესტრადაზე. სინათლის სხივები თმაში ისე ატანდა, როგორც მზე ქორფა ბალახში, და მის კანზე არეკლილი სინათლე საგნებს ოქროსფრად ეფინებოდა.

– ლამაზი ცოლი გყოლიათ, – უთხრა პროფესორმა კოლენს მოსაცდელ ოთახში.

– დიახ, – თქვა კოლენმა.

და უცებ ატირდა, რადგან იცოდა, რომ კლოეს სტკიოდა. – კარგი რა? – თქვა პროფესორმა, – უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ? ვხედავ, თქვენი დამშვიდება მომიწევს. ნახეთ?

პიჯაკის შიდა ჯიბე მოიქექა და იქიდან წითელტყავადაკრული პატარა წიგნაკი დააძრო.

– შეხედეთ. აი ჩემი.

– თქვენი? – იკითხა კოლენმა, რომელიც თავს ძალას ატანდა, რომ დამშვიდებულიყო.

– ჩემი ცოლი! – აუხსნა პროფესორმა.

და კოლენმა გადაშალა წიგნაკი და უნებლიეთ ახარხარდა. – ესეც ესე, – თქვა პროფესორმა, – არასოდეს უმტყუნია. ყველა მხიარულობს. კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რა აქვს ასეთი სასაცილო?

– მე? მე არ? არ ვიცი, – წაიბლუყუნა კოლენმა, სიცილისაგან თავი ვერაფრით შეიკავა და, მისი მოუგერიებელი შეტევის მსხვერპლივით, უღონოდ ჩაიკეცა.

პროფესორმა წიგნაკი გამოართვა.

– ყველანი ერთნაირები ხართ, – თქვა მან, – თქვენ გგონიათ, რომ ქალები აუცილებლად ლამაზები უნდა იყვნენ. აბა, აპერიტივი, მოდის?



## თავი ოცდამეთხუთმეტე

კოლენმა, რომელსაც უკან შიკი მოჰყვებოდა, აფთიაქის კარი შეაღო. ძინგ, გაისმა და კარის შუშა კოლებებისა და ლაბორატორიულ ხელსაწყოთა რთულ სისტემას თავზე დაეფშვნა.

გამოჩნდა ხმაურისაგან შეშფოთებული გამყიდველიც. იგი დიდი იყო, ბებერი და გამხდარი, და კინკრიხოზე თეთრი, გაბურძნული ფაფარი დაეკოსებინა.

დახლთან მიიჭრა, ტელეფონს ეკვეთა და ისეთი სისწრაფით აკრიფა ნომერი, როგორც მხოლოდ ხანგრძლივი ჩვევის შედეგად მიიღწევა.

– ალო? – თქვა მან. ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ნისლში გზის გამკვლევ საყვირში ჩაბერაო. მის გრძელ, შავ და ბრტყელ ტერფებქვეშ იატაკი წინ და უკან თანაბრად იზნიქებოდა და თაროებიდან შხეფების პაკეტები დახლზე ჩანჩქერივით ეშვებოდა.

– ალო? გერშინების სახლია? შეგიძლიათ შემოსასვლელ კარში შუშა ჩამისვათ? თხუთმეტ წუთში? მალე ქენით, თორემ, ამასობაში, შეიძლება სხვა კლიენტი მოვიდეს. კეთილი. ყურმილი რის ვაი-ვაგლახით დაკიდა.

– ბატონებო, რა შემიძლია თქვენთვის?

– ეს რეცეპტი აღასრულოთ? – უკარნახა კოლენმა.

მეაფთიაქემ ქალაღდი გამოართვა, ორად გაკეცა, დააგრძელა, და-ავიწროვა და სამაგიდო პატარა გილიოტინაში შეყო.

– ესეც ესე, – თქვა მან და წითელ ღილაკს თითი დააჭირა. გილიოტინის დანა ჩამოვარდა და რეცეპტი მოდუნდა და დაძაბუნდა.

– მწუხრის ექვს საათზე გამოიარეთ, თქვენი წამლები მზად იქნება.

– საქმე ის გახლავთ, რომ ძალიან გვეჩქარება, – თქვა კოლენმა.

– ჩვენ ეხლავე გვინდა ეს წამლები, – დაუმატა შიკმა. – მაშინ, თუ დაიცდით, ეხლავე დავამზადებ ყველაფერს, – უპასუხა გამყიდველმა.

კოლენი და შიკი დახლის ზუსტად პირდაპირ მდგარ მეწამულხანავერ-დგადაკრულ გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ და დაელოდნენ. გამყიდველი დახლის უკან ჩაიკუზა და ოთახი შენიღბული კარით, თითქმის უჩუმარი ხოხვით დატოვა. პარკეტზე მისი გრძელი და გამხდარი სხეულის ნაცხი ჯერ გამკრთალდა, შემდეგ კი ჰაერში გაიფანტა.

ისინი კედლებს უყურებდნენ. მწვანე ჟანგმოდებული სპილენძის გრძელ თაროებზე უბრალო წამლებისა და უებარი მალამოების შემცველი ფიალები ჩაემწკრივებინათ. ყოველი მწკრივის ბოლო ფიალაში კომპაქტური ფლუორესცენცია ციალებდა. სქელი და დაჭმული მინის ერთ-ერთ კონუსურ ჭურჭელში პუტკუნა თავკომბალები ქვევით ჩამავალი სპირალივით ტრიალებდნენ და, ფსკერს აღწევდნენ თუ არა, შურდულივით ამოდოდნენ ზედაპირზე. შემდეგ თავიდან იწყებდნენ თავიანთ ექსცენტრულ ბრუნვას და უკან შესქელებული წყლის მოთეთრო, ქაფიან კვალს ტოვებდნენ. გვერდით, მრავალი მეტრის სიგრძის აკვარიუმის

ფსკერზე, გამყიდველს საქმენებიანი ბაყაყების გამოსაცდელი ასპარეზი მოეწყო. აქა-იქ რამდენიმე გამოუსადეგარი ბაყაყი ეგდო, რომლებსაც სუსტად, მაგრამ ჯერ კიდევ უფეთქავდათ ოთხივე გული.

შიკისა და კოლენის უკან ვრცელი ფრესკა გადაჭიმულიყო, რომელზეც ცეზარ ბორჯიას მეკობრეობისდროინდელ კოსტიუმში გამოწყობილი წამლების გამყიდველი თავის დედასთან მრუმობის მომენტში იყო გამოსახული. მაგიდებზე აბების დასამზადებელი უთვალავი მანქანა იდგა, რომელთაგან, მართალია შენელებულად, მაგრამ ზოგიერთი მაინც მუშაობდა. ლურჯი მინის ყელიდან გამომავალ აბებს ქვევით ცვილის ხელები ხვდებოდნენ და დანაკეცებული ქალაღის პარკუჭებში ათავსებდნენ.

კოლენი უახლოესი მანქანის დასათვალიერებლად წამოდგა და დაქანებული დამცველი სარქველი ახადა. შიგნით ნახევრად ხორცის, ნახევრად ლითონის რაღაც ცხოველი თავდაუზოგავად ყლაპავდა ნედლეულს და თანაბარ ბურთულებად გამოყოფდა. – მოდი, ნახე, შიკ, – უთხრა კოლენმა.

– რა? – ჰკითხა შიკმა.

– ძალიან საინტერესოა? – თქვა კოლენმა.

შიკმა ჩახედა. მხეცს წაგრძელებული ღრანჭი ება, რომელსაც სწრაფად და გვერდულად იქნევდა. გამჭვირვალე კანის ქვეშ წვრილი ფოლადის მილისებრი ნეკნები და ზანტად მოძრავი საყლაპავი მილი მოუჩანდა.

– გადაკეთებული კურდღელია, – თქვა შიკმა.

– შენ გგონია?

- ეგეთი რალაცეები ხშირია, - თქვა შიკმა, - იმ ფუნქციას უნარჩუნებენ, რომელიც სჭირდებათ. აი, მაგას მონელების ქიმიური მხარე მოაშორეს და საყლაპავი მილის მოძრაობები დაუტოვეს. ესე ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ჩვეულებრივი მკვალავით აბების გაკეთება.

- რას ჭამს? - იკითხა კოლენმა.

- ქრომირებულ სტაფილოებს, - უპასუხა შიკმა, - იმ ქარხანაში ამზადებდნენ, მე რომ ვმუშაობდი ლიცეუმის დამთავრების მერე. თან, აბების შემადგენელ ნივთიერებებსაც აძლევენ.

- ძალიან კარგად არის მოფიქრებული!- თქვა კოლენმა, - და ძალიან ლამაზ აბებსაც აკეთებს.

- ხო, - თქვა შიკმა, - და ძალიან მრგვალებია.

- ერთი ეს მითხარი, - უთხრა კოლენმა და დასაჯდომად მიბრუნდა.

- რა? - ჰკითხა შიკმა.

- რამდენი დაგრჩა იმ ოცდახუთი ათასი დუბლეზონიდან, მე რომ მოგეცი წასვლამდე?

- ისაა? - უპასუხა შიკმა.

- დროა, რომ აილო, და გადაწყვიტო ალიზის მოყვანა. ძალიან იტანჯება ასე, ეხლა როგორცა ხართ?

- ხო? - უპასუხა შიკმა.

- ბოლოს და ბოლოს, ოცი ათასი დუბლეზონი ხომ მაინც დაგრჩა? ჰოდა, საქორწინოდ საკმარისია?

- საქმე ის არის, რომ? - დაიწყო შიკმა.

და გაჩერდა, რადგან ენა არ უტრიალდებოდა.

- საქმე ის არის, რომ რა? - ჩააცივდა კოლენი, - შენ გარდა სხვასაც ბევრსა აქვს ფულადი სირთულეები.

- ჰო, ვიცი, - თქვა შიკმა.

- აბა, რა?? - ჰკითხა კოლენმა.

– ის რომ, სამი ათას ორასი დუბლეზონილა დამრჩა, – თქვა შიკმა.

კოლენი ძლიერ დაღლილობას გრძნობდა. თავში მოქცევის ტალღის ხმით წვეტიანი და ბუნდოვანი რაღაცეები უტრიალებდა. გახევებული იჯდა.

– დაუჯერებელია? – თქვა მან.

ისეთი ილაჯგამოცლილი იყო, თითქოს დაბრკოლებებიან დოღზე მათრახების ტყლაშუნით აჭენესო.

– დაუჯერებელია? – გაიმეორა მან, – შენ ალბათ მეხუმრები. – არა, – თქვა შიკმა.

შიკი იდგა და ფრჩხილით უახლოესი მაგიდის კუთხეს კაწრავდა. მინის ყელში აბები ჩხრიალით მოგორავდა, ხოლო ცვილის ხელებში ქალღი ისე იჭმუჭნებოდა, რომ გვიან პალეოლითური რესტორნების ატმოსფერო იქმნებოდა.

– კი მაგრამ, რა უყავი? – ჰკითხა კოლენმა.

– პარტრები ვიყიდე? – თქვა შიკმა.

ჯიბეები მოიჩხრიკა.

– აი, ნახე. გუშინ ვიშოვე. სასწაული არ არის?

კიერკეგორის დანართებიანი, გაქუცულ ტარსიკონგადაკრული ყვავილების ბოყინი იყო. კოლენმა წიგნი გამოართვა და დაათვალიერა, მაგრამ გვერდებს ვერ ხედავდა. წინ ალიზის თვალები ედგა, ქორწილის დღეს სევდიანად აღტაცებულ მზერას რომ ავლებდა კლოეს კაბას. მაგრამ შიკს ამის გაგება არ შეეძლო. თვალებს შიკი არასოდეს ასე მალლა არ სწევდა.

– აბა, რა გითხრა? – ჩაიჩურჩულა კოლენმა, – ესე იგი, სულ დახარჯე?

– გასულ კვირას მისი ორი ხელნაწერი ჩამივარდა ხელში, – თქვა შიკმა. ხმა თავშეკავებული გზნებით უყლერდა, – და უკვე შვიდი მოხსენება ჩავიწერე ფირზე?

– ხო? – თქვა კოლენმა.

– რატომ მეკითხები მაგას? – ჰკითხა შიკმა, – ალიზისთვის სულერთია, შევირთავ თუ არა. ასეც ბედნიერია. ძალიან მიყვარს, ხომ იცი, და თან, მაგასაც უზომოდ უყვარს პარტრი. ერთ-ერთმა მანქანამ თითქოს აიწყვიტაო, აბებს ტყვიებივით ისროდა ქალაქის პარკუჭში და თან იისფერ ნაბერწკლებს ყრიდა.

– რა ხდება? – იკითხა კოლენმა, – საშიშია?

– არა მგონია, – თქვა შიკმა, – ყოველ შემთხვევაში, გვერდით მაინც ნუ გავჩერდებით.

შორს კარის დახურვის ხმა გაისმა და დახლის ქვევიდან წამლების გამყიდველი ამოტყვრა.

– გალოდინეთ? – თქვა მან.

– არა უშავს, – დაამშვიდა კოლენმა.

– უშავს! – თქვა გამყიდველმა, – განგებ ვქენი, ჩემი მნიშვნელოვნებისთვის.

– ერთ-ერთმა თქვენმა მანქანამ, როგორც ჩანს, აიწყვიტა? – უთხრა კოლენმა და ზემოხსენებულ მოწყობილობაზე მიუთითა. – აჰ? – თქვა წამლების გამყიდველმა.

დაიხარა, დახლის ქვეშიდან კარაბინი გამოიღო, მხარზე წყნარად მიიღო და გაისროლა. მანქანა ჰაერში ატრიალდა და ძირს ფართხალით დაეშვა.

– არაფერია, – თქვა გამყიდველმა, – დრო და დრო კურდღელი იმარჯვებს ხოლმე ფოლაღზე და განადგურებაა საჭირო.

მანქანა აიღო, იქიდან წვენი გამოსაწურად ქვედა სარქველს დააწვა და ლურსმანზე ჩამოკიდა.

– აი თქვენი წამლები, – თქვა მან და ჯიბიდან კოლოფი ამოიღო. – ფრთხილად იყავით, ძალიან აქტიურია. ღოზას არ გადააჭარბოთ.

- აჰ?- თქვა კოლენმა, - და,თქვენი აზრით, ეს რისთვის არის? - ვერ გეტყვით? - უპასუხა გამყიდველმა.

და თეთრ ფაფარში ტალღოვანფრჩხილებიანი გრძელი ხელი გაიტარა.

- ბევრი რამისთვის შეიძლება იყოს? - დაასკვნა მან, - მაგრამ ჩვეულებრივი მცენარე დიდხანს ვერ გაუწევს ამას წინააღმდეგობას.

- აჰ? - თქვა კოლენმა, - რამდენი მმართველს თქვენი?? - ძალიან ბევრი? - თქვა გამყიდველმა, - გირჩევთ, ცემით მომკლათ და ფულის გადაუხდელად წახვიდეთ.

- ოჰ, - თქვა კოლენმა, - ძალიან დაღლილი ვარ.

- მაშინ, ორი დუბლეზონი, - თქვა გამყიდველმა.

კოლენმა საფულე ამოიღო.

- იცით, - თქვა გამყიდველმა, - ეს ნამდვილი ძარცვაა. - სულ ერთია ჩემთვის, - მკვდარი ხმით თქვა კოლენმა. გადაიხადა და წამოვიდა. შიკი გამოჰყვა.

- სულელი ხართ, - უთხრა წამლების გამყიდველმა და კარამდე მიაცილა. - მე ბებერი და უძლური ვარ.

- დრო არა მაქვს? - ჩაიჩურჩულა კოლენმა.

- ეგ არ არის მართალი, - თქვა გამყიდველმა, - ცოტა ხნის წინ სულაც არ გეჩქარებოდათ.

- ეხლა უკვე წამლები მაქვს, - თქვა კოლენმა, - ნახვამდის, ბატონო. ძალების დასაზოგად ქუჩას ირიბად, ცერად მიუყვებოდა. - იცი, - უთხრა შიკმა, - მე ალიზს არ დავმორღები რაკი ცოლად არ ვირთავ?

- ო, - თქვა კოლენმა, - ვერაფერს გეტყვი? ბოლოს და ბოლოს, ეგ შენი საქმეა.

- ასეთია ეს ცხოვრება, - თქვა შიკმა.

- არა, - თქვა კოლენმა.

## თავი ოცდამეთექვსმეტე

ქარი ფოთლებს შორის მიიკვლევდა გზას და ხეებიდან კვირტებისა და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი გამოდიოდა. ხალხი ოდნავ უფრო მალლა დადიოდა და უფრო ძლიერად სუნთქავდა, რადგან ჰაერი უხვად იყო. მზე სხივებს ნელა შლიდა და ისეთ ადგილებში შესაღწევად, სადაც თვითონ პირდაპირ ვერ სწვდებოდა, გაგზავნამდე მათ მომრგვალებული და ქლესა კუთხით ღუნავდა, მაგრამ იქ ძალიან შავ რაღაცეებს აწყდებოდა და, ოქროსფერი რვაფეხას ზუსტი და ნერვიული მოძრაობით, ძალიან სწრაფად წევდა მათ უკან. მისი უზარმაზარი ბრდღვიალა კარკასი თანდათანობით ახლოს მოვიდა, უძრავად დაეკიდა და კონტინენტური წყლების აორთქლებას შეუდგა. ამ დროს საათებმაც სამ-სამჯერ ჩამოპკრეს.

კოლენი რაღაც ამბავს უკითხავდა კლოეს. სასიყვარულო ამბავი იყო და კარგად თავდებოდა. იმ ადგილას იყვნენ გმირი ქალი და კაცი ერთმანეთს წერილებს რომ სწერდნენ.



– რატომაა ასე გრძელი? – იკითხა კლოემ, – ჩვეულებრივ, ბევრად უფრო სწრაფად ხდება ხოლმე.

– შენ რა, ასეთი რალაცეების გამოცდილება გაქვს? – ჰკითხა კოლენმა. და ძლიერად უჩქმიტა მზის ერთ-ერთ სხივს, რომელიც კლოეს თვალთან ლამობდა მიღწევას. სხივი სუსტად გაიზნიქა და ოთახში, ავეჯზე იწყო სეირნობა.

კლოე გაწითლდა.

– არა, გამოცდილება არა მაქვს? – თქვა მორცხვად, – მაგრამ, ასე მგონია?

კოლენმა წიგნი დახურა.

– მართალი ხარ, ჩემო კლოე.

წამოდგა და საწოლს მიუახლოვდა.

– აბის დალევის დროა.

კლოეს გააჟრჟოლა.

– ძალიან უსიამოვნოა, – თქვა მან, – აუცილებელია? – მე მგონი. – თქვა კოლენმა, – დღეს საღამოს ექიმთან მივდივართ და, ბოლოს და ბოლოს, გავიგებთ, რა გჭირს. ეხლა კი, აბები უნდა დალიო. მერე შეიძლება სხვა რამე მოგცეს. – საშინელებაა, – თქვა კლოემ.

– იყავი გონიერი.

– აბს რომ ვსვამ, თითქოს ორი მხეცი იბრძვის ჩემს მკერდში. თანაც, არ არის მართალი. არ უნდა იყო გონიერი.

– შეიძლება ყოველთვის არა, მაგრამ, ხანდახან საჭიროა, – თქვა კოლენმა.

და პატარა კოლოფი გახსნა.

– ბინძური ფერი აქვთ, – თქვა კლოემ, – და ცუდი სუნი უდით. – უცნაურები არიან, ვალიარებ, – თქვა კოლენმა, – მაგრამ უნდა დალიო.

– შეხედე ერთი, როგორ ფუთფუთებენ, – თქვა კლოემ, – და თან, ნახევრად გამჭვირვალეები არიან. შიგნით ნამდვილად რალაცა ცოცხალია.

– წყალში, მერე რომ აყოლებ, ნამდვილად ვერ ცოცხლობენ დიდხანს, – თქვა კოლენმა.

– რა სისულელეს ამბობ. ეს შეიძლება თევზია.

კოლენს სიცილი აუტყდა.

– მაშინ მოგამაგრებს.

დაიხარა და აკოცა.

– დალიე, ჩემო კლოე, იცი, რა ჭკვიანი გახდები.

– მეც ეგ მინდა, – თქვა კლოემ, – მაგრამ, მაშინ, მერე მაკოცე. – რა თქმა უნდა! – თქვა კოლენმა, – თუ არ გეზიზღება აკოცო ჩემნაირ მახინჯ ქმარს?

– ეგ მართალია, შენ არა ხარ ლამაზი, – თქვა ანცად კლოემ. – რა ჩემი ბრალია.

კოლენმა ცხვირი ჩამოუშვა.

– საკმარისად არ მძინავს, – განაგრძო მან.

– ჩემო კოლენ, მაკოცე, მე ძალიან მახინჯი ვარ. მომეცი ორი აბი.

– ხომ არ გაგიჟდი! – თქვა კოლენმა, – ერთი ცალი. მიდი, გადაყლაპე. კლოემ თვალები დახუჭა, გაფითრდა და ხელი გულთან მიიტანა.

– ესეც ესე, – ძლივს ამოთქვა მან, – ეხლა დამეწყება. მზინავი თმა ოფლის წვეთებით დაეცვარა.

კოლენი გვერდით მიუჯდა და ხელი კისერზე მოხვია. კლოემ მისი ხელი ჩაბლუჯა და ამოიკვნესა.

– წყნარად, ჩემო კლოე, – თქვა კოლენმა, – ასეა საჭირო. – მტკივა? – ჩაიჩურჩულა კლოემ. ქუთუთოების კუთხეებიდან კურცხლები გადმოუგორდა და მრგვალ და ნაზ ლოყებზე ცივი კვალი დაუტოვა.

## თავი ოცდამეჩვიდმეტე

– ფეხები მეკვეთება? – ჩაიჩურჩულა კლოემ.

ორივე ფეხი ძირს გაეშალა და წამოდგომას ლამობდა. – არაფერი არ გამოდის, – თქვა მან, – სულ მთლად დადონდლოებული ვარ.

კოლენი მივიდა და წამოაყენა. კლოე მხრებში მოეჭიდა. – დამიჭირე, კოლენ. ვვარდები.

– წოლამ დაგლალა? – თქვა კოლენმა.

– არა? – თქვა კლოემ, – მაგ შენი ბებერი მეაფთიაქის აბეზმა. სცადა მარტოს გაეგლო, მაგრამ შეტორტმანდა. კოლენმა ხელი სტაცა, თავისკენ მიიზიდა და ერთად დაეცნენ საწოლზე. – ასე კარგადა ვარ, – თქვა კლოემ, – იყავი ესე, ჩემზე. რამდენი ხანია, არ იმას ვვიქნია.

– არ არის საჭირო, – თქვა კოლენმა.

– კი, საჭიროა. მაკოცე. ვარ შენი ცოლი, თუ არა?

– ხარ, – თქვა კოლენმა, – მაგრამ ვერა ხარ კარგად. – ჩემი ბრალი არ არის, – თქვა კლოემ და ტუჩები აუთრთოლდა, თითქოს ტირილს აპირებ-  
სო.

კოლენი მისკენ დაიხარა და ძალიან ნაზად აკოცა, ისე, როგორც ყვა-  
ვილს აკოცებდა.

– კიდევ, – თქვა კლოემ, – და არა მარტო სახეზე. ესე იგი, აღარ გიყ-  
ვარვარ? აღარ გინდა ცოლი?

კოლენმა უფრო მაგრად მიიხუტა. კლოე თბილი და ისეთი სურნელო-  
ვანი იყო, როგორც რბილი ქენძით შეფუთული კოლოფიდან ახლადამო-  
ღებული სუნამოს ფლაკონი.

– ხო? – ზმორვით თქვა კლოემ, – კიდევ?

## თავი ოცდამეთვრამეტე

– დაგვაგვიანდება, – წუხდა კოლენი.

– არაფერია, – უთხრა კლოემ, – შენი საათი გაასწორე. – მართლა არ გინდა, რომ მანქანით წავიდეთ?

– არა? – თქვა კლოემ, – მინდა ქუჩაში გავისეირნო შენთან ერთად.

– კი, მაგრამ კარგა დიდი გზაა გასავლელი!

– არა უშავს? – თქვა კლოემ, – შენ რომ? მაკოცე, ცოტა ხნის წინ, მხნეობა შემმატა. მინდა ცოტა გავიარო.

– მაშინ, ნიკოლას ვეტყვი, რომ მანქანით მოგვაკითხოს, – შესთავაზა კოლენმა.

– ოჰ! როგორც გინდა?

ექიმთან წასასვლელად კლოე ღრმა დეკოლტიანი, ნაზ ცისფერ და მოკლე კაბაში გამოწყობილიყო, ზევიდან ხორხის ტყავის წამოსასხამი მოეცვა და თავზე მის ფერს შეხამებული ქუდი ეხურა. ამ ყველაფერს შეღებილი გველის ტყავის ფეხსაცმელები ასრულებდა.

– მოდი, ფისუნო, – უთხრა კოლენმა.

– ეს ფისო არაა, – შეეპასუხა კლოე, – ხორხია.

– მეტისმეტად ძნელი გამოსათქმელია, – თქვა კოლენმა. ისინი ოთახიდან გავიდნენ და შემოსასვლელში გაიარეს. ფანჯრის წინ კლოე გაჩერდა.

– რა ხდება აქა? რაღაც ნაკლები სინათლე შემოდის, ვიდრე სხვა დროს.

– სულაც არა, – თქვა კოლენმა, – ნახე, რა მზეა.

– არაფერიც, – თქვა კლოემ, – კარგად მახსოვს, მზე ხალიჩის აი, იმ ნახატამდე მიდიოდა ხოლმე, ეხლა კი, მხოლოდ აქამდე მოდის.

– დროს გააჩნია? – თქვა კოლენმა.

– არა, სულაც არა, იმიტომ რომ, ზუსტად ეს დრო იყო? – ხვალ შევხედავთ ამავე საათზე, – თქვა კოლენმა. – აი, ხომ ხედავ, მეშვიდე ხაზამდე მიდიოდა. ეხლა მეხუთესთანაა?

– მოდი? – თქვა კოლენმა, – გვაგვიანდება.

ფილებიანი გასასვლელის დიდი სარკის წინ გავლისას კლოემ თავის თავს გაუღიმა. კოლენს უყვარდა მასთან ერთად სეირნობა. რაც მას სჭირდა, არ შეიძლებოდა რამე სერიოზული ყოფილიყო და, ამას იქით, ისინი ერთად ივლიდნენ სასეირნოდ. კოლენიც დაზოგავდა თავის დუბლუზონებს, რომლებიც, სასიამოვნო ცხოვრების მოსაწყობად, ჯერ კიდევ საკმარისად დარჩენოდა. მერე, შეიძლება ემუშავა კიდევ.

საკეტის ფოლადის ენა გაჩხაკუნდა და კარი ჩაიკეტა. კლოე მის მკლავს ეყრდნობოდა. მოკლე, მსუბუქი ნაბიჯებით მიდიოდა. მის ორ ნაბიჯზე კოლენი თითოს ადგამდა.

– კმაყოფილი ვარ, – თქვა კლოემ, – მზეა და ხეები კარგ სუნს აფრქვევენ.

– აბა რა! – მიუგო კოლენმა, – გაზაფხულია.

– ჰოო? – იკითხა კლოემ და თვალი ეშმაკურად მოჭუტა. მარჯვნივ შეუხვიეს. სამედიცინო უბნამდე რალაც უღიმღამო ნაგებობების ორი კვარტალი კიდევ იყო გასავლელი. ასი მეტრის იქით გამაყურებლების სუნი ეცათ, რომელიც, ძლიერ ქარიან დღეებში ხანდახან კიდევ უფრო შორსაც მიდიოდა. ტროტუარის აგებულება შეიცვალა და ბეტონის წვრილი და მჭიდრო გისოსებით დაფარულ განიერ, ბრტყელ არხად იქცა. გისოსების ქვეშ ეთერგარეული სპირტი მოედინებოდა, რომელსაც ლორწოთი და ჩირქით, ხანდახან კი სისხლით მოთხვრილი ბამბები ჩამოჰქონდა. ამ აქროლად მდინარეს აქა-იქ ნახევრადშედედებულსისხლიანი გრძელი ძარღვები აფერადებდნენ, ხოლო ნახევრადგახრწნილი ხორცის ნაგლეჯები აუჩქარებლად მოტივტივებდნენ და გვერდებშიმომდნარი აისბერგებივით ტრიალებდნენ. ჰაერში მხოლოდ ეთერის სუნი იდგა. დინებას დოლბანდისა და გადასახვევი მასალების გრძელი ზოლებიც მოჰყვებოდნენ და თან მიძინებულ დალალებს შლიდნენ. ყოველი სახლის მარჯვენა მხარეს, საწვიმარი მილიდან უთუოდ რალაც ჩაედინებოდა არხში და, თუ მილის ხვრელს რამდენიმე წამით დააკვირდებოდი, ექიმის სპეციალიზაციის განსაზღვრა სულაც არ იყო ძნელი. ერთგან თვალი გამოცურდა ტრიალ-ტრიალით, რამდენიმე წამით გახედა მათ და ავადმყოფი მედუნასავით რბილი, მოვარდისფრო ბამბის სუფრის ქვეშ უჩუმრად შესრიალდა.

– არ მომწონს აქაურობა, – თქვა კლოემ, – გარემო კი ძალიან ჯანსაღია, მაგრამ სანახაობა ვერ არის სასიამოვნო. – ჰო, – თქვა კოლენმა.

– მოდი, შუა ქუჩაში ვიაროთ.

– კი ბატონო, – თქვა კოლენმა, – მაგრამ, რამე არ დაგვეჯახოს.

– შევცდი, მანქანაზე უარი რომ ვთქვი, – თქვა კლოემ, – ძლივს ვდგავარ ფეხზე.

– შენ კიდევ ბედი გაქვს, მწვავე ქირურგიის კვარტლის ბევრად უფრო აქვთ რომ ცხოვრობს ეს, – თქვა კოლენმა. – გაჩუმდი, – სთხოვა კლოემ, – მალე მივალთ?

უცბად ისევ ხველა აუტყდა და კოლენი გაფითრდა.

– ნუ ახველებ, კლოე? – შეევედრა კოლენი.

– კარგი, ჩემო კოლენ? – თქვა კლოემ და თავი ძლივძლიობით შეიკავა.

– ნუ ახველებ, აი, უკვე მოგედით? აქაა.

პროფესორ მანჟმანშის აბრა წარმოადგენდა უშველებელ ხახას, რომელიც მიწის მთხრელის ნიჩაბს ყლაპავდა. ნიჩაბს მხოლოდ რკინის პირიღა მოუჩანდა. კლოეს ამის დანახვაზე გაეცინა. ნაზად და ძალიან ხმადაბლა, რადგან ეშინოდა, ისევ ხველა არ ამიტყდესო. კედლების მთელ სიგრძეზე პროფესორის სასწაულებრივი მკურნალობის ამსახველი, შუქებით განათებული ფერადი ფოტოები ეკიდა, მაგრამ იმ დროს განათება არ მუშაობდა.

– ხომ ხედავ, – თქვა კოლენმა, – დიდი სპეციალისტია. სხვა სახლებს არა აქვთ ასეთი სრული მორთულობა.

– ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ბევრი ფული აქვს, – თქვა კლოემ.

– ან იმას, რომ გემოვნებიანი ადამიანია, – თქვა კოლენმა, – ნამდვილი ხელოვნებაა.

– ხო, – თქვა კლოემ, – სანიმუშო სასაკლავო მავონებს. შევიდნენ და სულ მთლად თეთრად მოჭიქულ დიდ და მრგვალ ვესტიბიულში აღმოჩნდნენ. ვილაც ექთანი მათკენ გამოემართა.

– გელოდებათ ექიმი? – იკითხა მან.

– დიახ, – უპასუხა კოლენმა, – შეიძლება ცოტა დავაგვიანეთ კიდევ.

– ამას არა აქვს მნიშვნელობა, – დაამზვიდა ექთანმა, – პროფესორი მორჩა დღეს ოპერაციებს. მომყევით.



ისინი მორჩილად გაჰყვნენ უკან და მათი ნაბიჯები მოჭიქულ იატაკზე ხმამაღლა და დანშულად გაისმა. წრიული ტიხრიდან მრავალი კარი გამოდიოდა და ექთანმა ისინი იმ კართან მიიყვანა, რომელზეც ამოზურცული ოქროთი შემცირებულად იყო გამოსახული გარეთა ვეებერთელა აბრა. ექთანმა კარი გამოაღო და გაიწია, გზა დაუთმო. მათ მეორე კარიც გამოაღეს, მძიმე და გამჭვირვალე, და პროფესორის სამუშაო ოთახში აღმორჩნდნენ. ეს უკანასკნელი ფანჯარასთან იდგა და ოპოპანაქსის ხსნარში ჩაწობილი კბილის ჯაგრისით წვერს ისურნელოვანებდა. ხმაურზე შემოტრიალდა და კლოესკენ ხელგამოწვდილი გამოემართა.

– აბა?? როგორ გრძნობთ დღეს თავს?

– საშინელი აბები იყო, – თქვა კლოემ.

პროფესორს სახე ისე მოელუშა, რომ ოქტავონს დაემსგავსა. – საწყენია? – ჩაიჩურჩულა მან, – უკეთესობას მოველოდი. ერთი წუთის განმავლობაში იგი მეოცნებე სახით ერთ ადგილას გაშეშდა, შემდეგ კი გონს მოეგო და შეამჩნია, რომ კბილის ჯაგრისი ისევ ხელში ეჭირა.

– დამიჭირეთ, – უთხრა მან კოლენს, ჯაგრისი ხელში მიაჩეჩა და კლოეს მიუბრუნდა, – დაჯექით, ჩემო პატარავ.

შემდეგ მაგიდას შემოუარა და თვითონაც დაჯდა.

– იცით, – უთხრა მან კლოეს, – რაღაცა გაქვთ ფილტვზე. ფილტვში, უფრო სწორად. მე იმედი მქონდა, რომ ეს იქნებოდა? აღარ დაამთავრა, გაჩერდა და ერთბაშად წამოდგა.

– ლაყობა არაფერს შველის, – თქვა მან, – წამომყევით. სადაც გინდათ, იქ დადეთ ეგ ჯაგრისი, – დაუმატა კოლენის მისამართით, რომელმაც მართლა არ იცოდა, სად წაელო ჯაგრისი.

კოლენმა დააპირა კლოეს და პროფესორს გაჰყოლოდა, მაგრამ იძულებული გახდა ერთგვარი უხილავი და სქელი ბადე გადაეწია, რომელიც

მათ შორის გაჩნდა. გული რაღაც უცნაურ სევდას უგრძობდა და არათანაბრად უჩქროლავდა. დიდი ძალისხმევით გონება მოიკრიბა და მუშტები შეკუმშა. მთელი ძალ-ღონის დაძაბვით რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოახერხა და, შეეხო თუ არა ხელზე კლოეს, ყველაფერმა გაუარა. პროფესორს კლოეს მეორე ხელი ეჭირა და ქრომირებულჭერიან პატარა დარბაზში მიჰყავდა, რომლის მთელი ერთი მხარე რაღაც სლიკინა და ზორბა აპარატს ეკავა.

– მირჩევნია იჯდეთ, – უთხრა პროფესორმა, – დიდხანს არ გაგრძელდება.

მოწყობილობის პირდაპირ, ბროლის ჩარჩოში, წითელი ვერცხლის ეკრანი იყო ჩასმული, ქვედა ნაწილში კი შავი მინანქრის ერთადერთი მარეგულირებელი ღილაკი გამობერილიყო.

– დარჩებით? – ჰკითხა პროფესორმა კოლენს.

– დიახ, მირჩევნია? – უპასუხა კოლენმა.

პროფესორმა ღილაკი გადაატრიალა. კარის ღრიჭოთი და მანქანის ზემოთ დამაგრებული საჰაერო ხვრელით შუქი ოთახიდან ერთ ნათელ ღვარად გაძვრა და ეკრანიც ნელ-ნელა განათდა.

## თავი ოცდამეცხრამეტე

პროფესორი მანჟიმანში კოლენს ზურგზე უტყაპუნებდა ხელს. – ნუ წუხხნართ, ჩემო კარგო, შეიძლება მოგვარდეს.

კოლენი განადგურებული სახით იყურებოდა ძირს. კლოეს მისი ხელი ეჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, მხიარული იერი შეენარჩუნებინა.

– რა თქმა უნდა, – თქვა კლოემ, – ეს დიდხანს არ იქნება. – ნამდვილად? – ჩაიჩურჩულა კოლენმა.

– ერთი სიტყვით, – დაუმატა პროფესორმა, – თუ ბოლომდე მიჰყვება ჩემს მკურნალობას, ალბათ უკეთ გახდება. – ალბათ? – თქვა კოლენმა.

ისინი მრგვალ და თეთრ ვესტიბიულში იდგნენ და კოლენის ხმა ჰერქვეშ ისე ჟღერდა, თითქოს ძალიან შორიდან მოდისო. – ანგარიშს ნებისმიერ შემთხვევაში გამოგიგზავნით, – დაასკვნა პროფესორმა.

– რა თქმა უნდა, – თქვა კოლენმა, – გმადლობთ მზრუნველობისათვის, ექიმო?

– და თუ უკეთესობა არ იქნა, მოდით ჩემს სანახავად, – თქვა პროფესორმა, – არსებობს სხვა გამოსავალიც – ოპერაცია –, რაც სულ გამოგვრჩა მხედველობიდან.

– რასაკვირველია, – თქვა კლოემ, ხელი კოლენის ხელს მოუჭირა და ამჯერად ქვითინი აუვარდა.

პროფესორი მონდომებით აწვალეზდა თავის წვერს.

– ძალიან უსიამოვნოა? – თქვა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა. გამჭვირვალე კარის მიღმა ექთანი გამოჩნდა და ორჯერ ნაზად მოაკაკუნა. ცხვირწინ კარის სისქეში დატანებული მწვანე წარწერა „მემობრძანდით“ აენტო. – ერთმა ბატონმა მთხოვა, ქალბატონი და ბატონი გააფრთხილე, რომ ნიკოლა აქ არისო.

– გმადლობთ, ლეშუნი, – უპასუხა პროფესორმა, – მიბრძანდით! – დაუმატა მან და ექთანიც წავიდა.

– მაშ ასე, – ჩაიჩურჩულა კოლენმა, – გემშვიდობებით, ექიმო, ნახვამდის.

– ნამდვილად! – თქვა პროფესორმა, – ნახვამდის. თავს მოუარეთ. ეცადეთ სადმე გაემგზავროთ?

## თავი მეორმოცე

– ვერ არის საქმე კარგად? – იკითხა ნიკოლამ ვიდრე მანქანას დაძრავდა.

თეთრ ქურქში გახვეული კლოე ისევ ტიროდა, კოლენს კი მკვდრის ფერი ედო. ტროტუარებიდან ამოსული სუნი სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ეთერის ორთქლი მთელ ქუჩას ავსებდა. – წადი? – უთხრა კოლენმა.

– რა სჭირს? – იკითხა ნიკოლამ.

– ოჰ, – თქვა კოლენმა, – უარესი არ შეიძლება.

უცბადვე მიხვდა, რაც წამოსცდა და კლოეს გახედა. იმ წუთას ის ისე უყვარდა, რომ მზად იყო თავი მოეკლა ამ წინდაუხედაობისათვის.

გულდათუთქული კლოე მანქანის კუთხეში მოკუნტულიყო. მზინავი თმა სახეზე ჩამოშლოდა და ხელით თავის ბეწვის ქუდს აწვალეზდა. უხმოდ, მაგრამ ბავშვივით გულამოსკვნილი ტიროდა.

– მაპატიე, ჩემო კლოე, – უთხრა კოლენმა, – მონსტრი ვარ. მისკენ გადაიწია და გულში ჩაიხუტა. საბრალო, შეშინებულ თვალებს უკოცნიდა და მის მკერდში გულის ყრუ და ნელ ფეთქვას გრძნობდა.

– მოგარჩენთ, – თქვა მან, – რომ ვთქვი, უარესი არ შეიძლება-მეთქი, შენ რომ გვყავხარ ავად, ეგ ვიგულისხმე, რა დაავადებაც არ უნდა იყოს.

– მეშინია? – თქვა კლოემ, – ნამდვილად ოპერაცია დამჭირდება.

– არა, – თქვა კოლენმა, – მანამდე მორჩები.

– რა სჭირს? – გაიმეორა ნიკოლამ, – მე შემიძლია რამე ვქნა? მასაც ძალიან უბედური სახე ჰქონდა. მისი ჩვეული მხნეობა უკვალოდ გამქრალიყო.

– ჩემო კლოე? – სთხოვა კოლენმა, – დამშვიდდი.

– ნამდვილად, – ჩაუბრუნა ნიკოლამ, – ძალიან მალე მორჩება. – სად შეიძლება შეჰყროდა ეს ღუმფარა? – ჰკითხა კოლენმა. – ღუმფარა სჭირს? – ურწმუნოდ იკითხა ნიკოლამ.

– მარჯვენა ფილტვში, – თქვა კოლენმა, – პროფესორს თავიდან ეგონა, მხოლოდ და მხოლოდ რაღაც ცხოველურიყო. მაგრამ ასეა. ეკრანზე დავინახეთ. უკვე საკმაოდ დიდია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევძლოთ მისი მოსპობა.

– აბა რა, – თქვა ნიკოლამ.

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ ეს რა არის, – ამოიქვიითინა კლოემ, – ისეთი მტკივნეულია, როცა მოძრაობს.

– ნუ ტირით, – თქვა ნიკოლამ, – ტირილი არაფერს გიშველით და თქვენ კი დაილღებით.

მანქანა დაიძრა. ნიკოლა ნელა ატარებდა ამ უჩვეულო სახლებს შორის. მზე თანდათანობით ხეების მიღმა ეშვებოდა და ქარიც ძლიერდებოდა.

- ექიმმა, კლოე მთაში წავიდესო, - თქვა კოლენმა, - ამტკიცებს, სიცივე ამ სიბინძურეს მოკლავსო.

- უთუოდ გზაში შეეყარა, - თქვა ნიკოლამ, - სავსე იყო მაგდაგვარი სისაძაგლეებით.

- კიდევ თქვა, კლოეს გარშემო ყოველთვის ყვავილები იყოსო, - დაუმატა კოლენმა, - ის რომ დააფრთხოსო? ვერ ბედავდა ამ საძაგელი მცენარის სახელის წარმოთქმას. - რატომ? - იკითხა ნიკოლამ.

- იმიტომ რომ, ის თუ აყვავდა, მერე სხვებიც გაჩნდებიან, - თქვა კოლენმა, - მაგრამ ჩვენ არ დავაცლით აყვავებას. - სულ ეს არის, მთელი მკურნალობა? - იკითხა ნიკოლამ. - არა, - თქვა კოლენმა.

- აბა სხვა რა?

კოლენი შეყოყმანდა, გაეცა თუ არა პასუხი. გრძნობდა, რომ მასზე მიკრული კლოე ტიროდა და სძულდა ის ტანჯვა, რომელიც მისთვის უნდა მიეყენებინა.

- არ უნდა დალიოს? - თქვა მან.

- რა? - იკითხა ნიკოლამ, - არაფერი?

- ჰო, არაფერი, - უპასუხა კოლენმა.

- როგორ, სულ არაფერი?

- ორი კოვზი დღეში? - ჩაიჩურჩულა კოლენმა.

- ორი კოვზი? - თქვა ნიკოლამ. აღარაფერი დაუმატებია და გზას უსიტყვოდ მიაჩერდა.

## თავი ორმოცდამეერთე

ალიზმა ორჯერ დარეკა და დაიცადა. შესასვლელი კარი ჩვეულებრივზე ვიწრო ეჩვენა. ხალიჩაც თითქოს გახუნებულდათხელებულიყო. კარი ნიკოლამ გაუღო. – გამარჯობა? – მიესალმა ნიკოლა, – მათ სანახავად მოხვედი?

– ხო, – თქვა ალიზმა, – აქ არიან?

– კი, – თქვა ნიკოლამ, – მოდი. კლოე აქ არის.

კარი მიხურა. ალიზი ხალიჩას ათვალიერებდა.

– ნაკლები სინათლეა, ვიდრე წინათ იყო, – თქვა მან, – ნეტა რატომ?

– არ ვიცი, – თქვა ნიკოლამ.

– უცნაურია, – თქვა ალიზმა, – რალაც სურათი არ იყო აქ? – აღარ მახსოვს, – თქვა ნიკოლამ.

ხელი გაუბედავად გადაისვა თმაზე.

– შთაბეჭდილება იქმნება, რომ უწინდებური გარემო აღარ არის, – თქვა მან.



– ხო, – თქვა ალიზმა, – ეგრეა.

კარგ თარგზე გამოჭრილი ყავისფერი კოსტიუმი ეცვა და ხელთ ნარ-  
გიზების დიდი თაიგული ეჭირა.

– შენ კი კარგად გამოიყურები, – უთხრა ნიკოლამ, – ისე, როგორა  
ხარ?

– არა მიშავს, – თქვა ალიზმა, – შიკმა კოსტიუმი მაჩუქა, ხომ ხედავ?

– ძალიან გიხდება, – თქვა ნიკოლამ.

– ბელმა გამიღიმა, – თქვა ალიზმა, – დიუშეს დე ბოვუარს ზუსტად  
ჩემი ზომები აღმოაჩნდა. ხელზეა ნაყიდი. შიკს რალაც ქალაღი უნდო-  
და, რომელიც ერთ-ერთ ჯიბეში იღო, და იყიდა. ნიკოლას შეხედა და და-  
აყოლა:

– შენ ვერა ხარ კარგად.

– ეეჰ, – თქვა ნიკოლამ, – რა ვიცი. ასე მგონია, ვბერდები. – მაჩვენე  
შენი პასპორტი, – სთხოვა ალიზმა.

ნიკოლამ შარვლის უკანა ჯიბე მოიჩხრიკა.

– აჰა? – თქვა მან.

ალიზმა პასპორტი გადაშალა და გაფითრდა.

– რამდენი წლის იყავი? – ხმადაბლა ჰკითხა მან.

– ოცდაცხრის? – უპასუხა ნიკოლამ.

– შეხედე?

ნიკოლამ დაითვალა. ოცდათხუთმეტი გამოდიოდა.

– არ მესმის? – თქვა მან.

– შეცდომა უნდა იყოს, – თქვა ალიზმა, – ოცდაცხრისაზე მეტისას არ  
ჰგავხარ.

– ოცდაერთისას ვგავდი, – თქვა ნიკოლამ.

– ნამდვილად გამოსწორდება ეს ამბავი, – თქვა ალიზმა. – მომწონს  
შენი თმა, – უთხრა ნიკოლამ, – წამო, ნახე კლოე. – ნეტა რა ხდება აქ? –

იკითხა ფიქრებში წასულმა ალიზმა. – ეჰ, – თქვა ნიკოლამ, – კლოეს ავადმყოფობამ ყველას თავგზა აგვირია. ეს მოგვარდება და მეც გავახალგაზრდავდები. იისფერი აბრეშუმის პიჟამასა და დაგვირისტებული სატინის ღია მოჩალისფრო-მოსტაფილოსფრო ხალათში გახვეული კლოე საწოლზე მიწოლილიყო.

გარშემო ბევრი ყვავილი ეწყო. ორქიდები და ვარდები ჭარბობდა. იყო ასევე ჰორტენზიები, მიხაკები, კამელიები, ატმისა და ნუშის ყვავილებიანი გრძელი ტოტები და ჟასმინის ბლუჯები. მკერდი მოეშინვლებინა და ქარვისფერ მარჯვენა ძუძუზე რომელიღაც ყვავილის დიდი ცისფერი გვირგვინი მოუჩანდა. ყვრიმალეები ოდნავ შეჰფაკვლოდა, თვალები მშრალად უბრწყინავდა და მსუბუქი თმა აბრეშუმის ძაფივით დამუხტვოდა. – გაცივდები! – შეჰყვირა ალიზმა, – დაიფარე!

– არა, – ჩაიჩურჩულა კლოემ, – ესეა საჭირო. ესეთია მკურნალობა.

– რა ლამაზი ყვავილებია! – თქვა ალიზმა და მერე კლოეს გასაცინებლად მხიარულად დაუმატა, ალბათ კოტრდება კოლენიო.

– ხო, – ჩაიჩურჩულა კლოემ. და საწყლად გაიღიმა.

– სამსახურს ეძებს, – დააყოლა შემდეგ ხმადაბლა, – მაგიტომ არ არის აქ.

– რატომ ლაპარაკობ ეგრე? – ჰკითხა ალიზმა.

– მწყურია? – უხმოდ თქვა კლოემ.

– მართლა მარტო ორ კოვზს სვამ დღეში? – ჰკითხა ალიზმა. – ხო? – ამოიოხრა კლოემ.

ალიზი დაიხარა და აკოცა.

– ძალიან მალე მორჩები.

– ხო, – თქვა კლოემ, – ხვალ ნიკოლასთან ერთად მივემგზავრები მანქანით.

– და კოლენი? – ჰკითხა ალიზმა.

- რჩება, - თქვა კლოემ, - უნდა იმუშაოს. ჩემი საბრალო კოლენი. აღარა აქვს დუბლეზონები.

- რატომ? - იკითხა ალიზმა.

- ეს ყვავილები? - თქვა კლოემ.

- ის იზრდება? - ჩაიჩურჩულა ალიზმა.

- დუმფარა? - ხმადაბლა ჰკითხა კლოემ, - არა, მე მგონი, მალე წავა?

- ესე იგი, კმაყოფილი ხარ?

- კი, - თქვა კლოემ, - მაგრამ, რომ იცოდე, როგორ მწყურია. - რატომ არ ანთებ? - ჰკითხა ალიზმა, - ძალიან ბნელა აქ. - ეს ბოლო ხანები ეგრეა, - თქვა კლოემ, - ვერაფერს იზამ. სცადე.

ალიზმა ამომრთველი გადაატრიალა და ლამპის გარშემო სუსტი თეთრი შუქი აკიაფდა.

- იხოცებიან ლამპები? - თქვა კლოემ, - კედლებიც დავიწროვდნენ. ფანჯარაც, აი აქ.

- მართლა? - იკითხა ალიზმა.

- შეხედე.?

დიდი შემინული სარკმელი, რომელიც კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა, ორ წაგრძელებულ და კიდებში მომრგვალებულმართკუთხედსლა თუ იკავებდა. სარკმლის შუაში ყვავილის ერთგვარი ყუნწი გაჩენილიყო, რომელიც ორივე კიდეს აერთებდა და მზეს გზას უღობავდა. ჰერრიც შესამჩნევად დადაბლებულიყო და შემალღება, სადაც კოლენისა და კლოეს საწოლი იდგა, იატაკიდან ისე შორს აღარ იყო.

- როგორ შეიძლება ესეთი რამ მოხდეს? - იკითხა ალიზმა. - არ ვიცი? - თქვა კლოემ, - შეხედე, ცოტა განათდა. შავულვამებიანი თაგვი შემოსულიყო და სამზარეულოს დერეფნის ერთ-ერთი ფილის პატარა ნატეხი მოჰქონდა, რომელიც ძლიერ შუქს აფრქვევდა.

- ჩამობნელდება თუ არა, ასე შემოაქვს ხოლმე, - აუხსნა კლოემ.

და მიუალერსა პატარა ცხოველს, რომელმაც ნადავლი სასთუმლის მაგიდაზე დაუდო.

– რა კარგი ქენი, ჩემ სანახავად რომ მოხვედი, – უთხრა კლოემ.

– ოჰ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, – თქვა ალიზმა. – ვიცი, – თქვა კლოემ, – შიკი როგორაა?

– ეჰ, არა უშავს, – თქვა ალიზმა, – კოსტიუმი მიყიდა. – ლამაზია, – თქვა კლოემ, – ძალიან გიხდება.

გაყურდა.

– გტკივა, ჩემო საბრალოვ? – ჰკითხა ალიზმა.

დაიხარა და კლოეს ლოყაზე მიეალერსა.

– კი? – ამოიკვნესა კლოემ, – და როგორ მწყურია!

– მესმის, – თქვა ალიზმა, – რომ გაკოცო, ისე ძალიან აღარ გეწყურება.

– ხო, – თქვა კლოემ.

ალიზი მისკენ დაიხარა.

– ოჰ! – ამოიოხრა კლოემ, – რა ნაზი ტუჩები გაქვს? ალიზმა გაიღიმა. თვალები სველი ჰქონდა.

– საით აპირებ? – ჰკითხა მან.

– არც ისე შორს, – თქვა კლოემ, – მთაში.

და მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა.

– ძალიან გიყვარს შიკი?

– კი, – თქვა ალიზმა, – მაგრამ იმას თავისი წიგნები ურჩევნია. – რა ვიცი, – თქვა კლოემ, – შეიძლება მართლა ესეა. მე რომ არ გავყოლოდი კოლენს ცოლად, ძალიან მენდომებოდა, რომ სწორედ შენ გეცხოვრა მასთან ერთად.

ალიზმა კიდევ აკოცა.

## თავი ორმოცდამეორე

შიკი მალაზიიდან გამოვიდა. შიგნით არაფერი იყო მისთვის საინტერესო. მიაბიჯებდა და თან თავის ყავისფერ-წითელი ტყავით შემოსილ ფეხებს დაჰყურებდა. გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ ერთი ერთ მხარეს მიეწეოდა, მეორე კი – ძალიან საპირისპირო მიმართულებით. რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, გონებაში კუთხის ბისექტრისა ააგო და სწრაფად მიჰყვა ამ ხაზს. გზაში ერთ სქელ და გათქვირულ ტაქსის კინალამ ბორბლებქვეშ შეუვარდა და თავი მოხდენილი სკუპით იხსნა, მაგრამ ველარ მოზომა და ფეხებზე დაახტა ვიღაც გამგლეუს, რომელმაც ერთი შეიგინა და სამკურნალოდ საავადმყოფოში შევიდა.

შიკმა სვლა განაგრძო და პირდაპირ წიგნების მალაზიას შეეფეთა. ეს ჯიმი ნუნის ქუჩა იყო და აბრა ლულუ ვაიტის მეჰოგანი ჰოლის მიბაძვით მოეხატათ. კარს მიაწვა, მაგრამ ამაზე კარმა მხეცურად დაუბრუნა ხურდა და შიკსაც აღარ დაუჟინია, ვიტრინიდან შევიდა.

წიგნების გამყიდველი მშვიდობის ყალიონს აბოლებდა. იგი ჟიულ რომენის თხზულებათა სრულ კრებულზე იჯდა, რომელიც ავტორს ხმარების სწორედ ასეთი წესისათვის შეეთხზა. პირში ძალიან ლამაზი, ქვიშაში აზელილი გახრწნილი მანანებისაგან დამზადებული ყალიონი გაეჩარა, რომელსაც ზეთისხილის ფოთლებით ტენიდა. გვერდით, ჩასაჩანჩქერებლად ტაშტი, საფეთქლების გასაგრილებლად ნესტიანი პირსახოცი და, ყალიონის ეფექტის გასაძლიერებლად, რიკლესის პიტნის არყის ფლაკონი ეწყო.

შიკს არაამქვეყნიური და მყრალი მზერა მიაპყრო და, რა გნებავთო, ჰკითხა.

– თქვენი წიგნების ნახვა? – უპასუხა შიკმა.

– ნახეთ! – თქვა კაცმა და ტაშტისაკენ დაიხარა, მაგრამ განგაში ცრუ აღმოჩნდა.

შიკმა მალაზიის სიღრმისაკენ წაიწია. რამე კარგის პოვნა თუ გინდოდა, იქ გამეფებულ ატმოსფეროზე უკეთესს ვერც ინატრებდი. მის ფენქვეშ რამდენიმე მწერი გაჰყლაპუნდა. ძველი ტყავისა და ზეთისხილის ფოთლების მეტადრე ამაზრუნენი სუნი ყველაფერში გამჯდარიყო.

წიგნები ანბანის რიგის მიხედვით ელაგა, მაგრამ გამყიდველმა კარგად არ იცოდა ანბანი და პარტრის კუთხე შიკმა ტ-სა და ბ-ს შორის იპოვა. ლუბა მოიმარჯვა და ყდების თვალღიერებას შეუდგა. მანათობელი აბრების შესახებ დაწერილი ცნობილი კრიტიკული ნაშრომის, ასო და ნეონის, ერთ-ერთ ეგზემპლარზე მყისვე შენიშნა თითის საინტერესო ანაბეჭდი. ჯიბიდან ცახცახით ამოიღო პატარა კოლოფი, რომელიც, ფაფუკბეწვიანი ფუნჯის გარდა სასუქ ფხვნილსა და მღვდელმთავარ ვუის მიერ შედგენილ სანიმუშო ძაღლის ცნობარს შეიცავდა. საქმეს მონდომებით შეუდგა, ანაბეჭდი თავის საქალაქიდან ამოღებულ პატარა ბარათს შეადარა და? სუნთქვა შეეკრა. ეს პარტრის მარცხენა საჩვენებელი თითის

ანაბეჭდი იყო, რომელიც მის ძველ ჩიბუხებზედა თუ მოიძვეებოდა, თორემ სხვაგან, ვერავის ვერსად მიეკვლია. სანუკვარი ნივთი გულში ჩაიკონა და გამყიდველისაკენ გაემართა.

– რა ღირს ესა?

გამყიდველმა წიგნს დახედა და ჩაიხიოხიოთა.

– ჰა, გიბოვიათ?

– რა არის ამაში არაჩვეულებრივი? – ვითომ გაკვირვებული სახით იკითხა შიკმა.

– ჰა ჰა ჰა!? – გადაიხარხარა გამყიდველმა და ჩიბუხს ხელი გაუშვა; ჩიბუხი ტაშტში ჩავარდა და ჩაქრა. ერთი ცუდად შეიგინა და თან კმაყოფილმა, რომ ეს საძაგელი სიბინძურე აღარ ჰქონდა საწევი, ხელები მოიფშვნითა.

– მე თქვენ გეკითხებით? – დაიჟინა შიკმა.

გულმა თანდათან უმტყუნა და ნეკნებში არეული და ველური ბაგაბუგის ხმა გამოსცა.

– ო! ჰო, ჰო!? – ხითხითებდა ძირს გაგორებული გამყიდველი და სული ეხუთებოდა. – რა ხუმარა ბრძანებულხართ!? – მისმინეთ, – თქვა თავგზააბნეულმა შიკმა, – ამიხსენით, რა ხდება.

– რომ მახსენდება, მაგ ანაბეჭდის ხელში ჩასაგდებად რამდენჯერ გავხდი იძულებული მისთვის ჩემი მშვიდობის ყალიონი შემეთავაზებინა და თან ფოკუსების სწავლა დამეწყო, რომ ბოლო მომენტში სხვა წიგნით შემეცვალა!?!– დაიწყო გამყიდველმა.

– რახან გცოდნიათ, კეთილი, – თქვა შიკმა, – რა ღირს? – ძვირი არა ღირს, – თქვა გამყიდველმა, – მაგრამ, მე უკეთესი რამ მაქვს. მომითმინეთ.

წამოდგა, დაბალი ტიხრის მიღმა გაუჩინარდა, მაღაზიას ორად რომ ყოფდა, რალაცეები მიჩიჩქნ-მოჩიჩქნა და მალევე დაბრუნდა.

– აჰა, – თქვა და დახლზე შარვალი დააგდო.

– ეს რაღა არის?? – ჩურჩულით დაგულის ფანჯრალით იკითხა შიკმა. ტკბილი გზნება ეუფლებოდა.

– პარტრის შარვალი!? – ამაყად განაცხადა გამყიდველმა. – როგორ მოახერხეთ? – იკითხა ვნებააშლილმა შიკმა. – ერთ მოხსენებაზე ვიმარჯვე! – აუხსნა გამყიდველმა, – არც კი შეუმჩნევია. იცით, ჩიბუხისაგან ამომწვარი ადგილები აქვს. – ვყიდულობ? – თქვა შიკმა.

– რას? – იკითხა გამყიდველმა, – იმიტომ რომ, კიდეც მაქვს სხვა რაღაც.

შიკმა ხელი მკერდთან მიიტანა. გულის ძვერა ველარ დაიმორჩილა და ცოტა ხანს აცალა, გაშმაგებულიყო.

– აი? – თქვა ისევ გამყიდველმა.

ეს იყო ჩიბუხი, რომლის მილაკზეც შიკმა დაუბრკოლებლად იცნო პარტრის კბილების ანაბეჭდები.

– რა ღირს?? – იკითხა შიკმა.

– ხომ იცით, – უთხრა გამყიდველმა, – ეხლა რწყევის ენციკლოპედიას ამზადებს ოც ტომად და ფოტოებით, ჰოდა ხელნაწერები მე მექნება?

– მე ვერასოდეს? – დაიწყო განადგურებულმა შიკმა. – მერე მე რა მენალვლება? – იკითხა წიგნების გამყიდველმა. – რა ღირს ეს სამი რაღაც? – ჰკითხა შიკმა.

– ათასი ღებლენონი? – თქვა გამყიდველმა, – ბოლო ფასია. გუშინ ათას ორასზე ვთქვი უარი, თქვენ კი იმიტომ გიკლებთ, რომ მზრუნველი იერი გაქვთ.

შიკმა საფულე ამოიღო. სახეზე საზარელი მიტკლისფერი ეღო.



## თავი ორმოცდამესამე

– ხედავ, – თქვა კოლენმა, – სუფრას აღარც ვაფარებთ. – ეგ არაფერი, – თქვა შიკმა, – თუმცა, არ მესმის, რატომ არის ხე ასე ცხიმიანი.

– რა ვიცი, – დაბნეულად თქვა კოლენმა, – მე მგონი, აღარ იწმინდება. სულ გამოდის და გამოდის შიგნიდან.

– ხალიჩა შალის არ იყო წინათ? – იკითხა შიკმა, – ეს თითქოს ბამბისააო.

– იგივეა? – თქვა კოლენმა, – არა მგონია, სხვა იყოს. – უცნაურია, – თქვა შიკმა, – შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფერი პატარავდება აქ.

ნიკოლას ქონიანი წვნიანი მოჰქონდა, რომელშიც პურის ყუები ტივტივებდა. დიდ თეფშებზე გადაულო.

– რა არის ეს, ნიკოლა? – ჰკითხა შიკმა.

– ატრიის ფქვილიანი კუბის სუბი, – უპასუხა ნიკოლამ, – უმაგრესია.

– აჰ! – თქვა შიკმა, – გუფესთან იპოვეთ?

– როგორ გეკადრებათ! – თქვა ნიკოლამ, – ეს რეცეპტი დე პომიანისაა. გუფე სნობებისთვისაა კარგი. თანაც ისეთი აღჭურვილობა უნდა.

– კი მაგრამ, ხომ გაქვთ რაც საჭიროა, – თქვა შიკმა. – რა? – თქვა ნიკოლამ, – მარტო გაზი და მაცივარია, როგორც ყველგან. აბა, რა გგონიათ თქვენ?

– ო!?! არაფერი? – თქვა შიკმა.

სკამზე აწვრიალდა. არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი.

– გინდა ღვინო? – ჰკითხა კოლენმა, – ესლა დამრჩა სარდაფში. არ არის ცული.

შიკმა ჰიქა გაუწოდა.

– სამი დღის წინ ალიზი იყო კლოეს სანახავად, – თქვა კოლენმა, – მე ვერ ვნახე და გუშინწინ ნიკოლამ კლოე მთაში წაიყვანა.

– ხო, – თქვა შიკმა, – მითხრა ალიზმა.

– პროფესორ მანქმანშის წერილი მივიღე, – თქვა კოლენმა, – ბევრი ფული მომთხოვა. მე მგონი, ნიჭიერი კაცია.

კოლენს თავი სტკიოდა. უნდოდა, რომ შიკს ელაპარაკა, ეამბნა რამე, სულ ერთია რა. შიკი ფანჯარაში იყურებოდა და თვალი გაშტერებოდა. უეცრად წამოდგა, ჯიბიდან დასაკეცი სახაზავი ამოიღო და ფანჯრის ჩარჩოს ზომვა დაუწყო. – ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იცვლება, – თქვა მან. – ეგ როგორ? – უგულისყუროდ იკითხა კოლენმა.

– ვიწროვდება, – თქვა შიკმა, – ოთახიც?

– როგორ ერთი? – ჰკითხა კოლენმა, – რალაცას მიედ-მოედები. შიკს პასუხი არ გაუცია. უბიდან წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და რალაც ციფრები ჩაინიშნა.

– იშოვე სამსახური? – ჰკითხა მან.

– ვერა? – თქვა კოლენმა, – ერთი შეხვედრა ნაშუადღევს მაქვს და ერთიც – ხვალ.

– როგორ სამსახურს ეძებ? – ჰკითხა შიკმა.

– ეჰ, ნებისმიერს, – თქვა კოლენმა, – ოღონდ ფული მომცენ. ძალიან, ძალიან ძვირი ღირს ყვავილები.

– ხო, – თქვა შიკმა.

– შენი სამსახური რაღას შვრება? – ჰკითხა კოლენმა. – ერთი ტიპი მცვლიდა ხოლმე, – თქვა შიკმა, – იმიტომ რომ, ბევრი საქმე მქონდა?

– დაგთანხმდნენ ამაზე? – ჰკითხა კოლენმა.

– კი, არა უშავდა, კარგად ერკვეოდა ის ტიპი.

– მერე? – ჰკითხა კოლენმა.

– დაბრუნება რომ მოვინდომე, მითხრეს, ის მეორე ძალიან კარგად ართმევს თავს საქმესო, მაგრამ თუ ახალი ადგილი გინდა, შეგვიძლია შემოგთავაზოთო, – აუხსნა შიკმა, – ოღონდ, ნაკლებს იხდიდნენ.

– ბიძაშენიც ველარ გაძლევს ფულს, – თქვა კოლენმა. კითხვას აღარც სვამდა. მისთვის ცხადი იყო ეს.

– ველარც ვთხოვ, – თქვა შიკმა, – მოკვდა.

– არ გითქვამს ჩემთვის.

– არ იყო საინტერესო, – ჩაიჩურჩულა შიკმა.

ნიკოლა ხელში გაქონილი ტაფით დაბრუნდა, რომელშიც სამი შავი სოსისი ფართხალებდა.

– ასე ჭამეთ, – თქვა მან, – ვერაფერი ვერ მოვუხერხე. არაჩვეულებრივად გამძლეები გამოდგნენ. აზოტის მქაფა დავასხი, მაგიტომაც გაშავდნენ, მაგრამ არ ეყო.

კოლენმა რის ვაი-ვაგლახით ჩაარჭო ჩანგალი ერთ-ერთ სოსისს, რომელიც უკანასკნელად გაიკრუნჩხა.

– დავიჭირე, – თქვა მან, – შენი ჯერია, შიკ.

– ვცდილობ, – თქვა შიკმა, – მაგრამ ძნელია.

და ბლომად ქონი დააშხეფა მაგიდაზე.

– ფუი! – თქვა მან.

– ეგ არაფერი, – თქვა ნიკოლამ, – კარგია ხისთვის. როგორც იქნა, შიკმაც გადაიღო და ნიკოლამ მესამე სოსისი დაითრია.

– ვერ გავიგე, რა ხდება, – თქვა შიკმა, – წინათ ესეთი იყო აქაურობა?

– არა, – აღიარა კოლენმა, – ყველგან იცვლება. ვერაფერს ვერ ვუშვრები. კეთრივითაა. ესე მას მერეა, რაც ღუბლეზონები აღარა მაქვს.

– საერთოდ აღარა გაქვს? – ჰკითხა შიკმა.

– თითქმის? – უპასუხა კოლენმა, – მთის და ყვავილების ფული წინასწარ გადავიხადე, იმიტომ რომ, ოღონდ კლოე ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანო და აღარაფერს დავეძებ. მაგრამ, ამის გარდაც, ყველაფერი თავისთავად ცუდად მიდის. შიკს დაემთავრებინა სოსისი.

– მოდი, სამზარეულოს დერეფანი ნახე, – თქვა კოლენმა. – მოგყვები, – თქვა შიკმა.

ორივე მხარეს, შუშების მიღმა, შავი ლაქებით დაფარული, შუაგულში ოდნავ უფრო მანათობელი, მკრთალი და უფერული მზეები მოჩანდა. სხივების რამდენიმე წვრილი კონა მაინც ახერხებდა დერეფანში შემოჭრას, მაგრამ ოდესღაც ასე მბრწყინავ ფილებზე შეხებისას თხიერდებოდნენ და გრძელ, სველ კვლებად იწრიტებოდნენ. კედლებიდან სარდაფის სუნი გამოდიოდა. ერთ-ერთ კუთხეში შავულვაშიან ნაცრისფერ თავგს ამალღებული ბუდე მოეწყო თავისთვის. უწინდელივით იატაკზე, ოქროს სხივებით ველარ თამაშობდა და, ჭინჭების გროვაში მობუზულს, ნესტი-საგან ერთმანეთზე მიწებებული ულვაშები უთრთოდა. ერთხანს, იმდენი ქნა, რომ ოდნავ გახეხა და გააპრიალა კიდეც ფილები, მაგრამ ამოცანა უზარმაზარი გამოდგა მისი პატარა თათებისთვის და მას შემდეგ, აკანკალებული და ღონემიხდილი, კუთხეში მიყუჟულიყო. – არ ათბობს რა-დიატორები? – იკითხა შიკმა და პიჯაკის საყელო აიწია.

– როგორ არა, – თქვა კოლენმა, – მთელი დღე ათბობს, მაგრამ, რას იზამ. სწორედ აქ დაიწყო ყველაფერი.

– ვერ არის სასიამოვნო, – თქვა შიკმა, – არქიტექტორი უნდა მოიყვანო.

– იყო ერთხელ, – თქვა კოლენმა, – და მას მერე ავადაა. – ოჰ, – თქვა შიკმა, – მოგვარდება, ალბათ.

– არა მგონია, – თქვა კოლენმა, – მოდი, დავასრულოთ საუზმე ნიკოლასთან ერთად.

სამზარეულოში შევიდნენ. ისიც დავიწროებულებიყო. ნიკოლა ლაქწასმულ თეთრ მაგიდასთან იჯდა, ჭამდა და თან დაბნეული სახით რაღაც წიგნს კითხულობდა.

– მისმინე, ნიკოლა, – უთხრა კოლენმა.

– ხო, – თქვა ნიკოლამ, – ეხლა ვაპირებდი თქვენთვის დესერტის მოტანას.

– არა, ეგ არა, – თქვა კოლენმა, – დესერტს აქ შეგჭამთ. სხვა რამეს გეუბნები. ნიკოლა, ხომ არ გინდა, რომ აქედან მიგაბრძანო?

– არავითარი სურვილი არა მაქვს, – თქვა ნიკოლამ. – არადა საჭიროა, – თქვა კოლენმა, – აქაურობამ სულ დაგაძაბუნა. ამ ერთ კვირაში ათი წლით მოხუცდი.

– შვიდით, – შეუსწორა ნიკოლამ.

– არ მინდა ეგრე გხედავდე. შენ არაფერ შუაში არა ხარ. გარემოა ეგეთი?

– შენ რა, – თქვა ნიკოლამ, – გგონია, გარემო შენზე არ მოქმედებს?

– ეგ სხვაა, – თქვა კოლენმა, – მე კლოე უნდა განვკურნო და დანარჩენი სულ ერთია ჩემთვის, ამიტომ ვერ მერევა. შენს კლუბში როგორაა საქმეები?

– თითქმის აღარ დავდივარ? – თქვა ნიკოლამ.

- აღარ შეიძლება ეგრე, - გაიმეორა კოლენმა, - პონტოზანები მზარეულს ეძებენ. მე შენ მაგივრად მოვაწერე ხელი. მინდა მითხრა, თანახმა ხარ თუ არა.

- არა, - უპასუხა ნიკოლამ.

- ჰოდა, მაინც წახვალ, - თქვა კოლენმა.

- ამაზრზენია შენი მხრიდან, - თქვა ნიკოლამ, - თითქოს ვირთხა ვიყო, ისე მაგდებ.

- არა, - თქვა კოლენმა, - ასეა საჭირო. კარგად იცი, როგორც მიჭირს ეგ ამბავი.

- კარგად ვიცი, - თქვა ნიკოლამ, წიგნი დახურა და თავი ხელეებში ჩარგო.

- სულ ტყუილად ბრაზობ, - უთხრა კოლენმა.

- სულაც არ ვბრაზობ, - ჩაიბუზლუნა ნიკოლამ.

თავი აწია. უხმოდ ტიროდა.

- სულელი ვარ, - თქვა მან.

- შენ ძალიან კარგი ვინმე ხარ, ნიკოლა, - თქვა კოლენმა. - არა, - თქვა ნიკოლამ, - სადმე კომში მინდა გადავიკარგო. სუნის გამო. და თან, იმიტომ რომ, წყნარად ვიქნები იქ.

## თავი ორმოცდამეოთხე

კოლენმა უძრავი ვიტრაჟებით ბუნდოვნად განათებული კიბე აიარა და მეორე სართულზე აღმოჩნდა. წინ, ცივი ქვის კედელში, შავი კარი აღმართულიყო. დაურეკავად შევიდა, შეავსო ბლანკი და გადასცა კარისკაცს, რომელმაც იგი დაცალა, მისგან პატარა ბურთულა გააკეთა, გამზადებული პისტოლეტის ლულაში ჩატენა და მეზობელ ტიხარში გამოჭრილ სარკმელს გულდასმით დაუმიზნა. მარცხენა ხელით მარჯვენა ყური დაიცო, ჩახმახს გამოჰკრა და ტყვიაც გავარდა. შემდეგ, ახალი მომსვლელის მოლოდინში, დინჯად გატენა პისტოლეთი.

კოლენი გაჩერდა და, სანამ ზარმა კარისკაცს დირექტორის ოთახში მისი შეყვანა არ უბრძანა, დაიცადა.

იგი დამრეცმოსახვევებიან გრძელ დერეფანში შეჰყვა კარისკაცს. მოსახვევებში კედლები იატაკის პერპენდიკულარული რჩებოდა, აქედან გამომდინარე, დამატებითი კუთხით იხრებოდა, და წონასწორობის შესანარჩუნებლად კოლენს ძალიან სწრაფად მოუხდა გავლა. დირექტორის

პირისპირ ისე ამოყო თავი, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო და მორჩილად ჩაჯდა ჭირვეულ სავარძელში, რომელიც, წონა იგრძნო თუ არა, ყალყზე შედგა და მხოლოდ თავისი ბატონის განმგმირავი მზერის შემდეგ დაოკდა. – მაშ? – თქვა დირექტორმა.

– ისაა, დიახ? – თქვა კოლენმა.

– რისი კეთება იცით? – იკითხა დირექტორმა.

– საწყისები შევისწავლე? – თქვა კოლენმა.

– ვგულისხმობ, რაში ატარებთ-მეთქი დროს? – იკითხა დირექტორმა.

– ჩემი დროის ყველაზე ნათელს მის ჩაბნელებაში ვატარებ, – უპასუხა კოლენმა.

– რატომ? – უფრო ხმადაბლა იკითხა დირექტორმა.

– იმიტომ რომ, სინათლე მაწუხებს? – თქვა კოლენმა. – აჰ? ჰმ? – ჩაიბურტყუნა დირექტორმა, – იცით, რა სამუშაოსთვის ეძებენ აქ ხალხს?

– არა? – თქვა კოლენმა.

– არც მე? – თქვა დირექტორმა, – უნდა ვკითხო ჩემს მოადგილეს. მაგრამ თქვენ არ ჰგავხართ სამუშაოს შემსრულებელს.

– რატომ? – კითხვა შეუბრუნა კოლენმა.

– არ ვიცი? – თქვა დირექტორმა.

ცოტა შეწუხებული სახე ჰქონდა და სავარძელი უკან დახია. – არ მომეკაროთ? – თქვა მან სწრაფად.

– კი მაგრამ, არც გაგნძრეულვარ? – თქვა კოლენმა. – დიახ? დიახ? – ჩაიბურტყუნა დირექტორმა, – ეგრე ამბობენ ხოლმე და მერე?

უნდობლად, კოლენისათვის თვალის მოუშორებლად მაგიდისაკენ დაიხარა, ტელეფონს დასწვდა და ლონივრად შეანჯღრია.

– ალო!?! – იყვირა მან, – აქ გაჩნდით, ამწუთასვე? ყურმილი თავის ადგილას დადო და ეჭვიანი მზერით განაგრძო კოლენის თვალიერება.

– რამდენი წლისა ბრძანდებით?? – ჰკითხა მან.



- ოცდაერთის? - უპასუხა კოლენმა.

- ასეც ვფიქრობდი? - ჩაიჩურჩულა პირისპირ მჯდომმა. კარზე დააკაკუნეს.

- შემოდით!? - დაიყვირა დირექტორმა და სახე მოუდუნდა. ქალაქის მტვრის გამუდმებული ყლაპვით მიხრწნილი ვიღაც კაცი, რომელსაც გადამუშავებული ცელულოზის პასტით ბრონქიოლები აშკარად ბოლომდე ამოჰგლესვოდა, კაბინეტში შემოვიდა. იღლიაში საზურგე ამოეჩარა.

- თქვენ სკამი გავიტენავთ? - უთხრა დირექტორმა.

- დიახ, - უპასუხა დირექტორის მოადგილემ.

და საზურგე მაგიდაზე დადო.

- მაგრამ შეკეთება შეიძლება, იცით?

და კოლენს მიუბრუნდა.

- იცით სკამების შეკეთება??

- მე მგონი? - თქვა თავგზაარეულმა კოლენმა, - ძალიან ძნელია?

- ერთი სამ ქილამდე წებო დავხარჯე, სამსახურისა, მაგრამ არაფერი გამომივიდა, - განაცხადა დირექტორის მოადგილემ. - გადაიხდით! - თქვა დირექტორმა, - წებოს ფასს ხელფასიდან დაგიკავებთ.

- უკვე დავუკავე ჩემს მდივანს, - თქვა მოადგილემ, - ნუ წუხნხართ, უფროსო.

- სკამების შემკეთებლის ადგილზე ექვდით ვინმეს? - მორცხვად იკითხა კოლენმა.

- რასაკვირველია! - თქვა დირექტორმა.

- კარგად აღარ მახსოვს, - თქვა მოადგილემ; - მაგრამ თქვენ ვერ შეაკეთებთ სკამს?

- რატომ? - იკითხა კოლენმა.

- უბრალოდ იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ, - თქვა მოადგილემ.

– ვერ გამიგია, საიდან ხვდებით ამას! – თქვა დირექტორმა. – კერძოდ იქიდან, რომ ამ სკამების შეკეთება შეუძლებელია, – თქვა მოადგილემ, – ზოგადად კი იქიდან, რომ ეს ვაჟბატონი არ მიტოვებს სკამების შემკეთების შთაბეჭდილებას.

– კი მაგრამ, რა შუაშია სკამი ოფისში მუშაობასთან? – იკითხა კოლენმა.

– თქვენ ალბათ ძირს ჯდებით სამუშაოდ, არა? – ჩაიქირქილა დირექტორმა.

– ანუ, ხშირად არ გიწევთ მუშაობა, – ჩაულრმავდა მოადგილე.

– პირში გეტყვით, ვინცა ხართ, – თქვა დირექტორმა, – უქნარა.

– ზუსტად!?! უქნარა!?! – კვერი დაუკრა მოადგილემ.

– ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავიყვანთ უქნარას, – დაასკვნა დირექტორმა.

– განსაკუთრებით, როცა არა გვაქვს მისთვის მისაცემი სამუშაო, – მხარი აუბა მოადგილემ.

– ეს სრულიად არალოგიკურია? – თქვა მათი ოფისური ხმებით გაოგნებულმა კოლენმა.

– არალოგიკური ვითომ რატომ, ჰა? – ჰკითხა დირექტორმა. – იმიტომ, რომ ის, რაც უქნარას უნდა მისცეთ, სწორედაც რომ სამუშაო არ არის, – თქვა კოლენმა.

– აჰა, – თქვა მოადგილემ, – ესე იგი, თქვენ გსურთ დირექტორი შეცვალოთ, არა?

ამ უკანასკნელმა საშინლად გადაინახარხარა ამ მოსაზრებაზე. – არაჩვეულებრივი ვინმეა? – თქვა მან. სახე კიდევ უფრო მოეჯღანა და სავარძელი უკან დახია.

– გაიყვანეთ? – უთხრა მან მოადგილეს, – ეხლა კი ვხედავ, რატომაც მოსულა? მალე ქენით? დამეკარგე აქედან, შე ზარმაცო, შენა! – დაიყმუვლა მან.

მოადგილე კოლენთან მიიჭრა, მაგრამ ამ უკანასკნელს მაგიდაზე დარჩენილი საზურგე ჩაებლუჯა:

– არ მომეკაროთ, – თქვა მან.

და ნელ-ნელა უკან დაიხია, კარისაკენ.

– მოუსვი აქედან!? – იყვირა დირექტორმა, – სატინის მოციქულო... – თქვენ ბებერი რეგვნი ხართ, – თქვა კოლენმა და კარის სახელური გადაატრიალა. საზურგე მაგიდისკენ მოისროლა და დერეფანში გავარდა. შემოსასვლელს რომ მიაღწია, კარისკაცმა პისტოლეტი ესროლა და ქალღლის ტყვიამ ახლადმიხურულ დარაბაში თავის ქალის ფორმის ნახვრეტი გააკეთა.

## თავი ორმოცდამეხუთე

– ვაღიარებ, რომ ლამაზი ნივთია, – თქვა მეანტიკურემ, როცა კოლენის პიანოქტიელს უვლიდა გარს.

– ჩამოწინწკლული ნეკერჩხლისაა, – თქვა კოლენმა.

– ვხედავ, – თქვა მეანტიკურემ, – იმედი მაქვს, კარგად მუშაობს.

– ვცდილობ, რაც კი საუკეთესო მაქვს, გაყიდო, – თქვა კოლენმა.

– ალბათ ძალიან გიჭირთ გაყიდვა, – თქვა მეანტიკურემ და ხის ნახატის დასათვალიერებლად დაიხარა. სული შეუბერა მტვრის რამდენიმე მარცვალს, რომელიც ავეჯის ბრწყინვალეობას ამკრთალებდა.

– არ გერჩივნათ, ფული მუშაობით გეშოვათ და ეს შეგენარჩუნებინათ?

კოლენს დირექტორის კაბინეტი და კარისკაცის ნასროლი ტყვია გაახსენდა და, არაო, თქვა.

– ბოლოს მაინც მოგიწევთ, როცა აღარაფერი გექნებათ გასაყიდი, – თქვა მეანტიკურემ.

– ჩემმა ხარჯებმა მატება რომ შეაჩერონ, – თქვა კოლენმა და თავიდან დაიწყო: – ჩემმა ხარჯებმა ზრდა რომ შეწყვიტონ, ნივთების გაყიდვითაც ვიცხოვრებ უშრომლად. არც ისე კარგად, მაგრამ ვიცხოვრებ.

– არ გიყვართ მუშაობა? – ჰკითხა მეანტიკურემ.

– საშინელებაა, – თქვა კოლენმა, – მანქანად აქცევს ადამიანს.

– და თქვენი ხარჯები ზრდას არ წყვეტენ? – ჰკითხა მეანტიკურემ.

– ძალიან ძვირი ღირს ყვავილები, – თქვა კოლენმა, – და მთაში ცხოვრებაც.

– და რომ განიკურნოს? – ჰკითხა მეანტიკურემ.

– ოჰ! – თქვა კოლენმა.

სახეზე ბედნიერი ღიმილი დაეხატა.

– შესანიშნავი იქნებოდა!? – ჩაიჩურჩულა მან.

– მერე ეს შეუძლებელი ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს, – თქვა მეანტიკურემ.

– არა! რა თქმა უნდა!? – თქვა კოლენმა.

– მაგრამ ღროა საჭირო? – თქვა მეანტიკურემ.

– ღიახ, – თქვა კოლენმა, – მზე კი მიღის.

– შეიძლება დაბრუნდეს, – გაამხნევა მეანტიკურემ. – არა მგონია, – თქვა კოლენმა, – ეს სიღრმეში ხდება. სიჩუმე ჩამოვარდა.

– შიგნით მარაგები არის? – ჰკითხა მეანტიკურემ და პიანოქტიელზე მიუთითა.

– ღიახ, – თქვა კოლენმა, – ყველა ბაკი სახსეა.

– საკმაოდ კარგად ვუკრავ პიანინოზე, შეგვიძლია გამოვცადოთ.

– როგორც გნებავთ, – თქვა კოლენმა.

– რამეს მოვიტან დასაჯდომად?

ისინი მაღაზიის შუაგულში იდგნენ, სადაც კოლენმა თავისი პიანოქტიელი მიატანინა. საითაც გაიხედავდი, ყველგან სავარძლების, სკამების,

გაზნექილფეხებიანი მაგიდებისა თუ სხვა ავეჯის მსგავსი ძველი და უცნაური ნივთების გროვები დაეხვავებინათ. ბინდ-ბუნდი იდგა და ინდური ცვილისა და ლურჯი ბაცილების სუნი ტრიალებდა. მეანტიკურე მოკალუღი რკინის ხის ტაბურეტით აღიჭურვა და საკრავს მიუჯდა. სახელური წინასწარვე მოეხსნა კარისათვის, რომელიც ამგვარად დამუნჯებულყო და მათ ხელს ვეღარ შეუშლიდა.

– იცით დიუკ ელინგტონის რამე?? – ჰკითხა კოლენმა. – დიახ, – თქვა მეანტიკურემ, – ეხლა დაგიკრავთ მოხეტიალის ბლუზს.

– რამდენზე მოვმართო? – იკითხა კოლენმა, – სამ თემას იღებთ?

– დიახ, – თქვა მეანტიკურემ.

– კეთილი!– თქვა კოლენმა, – მთლიანობაში ნახევარ ლიტრს გააკეთებს. იყოს?

– ჩინებულია, – უპასუხა გამყიდველმა და დაკვრა დაიწყო. ტუშე უკიდურესად მგრძნობიარე ჰქონდა, ხოლო ირგვლივ მოფარფატე ნოტები ისეთივე ჰაეროვანი იყო, როგორც ბარნი ბიგარდის კლარნეტის მარგალიტები დიუკისეულ ვერსიაში. კოლენი მოსასმენად ძირს დამჯდარიყო, პიანოქტილს ზურგით მიყრდნობოდა და მსხვილი, ელიფსური და რბილი ცრემლებით ტიროდა. ცრემლები ტანსაცმელზე მოგორავდნენ და იატაკზე, მტვერში იკარგებოდნენ. მუსიკა მასში შედიოდა, იქიდან გაფილტრული გამოდიოდა, და სიმღერა, რომელიც მისგან გამოდიოდა, ბევრად უფრო ჰგავდა კლოეს, ვიდრე მოხეტიალის ბლუზს. ანტიკურობით მოვაჭრე პასტორალური სიმარტივით ღლინებდა კონტრაპუნქტს და თავს ჩხრიალა გველივით იქნევდა აქეთ-იქით. სამივე თემა დაუკრა და გაჩერდა. კოლენი გაუნძრევლად იჯდა და სულის სიღრმეში ისეთ ბედნიერებას გრძნობდა, თითქოს იმ წუთას კლოე არც იყო ავადო.

– ეხლა როგორ ვქნათ? – იკითხა მეანტიკურემ.

კოლენი წამოდგა, ზუსტი მოძრაობით პატარა ფიცარი ასწია და თითო ცისარტყელასავით მბზინავი სითხით სავსე თითო ჭიქა გამოიღო. მეანტიკურემ პირველმა დალია ენის წკლაპუნით. – ზუსტად ამ ბლუზის გემო აქვს, – თქვა მან, – აი, ამ ბლუზის. მაგარი რამეა თქვენი გამოგონება, ხომ იცით.

– დიახ, – თქვა კოლენმა, – ძალიან კარგად მუშაობდა. – იცით, ნამდვილად კარგ ფასს მოგცემთ ამაში, – თქვა მეანტიკურემ.

– ძალიან მოხარული ვიქნები, – თქვა კოლენმა, – ყველაფერი ცუდად მიმდის ამჟამად.

– ესეა, – თქვა მეანტიკურემ, – სულ კარგად ვერ იქნება საქმე. – კი, მაგრამ, ხომ შეიძლება, რომ არც სულ ცუდად იყოს, – თქვა კოლენმა, – კარგი მომენტები ბევრად უკეთ ახსომდება ადამიანს, და ცუდები რიდასთვის არის?

– Misty Mornin-ი ხომ არ დამეკრა? – შესთავაზა მეანტიკურემ, – გემრიელია?

– დიახ, – თქვა კოლენმა, – შესანიშნავი გამოდის. პილპილისა და ბოლის გემოიან მარგალიტისფერ რუხ და პიტნისფერ მწვანე კოქტეილს იძლევა.

მეანტიკურე ხელახლა მიუჯდა პიანინოს და Misty Mornin-ი დაუკრა. ესეც დალიეს. შემდეგ Blues Bubbles-იც დაუკრა და გაჩერდა, რადგან უკვე ორ-ორ ნოტს ერთდროულად იღებდა, კოლენს კი ოთხი სხვადასხვა სიმღერა ესმოდა ერთად. კოლენმა ფრთხილად დახურა პიანინოს თავსახური.

– აბა, – თქვა მეანტიკურემ, – ვილაპარაკოთ ეხლა საქმეზე? – დიიახ? – თქვა კოლენმა.

– თქვენი პიანოქტიელი ფანტასტიკური რამეა, – თქვა მეანტიკურემ,  
– მე თქვენ ამაში გთავაზობთ სამ ათას დუბლეზონს. – არა, – თქვა კო-  
ლენმა, – მეტისმეტია.

– დავიყინებ? – თქვა მეანტიკურემ.

– სისულელეა, – თქვა კოლენმა, – არმინდა. ორი ათასი იყოს, თუ თა-  
ნახმა ხართ.

– არა, – თქვა მეანტიკურემ, – უკან წაიღეთ, უარს ვამბობ. – მე არ  
მინდა სამ ათასად მოგყიდოთ, – თქვა კოლენმა, – ეს ძარცვაა.

– არა და არა!?! – დაიყინა მეანტიკურემ, – მე შემიძლია მერე ოთხ  
ათასად გავყიდო, ერთ წუთში.

– თქვენ მშვენივრად იცით, რომ დაიტოვებთ, – თქვა კოლენმა.

– ცხადია, – თქვა მეანტიკურემ, – ყური მიგდეთ, მოდით, არც მწვადი  
დავწვათ, არც შამფური: ორი ათას ხუთასი დუბლეზონი. – კარგი, – თქვა  
კოლენმა, – თანახმა ვარ. მაგრამ, მერე რა ჯანდაბა ვუყოთ მაგ მწვადს  
და შამფურს?

– ესეც ესე? – თქვა მეანტიკურემ.

კოლენმა ფული გამოართვა და გულმოდგინედ ჩაიღო საფულეში.  
ოდნავ ბარბაცებდა.

– რალაც ვერა ვარ კარგად, – თქვა მან.

– ბუნებრივია, – თქვა მეანტიკურემ, – ხომ მოხვალთ ხოლმე ხანდახან  
ჩემთან ერთად თითო ჭიქის მოსასმენად?

– გპირდებით! – თქვა კოლენმა, – ეხლა უნდა წავიდე. ნიკოლა გამომ-  
ლანძლავს.

– ცოტას გამოგაცილებთ, – უთხრა მეანტიკურემ, – რალაცეები მაქვს  
საყიდელი.

– ძალიან თავაზიანი ბრძანდებით! – თქვა კოლენმა. გარეთ გამოვიდ-  
ნენ. მომწვანო-მოლურჯო ცა თითქმის ქვაფენილამდე ეკიდა და მიწაზე



დიდი თეთრი ლაქები იმ ადგილებს მიანიშნებდნენ, სადაც ღრუბლები ერთმანეთს შემსხვრეოდნენ.

– ჭექა-ქუხილი ყოფილა! – თქვა მეანტიკურემ.

რამდენიმე მეტრი ერთად გაიარეს და მერე კოლენის თანამგზავრი ერთ-ერთ ჯიხურთან შეჩერდა.

– ერთი წუთით მომიცადეთ, – თქვა მან, – ეხლავე მოვალ. შევიდა. შუშის მიღმა კოლენმა დაინახა, როგორ აარჩია მეანტიკურემ რაღაც ნივთი, რომელსაც ყურადღებით გახედა შუქზე, და მერე როგორ გაიქანა ჯიბისკენ.

– ესეც ესე? – თქვა მან და კარი გამოიხურა.

– რა იყო ეგ? – ჰკითხა კოლენმა.

– წყლის ღონის მზომი, – უპასუხა მეანტიკურემ, – განზრახული მაქვს, მიგაცილებთ თუ არა, მთელი ჩემი რეპერტუარი დაგუკრა, და მერე ცოტა გავიარო.

## თავი ორმოცდამეექვსე

ნიკოლა ღუმელს ათვალიერებდა. პირის მხარეს იჯდა და, ცეცხლის საჩხრეკითა და სარჩილავით ხელში, შიგნეულობას ამოწმებდა. ღუმელი ზევიდან ოდნავ მოდონდლოებულისყო, ხოლო შავი თუნუქის ფურცლები ისე დარბილებულიყვნენ, რომ გრიუიერის თხელი ნაჭრის კონსისტენცია მიეღოთ. ნიკოლამ დერეფანში კოლენის ნაბიჯების ხმას ყური მოჰკრა და წელში გაიმართა. ძალიან დაღლილიყო. კოლენმა კარი შემოაღო და შემოვიდა. კმაყოფილი სახე ჰქონდა.

– ჰა? – ჰკითხა ნიკოლამ, – ქენი?

– ჰო, გავყიდე, – უპასუხა კოლენმა, – ორი ათას ხუთასად. – დუბლეზონად? – თქვა ნიკოლამ.

– ხო! – თქვა კოლენმა.

– არ მოველოდი!?

– არც მე. ღუმელს ათვალიერებდი?

- ხო, - თქვა ნიკოლამ, - სულ მალე ნახშირის ქვაბად იქცევა. ჯანდაბა ამის თავს, ვერ გამივია, რა ხდება.

- ძალიან უცნაურია, - თქვა კოლენმა, - მაგრამ სხვა დანარჩენი არანაკლებ უცნაურია. ნახე დერეფანი?

- კი, - თქვა ნიკოლამ, - ნელ-ნელა კუბოს ემსგავსება. - გეუბნები, არ მინდა-მეთქი, რომ აქ დარჩე, - უთხრა კოლენმა.

- წერილია, - თქვა ნიკოლამ.

- კლოესგან?

- ხო, - თქვა ნიკოლამ, - მაგიდაზეა.

წერილს რომ ხსნიდა, კოლენს კლოეს ნაზი ხმა ესმოდა და წასაკითხად ისღა დარჩენოდა, ყური მიეგდო. შიგნით კი ეწერა: „ჩემო კოლენ, ძვირფასო, კარგად ვარ, კარგი ამინდია. ერთადერთი, რისი ჯავრიც მაქვს, თოვლის თხუნელებია. ეს ცხოველები თოვლსა და მიწას შორის დაძრწიან, სტაფილოსფერი ბეწვი აქვთ და ღამ-ღამობით ხმამაღლა ყვირიან. თანაც, თოვლის დიდ გორაკებს აკეთებენ და ხალხი ზედ ცვივა. ბევრი მზეა და მე მალე დავბრუნდები.“ - კარგი ამბავია, - თქვა კოლენმა, - ჰო, ესე იგი, შენ პონტოზანებთან გადადიხარ.

- არა, - თქვა ნიკოლამ.

- კი, - თქვა კოლენმა, - იმათ მზარეული სჭირდებათ, მე კი არ მინდა, რომ შენ აქ დარჩე, ძალიან ბერდები და გეუბნები, შენ მაგივრად მოვაწერე-მეთქი ხელი.

- და თავი? - იკითხა ნიკოლამ, - ვინღა აჭმევს?

- მე მივხედავ, - თქვა კოლენმა.

- ვერა, - თქვა ნიკოლამ, - თანაც, აქაურობა ჩემზე აღარ მოქმედებს.

- როგორ არა, - თქვა კოლენმა, - ეს გარემო გასპობს. ვერცერთი თქვენგანი ველარ ძლებთ.

- სულ მაგას გაიძახი, - თქვა ნიკოლამ, - და ეგ არაფერს არ ხსნის.

- ბოლოს და ბოლოს, ეგ არ არის მთავარი, - თქვა კოლენმა. ნიკოლა წამოდგა და გაიზმორა. მოწყენილი სახე ჰქონდა. - არაფერს გუფეს მიხედვით აღარ აკეთებ, - თქვა კოლენმა, - სულ მიაგდე შენი სამზარეულო, მოდუნდი.

- რას ამბობ, - შეეწინააღმდეგა ნიკოლა.

- მაცალე გავაგრძელო, - გააწყვეტინა კოლენმა, - აღარც საკვირაოდ იცვამ და აღარც ყოველდღე იპარსები.

- მერე, ეს დანაშაული ხომ არ არის? - თქვა ნიკოლამ. - დანაშაულია, - თქვა კოლენმა, - მეც ველარ გიხდი იმ ფასს, რომელსაც შენ იმსახურებ. თანაც, ეხლა შენი ფასიც ეცემა და ესეც ცოტათი ჩემი ბრალია.

- არა ხარ მართალი, - თქვა ნიკოლამ, - რა შენი ბრალია, რომ გიჭირს.

- ჩემი ბრალია, - თქვა კოლენმა, - იმიტომ რომ ცოლი შევირთე და იმიტომ რომ?

- სისულელეს ამბობ, - თქვა ნიკოლამ, - ვინ გააკეთებს საჭმელს?

- მე, - თქვა კოლენმა.

- ჰო, მაგრამ, შენ მუშაობას დაიწყებ. დრო არ გექნება. - არა, არ ვიმუშავებ. პიანოქტიელი ხომ გაყვიდე ორი ათას ხუთას დუბლეზონად.

- კი, - თქვა ნიკოლამ, - ძან წინ წახვედი მაგით. - შენ კი პონტოზანებთან წახვალ, - თქვა კოლენმა. - ო, - თქვა ნიკოლამ, - გამიჭირე რა, საქმე. ჰო, წავალ, მაგრამ ეგ ვერ არის კარგი შენი მხრიდან.

- და დაიბრუნებ შენს კარგ მანერებს.

- შენ საკმაოდ ერჩოდი ჩემს კარგ მანერებს?

- კი, - თქვა კოლენმა, - იმიტომ რომ, ჩემთან ეგ არ იყო საჭირო.

- გამიჭირე საქმე, - თქვა ნიკოლამ, - ჰო, გამიჭირე, გამიჭირე საქმე.

## თავი ორმოცდამეშვიდე

კოლენმა კაკუნის ხმა გაიგონა და კარის გასაღებად გაეშურა. ერთ-ერთ ჩუსტზე დიდი ნახვრეტი მოუჩანდა და ფეხი ხალიჩის ქვეშ შემაღა.

– კარგა მალლა ცხოვრობთ, – თქვა შემოსვლისას მანჟმანშმა. მჭიდროდ სუნთქავდა.

– გამარჯობა, ექიმო, – მიესალმა კოლენი და გაწითლდა, იმიტომ რომ, იძულებული გახდა, ფეხი გამოეჩინა.

– ბინა გამოგიცვლიათ, – თქვა პროფესორმა, – წინათ უფრო ახლო იყავით.

– არა, არა, იგივეა, – თქვა კოლენმა.

– აბა, როგორ არის იგივე, – შეეკამათა პროფესორი, – როცა ხუმრობთ, უფრო სერიოზული იერი უნდა გქონდეთ და უფრო მახვილგონიერი პასუხები გამოძებნოთ.

– ჰო?? – თქვა კოლენმა, – მართლაც.

– როგორ არის ავადმყოფი? – იკითხა პროფესორმა.

– უკეთ, – თქვა კოლენმა, – უკეთ გამოიყურება და აღარც ტკივილები აწუხებს.

– ჰმ? – თქვა პროფესორმა, – რაღაც არ მომწონს ეგ ამბავი. და კოლენის თანხლებით კლოეს ოთახისაკენ გაემართა. შესვლის წინ თავი დახარა, რათა კარის თამასას არ დასჯახებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სწორედ ამ დროს ჩამოიზნიქა და პროფესორს უშვერი გინება აღმოხდა. კლოე ლოგინში იწვა და პროფესორის ასეთ შემოსვლას სიცილით შეეგება.

ოთახის მოცულობა საკმაოდ შემცირებულიყო. ხალიჩა, სხვა ოთახების ხალიჩებთან შედარებით, გასქელებულიყო, და საწოლი ეხლა სატინისფარდებიან პატარა წალოში იდგა. დიდი სარკმელი ყვავილის ზრდასრული და ქვადქცეული ღეროებით საბოლოოდ ოთხ პატარა კვადრატულ ფანჯრად დაყოფილიყო. ოთახში თუმცა კი მონაცრისფრო, მაგრამ სუფთა სინათლე გამეფებულიყო და ცხელოდა.

– კიდევ მეტყვიტ, ბინა არ გამოგვიცვლიათ, ჰა? – იკითხა მანქმანშმა.

– გეფიცებით, ექიმო? – დაიწყო კოლენმა.

და დადუმდა, რადგან პროფესორი შეწუხებული და ეჭვიანი სახით უყურებდა.

– ვხუმრობდი? – დაასრულა სიცილით.

მანქმანში საწოლს მიუახლოვდა.

– აბა, – თქვა მან, – გადაიხადეთ. უნდა გაგსინჯოთ. კლოემ თივთიკის მოსასხამი შეიხსნა.

– აჰ!? – თქვა მანქმანშმა, – მანდ გავიკეთეს ოპერაცია. – დიან? – უბასუხა კლოემ.

მარჯვენა ძუსუს ქვეშ პატარა, ძალიან მრგვალი ნაჭრილობევი ჰქონდა.

– რომ მოკვდა, მერე ამოუღიათ, – თქვა პროფესორმა, – დიდი იყო?

- ერთი მეტრი, მე მგონი, - თქვა კლოემ, - თავის ოცსანტიმეტრიანი დიდი ყვავილით.

- საძაველი რამეა, - ჩაიბურტყუნა პროფესორმა, - არ გაგიმართლათ. მაგხელა იშვიათია.

- სხვა ყვავილებმა მოკლეს, - თქვა კლოემ, - კერძოდ, ვანილის ყვავილმა, ბოლოს რომ მომიტანეს.

- უცნაურია, - თქვა პროფესორმა, - არ მეგონა, ვანილის ყვავილს ესეთი ეფექტის მოხდენა თუ შეეძლო. მე უფრო ღვიაზე და აკაციაზე ვფიქრობდი. იცით, მედიცინა ბატისტვინების თამაშია, - დაასკვნა მან.

- ნამდვილად, - დაუდასტურა კლოემ.

პროფესორი სინჯავდა. შემდეგ წამოდგა.

- არა უშავს, - თქვა მან, - ცხადია, კვალი დატოვა. - ხო? - იკითხა კლოემ.

- ხო, - თქვა პროფესორმა, - ეხლა ცალი ფილტვი მთლიანად ან თითქმის გაჩერებულია.

- არ მაწუხებს, - თქვა კლოემ, - თუკი მეორე ვარგა. - მეორეზეც თუ რამე შეგეყარათ, ძალიან უსიამოვნო იქნება თქვენი ქმრისთვის, - თქვა პროფესორმა.

- ჩემთვის არა? - იკითხა კლოემ.

- თქვენთვის უფრო, - უპასუხა პროფესორმა. წამოდგა. - არ მინდა უაზროდ შეგაშინოთ, მაგრამ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ.

- ძალიან ფრთხილად ვარ!? - თქვა კლოემ.

თვალეები გაუფართოვდა. ხელი გაუბედავად გაიტარა თმაში. - რა ვქნა, როგორ დავიზღვიო თავი, რომ სხვა არაფერი შემეყაროს?? - იკითხა გაბზარული და ცრემლნარევი ხმით. - ნუ იშვოთებთ, ჩემო პატარავ, - დაამშვიდა პროფესორმა, - არავითარი საფუძველი არ არსებობს საიმისოდ, რომ სხვა რამე შეგეყაროთ.

და გარშემო მიმოიხედა.

– წინა ბინა უფრო მომწონდა. რალაც უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდა.

– დიახ, – თქვა კოლენმა, – მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის? – მართლა, თქვენ რასა იქმთ ცხოვრებაში? – ჰკითხა პროფესორმა.

– რალაც-რალაცებს ვსწავლობ, – უპასუხა კოლენმა, – და მიყვარს კლოე.

– თქვენს სამუშაოს არაფერი მოაქვს თქვენთვის? – ჰკითხა პროფესორმა.

– არა, – თქვა კოლენმა, – მე არ ვასრულებ სამუშაოს იმ გაგებით, როგორც ეს ხალხს ესმის.

– მუშაობა ამაზრზენი რამეა, კარგად ვიცი, – ჩაიჩურჩულა პროფესორმა, – მაგრამ რისი კეთებაც გსიამოვნებს კაცს, იმას არაფერი არ მოაქვს, რაკი?

გაჩუმდა.

– ბოლოს რომ ვიყავი, თქვენ რალაც აპარატი მაჩვენეთ, რომელიც საოცარ შედეგებს იძლეოდა. კიდევ ხომ არა გაქვთ, შემთხვევით?

– არა, – თქვა კოლენმა, – გავყიდე. მაგრამ რაიმე დასალევი მაინც შემიძლია შემოგთავაზოთ?

მანქმანშმა ყვითელი პერანგის საყელოში თითები ჩაიყო და კისერი მოიფხანა.

– მოგყვებით. ნახვამდის, პატარა ქალბატონო, – თქვა მან. – ნახვამდის, ექიმო, – თქვა კლოემ.

მერე ლოგინში ღრმად შეძვრა და საბანი ნიკაპამდე აიფარა. მეწამულგვირისტიან, სუმბულისფერ თეთრეულზე მისი ნაზი სახელა ანათებდა.



## თავი ორმოცდამეორვე

შიკმა შენიღბული საკონტროლო კარიბჭე გაიარა და მანქანას საშვი გაუწოდა გასახვრეტად. სახელოსნოებისაკენ მიმავალ დერეფანთან, რკინის კარის ზღურბლზე, ჩვეულებისამებრ წაბოროძიკდა და ორთქლისა და შავი ბოლის ბოლქვი უხეშად ეცა სახეში. თანდათანობით სხვადასხვა ხმები ესმოდა: ცვლადი დენის მთავარი ტურბოგენერატორების ყრუ გუგუნი, გარდი-გარდმო გადებულ ღირეებზე მოძრავი ხიდების ჩიფჩიფი და ძლიერი ზენაქარის ღრიანცელი, რომელიც თუნუქის სახურავს ასკდებოდა. დერეფანი ძალიან ბნელი იყო, ყოველ ექვს მეტრში მოწითალო ნათურა ენთო, რომლის მკრთალი შუქიც ზანტად მიიკლაკნებოდა სლიბინა საგნებზე და მათი ნაკვთების წარმოსაჩენად კედლებისა და იატაკის ხორკლს ებლაუჭებოდა. თუნუქის დაბრეცილი, ცხელი ფირფიტები მის ფეხქვეშ ალაგალაგ დახეთქილიყო და ქვემოდან ქვის ღუმლების წითელი და ბნელი ხახები მოჩანდა. შიკის თავზე ნაცრისფრად და წითლად შეღებულ მსხვილ მილებში ფლუიდები მსხვილ-მსხვილით გადი-გამოდინდნენ

და მექანიკური გულის ყოველ ფეთქვაზე, რომელსაც ცეცხლფარეშები წნევით ამუშავებდნენ, შენობის რკინის ჩონჩხი მცირედი ყოვნითა და ღრმა ვიბრაციით მსუბუქად იკლაკნებოდა. კედლებზე წვეთები ჩნდებოდა, მერე, შედარებით ძლიერი პულსაცია გამოერეოდა თუ არა, წყდებოდა და როცა ერთ-ერთი მათგანი კისერში ეცემოდა, შიკს უსიამოვნოდ აყრყოლებდა. წვეთები მღვრიე და ოზონის სუნიანი წყლისა იყო. ბოლოში დერეფანი უხვევდა და ფარღალალა იატაკი ეხლა სახელოსნოებს დაჰყურებდა თავს.

ქვევით, ზორბა მანქანებთან, ადამიანები იდგნენ და იჭაჭებოდნენ, იბრძოდნენ, რათა ხარბ კბილანა ჩარხებს ისინი ნაკუწებად არ ექცია. თითოეულს მარჯვენა ფეხზე რკინის მძიმე ბორკილი ედო, რომელსაც დღეში ორად ორჯერ ხსნიდნენ: დღისით და საღამოს. ისინი მანქანებს ლითონის წვრილ-წვრილ დეტალებს ედავებოდნენ, რომლებიც ჩხაკუნით გამოდიოდნენ ზემოთა ვიწრო ხვრელებიდან და, თუ დროზე არ აიღებდნენ, დაუყოვნებლივ უკანვე ხტებოდნენ კბილანა ბორბლებით აფუთფუთებულ ხახაში, სადაც მათი სინთეზი ხდებოდა. ყველა ზომის დანადგარი იყო. შიკი კარგად იცნობდა აქაურობას, ერთ-ერთი სახელოსნოს კიდეში მუშაობდა. მანქანების შემოწმება ევალეობოდა და თან მუშებისათვის მითითებები უნდა მიეცა, თუ როგორ გაემართათ და ჩაერთოთ ხელახლა მანქანები, რომლებიც მათთვის ხორცის ნაჭრების ამოგლეჯის შემთხვევაში ჯიუტად ჩერდებოდნენ.

სამუშაო გარემოს დასასუფთავებლად ესენციის გრძელი და ალაგ-ალაგ შხეფებით გაბრჭყვიალებული ნაკადები ირიბად კვეთდნენ ოთახს და აქეთ-იქით, მანქანებიდან სწორ, წვრილ სვეტებად ამომავალი ბოლის, მტვრადქცეული ლითონისა და ცხელი ზეთის კონდენსირებას ახდენდნენ. შიკმა თავი აწია. მიღები კვლავ მისდევდნენ. ჩამავალი ბაქნის გალიას მიადგა, შევიდა და კარი მიიხურა. ჯიბიდან პარტრის ერთ-ერთი

წიგნი ამოიღო, ღილაკს დააწვა და, მიწისქვეშეთამდე ჩაღწევის მოლო-  
დინში, კითხვას შეუდგა.

გარინდებული შიკი ლითონის საბჯენზე ბაქნის ყრუ მიჯახუნებამ გა-  
მოაფხინა. გამოვიდა და თავისი კაბინეტისკენ, ანუ შემინული და სუს-  
ტად განათებული ყუთისაკენ გასწია, საიდანაც სახელოსნოებს თვალ-  
ყურს ადევნებდა. დაჯდა, წიგნი გადაშალა და, ფლუიდების პულსაციითა  
და მანქანების გრუხუნ-გუგუნით გაბრუებულმა, კითხვა განაგრძო. მან-  
ქანების რახრახისათვის რაღაც შეუსატყვისი ხმის გაგონებაზე თვალები  
უცბად მოსწყვიტა წიგნს და ძებნა დაუწყო იმ ადგილს, საიდანაც ეს სა-  
ეჭვო ხმაური მოდიოდა. ერთ-ერთი გამწმენდი ნაკადი ის იყო დარბაზის  
შუაგულში შეწყვეტილიყო და, თითქოს ორად გაპოხილი, ჰაერში გაშე-  
შებულიყო. ოთხი მანქანა, რომლებსაც ეს ნაკადი ემსახურებოდა,  
თრთოდა და ზანზარებდა. მათი მოძრაობა შორიდანვე ჩანდა და თითოე-  
ულის წინ თითო ლანდი თანდათანობით უძლურდებოდა. შიკმა წიგნი  
დადო და გარეთ გავარდა. ნაკადების სამართავ დაფასთან მიიბრინა და  
სახელური სწრაფად ჩამოწია. გატეხილი ნაკადი უძრავად იდგა, ცელის  
პირი გეგონებოდათ. იმ ოთხი მანქანიდან ბოლი გრიგალივით ადიოდა ჰა-  
ერში. დაფას თავი მიანება და მანქანებისკენ გაქანდა, რომლებიც ნელ-  
ნელა ჩერდებოდნენ. მუშები, რომლებიც მათ ემსახურებოდნენ, ძირს  
ეყარნენ. რკინის ბორკილის გამო მარჯვენა ფეხი უცნაური კუთხით მოჰ-  
კეცვოდათ, ხოლო მარჯვენა ხელი მაჯებში გადამტვრეოდათ. მანქანის  
ლითონის შეხებაზე სისხლი იწვოდა და ჰაერში დანახშირებული ცოცხა-  
ლი ხორცის საზარელ სუნს აფრქვევდა.

შიკმა გასალებით გახსნა რგოლები, რომლებიც უსულო სხეულებს  
აკავებდა და ისინი მანქანების წინ გააწვინა. თავის ოთახში აბრუნდა და  
ტელეფონით მორიგე სანიტრები გამოიძახა. შემდეგ სამართავ დაფას მი-  
უბრუნდა და ნაკადის ხელახლა ჩართვას შეეცადა. არაფერი გამოდიოდა.

სითხე სწორად ისმებოდა, მაგრამ, როგორც კი მეოთხე მანქანის ღონეს აღწევდა, ადგილზე ქრებოდა. ნაკადი ისე წმინდად იყო წაკვეთილი, თითქოს ნაჯახით გადაჭრესო.

დადარდიანებულმა წიგნი ხელის ცეცებით ჩაიტენა ჯიბეში და მთავარი ბიუროსაკენ გაემართა. სახელოსნოს დატოვების მომენტში გვერდზე გადასვლა, რათა სანიტრები შემოეშვა, რომელთაც ოთხი გვამი პატარა ელექტრულ ურიკაზე აეხორხლათ და საერთო კოლექტორში მათ ჩასაშვებად ემზადებოდნენ.

სხვა დერეფანში შეუხვია. შორს, ბოლოში, პატარა ურიკამ ნაზი გუგუნით მოუხვია და რამდენიმე თეთრი ნაპერწკალი გაყარა. ძალიან დაბალი ჭერი ლითონზე მისი ნაბიჯების ხმას ირეკლავდა. წინ ოდნავი აღმართი ედო. მთავარ ბიურომდე მისასვლელად სამი გრძელი სახელოსნოს გავლა იყო საჭირო და შიკი დაბნეული მიუყვებოდა გზას. ბოლოს, როგორც იქნა, მთავარ ბლოკს მიაღწია და პერსონალის უფროსთან შევიდა. – ავარიაა შვიდას მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე უბნებზე, – აუწყა მან სარკმლის მიღმა მჯდარ მდივანს, – ოთხი კაცი შესაცვლელია, მანქანები კი, მე მგონი, ასაღებია. შეიძლება პერსონალის უფროსს დაველაპარაკო? მდივანმა ლაქწასმული წითელი ხის დაფაზე რამდენიმე სამართავი ღილაკი მისწი-მოსწია და, შედით, გელოდებითო, უთხრა.

შიკი შევიდა და დაჯდა. პერსონალის უფროსმა თვალებით ჰკითხა, რა ხდებაო.

- ოთხი კაცი მჭირდება, – უპასუხა შიკმა.
- კეთილი, – თქვა პერსონალის უფროსმა, – ხვალ გეყოლებათ.
- ერთ-ერთი გამწმენდი ნაკადიც აღარ მუშაობს, – დაუმატა მან.
- ეგ მე არ მეხება, – თქვა პერსონალის უფროსმა, – გვერდით მიმართეთ.

შიკი გამოვიდა და ალჭურვილობის უფროსთან შესვლის წინ იგივე ფორმალობები შეასრულა.

– შვიდასის ერთ-ერთი გამწმენდი ნაკადი აღარ მუშაობს, – თქვა მან.

– საერთოდ?

– ბოლომდე არ მიდის, – თქვა შიკმა.

– ხელმეორედ ველარ ჩართეთ?

– ვერა, – თქვა შიკმა, – უიმედო საქმეა.

– ეხლავე შევამოწმებ თქვენს სახელოსნოს, – თქვა ალჭურვილობის უფროსმა.

– ჩემი წარმადობა ეცემა, – თქვა შიკმა, – მალე ქენით. – ეგ მე არ მეხება, – თქვა ალჭურვილობის უფროსმა, – ნაწარმის უფროსი ნახეთ.

შიკი გვერდით ბლოკისკენ გავარდა და ნაწარმის უფროსთან შევიდა. სამუშაო ოთახი ძლიერად გაჩახჩახებულიყო, ხოლო მაგიდის უკან, კედელზე, გაუმჭვირვალი მინის დიდი დაფა ეკიდა, რომელზეც რაღაც წითელი ხაზი ისე ზანტად მიიზღაზნებოდა მარჯვნისაკენ, როგორც მუხლუხო ფოთლის კიდეზე; დაფის ქვევით, ქრომირებულ ჩარჩოში მოქცეული ცირკულარული დონის ისრები კი კიდევე უფრო ნელა ტრიალებდნენ.

– თქვენი წარმადობა 0,7 პროცენტით ეცემა, – თქვა უფროსმა, – რა ხდება?

– ოთხი მანქანა წრედიდან გამორთულია, – თქვა შიკმა. – 0,8-ზე დათხოვნილი ხართ, – უთხრა ნაწარმის უფროსმა. თავის ქრომირებული ტრიალა სავარძლით კედლისკენ შებრუნდა და დონეს შეხედა.

– 0,78, – თქვა მან, – თქვენ ადგილას მე მზადებას დავიწყებდი.

– პირველად დამემართა ასეთი რამ, – თქვა შიკმა.

– ვწუხვარ, – თქვა ნაწარმის უფროსმა, – შეიძლება მოვანერხოთ და სამუშაო ადგილი შეგიცვალოთ.

– მე არ ვებლაუჭები ამას, – თქვა შიკმა, – მე არ ვებლაუჭები სამუშაოს. არ მიყვარს.

– არავის არა აქვს მაგის თქმის უფლება, – თქვა ნაწარმის უფროსმა, – თქვენ დათხოვნილი ხართ, – დაუმატა ბოლოს. – მე უძლური ვიყავი იმ ვითარებაში, – თქვა შიკმა, – სად არის სამართალი?

– არაფერი მსმენია მაგაზე, – თქვა ნაწარმის უფროსმა, – უნდა გამოგიტყდეთ, რომ სამუშაო მაქვს.

შიკმა კაბინეტი დატოვა. პერსონალის უფროსთან შებრუნდა. – შეგიძლიათ გადამიხადოთ? – ჰკითხა მან.

– ნომერი? – ჰკითხა პერსონალის უფროსმა.

– მე-700 სახელოსნო. ინჟინერი.

– კეთილი.

მდივანს მიუბრუნდა და, გააკეთეთ რაც საჭიროაო, უთხრა. შემდეგ შიდა გადამცემში ჩაილაპარაკა. ალო! თქვა მან. სათადარიგო ინჟინერი. მე-5 ტიპი, მე-700 სახელოსნოსთვის. – აი, – თქვა მდივანმა და შიკს კონვერტი გაუწოდა, – აქ თქვენი ას ათი დუბლეზონია.

– გმადლობთ, – უთხრა შიკმა და წამოვიდა.

გზად ის ინჟინერი შემოეყარა, რომელსაც იგი უნდა შეეცვალა, ერთი დალლილსახიანი გამხდარი და ქერა ახალგაზრდა კაცი. უახლოესი ლიფტისკენ გაემართა და კაბინაში შევიდა.

## თავი ორმოცდამეცხრე

– მობრძანდით! – დაიყვირა ფირფიტების ხარატმა.

და კარს გახედა. შიკი იყო.

– გამარჯობა, – მიესალმა შიკი, – ჩანაწერები რომ მოგიტანეთ, იმაზე მოგაკითხეთ.

– ვაჯამებ, – თქვა ხარატმა, – ეს ოცდაათი პირი, იარაღების დამზადება, თითოეულ პირზე პანტოგრაფის გრაფიურიანი ოცი დანომრილი ეგზემპლარი, ეს ყველაფერი დაგიჯდებათ ას რვა დუბლეზონი. გითმობთ ას ხუთად.

– აი, – თქვა შიკმა, – ას ათი დუბლეზონის ჩეკი მაქვს, მე თქვენ მას გადმოგცემთ და დამიბრუნეთ ხუთი დუბლეზონი.

– კეთილი, – თქვა ფირფიტების ხარატმა.

უჯრა გამოაღო და შიკს სულ ახალთახალი ხუთდუბლეზონიანი კუპიურა გაუწოდა. შიკს თვალები ჩაუქრა.

## თავი ორმოცდამეათე

იზისი გადმოვიდა. საჭესთან ნიკოლა იჯდა. მან საათს დახედა და კოლენისა და კლოეს სახლში შემავალ იზისს თვალი გააყოლა. ნიკოლას თეთრი გაბარდინის ახალი უნიფორმა ეცვა და თეთრი კეპიანი ქუდი ეხურა. გაახალგაზრდავებულიყო, მაგრამ გამომეტყველებაში ღრმა დაბნეულობა გამოსჭვიოდა. კოლენის სართულზე კიბის სიგანე უეცრად მცირდებოდა და იზისს ხელების გაუშლელად შეეძლო ერთდროულად მოაჯირსაც მისწვდომოდა და ცივ კედელსაც. ხალიჩისაგან ბუსუსებილა დარჩენილიყო, რომელიც ძლივსლა ფარავდა ხის იატაკს. კარს მიადგა, ცოტა იქოშინა და ზარი დარეკა.

კარი არავის გაუღია. სადარბაზოში ჩამიჩუმი არ ისმოდა, გარდა დრო და დრო მსუბუქი ტკაცუნისა, რასაც, რომელიმე საფეხურის მოდუნებისას, ნოტიო ჭყაპუნის ერთვოდა თან. იზისმა ხელახლა დარეკა. კარის მიღმა ლითონზე ფოლადის ჩაქუჩის თრთოლვის ხმას მოჰკრა ყური. როგორც კი ოდნავ შეანჯღრია კარი, უცბად გაიღო.



შევიდა თუ არა, ფეხი წამოჰკრა კოლენს, რომელიც, პირქვე, გვერდულად გაწოლილიყო იატაკზე და ხელები წინ გაეშვირა? თვალეზი დახუჭული ჰქონდა. შემოსასვლელში ბნელოდა. ფანჯრის გარშემო სინათლე იდგა, მაგრამ შიგ არ შემოდის. კოლენი მშვიდად სუნთქავდა. ეძინა.

იზისი დაიხარა, მის გვერდით ჩაიმუხლა და ლოყაზე მიეფერა. კოლენს კანი მსუბუქად შეუთრთოლდა და ქუთუთოების ქვეშ თვალეზი აუ მოძრავდა. იზისს ახედა და თითქოს ისევ ჩაეძინაო. იზისმა ოდნავ შეანჯღრია. კოლენი წამოჯდა, ხელი პირზე მიიფარა და, მეძინაო, თქვა.

– ხო, – თქვა იზისმა, – ლოგინში აღარ გძინავს?

– არა, – თქვა კოლენმა, – აქ იმიტომ ვიყავი, რომ ექიმს ვუცდიდი და მერე ყვავილებზე უნდა გავსულიყავი.

მთლად თავგზააბნეული იერი ჰქონდა.

– რა ხდება? – ჰკითხა იზისმა.

– კლოე, – თქვა კოლენმა, – ისევ ახველებს.

– უბრალოდ, ოდნავი გაღიზიანება დარჩა, – თქვა იზისმა. – არა, – თქვა კოლენმა, – მეორე ფილტვია.

იზისი წამოდგა და კლოეს ოთახისკენ გაიქცა. მის ფეხქვეშ პარკეტის ფიცრები ჰყაპუნობდნენ. ოთახი ველარ იცნო. ლოგინზე ბალიშში ნახევრადთავჩარგული კლოე უხმოდ, მაგრამ განუწყვეტლივ ახველებდა. იზისის ფეხის ხმაზე ოდნავ წამოიმართა და სული მოითქვა. იზისი მიუახლოვდა, საწოლზე ჩამოუჯდა და, როგორც ავადმყოფ ბავშვს, ხელები მოხვია. კლოემ სუსტად გაიღიმა.

– ნუ ახველებ, ჩემო კლოე, – ჩასჩურჩულა იზისმა.

– ლამაზი ყვავილი გაქვს? – ერთი ამოსუნთქვით უთხრა კლოემ და იზისის თმაში გაყრილი დიდი წითელი მიხაკი დაყნოსა. – კარგად მოქმედებს? – დაუმატა ბოლოს.

– ისევ ავადა ხარ? – ჰკითხა იზისმა.

– მეორე ფილტვია, მე მგონი, – თქვა კლოემ.

– არა, არა, – თქვა იზისმა, – პირველის გამოა, კიდევ რომ გახველებს ცოტა.

– არა, – თქვა კლოემ, – სად არის კოლენი, ყვაავილებზე წავიდა?

– მალე მოვა, – თქვა იზისმა, – შევხვდი. ფული აქვს? – დაუმატა მან.

– კი, – თქვა კლოემ, – ცოტა კიდევ აქვს? რას შველის ერთი ეს, არა-ფერს.

– გტკივა? – ჰკითხა იზისმა.

– კი, – უპასუხა კლოემ, – მაგრამ არც ისე ძალიან. ხედავ, ოთახი როგორ შეიცვალა.

– ესე უფრო მომწონს, – თქვა იზისმა, – წინათ ძალიან დიდი იყო.

– სხვა ოთახები როგორია? – ჰკითხა კლოემ.

– ოჰ, კარგი? – ორჭოფულად უპასუხა იზისმა.

ჯერ კიდევ ახსოვდა ჭაობივით ცივი პარკეტის შეგრძნება. – ჩემთვის სულ ერთია, იცვლება თუ არა, – თქვა კლოემ, – რაკი თბილა და ისევ მყუდროა.

– აბა რა! – თქვა იზისმა, – ბატარა ბინა უფრო სასიამოვნოა. – თავი ჩემთან რჩება ხოლმე, – თქვა კლოემ, – ხომ ხედავ, აი იქ, კუთხეში. არ ვიცი, რას შვრება. არ მოინდომა დერეფანში გასვლა.

– ხო, – თქვა იზისმა.

– კიდევ მომეცი შენი მიხაკი, – თქვა კლოემ, – კარგად მოქმედებს.

იზისმა ყვაავილი თმიდან მოიძრო და გაუწოდა. კლოემ მაშინვე ტუჩებთან მიიტანა და გრძლად შეისუნთქა.

– როგორ არის ნიკოლა? – იკითხა მერე.

– კარგად, – თქვა იზისმა, – მაგრამ უწინდელივით მხიარული აღარ არის. კიდევ მოგიტან ყვაავილებს, როცა მოვალ. – ძალიან მიყვარდა ნიკოლა, – თქვა კლოემ, – არ გინდა, ცოლად გაჰყვე?

- არ შემიძლია, - ჩაიჩურჩულა იზისმა, - მე მის სიმაღლეზე არა ვარ.  
- ეგ არაფერია, - თქვა კლოემ, - თუკი უყვარხარ.  
- ჩემი მშობლები ვერ ბედავენ მასთან ამაზე ლაპარაკს, - თქვა იზის-  
მა. - ოჰ!?

უეცრად მიხაკმა ფერი დაკარგა, ჩამოჰკნა, გამოიფიტა და კლოეს  
მკერდზე წმინდა მტვრად დაეფინა.

- ოჰ! - თქვა კლოემ თავის მხრივ, - ისევ დამეწყება ხველა, ნახე??

გაჩერდა და ხელი პირთან მიიტანა. ძლიერი ხველება აუტყდა.

- ეს? მე რაცა მჭირს? ყველა ყვავილს? კლავს? - ჩაიბუტბუტა მან.

- ნუ ლაპარაკობ, - თქვა იზისმა, - ამას არავითარი მნიშვნელობა  
არა აქვს. მალე ახალ ყვავილებს მოგიტანს კოლენი.

ოთახში ლურჯი, კუთხეებში კი, თითქმის მწვანე დღე იდგა. ნესტის  
კვალი ჯერ არ ჩანდა და ხალიჩაც საკმაოდ სქელი იყო, მაგრამ ოთხ კვად-  
რატულ ფანჯარათაგან ერთ-ერთი თითქმის მთლიანად ამოქოლილიყო.  
იზისმა კოლენის ნაბიჯის ნოტიო ხმა გაიგონა შემოსასვლელში.

- აი ისიც! - თქვა მან, - ნამდვილად ყვავილები მოაქვს შენთვის.

კოლენი გამოჩნდა. ხელებში შრომანის დიდი ბლუჯა ეჭირა. - აჰა, ჩე-  
მო კლოე, - უთხრა მან, - გამომართვი.

კლოემ ხელები გაიწვდინა.

- რა კეთილი ხარ, ჩემო ძვირფასო, - თქვა მან. თაიგული მეორე ბა-  
ლიშზე დადო, გვერდზე გადაბრუნდა და სახე თეთრ და დაშაქრულ მტევ-  
ნებში ჩარგო.

იზისი წამოდგა.

- მიდიხარ? - ჰკითხა კოლენმა.

- ხო, - უპასუხა იზისმა, - მელოდებიან. ყვავილებით დავბრუნდები.

– კარგს იზამ ხვალ დილას თუ მოხვალ, – უთხრა კოლენმა. – მე სამსახურის საძებნელად უნდა წავიდე და არ მინდა, მარტო დავტოვო, სანამ ხელმეორედ არ ვნახავთ ექიმს.

– მოვალ? – უთხრა იზისმა.

ოდნავ დაიხარა და კლოეს ნაზ ლოყაზე ფრთხილად აკოცა. კლოემ ხელი აწია და იზისს სახეზე ისე მიეფერა, თავი არ მოუბრუნებია. ხარბად ყნოსავდა შროშანების სურნელს, რომელიც მისი მბრწყინავი თმის გარშემო ნელ ხვეულებად იშლებოდა.

## თავი ორმოცდამეთერთმეტე

კოლენი მძიმედ მიაბიჯებდა. გზა მიწის შემალღებებს შორის მიიკლაკნებოდა, რომელთა თავებზეც მინის გუმბათები დღისით ზღვისფერ და გაუბედავ ელვარებას იძენდა.

დროდადრო თავს ზევით წევდა და წარწერებს კითხულობდა, რათა დარწმუნებულიყო, სწორად მივდივარო, და თვალწინ ლურჯად და ჭუჭყიან წაბლისფრად დასერილი ცა ეშლებოდა. წინ, შორს, ფერდობების თავზე, მთავარი სათბურის ჩამწკრივებული საკვამურები შეინიშნებოდა.

ჯიბეში ედო გაზეთი, რომლითაც ქვეყნის თავდაცვის მოსამზადებლად სამსახურს სთავაზობდნენ ოციდან ოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცებს. რაც შეეძლო სწრაფად მიდიოდა, მაგრამ ფეხები ცხელ მიწაში ეფლობოდა, რომელიც ირგვლივ ნელ-ნელა ნთქავდა ნაგებობებსა და გზას.

ალარც მცენარეები ჩანდა; გზის ორივე მხარეს მიწა უფორმო ბლოკებად აეხორხლათ და ამ ნაჩქარევ, ფამფალა ყრილებზე დროგამომშვებით რალაც მძიმე მასა ირყეოდა, ფერდობზე მოგორავდა და გზის ზედაპირზე მსუბუქად ენარცხებოდა ხოლმე. ზოგან მიწაყრილები დაბლდებოდა და გუმბათების გაუმჭვირვალი მინის მიღმა კოლენი ლურჯ ლანდებს არჩევდა, რომლებიც ნათელ ფონზე ბუნდოვნად მოძრაობდნენ.

ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ ახლად გაჩენილი ორმოებიდან ფეხები ძლივს ამოჰქონდა. მიწა მრგვალი კუნთივით მაშინვე იკვრებოდა და ოდნავ შესამჩნევი სუსტი ჩაღრმავებებილა რჩებოდა. მერე ესენიც თითქმის დაუყოვნებლივ იშლებოდა და ქრებოდა.

საკვამურები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. კოლენს მკერდში გული გაცოფებული მხეცივით უხტოდა. გაზეთი ჯიბის გარედან, ხელის-ჩაუყოფლად ჩაბლუჯა.

მიწა ქანაობდა და ფეხქვეშ ეღრიცებოდა, მაგრამ ახლა საგრძნობლად გამაგრებულიყო და ფეხი შიგ ნაკლებად ეფლობოდა. მალე მიწაში სარივით ჩარჭობილი პირველი საკვამური შენიშნა. მუქი ჩიტები თავს დასტრიალებდნენ წვერს, საიდანაც წვრილი მწვანე კვამლი ამოდიოდა. საკვამურის ძირში მრგვლად გამოზურცული ადგილები მის მდგრადობას უზრუნველყოფდა. ოდნავ მოშორებით შენობების მწკრივი მოჩანდა. კარი კი ერთადერთი იყო.

შევიდა, მანვილპირებიან მბრჭყვინავ ბადეს ფეხები გაუსვ-გამოუსვა და დაბალ დერეფანს გაუყვა, რომელსაც აქეთ-იქით მფეთქავშუქიანი ნათურები მიუყვებოდა. ფილები წითელი აგურისა იყო, ხოლო კედლების ზედა ნაწილი, ისევე როგორც ჭერი, მრავალსანტიმეტრიანი სისქის მინის ფირფიტებით მოერთოთ, რომელთა მიღმა ბნელი და უძრავი მასები მოჩანდა. დერეფნის ბოლოს კარი იყო. ზედ გაზეთში მითითებული ნომერი ეწერა და, როგორც განცხადება ურჩევდა, დაუკაკუნებლად შევიდა.

სამუშაო მაგიდასთან თეთრხალათიანი და თმაგაბურძგნული მოხუცი კაცი იჯდა და რალაც სახელმძღვანელოს კითხულობდა. კედელზე ნაირნაირი იარაღი, ბრწყინვალე სატევრები, ცეცხლმსროლელი თოფები, სხვადასხვა კალიბრის სიკვდილმტყორცნები და ყველა ზომის გულსაგლეჯის სრული კოლექცია ეკიდა.

– გამარჯობა, ბატონო, – თქვა კოლენმა.

– გაგიმარჯოთ, ბატონო, – თქვა კაცმა. ასაკისგან გატენილი და დასქელებული ხმა ჰქონდა.

– განცხადების თაობაზე მოვედი, – თქვა კოლენმა.

– აჰ? – შეიცხადა კაცმა, – აგერ უკვე ერთი თვეა, მაგ განცხადებას არავინ გამოხმაურებია. საკმაოდ მძიმე სამუშაოა, ხომ იცით.

– დიახ, – თქვა კოლენმა, – მაგრამ ხელფასი კარგია. – ღმერთო ჩემო, – თქვა კაცმა, – იცით, ცვეთს ადამიანს და შეიძლება არც ღირდეს მაგ ფასად. თუმცა მე არ უნდა ვკილაგდე ჩემს ადმინისტრაციას. სხვათაშორის, როგორც ხედავთ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

– დიდი ხანია მუშაობთ? – ჰკითხა კოლენმა.

– წელიწადია, – თქვა კაცმა, – ოცდაცხრა წლისა ვარ. დანაოჭებული და აკანკალებული ხელი სახის ნაკეცებზე გადაისვა.

– ეხლა კი დამაწინაურეს, ხომ ხედავთ. შემიძლია მთელი დღე ჩემს კაბინეტში ვიჯდე და სახელმძღვანელო ვიკითხო. – მე ფული მჭირდება, – თქვა კოლენმა.

– ხშირია, – თქვა კაცმა, – მაგრამ მუშაობა ფილოსოფოსად აქცევს ადამიანს. სამი თვის თავზე ნაკლებად დაგჭირდებათ. – ცოლის სამკურნალოდ მჭირდება, – თქვა კოლენმა.

– ა? მართლა? – თქვა კაცმა.

– ავადაა, – აუხსნა კოლენმა, – თორემ, მე არ მიყვარს მუშაობა.

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა კაცმა, - როცა ქალი ავადაა, ის აღარაფრისთვის ვარგა.

- მიყვარს, - თქვა კოლენმა.

- უთუოდ, - თქვა კაცმა, - უმაგისოდ არც მოგინდებოდათ მუშაობა. მე თქვენ მიგასწავლით თქვენს სამუშაო ადგილს. ერთი სართულით მაღლაა.

დაბალთაღებიანი სუფთა დერეფნებისა და წითელი აგურის კიბეების გავლით იგი კოლენს ერთ-ერთი კარამდე მიუძღვა, რომელსაც აქეთ-იქით სხვა კარები ემეზობლებოდა და რაღაც სიმბოლოთი იყო ნიშანდასმული.

- აი, - უთხრა კაცმა, - ეხლა მე თქვენ აგისხნით სამუშაოს არსს.

კოლენი შევიდა. ოთახი პატარა, კვადრატული იყო. კედლები და იატაკი მინისა იყო. ძირს კუბოს ფორმის, მაგრამ ძალიან სქელი, სულ ცოტა ერთი მეტრის სიმაღლის მიწის გროვა ეყარა. გვერდით, იატაკზე, შალის მძიმე საბანი იდო დახვეული. არავითარი ავეჯი. კედელში გამოჭრილ პატარა ნიშაში ლურჯი რკინის ყუთი ჩაესვათ. კაცი ყუთთან მივიდა, გააღო და იქიდან შუაში პაწაწინანახვრეტიანი თორმეტი მზინავი და ცილინდრული ნივთი ამოიღო.

- მიწა სტერილურია, - თქვა კაცმა, - მოგეხსენებათ, ქვეყნის დასაცავად უმაღლესი ხარისხის ნივთიერებებია საჭირო. მაგრამ იმისათვის, რომ თოფის ლულები თანაბრად და დაულრეცავად იზრდებოდეს, კარგა ხანია დადგინდა, რომ ადამიანური სითბოა საჭირო. ყველა იარაღი ასეა, სხვათაშორის.

- დიახ, - თქვა კოლენმა.

- გულისა და ღვიძლის სიმაღლეზე მიწაში თორმეტი პატარა ორმოს ამოთხრით, - განაგრძო კაცმა, - და, სულ რომ გაიხდით, გაწვევებით მიწაზე. სტერილური შალის ქსოვილს დაიფარებთ, აქ რომაა, და ისე იზამთ,



რომ უზადოდ თანაბარი სითბო გამოყოთ. გატეხილი სიცილი წასკდა და ხელი მარჯვენა ბარძაყზე მიიტყაპუნა.

– ყოველი თვის პირველ ოც დღეში თოთხმეტ ცალს ვაკეთებდი. ეჰ! მაგარი ვიყავი!?

– მერე? – ჰკითხა კოლენმა.

– მერე ასე უნდა დარჩეთ ოცდათხუთი საათის განმავლობაში და, ამ დროისათვის თოფის ლულებიც დაიზრდებიან. მერე მათ ამოსაღებად მოვლენ, მიწას ზეთით მორწყავენ და თქვენც თავიდან დაიწყებთ.

– ქვევითკენ იზრდებიან? – იკითხა კოლენმა.

– დიახ, განათებული ქვემოდანაა? – თქვა კაცმა, – მათ პოზიტიური ფოტოტროპიზმი აქვთ, მაგრამ ქვევითკენ იმიტომ იზრდებიან, რომ მიწაზე მძიმეები არიან, და სწორედ ქვემოდან ანათებენ, რომ არ დაიღრიცონ.

– და დაკუთხვა როგორღა ხდება? – ჰკითხა კოლენმა. – ამ ჯიშისანი პირდაპირ დაკუთხულები იზრდებიან, – თქვა კაცმა, – ნარჩევი მარცვლებია.

– საკვამურები რილასთვისაა? – იკითხა კოლენმა.

– ვენტილაციისთვის, – თქვა კაცმა, – და საბნებისა და შენობების სტერილიზაციისთვისაც. საგანგებო სიფრთხილის დაცვა არ არის საჭირო, რადგან ძალიან ენერგიულად არის ნაკეთები.

– ხელოვნური სითბოთი არ გამოდის? – იკითხა კოლენმა. – ცუდად, – თქვა კაცმა, – მაგათ კარგად გაზრდას ადამიანის სითბო სჭირდება.

– ქალებს იყენებთ? – ჰკითხა კოლენმა.

– ეგენი ვერ ასრულებენ სამუშაოს, – თქვა კაცმა, – მკერდი არა აქვთ სათანადოდ ბრტყელი, თანაბრად რომ განაწილდეს მაგათი სითბო. ეხლა დაგტოვებთ და შეუდექით საქმეს. – მართლა ათ დუბლეზონს მივიღებ დღეში? – ჰკითხა კოლენმა.

- რა თქმა უნდა, - თქვა კაცმა, - და პრემიას, თორმეტ ლულას თუ გადააჭარბებთ.

ოთახი დატოვა და კარი გაიხურა. კოლენს ხელში თორმეტი მარცვალ ეჭირა. გვერდით დაილაგა და გახდა დაიწყო. თვალეზი დახუჭული ჰქონდა და დრო და დრო ტუჩები უკანკალებდა.

## თავი ორმოცდამეთორმეტე

– არ ვიცი, რა ხდება, – თქვა კაცმა, – თავიდან კარგად გამოდიოდა. მაგრამ ამ ბოლოებით რაიმე განსხვავებული იარაღის მეტს ვერაფერს გავაკეთებთ.

– გადახდით ხომ მაინც გადამიხდით? – იკითხა შეწუხებულმა კოლენმა.

ხელფასის სამოცდაათი დუბლეზონი და პრემიის ათი დუბლეზონი ერგებოდა. ძალ-ღონე კი არ დაუშურია, მაგრამ ლულების შემმოწმებელს გარკვეული წუნები გამოეაშკარავებინა.

– თავად ნახეთ? – უთხრა კაცმა.

ხელში ერთ-ერთი ლულა ეჭირა და კოლენს გაგანიერებულ ბოლოს აჩვენებდა.

– არ მესმის, – თქვა კოლენმა, – პირველები სრულიად ცილინდრულები იყო.

– მათი გამოყენება, რა თქმა უნდა, მუშაკეტების დასამზადებლად შეიძლება, – თქვა კაცმა, – მაგრამ ეს მოდელი ხუთი ომის წინანდელია და ჩვენ ამის დიდ მარაგს ვფლობთ. საწყენია.

– მე თავს არ ვზოგავ, – თქვა კოლენმა.

– რასაკვირველია, – თქვა კაცმა, – მე თქვენ მოგცემთ თქვენს კუთვნილ ოთხმოც დუბლეზონს.

მაგიდის უჯრიდან დაბეჭდილი კონვერტი ამოიღო.

– აქ მოვატანიე, თქვენ რომ გადამერჩინეთ ხელფასების განყოფილებაში მისვლისაგან, – თქვა მან, – ხალხი ხანდახან თვეებს უნდება ფულის მიღებას, თქვენ კი, ჩანდა, გეჩქარებოდათ. – გმადლობთ, – თქვა კოლენმა.

– მე ჯერ არ შემომოწმებია თქვენი გუშინდელი ნაწარმი, – თქვა კაცმა, – ეხლავე მოიტანენ. შეგიძლიათ, ერთი წამით მოიცადოთ?

მისი მთრთოლვარე და კოჭლი ხმა პირდაპირ სატანჯველი იყო კოლენის სმენისათვის.

– მოვიცდი, – თქვა მან.

– იცით, – თქვა კაცმა, – ჩვენც გვაიძულებენ, ყურადღებით მოვეხუროთ ამ წვრილმანებს, იმიტომ რომ, ერთი თოფი გვანებით ხომ მაინც უნდა ჰგავდეს მეორეს, თუნდაც ვაზნები არ იყოს?

– დიახ? – თქვა კოლენმა.

– ვაზნები ხშირად არ არის ხოლმე, – თქვა კაცმა, – ვაზნების პროგრამებში ძალიან ჩამოვრჩით, დიდი მარაგები გვაქვს თოფის ერთ-ერთი მოდელისთვის, რომელიც აღარ მზადდება, ანუ იმათ ვერ ვიყენებთ, მაგრამ ახლებური თოფებისთვის ვაზნების დასამზადებლად ბრძანება ჯერ არ მიგვიღია. ეგ არაფერს არ ცვლის, სხვათაშორის. თოფით რას გახდები ბორბლებიანი მანქანის წინააღმდეგ? ჩვენი ორი თოფის სანაცვლოდ

მტერი ერთ ბორბლებიან მანქანას აკეთებს. ანუ, რიცხობრივი უპირატესობა ჩვენ ვვაქვს. მაგრამ თოფს, მით უმეტეს უვაზნებოდ, ბორბლებიანი მანქანა აინუნშიაც არ აგდებს, თუნდაც ათი გქონდეს.?

– ბორბლებიან მანქანებს არ ამზადებთ აქ? – ჰკითხა კოლენმა.

– როგორ არა, – თქვა კაცმა, – მაგრამ უკანასკნელი ომის პროგრამას ძლივს ვამთავრებთ, ესე იგი, ევენი აღარ ვარგა, საჭიროა მათი დაშლა, და რახან ძალიან მკვიდრადაა ნაგები, ეს ბევრ დროს მოითხოვს.

კარზე დააკაკუნეს, საწყობის გამგე შემოვიდა და სტერილიზებული ურიკა შემოავორა. ქათქათა თეთრეულის ქვეშ კოლენის იმდღევანდელი ნაწარმი ეწყო. თეთრეულის ერთ-ერთი კიდე ამოზნექილიყო. ცილინდრული ლულების შემთხვევაში ეს არ უნდა მომხდარიყო და კოლენს გულმა რეჩხი უყო. გამგე გავიდა და კარი გაიხურა.

– აჰ! – თქვა კაცმა, – რაღაც არ ჰგავს ეს კარგად შესრულებულს.

თეთრი ნაჭერი გადახადა. ურიკაზე ლურჯი და ცივი ფოლადის თორმეტი ლულა ეწყო. თითოეულის წვერში თითო ქორფა და ლამაზი თეთრი ვარდი გაფურჩქნულიყო, რომელთა ხავერდოვან ფურცლებსაც ჩალრმავების ადგილებში ღია ჩალისფერი დაჰკრავდა.

– ოჰ? – ჩაიჩურჩულა კოლენმა, – რა ლამაზები არიან? კაცს არაფერი უთქვამს. ორჯერ ჩაახველა.

– მაშ, აღარა ღირს ხვალ სამუშაოს გაგრძელება, – თქვა მან ყოყმანით.

მისი თითები ნერვიულად ებლაუჭებოდა ურიკის კიდეს. – შეიძლება წავილო?? – იკითხა კოლენმა, – კლოესთვის. – ფოლადს მოაშორებთ თუ არა, დაიხოცებიან, – უთხრა კაცმა, – ფოლადისანი არიან, ხომ იცით?

– შეუძლებელია, – თქვა კოლენმა.

ერთ-ერთ ვარდს ნაზად მოჰკიდა ხელი და ღეროში გადატეხვას შეეცადა. ხელი აუცდა და ერთ-ერთმა ფურცელმა მკლავი გრძლად გადაუსერა. ჭრილობიდან ხელი ფეთქვით, დიდ ყლუპებად წამსკდარ მუქ სისხლს გაუაზრებლად ყლაპავდა. თვალი წითელი ნახევარმთვარით დანიშნულ თეთრ ფურცელზე გაშტერებოდა, როცა კაცმა მხარზე ხელი მოუტყაპუნა და კარისაკენ ნაზად უბიძგა.

## თავი ორმოცდამეცამეტე

კლოეს ეძინა. დღისით ღუმფარა უთმობდა ხოლმე თავისი კანის ლა-  
მაზ, კრემის ფერს, მაგრამ ძილის დროს აბა რა საჭირო იყო, და წითელი  
ლაქები კვლავ უჩნდებოდა ლოყებზე. თვალეები შუბლის ქვეშ ჩალურჯე-  
ბულ ადგილებად მოუჩანდა და შორიდან ვერც მიხვდებოდი, გახელილი  
ჰქონდა თუ არა. კოლენი სკამზე იჯდა სასადილო ოთახში და იცდიდა.  
უამრავი ყვავილი შემოეწყო კლოეს გარშემო. შეეძლო კიდეც რამდენიმე  
საათს მოეცადა, ვიდრე ახალი სამსახურის ძებნას შეუდგებოდა. უნდოდა  
დაესვენა, რათა კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა და მართლაც კარგად  
ანაზღაურებადი სამუშაო ეშოვა. ოთახში თითქმის ბნელოდა. ფანჯარა  
რაფიდან თითქმის ათ სანტიმეტრამდე ამოქოლილიყო და სინათლე ვიწ-  
რო ზოლადღა შემოდინდა. მხოლოდ შუბლი და თვალეები ჰქონდა განა-  
თებული. დანარჩენი სახე ჩრდილში მოჰქცეოდა. ფირსაკრავი აღარ მუ-  
შაობდა, ყოველი ფირფიტის დაკვრას ხელახალი მომართვა სჭირდებოდა  
და ეს უზომოდ ღლიდა კოლენს. ფირფიტებიც ცვდებოდნენ. ზოგიერთზე

ძლივსლა იცნობდი მელოდიას. ფიქრობდა, რომ კლოეს თუ რაიმე დასჭირდებოდა, თავი მაშინვე შეატყობინებდა. ნეტა შეირთავდა ნიკოლა იზისს? და რა კაბას ჩაიცვამდა იზისი საქორწილოდ? ნეტა ვინ რეკავდა კარზე? – გამარჯობა, ალიზ, – თქვა კოლენმა, – კლოეს სანახავად მოხვედი?

– არა, – თქვა ალიზმა, – უბრალოდ მოვედი.

შეეძლოთ სასადილო ოთახში დარჩენილიყვენ. ალიზის თმამ ოდნავ გაანათა იქაურობა. ორი სკამილა დარჩენილიყო. – სევდიანი იყავი, – თქვა კოლენმა, – ვიცი, რასაც ნიშნავს ეს. – შიკი იქ არის, – თქვა ალიზმა, – თავისთან, სახლში. – და რამე უნდა მიუტანო, – ახსნა კოლენმა.

– არა, – თქვა ალიზმა, – ცოტა ხანს სხვაგან უნდა ვიყო. – ხო, – თქვა კოლენმა, – თავიდან ლებავს.

– არა, – თქვა ალიზმა, – იმისი ყველა წიგნი აქვს, მაგრამ მე აღარ ვუნდივარ.

– ეჩხუბე? – ჰკითხა კოლენმა.

– არა, – უპასუხა ალიზმა.

– მაგან ცუდად გაიგო, შენ რაც უთხარი, – დაუმატა კოლენმა, – მაგრამ რისხვა რომ გადაუვლის, აუხსნი.

– უბრალოდ მითხრა, რომ მხოლოდ იმდენი დუბლეზონილა დარჩა, რამდენიც იმისი ბოლო წიგნის არარაობის ტყავიან ყდაში ჩასასმელადაა საჭირო, – თქვა ალიზმა, – და ვეღარ იტანს მე რომ მაგასთან ვარ, იმიტომ რომ ვერაფერს ვერ მაძლევს, და რომ მე დავმახინჯდები და ხელები გამიფუჭდება.

– მაგაში მართალია, – თქვა კოლენმა, – შენ არ უნდა იმუშაო. – მაგრამ მიყვარს შიკი, – თქვა ალიზმა, – მე ვიმუშავებდი მისი გულისთვის.

– ეგ არაფერს არ შველის, – თქვა კოლენმა, – სხვათაშორის, შენ ვერც იმუშავებ, ძალიან ლამაზი ხარ.



– რატომ გამომაგდო სახლიდან? – თქვა ალიზმა, – მართლა ძალიან ლამაზი ვიყავი.

– არ ვიცი, – თქვა კოლენმა, – მე კი ძალიან მომწონს შენი თმა და სახე.

– შეხედე, – უთხრა ალიზმა. წამოდგა, შესაკრავის პატარა რგოლი გამოაძრო და კაბა ძირს ჩავარდა. კაბა ღია ფერის შალისა იყო; შიგნით არაფერი არ ეცვა.

– ხო? – თქვა კოლენმა.

ოთახი ძალიან განათდა და კოლენმა მთლიანობაში დაინახა ალიზი. მისი ძუძუები გასაფრენად გამზადებული გეგონებოდათ, მისი თხელი ფეხების გრძელი კუნთები კი, შეხებისას მკვრივი და თბილი უნდა ყოფილიყო.

– შეიძლება გაკოცო? – ჰკითხა კოლენმა.

– კი, – უთხრა ალიზმა, – ძალიან მომწონხარ.

– შეგცივდება, – თქვა კოლენმა.

ალიზი მიუახლოვდა. კალთაში ჩაუჯდა და თვალებით უხმოდ ატირდა.

– ნეტა რატომ აღარ ვუნდივარ?

კოლენი მას ნაზად არწევდა.

– არ ესმის, იცი, ალიზ. ის მაინც კარგი ბიჭია.

– ძალიან ვუყვარდი, – თქვა ალიზმა, – ეგონა, წიგნები თანახმა იქნებოდნენ სიყვარულის გაყოფაზე. მაგრამ არ გამოდის.

– შეგცივდება, – გაიმეორა კოლენმა.

კოცნიდა და თმაზე ეფერებოდა.

– შენ რატომ არ შეგხვდი უფრო ადრე? – თქვა ალიზმა, – იმასავით მიყვარებოდი, მაგრამ ეხლა აღარ შემიძლია. ის მიყვარს.

- ვიცი, - თქვა კოლენმა, - მეც კლოე უფრო მიყვარს ეხლა. ააყენა და ძირს დაგდებული კაბა აიღო.

- ჩაიცვი, ჩემო ფისუნი, - თქვა მან, - შეგცივდება. - არა, - თქვა ალიზმა, - და რომც შემცივდეს, მერე რა. გაუაზრებლად ჩაიცვა.

- არ მინდა, საბრალო იყო, - უთხრა კოლენმა.

- რა კეთილი ხარ, - თქვა ალიზმა, - მაგრამ მე ძალიან საბრალო ვარ; მე მგონი, მაინც მოგახერხებ რაიმეს გაკეთებას შიკისთვის.

- შენს მშობლებთან წადი, - თქვა კოლენმა, - ალბათ შენი ნახვა მოენატრათ. ან იზისთან.

- იქ შიკი არ იქნება, - თქვა ალიზმა, - და მე არავისთან არ მინდა წასვლა, თუ შიკი არ წამოვა.

- წამოვა, - თქვა კოლენმა, - მე ვნახავ.

- ვერა, - თქვა ალიზმა, - ველარ შეხვალ. ისევ გასალებითაა ჩაკეტილი.

- მაინც ვნახავ, - თქვა კოლენმა, - ან ის მოვა ჩემ სანახავად. - არა მგონია, - თქვა ალიზმა, - ეს ის შიკი აღარ არის. - როგორ არა, - თქვა კოლენმა, - საგნები იცვლებიან, ადამიანები კი - არა.

- არ ვიცი, - თქვა ალიზმა.

- გაგაცილებ, - თქვა კოლენმა, - მე სამსახურის საქებნელად უნდა წავიდე.

- მე მანდეთ არ მოვდივარ, - თქვა ალიზმა.

- ქვემოთამდე ჩაგაცილებ, - თქვა კოლენმა.

ალიზი მის პირისპირ იდგა. კოლენმა მხრებზე ხელები დაადო. კანზე მისი კისრის სითბოსა და ნაზ, ხუჭუჭ თმას გრძნობდა. ხელებით ალიზის სხეულს ჩაუყვავა. ალიზი აღარ ტიროდა. თითქოს იქ აღარ იყო.

- არ მინდა, რომ რამე სისულელე ქნა, - უთხრა კოლენმა. - ოჰ, - თქვა ალიზმა. - არ ვიზამ სისულელეს.

– ისევ მოდი ჩემ სანახავად, სევდა თუ შემოგაწვება, – უთხრა კოლენმა.

– შეიძლება მოვიდე შენ სანახავად, – თქვა ალიზმა. გარშემო მიმოიხედა. კოლენმა ხელი ჩაჰკიდა. კიბე ჩაიარეს. ნესტიან საფეხურებზე ხანდახან ფეხი უცურავდათ. ქვევით კოლენმა, ნახვამდისო, უთხრა. ალიზი არ განძრეულა და მიმავალ კოლენს თვალი გააყოლა.

## თავი ორმოცდამეთოთხმეტე

ის უკანასკნელი სულ ახალი მოტანილი იყო მკინძავისაგან და შიკი, ყუთში ჩადების წინ, ელოლიავებოდა. ყდაზე არარაობის სქელი, მწვანე ტყავი ეკრა და ჩაბურცული ასოებით პარტრის სახელი იკითხებოდა. ყველა ჩვეულებრივი გამოცემა შიკს ერთადერთ თაროებიან კარადაში ეწყო, ხოლო ვარიანტებს, ხელნაწერებს, პირველ ტირაჟებსა და მნიშვნელოვან გვერდებს კედლის სიღრმეში, საგანგებო ნიშებში ინახავდა.

შიკმა ამოიოხრა. დილას ალიზმა მიატოვა. ისლა დარჩენოდა, ეთქვა, წადიო. ერთი დუბლეზონი და ერთი ნაჭერი ყველილა ებადა, ალიზის კაბები კი ადგილს აღარ უტოვებდა კარადაში პარტრის ნახმარი ტანსაცმლის ჩამოსაკიდებლად, რომელსაც წიგნების გამყიდველი მისთვის რაღაც სასწაულით შოულობდა. არც ახსოვდა, როდის აკოცა უკანასკნელად ალიზს. აღარ შეიძლებოდა მის კოცნაში დროის კარგვა. პარტრის

მოხსენებათა ტექსტების დასაზეპირებლად ფირსაკრავი ჰქონდა შესაკეთებელი. ფირფიტების დაზიანების შემთხვევაში ხომ უნდა შესძლებოდა ტექსტის აღდგენა.

პარტრის ყველა, ყველა გამოქვეყნებული წიგნი იქ იყო. იქ იყო ტყავის კოლოფებში საგულდაგულოდ დაცული მდიდრული ყდები, მოოქროვილი სამაგრები, დიდ, ცისფერ მინდვრებიანი ძვირფასი ეგზემპლარები, ბუზების სახოც, თუ სენტორიქსის ვერქეს ქალაქზე ნაბეჭდი შეზღუდული ტირაჟები, და ამ ყველაფრისთვის ხავერდგადაკრულ, ფაფუკ უჯრედებად დაყოფილი ერთი მთლიანი კედელი იყო გამოყოფილი.

თითოეულ ნაშრომს თითო უჯრედი ეკავა. მოპირდაპირე კედელს იმ ურიცხვი პერიოდებიდან, ჟურნალებიდან თუ გაზეთებიდან გულმოდგინედ ამოკრებილი და დასტებად აკინძული სტატიები ამშვენებდა, რომელთაც ინება და თავისი ნაყოფიერი თანამშრომლობით პატივი დასდო პარტრმა.

შიკმა ხელი მოისვა შუბლზე. ნეტა რამდენი ხანი იყო, რაც ალიზი მასთან ერთად ცხოვრობდა? კოლენის ღუბლეზონები მათს შეუღლებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ალიზი მაინცდამაინც მონდომებული არ იყო. იგი ლოდინით, მხოლოდ მასთან ერთად ყოფნითაც კმაყოფილდებოდა, მაგრამ არ შეიძლება დასთანხმდე ქალს, შენთან იყოს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ უყვარხარ. შიკსაც უყვარდა. იგი ვერ დაუშვებდა, რომ ალიზს მისთვის დრო წაერთმია, რაკი პარტრი აღარ აინტერესებდა. როგორ შეიძლება არ გაინტერესებდეს პარტრისნაირი კაცი. კაცი, რომელსაც შეუძლია წეროს რაც გინდა, რა თემაზეც გინდა, და მერე რაოდენი სიზუსტით. თავის რწყევის ენციკლოპედიას პარტრი ნაღდად წელიწადზე ნაკლებში შეასხამდა ხორცს, თანაც, ამ ნაშრომში დიუშეს დე ბოვუარიც ითანამშრომლებდა და არაჩვეულებრივი ხელნაწერების მეტი რა იქნებოდა. იქამდე ღუბლეზონები საკმაოდ უნდა ეშოვა, რათა თავიც

გაეტანა და თან ცოტა დაეზოგა – წიგნების გამყიდვლისთვის ბე მანც რომ მიეცა. შიკს ჯერაც არ გადაეხადა გადასახადები. მაგრამ მისთვის გადასახადების ფული წმინდა კოლომბის ხვრელის ერთი ეგზემპლარის სახით უფრო სასარგებლო იყო. ალიზს ერჩია, რომ შიკს დუბლეზონები გადასახადების გადასახდელად გამოეყენებინა და ამისათვის თავისი ნივთების გაყიდვაც კი შესთავაზა. შიკიც დასთანხმდა და თანხამ ზუსტად წმინდა კოლომბის ხვრელის ყდის საფასური შეადგინა. ალიზი თავისი კოლიეს გარეშეც შესანიშნავად ძლებდა.

ყოყმანობდა, გაელო თუ არა კარი. ალიზი, შესაძლოა, კარის მიღმა იდგა და ელოდებოდა, როდის გადაატრიალებდა გასაღებს. თუმცა, ეხლა ასე არ ფიქრობდა. კიბეებზე მისი ნაბიჯების ხმა ჩაქუჩის ჩუმი კაკუნით ისმოდა ხოლმე. შეიძლება მშობლებთან წავიდა და სწავლა გააგრძელა. ბოლოს და ბოლოს, სულ ოდნავ თუ იქნებოდა ჩამორჩენილი. გაცდენილი ლექციების ანაზღაურება კი სწრაფად შეიძლება. მაგრამ ალიზი თითქმის აღარ მუშაობდა. ძალიან დაკავებული იყო შიკის საქმეებით, მისთვის საჭმლის კეთებით და ჰალსტუხების გაუთოებით. გადასახადებს, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ არ გადაიხდიდა. ნუთუ ყოფილა შემთხვევა, სახლში მიეკითხათ ვინმესთვის და დაეტუქსათ, რატომ არ გადაიხადე გადასახადებო? ასე არ ხდება. შეიძლება ბედ გადარიცხო ერთი დუბლეზონი. მერე თავს დაგანებებენ და, რალაც ხნის განმავლობაში, ამაზე აღარც არის ლაპარაკი. ნეტა პარტრისნაირი ტიპები თუ იხდიან გადასახადებს? შესაძლოა, მაგრამ, ნუთუ მორალური თვალსაზრისით გამართლებულია გადასახადების გადახდა, იმისათვის რომ, სანაცვლოდ, უფლება გქონდეს, ყადაღა დაგადონ, რაკილა სხვები იხდიან იმ ხარჯებს, პოლიციისა და დიდი მოხელეების შენახვას რომ ხმარდება? მოჯადოებული წრეა, რომელიც უნდა გაირღვეს. დიდხანს არავინ არ უნდა გადაიხადოს და მოხელეებიც გამოფიტვით დაიხოცებიან და აღარც ომები იქნება.

შიკმა ორსიბრტყიან ფირსაკრავს თავსახური ახადა და ჟანსოლ პარტრის ორი სხვადასხვა ფირფიტა დადო. ერთდროულად უნდოდა ორივეს მოსმენა, ორი ძველი იდეის შეჯახებისას ახალ იდეებს რომ ეფეთქათ. თვითონ ორ დინამიკს შორის, ზუსტად შუაში დადგა, რათა თავი სწორედ იქ ჰქონოდა, სადაც ეს შეჯახება მოხდებოდა და მისი შედეგები თავისთავად შეეთვისებინა. ნემსები ფირფიტის კიდეებზე გაფხაჭუნდნენ, ჩაღრმავებულ კვლებში ჩასხდნენ და შიკს ტვინში პარტრის სიტყვები აუყურდნენ. ფანჯარაში იყურებოდა და დაადგინა, რომ აქა-იქ, სახურავებზე, ქალაქის ბოლივით წითელძირიანი, მსხვილი ხვები ამოდიოდა. უაზროდ შესცქეროდა წითლის ლურჯზე გამარჯვებას. სიტყვები კი, ერთმანეთზე შეჯახებისას, კაშკაშა სინათლეს გამოსცემდნენ და მის დაღლილობას მაისის ხავსივით ნაზ სავანეს სთავაზობდნენ.

## თავი ორმოცდამეთხუთმეტე

პოლიციის ათაბაგმა ჯიბიდან სასტვენის ამოიღო და ვეებერთელა პერულ გონგს შემოჰკრა, რომელიც ზურგსუკან ეკიდა. ყველა სართულზე ნალებიანი ჩექმების თქარათქურის, მერე კი, გრძელ მილში ტყაპატყუპის ხმა გაისმა, და ექვსი საუკეთესო მემხედრე მის კაბინეტში ჩამოსრიალდა.

წამოდგნენ, მტვრის გასაბერტყად ტრაკებზე ხელები მიიტყაპუნეს და გაიჯგიმნენ.

- დუგლას! - დაიძახა ათაბაგმა.
- გახლავარ! - უპასუხა პირველმა მემხედრემ.
- დუგლას! - გაიმეორა ათაბაგმა.
- გახლავარ! - თქვა მეორემ.

ამოკითხვა გაგრძელდა. პოლიციის ათაბაგი ვერ დაიხსომებდა თითოეულის სახელს, დუგლასი კი ტრადიციული გვარი იყო.

- საგანგებო დავალებაა! - ბრძანა მან.



ექვსივე მემხედრემ ერთი და იმავე მოძრაობით ხელი უკანა ჯიბეზე მიიღო, რაც ნიშნავდა, რომ აღჭურვილნი იყვნენ თავთავიანთი თორმეტნაკადიანი გამათანასწორებლებით. – პირადად გიხელმძღვანელებთ! – ყურადღება გაამახვილა ათაბაგმა.

მთელი ძალით ჩამოჰკრა გონგს. კარი გაიღო და გამოჩნდა მდივანი.

– მივდივარ, – გამოაცხადა ათაბაგმა, – საგანგებო დავალებაა. ჩაიწინაკეთ.

მდივანმა წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და ჩანიშვნის მეექვსე საწესდებო პოზიციაში დადგა.

– წინასწარი ყადაღის დადებით გადასახადების დაფარვა უფალი შიკის სახლში, – უკარნახა უფროსმა, – ყურებზე კონტრაბანდული ხახვის დაჭრა და მკაცრი გაკიცხვა. სახლზე ძალადობით გართულებული სრული ან თუნდაც ნაწილობრივი ყადაღა.

– ჩანიშნულია! – თქვა მდივანმა.

– გზას გავუდგეთ, დუგლას, – ბრძანება გასცა პოლიციის ათაბაგმა.

წამოდგა და სათავეში ჩაუდგა ესკადრილიას, რომელიც მძიმედ დაიძრა და თავისი თორმეტი ფეხით გოფრეებიანი გუგულის ფრენას მიბაძა. ექვსივეს მკერდსა და მხრებზე შემოტმასნული ჯავშნიანი შავი ტყავის კომბინეზონი ემოსა, ხოლო ჩაფხუტის ფორმის მათი ჩაშავებული ფოლადის მუზარადები კეფამდე ჩამოდიოდა და საფეთქლებსა და შუბლს იცავდა. ყველას მძიმე, ლითონის ჩექმები ეცვა. ათაბაგი ანალოგიურ, ოლონდ წითელი ტყავის სამოსში გამოწყობილიყო და მხრებზე ორი ოქროს ვარსკვლავი უბრჭყვინავდა.

გამათანასწორებლებს მისი ქვეშევრდომების უკანა ჯიბეები დაებერა; ხელში მას ოქროს პატარა ხელკეტი ეკავა, ხოლო წელზე მძიმე მოოქროვილი ხელყუმბარა ეკიდა. საპატიო კიბე ჩაიარეს. როგორც კი ათაბაგმა

ხელი მუზარადისკენ წაიღო, გუშაგი ამაყ და თავდაჭერილ მდგომარეობაში დადგა. საგანგებო მანქანა კართან იცლიდა. ათაბაგი მარტო ჩაჯდა უკან, ხოლო მემხედრეები გადმოშვერილ საფეხურებზე ჩამწკრივდნენ, ორი მსუქანი – ერთ მხარეს, ოთხი გამხდარი – მეორე მხარეს. მძლოლსაც შავი ტყავის კომბინეზონი ეცვა, ოღონდ მუზარადი არ ეხურა. დაიძრნენ. მანქანას ბორბლების ნაცვლად უამრავი მოცახცახე ფეხი ესხა, ასე რომ, ბრმა ჭურვი ვერ გაუხვრეტდა საბურავს. ფეხები მიწაზე აფრუტუნდნენ და მძლოლმა პირველივე გზის გასაყარზე მკვეთრად მოუხვია; შიგნით მყოფთ თავი ყალყზეშემდგარი, მსკდომი ტალღის წვერზე ეგონათ.

## თავი ორმოცდამეტექსმეტე

ალიზი თვალს აყოლებდა მიმაგალ კოლენს და გულში მთელი ძალით ემშვიდობებოდა. კოლენს მზე და მთვარე ამოსდიოდა კლოეზე, მისი გულსთვის სამსახურის საძებნელად მიდიოდა, უნდოდა ყვავილები ეყიდა და იმ საშინელებას შეჰბრძოლებოდა, რომელიც კლოეს მკერდში ეჯდა და ანადგურებდა. კოლენს განიერი მხრები ჩამოჰყროდა. ძალიან დაღლილად გამოიყურებოდა, ქერა თმა ძველებურად აღარ ჰქონდა დავარცხნილი და მოვლილი. შიკი უაღრესად ნაზდებოდა, როცა ლაპარაკობდა პარტრის რომელსამე წიგნზე ან, როცა ხსნიდა პარტრს. მას მართლა არ შეუძლია უპარტროდ, აზრადაც არ მოუვა თავში რამე სხვა მოსინჯოს. პარტრი ამბობს ყველაფერს, რისი თქმის უნარსაც შენატრის შიკი. არ უნდა გამოვაქვეყნებინოთ პარტრს ეს ენციკლოპედია, ეს შიკის სიკვდილი იქნება, გაქურდავს, მოკლავს ვინმე წიგნის გამყიდველს. ალიზი ნელა გაუყვა გზას. პარტრი მთელ დღეებს ერთ დუქანში, სმასა და წერაში ატა-

რებს თავისნაირებთან ერთად, რომლებიც იქ სასამელად და საწერად და-  
დიან, ზღვათა ჩაის და ნაირ-ნაირ რბილ არაყს სვამენ, რაც მათ თავიდან  
აცილებს ფიქრს იმაზე, რაზეც წერენ. თან ბევრი ხალხი შედი-გამოდის.  
ეს კი კუნჭულებში მიმალულ აზრებს ამოძრავებს და ერთი-ორს გამოჰ-  
კრავენ ხოლმე კლანჭს, ყოველგვარი ნაგავი ხომ არ უნდა მოიშორო თა-  
ვიდან, ცოტას იღებებს დააწყობ, ცოტას – ნაგავს, და აურევ ერთმანეთში.  
ხალხი ასეთ რაღაცეებს უფრო ადვილად ნთქავს, განსაკუთრებით, ქა-  
ლებს არ უყვართ ის, რაც სუფთაა. დუქნის გზა გრძელი არ იყო, ალიზმა  
შორიდან მოჰკრა თვალი თეთრ პიჯაკსა და ლიმონისფერ შარვალში გა-  
მოწყობილ ერთერთ გარსონს, ღორის ფარშირებული პოჭოკი რომ მიჰ-  
ქონდა დონ ევანი მარკეს, სირჩბურთის ცნობილი მოთამაშის მაგიდას-  
თან, რომელიც, სმის ნაცვლად, რაც საერთოდ ეზიზღებოდა, მეზობლე-  
ბისთვის წყურვილის მოსაგვრელად ცხარედ შენელებულ საჭმელებს  
ნთქავდა. ალიზი შევიდა. ჟანსოლ პარტრი თავის ჩვეულ ადგილას იჯდა  
და წერდა; უამრავი ხალხი ირეოდა და ჩუმი ლაპარაკი ისმოდა. ჩვე-  
ულებრივი სასწაულით, რაც თავისთავად არაჩვეულებრივია, ჟან-სო-  
ლის გვერდით ალიზმა თავისუფალი სკამი დაინახა და ჩამოჯდა. თავისი  
მძიმე ჩანთა მუხლებზე დაიდო და საკეტი გახსნა. ჟანსოლის მხარს ზე-  
მოდან ფურცლის სათაური დაინახა, ენციკლოპედია, ტომი მეცხრამეტე.  
ალიზმა მორცხვად დაადო ხელი მკლავზე ჟან-სოლს; მან წერა შეწყვიტა.

– უკვე მანდ ყოფილხართ, – თქვა ალიზმა.

– დიახ, – უპასუხა ჟან-სოლმა, – თქვენ ჩემთან ლაპარაკი გასურდათ?

– მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, არ გამოგექვეყნებინათ ეს, – თქვა  
მან.

– ძნელია, – თქვა ჟან-სოლმა, – ხალხი ელოდება.

სათვალე მოიხსნა, შუშებს დააორთქლა და ისევ გაიკეთა; თვალეები  
ალარ უჩანდა.

- რა თქმა უნდა, - თქვა ალიზმა, - მინდოდა მეთქვა, რომ უბრალოდ დაყოვნებაა საჭირო.

- ო, - თქვა ჟან-სოლმა, - თუ მხოლოდ ეგ არის, მაშინ ვნახოთ.

- ათი წლით დაყოვნებაა საჭირო, - თქვა ალიზმა.

- ხოო? - თქვა ჟან-სოლმა.

- ხო, - თქვა ალიზმა, - ათი წლით, ან მეტი, რასაკვირველია. იცით, ჯობს აცალოთ ხალხს ფულის დაგროვება. რომ შეძლონ ყიდვა.

- საკმაოდ მოსაწყენი იქნება წასაკითხად, - თქვა ჟან-სოლ პარტრმა, - იმიტომ რომ უკვე ძალიან მომბეზრდა წერა. ფურცლის ხელში ჰერისგან მარცხენა მკლავში ძლიერი კრუნჩხვები მაქვს.

- ძალიან ვწუხვარ, - თქვა ალიზმა.

- კრუნჩხვები რომ მაქვს?

- არა, - თქვა ალიზმა, - გამოცემის დაყოვნება რომ არ გინდათ.

- რატომ?

- ეხლავე ავიხსნით: შიკი მთელ თავის ფულს თქვენს ნახელავში ხარჯავს, პოდა, აღარა აქვს ფული.

- უკეთესს იზამდა, სხვა რამე ეყიდა, - თქვა ჟან-სოლმა, - მე არასოდეს ვყიდულობ ჩემს წიგნებს.

- მას უყვარს ის, რასაც თქვენ აკეთებთ.

- ეს მისი უფლებაა, - თქვა ჟან-სოლმა, - მან გააკეთა თავისი არჩევანი.

- ძალიან შეტოპა, მე მგონი. - თქვა ალიზმა, - მეც გავაკეთე ჩემი არჩევანი, მაგრამ მე თავისუფალი ვარ, რადგან მას აღარ უნდა, რომ მასთან ვიცხოვრო, ამიტომ, რაკი თქვენ არ გინდათ გამოცემის დაყოვნება, მე თქვენ მოგკლავთ.

– თქვენ მე დამაკარგვინებთ არსებობის საშუალებას, – თქვა ჟან-სოლმა, – როგორ გინდათ, რომ ავილო ჰონორარი, თუკი მკვდარი ვიქნები?

– ეგ თქვენი საქმეა, – თქვა ალიზმა, – მე ყველაფერს ვერ გავითვალისწინებ, რახან ყველაფერზე მეტად თქვენი მოკვლა მინდა.

– მაგრამ, თქვენ ხომ გესმით, რომ მე არ შემიძლია დავთანხმდე ეკეთ მიზეზს? – ჰკითხა ჟან-სოლ პარტრმა. – მესმის, – თქვა ალიზმა. ჩანთა გახსნა და იქიდან შიკის გულსაგლეჯი დააძრო, რომელიც რამდენიმე დღის წინ მისი სამუშაო მაგიდის უჯრიდან აეღო.

– შეგიძლიათ, გაიხსნათ საყელო? – ჰკითხა მან.

– მისმინეთ, – თქვა ჟან-სოლმა და სათვალე მოიხსნა, – ძალიან დიდ სისულელედ მეჩვენება ეგ ამბავი.

და საყელოს ღილები შეიხსნა. ალიზმა ძალები მოიკრიბა და გულსაგლეჯი გაბედულად ჩაასო პარტრს მკერდში. პარტრმა ზედ დაიხედა. სწრაფად კვდებოდა და უკანასკნელი მზეერა ძალიან გაკვირვებული ჰქონდა, რადგან დაადგინა, რომ მისი გული ტეტრაედრის ფორმისა იყო. ალიზი მთლად გაფითრდა. ჟანსოლი მკვდარი იყო და ჩაი ცივდებოდა. ენციკლოპედიის ხელნაწერი აიღო და დახია. ერთ-ერთი გარსონი მოვიდა, რათა მოეწმინდა სისხლი და მთელი ის სიბინძურე, რაც კალმის მელანს მოეხდინა პატარა მართკუთხა მაგიდაზე. გარსონს გადაუხადა, გულსაგლეჯის ორივე კაპი გააღო და პარტრის გული მაგიდაზე დააგდო; ბრჭყვიალა იარაღი დაკეცა, ჩანთაში ჩაიღო და ქუჩაში გავიდა. ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა, რომელიც იქამდე პარტრს ედო ჯიბეში.

## თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

ალიზი შემოტრიალდა. სქელი შავი ბოლი ვიტრინას ავსებდა და ხალხიც ნელ-ნელა იქით იწყებდა ყურებას. სამი ღერი ასანთი დაწვა, სანამ ცეცხლს გააჩალებდა, პარტრის წიგნებს არაფრით არ უნდოდათ, აალებულიყვნენ. წიგნების გამყიდველი თავისი მაგიდის უკან ეგდო, იქვე, გვერდით, მის გულს ცეცხლი ეკიდა, შავი ალი და მდულარე სისხლის დაკლაკნილი შადრევნები უკვე გარეთ გადიოდა. პირველი ორი წიგნის მალაზია, სამასი მეტრის იქეთ, ტკაცატკუციტა და შხუილ-შხუილით გიზგიზებდა. გამყიდველებიც დახოცილიყვნენ. ყველა, ვისაც კი შიკისთვის წიგნები მიეყიდა, ამგვარადვე მოკვდებოდა და მალაზია დაეწვებოდა. ალიზი ტიროდა და ჩქარობდა. თვალწინ ჟან-სოლ პარტრის თვალები ედგა, თავისსავე გულს რომ დასცქეროდა. თავიდან არც უნდოდა მისი მოკვლა, უბრალოდ შეეცადა, გადაეფიქრებინებინა მისთვის ახალი წიგნის გამოცემა და ამით შიკი იმ უბედურებისაგან ეხსნა, რომელიც მის გარშემო მზადდებოდა. ისინი ყველანი შეკავშირებულნი იყვნენ შიკის

წინააღმდეგ მათ მისი ფულის ხელში ჩაგდება სურდათ, მისი გატაცებით სარგებლობდნენ, ძველ ტანსაცმელს და ანაბეჭდებიან ჩიბუხებს აჩეჩებდნენ, რომლებსაც არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ისინი იმსახურებდნენ იმ ბედს, რომელიც მათ ელოდა. მარცხნივ აკინძული ტომებით მორთული ვიტრინა დაინახა, გაჩერდა, სული მოითქვა და შევიდა. გამყიდველი გამოეგება და, რა გნებავთო, ჰკითხა.

– პარტრი გაქვთ? – ჰკითხა ალიზმა.

– რასაკვირველია, – თქვა გამყიდველმა, – თუმცა, დღეისთვის, რელიკვიებს ვერ შემოგთავაზებთ. ერთმა კარგმა კლიენტმა დაჯავშნა.

– შიკმა? – ჰკითხა ალიზმა.

– დიახ, – უპასუხა გამყიდველმა, – მგონი, ასე ეძახიან. – ჰოდა, აღარ მოვა მაგათ საყიდლად, – თქვა ალიზმა. ალიზი მიუახლოვდა და ფეხებთან თავისი ცხვირსახოცი დაუგდო. გამყიდველი ტკაცუნით დაიხარა ასაღებად და ალიზმა სწრაფი მოძრაობით ჩაასო ზურგში გულსაგლეჯი. ისევ ატირდა და აკანკალდა. გამყიდველი პირქვე დაეცა. ალიზმა ველარ გაბედა თავისი ცხვირსახოცის ალება – ჩაბლუჯული ჰქონდა გამყიდველს. გულსაგლეჯი ამოაძრო. კაპებს გამყიდველის ერთი ბეწო და ბაცი წითელი გული მოეჭეჭყა. ალიზმა კაპები გადაწია და გული გამყიდველს მიუგორდა. უნდა ეჩქარა. გაზეთების დასტას დასწვდა, ასანთს გაჰკრა, ჩირაღდანი გააკეთა, დახლის ქვეშ შეაგდო და ზედ გაზეთები მიაყარა, შემდეგ კოცონს უახლოესი თაროდან აღებული თორმეტიოდე ნიკოლა კალასიც შეუკეთა, და ცეცხლი ცხელი გაშმაგებით ეძგერა წიგნებს; ხის დახლი ბოლავდა და ტკაცუნებდა, მალაზია კვამლით გაივსო. ალიზმა წიგნების უკანასკნელი მწკრივიც ცეცხლში ჩააყირავა, ხელების ცეცებით გამოვიდა, კარს საკეტის ზამზარა გამოაძრო, რომ არავინ შესულიყო, და გაიქცა. თვალეები ეწვოდა და თმაზე ბოლის სუნი უდიოდა. გარბოდა და ცრემლები თითქმის აღარ სდიოდა ლოყებზე – ქარი მაშინვე უშრობდა.



იმ უბანს უახლოვდებოდა, სადაც შიკი ცხოვრობდა. სულ რაღაც ორისამი წიგნის მალაზიალა რჩებოდა, სხვები მისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა. მომდევნო მალაზიის წინ ალიზმა უკან მიიხედა; შორს, ცაში ამაველი ბოლის სქელი სვეტები მოჩანდა და ხალხი მტუმბავთა ლაშქრის რთული საქმიანობის სანახავად მიიჩქაროდა. ქუჩაში მტუმბავთა დიდმა და თეთრმა მანქანებმა გაიქროლეს და რაკი ალიზი კარს ხურავდა, მათ თვალი შუშის მიღმა გააყოლა. გამყიდველი მივიდა მასთან და, რა გნებავთო, ჰკითხა.

## თავი ორმოცდამეთვრამეტე

– თქვენ აქ დარჩით, კარის მარჯვნივ, – თქვა პოლიციის ათაბაგმა, – თქვენ კი, დუგლას, განაგრძო მან და მეორე მსუქან მემხედრეს მიუბრუნდა, მარცხნივ დადექით და არავინ შემოუშვათ.

ზემოაღნიშნულმა მემხედრეებმა გამათანასწორებლები ამოიღეს, მარჯვენა ხელი მარჯვენავე ბარძაყის გასწვრივ, მუხლისკენ მიშვერილი ლულითურთ ჩამოუშვეს და საწესდებო პოზიციაში დადგნენ. მუზარადის წინ და უკან გადმოწეული თასმები ნიკაპქვეშ შეიკრეს. ათაბაგი ოთხი გამხდარი მემხედრის თანხლებით შევიდა; შიგნით, კარის აქეთ-იქით, კიდევ თითოთითო დააყენა, არავინ გამოუშვათო, დაავალა და, დარჩენილი ორი გამხდრის თანხლებით, კიბისაკენ გაემართა. ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, ყავისფერი სახის კანი, შავი თვალები და თხელი ტუჩები ჰქონდათ.

## თავი ორმოცდამეცხრამეტე

შიკმა იმ ორი ფირფიტის გამოსაცვლელად, რომლებსაც ის იყო ერთდროულად ბოლომდე მოუსმინა, ფირსაკრავი გააჩერა. ფირფიტები სხვა სერიიდან აიღო და ერთ-ერთის ქვეშ ალიზის ფოტოს წააწყდა. დაკარგული ეგონა. სამ მეოთხედში და სუსტად განათებულ ოთახში იყო გადაღებული, და ფოტოგრაფი იძულებული გამხდარიყო ალიზის უკან პროექტორი დაედგა, რათა თმის ზედა ნაწილში მზის შუქივით რალაც გაეკეთებინა. ფირფიტები გამოცვალა და ფოტო ხელში დაიტოვა. ფანჯარას თვალი მოავლო და დაადგინა, რომ, მის სახლთან სულ ახლოს, ბოლის ახალი და ახალი სვეტები ჩნდებოდა. ამ ორ ფირფიტასაც მოვუსმენ და ქვევით, წიგნების მალაზიაში ჩავალო, დააპირა. ჩამოჯდა, ხელმა ფოტო თვალებთან მიუტანა და, უფრო ყურადღებით რომ დააკვირდა, ალიზი პარტრს მიახლოებდა; პარტრის გამოსახულება ალიზის სახეს თანდათანობით ზედ დაედო და ბოლოს შიკს გაუღიმა. რა თქმა უნდა, ხელ-

საც წაუწერდა ყველაფერზე, რაზეც შიკი მოინდომებდა; კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ყური მიუგლო. კარზე დააკაკუნეს. ფოტო გადალო, ფირსაკრავი გამორთო და კარის გასაღებად წავიდა. გაალო და თვალში ერთ-ერთი მემხედრის შავი ტყავის კომბინეზონი ეცა. მეორე უკან მოჰყვებოდა. ბოლოს პოლიციის ათაბაგი შემოვიდა. სადარბაზოს ბინდებულში მის წითელ ტანსაცმელსა და შავ მუზარადზე მოელვარე ანარეკლები თამაშობდნენ.

– თქვენ შიკი გქვიათ? – ჰკითხა ათაბაგმა.

შიკმა უკან დაიხია და სახე გაუთეთრდა. იმ კედლამდე დაიხია, სადაც მისი ლამაზი წიგნები ინახებოდა.

– რა გქენი? – იკითხა მან.

ათაბაგმა გულის ჯიბე მოიქექა და ქალაქზე ნაწერი წაიკითხა:

წინასწარი ყადაღის დადებით გადასახადების დაფარვა უფალი შიკის სახლში. ყურებზე კონტრაბანდული ხახვის დაჭრა და მკაცრი გაკიცხვა. სახლზე ძალადობით გართულებული სრული ან თუნდაც ნაწილობრივი ყადაღა.

– კი მაგრამ? გადავიხდი გადასახადებს, – თქვა შიკმა. – დიახ, – თქვა ათაბაგმა, – თქვენ მათ გადაიხდით მერე. ჯერ ყურებზე ხახვი უნდა დაგაჭრათ. თანაც, ძალიან ცხარე ხახვია; შემოკლებით იმიტომ ვამბობთ ხოლმე, ხალხი რომ არ ალელდეს. – ფულს მოგცემთ, – თქვა შიკმა.

– რასაკვირველია, – თქვა ათაბაგმა.

შიკი მაგიდასთან მივიდა და უჯრა გამოალო; იქ ერთი ჩინებული მოდელის გულსაგლეჯი და ხმარებისაგან მთლად გაცვეთილი ძალღთამხოცი ეგულებოდა. გულსაგლეჯი არ დახვდა, ძალღთამხოცი კი ძველი ქალაქების გროვას ედო თავზე.

– ერთი ეს მითხარით, – თქვა ათაბაგმა, – მართლა ფულს ეძებთ?

მემხედრეები ერთმანეთისაგან განცალკევდნენ და გამათანასწორებლები მოიმარჯვეს. შიკი წელში გაიმართა, ხელში ძალღმრთაძოვი ეჭირა.

– ფრთხილად, უფროსო! – თქვა ერთმა მემხედრემ.

– დავაჭირო, უფროსო? – იკითხა მეორემ.

– ასე ადვილად ვერ მაჯობებთ? – თქვა შიკმა.

– ძალიან კარგი, – თქვა ათაბაგმა, – მაშინ წიგნებს წაგართმევთ.

ერთ-ერთმა მემხედრემ ხელი გაიშვირა და რაღაც წიგნს დასწვდა. მხეცურად გადაშალა.

– ნაწერების მეტი არაფერია, უფროსო, – გამოაცხადა მან. – იძალადეთ, – თქვა ათაბაგმა.

მემხედრემ წიგნი ყლით დაიჭირა და ღონივრად შეანჯღრია. შიკს ყმული აღმოხდა.

– მაგას არ მიეკაროთ!?

– ერთი ეს მითხარით, – ჰკითხა ათაბაგმა, – რატომ არ იყენებთ მაგ თქვენს ძალღმრთაძოვს? თქვენ მშვენივრად იცით, რომ საბუთზე წერია: სახლზე ძალადობით.

– მაგას ხელი უშვით, – ისევ დაიღრიალა შიკმა და ძალღმრთაძოვი აღმართა, მაგრამ ჩახმახი გაუჩნაკუნებლად დაეშვა.

– დავაჭირო, უფროსო? – ხელმეორედ იკითხა მემხედრემ. წიგნი ყლას მოსძვრა, შიკმა უვარგისი ძალღმრთაძოვი ხელიდან გააგდო და წინ გავარდა.

– დააჭირეთ, დუგლას, – თქვა ათაბაგმა და უკან დაიხია. ორივემ ესროლა. შიკის სხეული ორი მემხედრის ფერხთით დაეცა.

– ყურებზე ხახვი დავაჭრათ, უფროსო? – იკითხა მეორე მემხედრემ.

შიკი ოღნავ შეინძრა. ხელებზე წამოიწია და მუხლებზე დადგომაც კი მოახერხა. ხელი მუცელზე მიედო. სახე ემანჭებოდა, თვალებში ოფლი წურწურით ჩასდიოდა. შუბლზე დიდი ჭრილობა ჰქონდა.

– წიგნებს თავი დაანებეთ? – ჩაიჩურჩულა მან. ჩახლეჩილი და გაბზარული ხმა ჰქონდა.

– ჩვენ მათ ფეხებით გავთელავთ, – თქვა ათაბაგმა, – ვფიქრობ, რამდენსამე წამში თქვენ მოკვდებით.

შიკი თავს ველარ იკავებდა. ძალას არ ზოგავდა, მაგრამ მუცელში ისეთ ტკივილს გრძნობდა, თითქოს დანის სამკუთხა პირებს უტრიალებნო. ცალი ფეხი გაასწორა, მეორე კი მუხლში არ ეშლებოდა. მემხედრეები წიგნებთან მიიჭრნენ, ხოლო ათაბაგმა ორი ნაბიჯი გადადგა შიკისაკენ.

– წიგნებს არ შეეხოთ, – თქვა შიკმა. მის ყელში სისხლის ყურყური ისმოდა და თავი სულ უფრო და უფრო დაბლა ეხრებოდა. მუცელს ხელი გაუშვა. დაწითლებული მკლავები ჰაერში უმისამართოდ გაასავსავა და პირქვე დაემხო. პოლიციის ათაბაგმა ფეხით ამოატრიალა. შიკი აღარ ინძრეოდა. გახელილი თვალების მზერა ოთახს სცილდებოდა, ხოლო შუბლიდან წამოსული სისხლის ნაკადულს მისი სახე ორად გაეყო. – გათელეთ, დუგლას! – თქვა ათაბაგმა, – ამ ხმაურიან აპარატს მე პირადად დავამსხვრევ.

ფანჯარას ჩაუარა და ქვემოდან ნელა ამომავალი ბოლის დიდი სოკო დაინახა, რომელიც მეზობელი სახლის პირველი სართულიდან გამოდიოდა.

– გულდასმით თელვას აზრი არა აქვს, – დაუმატა მან, – გვერდითა სახლი იწვის. რაც მთავარია, მალე ქენით. კვალი არ დარჩება, მაგრამ მე მაინც ყველაფერს შევიტან ოქმში. შიკს სახე მთლად გაშავებოდა. მისი გვამის ქვეშ სისხლის გუბე ვარსკვლავისებურად დედდებოდა.

## თავი მესამოცე

ნიკოლამ ბოლოსწინა წიგნების მალაზიას ჩაუარა, რომელშიც ალიზს ცეცხლი აებრიალებინა. მანამდე სამსახურში მიმავალ კოლენს შეხვედროდა და თავისი დისწულის დარდი უკვე იცოდა. როგორც კი კლუბში დარეკა, უმალ პარტრის სიკვდილის ამბავი შეიტყო და ალიზის ძებნას შეუდგა. უნდოდა დაემშვიდებინა, გაემხნევებინა და გვერდით ჰყოლოდა, სანამ ძველებურად არ გამხიარულდებოდა. შიკის სახლი დაინახა თუ არა, გვერდით მდებარე წიგნის მალაზიის ვიტრინიდან გრძელი, წვრილი ალი გამოვარდა და შუშა, თითქოს ჩაქუჩი დაარტყესო, ისე გახეთქა. კარის წინ პოლიციის ათაბაგის მანქანა შენიშნა, რომელსაც, სახიფათო ზონიდან გასარიდებლად, მძლოლი ოდნავ წინ მიაგორებდა. მემხედრეების შავი სილუეტები შეამჩნია. მტუმბავებიც თითქმის იმწუთასვე გამოჩნდნენ. მათი მანქანა წიგნების მალაზიის წინ საშინელი ხმაურით გაჩერდა. ნიკოლა უკვე საკეტს ეჯაჯგურებოდა. კარი წიხლებით შეამტვრია

და შიგნით შევარდა. მალაზიის სიღრმეში ყველაფერი იწვოდა. გამყიდ-  
ვლის გვამი ძირს ეგლო, ფეხებზე ცეცხლი ეკიდა და გვერდით გული ედო.  
ნიკოლამ იქვე შიკის გულსაგლეჯი დაინახა. ცეცხლი დიდ, წითელ ბურ-  
თებად და წვეტიან ენებად იფრქვეოდა, რომლებიც ერთი დარტყმით  
ხვრეტდნენ მალაზიის სქელ კედლებს; ნიკოლას ისლა დარჩენოდა, ძირს  
გაწოლილიყო და, სწორედ ამ დროს, მტუმბავთა ხელსაწყოების ცეც-  
ხლმქრობი ნაკადისაგან წარმოქმნილმა ჰაერმა თავსზემით მძლავრად  
გადაუქროლა; ცეცხლის ხმა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ნაკადი მისი  
საძირკვლის დაპყრობას შეეცადა. წიგნები ტკაცატკუსით იწვოდა, გაშა-  
ვებული ფურცლები ჰაერში დაფრიალებდნენ და ნიკოლას თავზე ნაკა-  
დის საწინააღმდეგო მიმართულებით მიფრინავდნენ. ისეთი ალები და  
ჭანაჭუნხი იდგა, რომ ნიკოლა ძლივს სუნთქავდა. ფიქრობდა, რომ ალიზი  
არ დარჩებოდა ამ ცეცხლში, მაგრამ ვერც კარს ხედავდა, საიდანაც ალი-  
ზი გააღწევდა. მტუმბავთა წინააღმდეგ ბრძოლაში ცეცხლი სწრაფად  
ავიდა ზევით და ქვედა ზონა თავისუფალი აღმოჩნდა. ჭუჭყიან ნაცარში  
ცეცხლზე უფრო მბრწყინავი რალაც შუქი გამოჩნდა. ბოლიც ზედა სარ-  
თულისკენ აისრუტა და ძალიან სწრაფად გაქრა. წიგნები ჩაიფერფლნენ,  
მაგრამ ცეცხლი ჰერს კიდევ უფრო ძლიერად მოედო. ძირს ამ შუქის მეტი  
ალარაფერი იყო. ფერფლში ამოთხვრილი, თმაგამურული და სუნთქვა-  
შეკრული ნიკოლა სინათლისკენ გახონდა. მტუმბავების ჩექმების ფაცი-  
ფუცი ესმოდა. რკინის დაღრეცილი დირის ქვეშ თვალისმომჭრელი ქერა  
თმის ბლუჯა დაინახა. ცეცხლს გადარჩენოდა, რაგდან ცეცხლზე უფრო  
კაშკაშა იყო. გულის ჯიბეში ჩაიტენა და გარეთ გამოვიდა. გაუბედავი ნა-  
ბიჯით მიდიოდა. მტუმბავებმა თვალი გააყოლეს. ცეცხლი ზედა სართუ-  
ლებზე გიზგიზებდა და, ვინაიდან ცეცხლმქრობი სითხე გამოლეულიყო,  
ისინი შენობათა ბლოკის იზოლირებისათვის ემზადებოდნენ, რათა ყვე-



ლაფერი ბოლომდე ჩამწვარიყო. ნიკოლა ტროტუარს მიუყვებოდა. მარჯვენა ხელი მკერდზე ედო და ალიზის თმას ეფერებოდა. პოლიციის ათაბაგის მანქანამ გვერდით ჩაუარა. უკანა სკამზე ათაბაგის წითელი ტყავის კომბინეზონი იცნო. პიჯაკის კიდის ოდნავი გადაწევისას მზის სხივებით უჩახჩახდებოდა მთელი სხეული. მხოლოდ თვალებიღა რჩებოდა ჩრდილში.

## თავი სამოცდამეერთე

კოლენი ოცდამეათე ბოძს უახლოვდებოდა. დილიდან მოყოლებული ოქროს მარაგის სარდაფში დააბიჯებდა.

ევალეობდა ყვირილი აეტეხა, თუკი შეამჩნევდა, რომ ხალხი ოქროს იპარავდა. სარდაფი ძალიან დიდი იყო. ერთი წრის შემოსავლელად, ჩქარი სიარულით, ერთი დღე მაინც იყო საჭირო. შუაგულში ჯავშნიანი კამერა აღმართულიყო, სადაც, მომაკვდინებელი გაზების ატმოსფეროში, ნელა მწიფდებოდა ოქრო. ხელობაში კარგად იხდიდნენ, თუ მოახერხებდი და, შენი მორიგეობის დღეს, მთელ წრეს შემოივლიდი. ფიზიკურად თავს კოლენი მაინც და მაინც კარგად ვერ გრძნობდა, თანაც, სარდაფში ძალიან ბნელოდა. ხანდახან თავისდაუნებურად ტრიალდებოდა და ამით დროს კარგავდა. უკან მიხედვისას ბოლო ნათურის პაწაწინა განათებული წერტილის მეტს ვერაფერს ხედავდა, წინა ნათურა კი ძალიან ნელა ახლოვდებოდა.

ოქროს ქურდები ყოველდღე არ მოდიოდნენ, მაგრამ თუ დათქმულ დროს არ გამოცხადდებოდი, ხელფასს გიკავებდნენ. განრიგის დაცვა საჭირო იყო, რათა, ქურდები რომ შემოივლიდნენ, საყვირლად მზად ყოფილიყავი. ესენი კი, ჩვეულებისამებრ, ძალიან წესისა და რიგის ხალხი ჩანდა. კოლენს მარჯვენა ფეხი აწუხებდა. ხელოვნური და მაგარი ქვით ნაკვებ სარდაფში მიწა ოღროჩოღრო და უსწორმასწორო იყო. მერვე თეთრ ხაზს რომ გასცდა, ოცდამეათე ბოძთან სასურველ დროს მისავლელად თავს ძალა დაატანა.

სიარულისათვის ოდნავი ხალისი რომ მიეცა, ხმამაღლა დაიწყო სიმღერა, მაგრამ შეწყვიტა, რადგან ექო დაკეპილ და მუქარით აღსავსე სიტყვებს უბრუნებდა და მისი სიმღერის სრულიად საპირისპირო სიმღერას მღეროდა.

მტკივანი ფეხების მიუხედავად, დაუქანცავად მიიწევდა წინ და ოცდამეათე ბოძსაც გასცდა. უნებლიეთ უკან მიიხედა, ეგონა, რალაცას მოეკარი თვალიო. ამაში კიდევ ხუთი წამი დაკარგა და, ასანაზღაურებლად, რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი გადადგა.

## თავი სამოცდამეორე

სასადილო ოთახში შესვლა უკვე შეუძლებელი იყო. ჭერი თითქმის შერწყმოდა იატაკს რალაც ნახევრადმცენარეული, ნახევრადმინერალური წარმონაქმნებით, რომლებიც ნესტიან სიბნელეში გაჩენილიყო. დერეფნის კარი საერთოდ აღარ იღებოდა. ვიწრო გასასვლელიღა შემორჩენილიყო, რომელიც შემოსასვლელს კლოეს ოთახთან აკავშირებდა. პირველმა იზისმა გაიარა, ნიკოლა უკან მიჰყვა. გამოშტერებული სახე ჰქონდა. პიჯაკის გულის ჯიბე რალაცით გამოჰბერვოდა და, დრო და დრო, ხელი გულთან მიჰქონდა.

ოთახში შესვლამდე იზისმა საწოლს შეავლო თვალი, კლოე ისევ ყვავილებით იყო გარემოცული. საბნიდან ამოყოფილი ხელებით ძლივს ეკავა დიდი თეთრი ორქიდეა, რომელიც, მის ნახევრადგამჭვირვალე კანთან შედარებით, მოყავისფროდ გამოიყურებოდა. თვალები ღია ჰქონდა და, როცა იზისი მის გვერდით ჯდებოდა, ოდნავ შეირხა. ნიკოლამ კლოე რომ დაინახა, თავი შეაბრუნა. ძალიან, ძალიან უნდოდა, გაეღიმა. მივიდა და

ხელზე მიეფერა. მერე ჩამოჯდა და კლოემ ნაზად დახუჭა თვალები. და გაახილა. კმაყოფილი ჩანდა მათი ნახვით. – გეძინა? – ხმადაბლა ჰკითხა იზისმა.

კლოემ თვალებით უთხრა, არაო. სუსტი თითებით იზისის ხელი მოძებნა. მეორე ხელით თავს მალავდა, რომლის შავი და ცოცხალი თვალების ბრწყინვა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. თავი ნიკოლასთან მიცუნცულდა. მან ფრთხილად აიყვანა ხელში და პრიალა ცხვირზე აკოცა. თავი კლოესთან დაბრუნდა. ირგვლივ ყვავილები თრთოდნენ, სწრაფად ჰკნებოდნენ და კლოეც სულ უფრო და უფრო სუსტად გრძნობდა თავს.

– სად არის კოლენი? – ჰკითხა იზისმა.

– სამსახურში? – ერთი ამოსუნთქვით თქვა კლოემ.

– ნუ ლაპარაკობ, სხვანაირად დაგისვამ შეკითხვებს, – უთხრა იზისმა. ლამაზი ყავისფერი თავი კლოეს მიუახლოვა და ფრთხილად აკოცა.

– ბანკში მუშაობს? – იკითხა მან.

კლოემ ქუთუთოები ჩამოუშვა.

და ამ დროს შემოსასვლელში ნაბიჯის ხმა გაისმა. კარებში კოლენი გამოჩნდა. ხელში ახალი ყვავილები ეჭირა, მაგრამ სამსახური აღარ ჰქონდა. ქურდებს ძალიან ადრე შეეველოთ. კოლენი კი ვეღარ დადიოდა. თავს არ ზოგავდა და ცოტა ფულს, ანუ ამ ყვავილებს თუ შოულობდა.

კლოეს სახე დაუმშვიდდა, თითქმის ილიმებოდა და კოლენი მასთან მივიდა. კოლენს იგი ბევრად უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე კლოეს ამის ძალა ჰქონდა. იმის შიშით, არაქათი არ გამოვაცალოო, კოლენი მას სათუთად მიეფერა. სამსახურში დაშავებული, ჯერ კიდევ მოუშუმებელი ხელები ჩამუქებულ თმაზე ნაზად გადაუსვა.

იყვნენ ნიკოლა, კოლენი, იზისი და კლოე. შიკი და ალიზი აღარასოდეს მოვიდოდნენ, კლოე კი ასე ცუდად იყო და? ნიკოლა ატირდა.

## თავი სამოცდამესამე

ადმინისტრაცია ბევრ ფულს უხდიდა კოლენს, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. მას აძლევდნენ სიას, რითაც ყოველდღიურად უნდა ასულიყო ხალხთან ბინებში და წინასწარ, ერთი დღით ადრე ემცნო მათთვის მომავალი უბედურება. ყოველდღე უწევდა ხალხმრავალ, ან ლამაზ უბნებში სიარული. უამრავი საფეხურის ავლა უხდებოდა. ძალიან ცუდად ღებულობდნენ. მძიმე და მჭრელ ნივთებს, უხეშ და წვეტიან სიტყვებს ესროდნენ და გარეთ აგდებდნენ. ხელფასსაც იღებდა და მოთხოვნებსაც აკმაყოფილებდა. ალბათ შეინარჩუნებდა ამ სამსახურს. ერთადერთი რამ, რისი გაკეთებაც ეხლა მას შეეძლო, სწორედ თავის გარეთ გაგდებინება იყო. დაღლილობა აწამებდა, მუხლებს ველარ იმორჩილებდა, სახე ამოულამდა. მისი თვალები ხალხის სიმახინჯის გარდა ველარაფერს ხედავდნენ. განუწყვეტლივ უბედურებას ამცნობდა მათ. განუწყვეტლივ ურტყამდნენ, აგდებდნენ კივილით, ცრემლებით, გინებით.

ორი საფეხური აიარა, დერეფანს გაუყვა, დააკაკუნა და მაშინვე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. როგორც კი მის შავ ქუდს ხედავდნენ, ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა და ძალიან ცუდად ექცეოდნენ, მაგრამ კოლენი უტყვი უნდა ყოფილიყო, ფულს ამაში უხდიდნენ. კარი გაიღო. გააფრთხილა და გამობრუნდა. ზურგში ხის რალაც მძიმე ნივთი მოხვდა. სიაში მომდევნო გვარი მოძებნა და დაინახა, რომ შემდეგი თვითონ იყო. მაშინ კი ქუდი მოისროლა და ქუჩას გულჩამწყდარი გაუყვა, რადგან მეორე დღეს კლოე მოკვდებოდა.

## თავი სამოცდამეოთხე

ღვთისმოსავი შტიქროსანს ელაპარაკებოდა და კოლენი საუბრის დასასრულს დაელოდა, შემდეგ მივიდა. ფეხქვეშ მიწას ველარ ხედავდა და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა. მისი თვალები საქორწინო სარეცელზე მწოლიარე კლოეს უყურებდნენ, ნაზსა და მქრქალს, მის მუქ თმასა და სწორ ცხვირს, ოდნავ გამობურცულ შუბლს, მომრგვალებულ და სათნო ოვალთან სახეს და დახუჭულ ქუთუთოებს, რომლებმაც იგი ამ ქვეყნიდან მოისროლეს.

– დასაფლავების თაობაზე მოხვედით? – ჰკითხა ღვთისმოსავმა.

– კლოე მოკვდა, – თქვა კოლენმა.

გაიგონა თავისივე ნათქვამი, კლოე მოკვდაო, და ვერ დაიჯერა.

– ვიცი, – თქვა ღვთისმოსავმა, – რა ფასს ჩამოხვალთ? თქვენ უთუოდ ლამაზი ცერემონია გენდომებათ, არა?

– დიახ, – თქვა კოლენმა.



– ძალიან ლამაზი რაღაც შემიძლია მოგიწყოთ ორი ათას დუბლეზონად, – თქვა ღვთისმოსავმა, – უფრო ძვირფასიც შეიძლება.

– ოც დუბლეზონზე მეტი არა მაქვს, – თქვა კოლენმა, – შეიძლება ოცდაათი-ორმოცი კიდევ ვიშოვო, მაგრამ ეხლავე ვერა.

ღვთისმოსავმა ფილტვები ჰაერით გაივსო და ზიზღიანი სახით ამოი-სუნთქა.

– მაშ, თქვენ ღარიბული ცერემონია გდომებიათ.

– მე ღარიბი ვარ? – თქვა კოლენმა, – და კლოე მოკვდა? – ხო, – თქვა ღვთისმოსავმა, – მაგრამ სიკვდილამდე ადამიანმა ყოველთვის უნდა იზ-რუნოს ღირსეული დასაფლავებისთვის. და რა, ხუთასი დუბლეზონიც არა გაქვთ? – არა, – თქვა კოლენმა, – იქნებ ასამდე ავიდე, თუ თქვენ განვადებით გადახდაზე დამთანხმდებით. თქვენ ხვდებით, რას ნიშნავს ჩემთვის იმის თქმა, რომ „კლოე მოკვდა“? – იცით რა, – თქვა ღვთისმო-სავმა, – მივეჩვიე და აღარ მოქმედებს. იძულებული ვარ გირჩიოთ, ღმერთს მიმართოთ, მაგრამ თან ვშიშობ, უკუშედეგი არ გამოიღოს ესო-დენ მცირე თანხით მისმა შეწუხებამ.

– ოჰ! – თქვა კოლენმა, – არც შევაწუხებ. არა მგონია, დიდი რამე შე-ეძლოს, იცით, იმიტომ რომ, კლოე მოკვდა.

– შეცვალეთ თემა, – თქვა ღვთისმოსავმა, – იფიქრეთ? ისა? მე რა ვი-ცი, რაზეც გინდათ, მაგალითად.

– ას დუბლეზონად მოხერხდება ღირსეული დასაფლავება? – იკითხა კოლენმა.

– ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, – თქვა ღვთისმოსავმა, – ასორმოც-დაათამდე ახვალთ.

– დრო დამჭირდება გადასახდელად.

– სამსახური გაქვთ? საბუთზე ხელს მომიწერთ.

– როგორც გნებავთ, – თქვა კოლენმა.

- ასეთ პირობებში, იქნებ ორასამდეც ახვიდეთ, და მაშინ მნათე და სტიქაროსანი თქვენ მხარეს გეყოლებათ. თორემ ასორმოცდაათად ისინი მოწინააღმდეგე მხარეს იქნებიან, - თქვა ღვთისმოსავმა.

- არ შემიძლია, - თქვა კოლენმა, - მე მგონი, ძალიან დიდხანს არ მექნება ეს სამსახური.

- ესე იგი, შევთანხმდით ასორმოცდაათზე, - დაასკვნა ღვთისმოსავმა, - დასანანია, ნამდვილად საძაგელი ცერემონია იქნება. მეზიზღებით, მეტისმეტად ძუნწობთ.

- უკაცრავად, - თქვა კოლენმა.

- საბუთებს ხელი მოაწერეთ, - უთხრა ღვთისმოსავმა და უხეშად ჰკრა ხელი.

კოლენი სკამს მიეჯახა. ამ ხმაურით გაცოფებულმა ღვთისმოსავმა კვლავ უბიძგა სამკვეთლურისაკენ და უკან ბუზღუნით გაჰყვა.

## თავი სამოცდამეხუთე

კოლენი ორ მებარგულს ელოდებოდა და მათ ბინის შესასვლელთან დახვდა. მებარგულები ამოგანგლულიყვნენ, რადგან კიბე სულ უფრო და უფრო ინგრეოდა. მაგრამ მათ რალაც ძველმანები ჩაეცვათ და ერთი ნახევით მეტი ან ნაკლები სულაც არ ადარდებდათ. ნაფლეთებიდან მახინჯი და დაკოჟრილი ფეხების ქლალი ბანჯგვლები მოუჩანდათ და კოლენს მუცელზე ხელის მოტყაპუნებით მიესალმნენ, როგორც ამას ღარიბთა დასაფლავების წესდება ითვალისწინებდა.

შესასვლელი სარდაფის დერეფანს დამსგავსებოდა. კლოეს ოთახამდე მისაღწევად თავების დახრა მოუხდათ. მეკუბოვეები უკვე წასულიყვნენ. კლოე აღარ ჩანდა, ოთახში მხოლოდ რალაც მახინჯი, შავი, დაჭედებული ყუთილა იდო, რომელიც ზემოდან ნომრით იყო დანიშნული. დასწვდნენ, ძელივით წინ გაიგდეს და ფანჯრიდან გადაუძახეს. მხოლოდ ხუთასი დუბლეზონის ზევით ჩაჰქონდათ მკვდრები ხელით. ამიტომა აქვს ამდენი ნაჭედი ამ ყუთსო, გაიფიქრა კოლენმა და ატირდა, იმიტომ რომ კლოე

დაიყუჩებოდა და დაზიანდებოდა; მერე თავში გაუეღვა, რომ კლოე აღარაფერს გრძნობდა და კიდევ უფრო მწარედ ატირდა; ყუთმა ქვაფენილზე ჭახანი გაადინა და ბავშვს, რომელიც იქვე თამაშობდა, ფეხი მოსტეხა. ბავშვი ტროტუარს მიანარცხეს და ყუთი მკვდრების მანქანაზე ააგდეს. წითლად შეღებილი ძველი საბარგო მანქანა იყო და საჭეს ერთ-ერთი მებარგული ეჯდა. საბარგოს ძალიან ცოტა ხალხი მიჰყვებოდა, ნიკოლა, იზისი და კოლენი და კიდევ ორი-სამი ადამიანი, რომლებსაც ისინი არ იცნობდნენ; საბარგო საკმაოდ ჩქარა მიდიოდა; იძულებულები გახდნენ ერბინათ, რომ დასწეოდნენ; მძლოლი მთელი ხმით მღეროდა; მისი დუმილი სულ ცოტა ორასორმოცდაათი დუბლესონი ღირდა.

ეკლესიის წინ გაჩერდნენ, შავი ყუთი იქვე დატოვეს და ყველანი ცერემონიაზე შევიდნენ. კოპებშეკრული ღვთისმოსავი ზურგშექცევით იდგა და წირვა გაუბედავად დაიწყო, კოლენი საკურთხევლის წინ იდგა, აიხედა: მის წინ, კედელზე, ქრისტე იყო ჯვარზე. მოწყენილი ჩანდა და კოლენმა ჰკითხა:

– რატომ მოკვდა კლოე?

– მე არავითარი პასუხისმგებლობა არ მეკისრება, – უპასუხა იესომ, – სხვა რამეზე ხომ არ გვესაუბრა?

– აბა, ვის ეხება?? – ჰკითხა კოლენმა.

ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და სხვებს არ ესმოდათ მათი საუბარი.

– ყოველ შემთხვევაში, მე არა, – თქვა იესომ.

– მე კი თქვენ დაგპატიჟეთ ჩემს ჯვრისწერაზე, – თქვა კოლენმა.

– მშვენივრად ჩაიარა, – თქვა იესომ, – ძალიან გავერთე. ამჯერად მეტი ფული რატომ არ გაიღეთ?

– აღარა მაქვს მეტი, – თქვა კოლენმა, – თანაც, ამჯერად, ჯვრისწერა არაა.

– ხო? – თქვა იესომ.

ჩანდა, უხერხულად იგრძნო თავი.

– ეს სულ სხვა რამეა, – თქვა კოლენმა, – ამჯერად კლოე მოკვდა. ვინ მოიგონა ეს შავი ყუთი.

– მე? – თქვა იესომ.

განზე იყურებოდა და მოწყენილი ჩანდა. ღვთისმოსავი ჭრილას ატრიალებდა და თან ლათინურ ლექსებს გაჰკიოდა. – რატომ მოაკვდინეთ? – ჰკითხა კოლენმა.

– ოჰ? – თქვა იესომ, – რას ჩამციებიხართ.

და ლურსმნებზე უფრო მოსახერხებელი მდგომარეობა მოძებნა.

– ისეთი ნაზი იყო, – თქვა კოლენმა, – არასოდეს ცუდი არაფერი უქნია, არც უფიქრია, არც ჩაუღენია.

– ამას არაფერი აქვს საერთო რელიგიასთან, – მთქნარებით ჩაიბურტყუნა იესომ. გვერდზე გადახრილი ეკლის გვირგვინის შესასწორებლად თავი ოდნავ შეარხია.

– არ ვიცი, რა დავაშავეთ, – თქვა კოლენმა, – ჩვენ არ ვიმსახურებდით ამას.

თვალეები დახარა. იესომ არაფერი უპასუხა. კოლენმა ისევ ახედა. იესოს მკერდი ნელა და თანაბრად ადი-ჩადიოდა. მისი ნაკვთებიდან სიმშვიდე გამოსჭვიოდა. თვალეები დახუჭული ჰქონდა და ნესტოებიდან კოლენმა გამაძლარი კატის კმაყოფილ კრუტუნს მოჰკრა ყური. ამასობაში კი ცერემონია დამთავრებულიყო და ღვთისმოსავი ერთი ფეხიდან მეორეზე დახტოდა და რალაც მიღში უბერავდა.

ღვთისმოსავმა პირველმა დატოვა ეკლესია და ლურსმნებიანი დიდი ფეხსაცმელების ჩასაცმელად სამკვეთლურში შებრუნდა. კოლენი, იზისი და ნიკოლა გარეთ გამოვიდნენ და საბარგოს უკან მოიცადეს. ამ დროს

ღია ფერის მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი შტიქროსანი და მნუ-  
თე გამოჩნდნენ. ყიჟინა დასცეს და საბარგო მანქანის გარშემო ველურე-  
ბივით დაიწყეს ცეკვა. კოლენმა ყურები დაიცო, მაგრამ ვერაფერს იტყო-  
და, რაკილა ღარიბულ დასაფლავებაზე ჰქონდა ხელი მოწერილი და, არც  
კი განძრეულა, როცა პეშვობით კენჭები დაუშინეს.

## თავი სამოცდამეექვსე

ძალიან დიდხანს იარეს ქუჩებში, ხალხი მათ თვალს აღარც კი აყოლებდა და დღე იწურებოდა. ღარიბების სასაფლაო ძალიან შორს იყო. მანქანა ოღროხოლორო გზაზე მიჯანჯლარებდა, ძრავა კი მხიარულ ბათქაბუთქს გამოსცემდა.

კოლენს აღარაფერი ესმოდა, წარსულში ჩაფლულიყო და ხანდახან იღიმებოდა, ყველაფერი ახსოვდა. ნიკოლა და იზისი უკან მოაბიჯებდნენ. იზისი დრო და დრო მხარზე ხელს ადებდა კოლენს.

გზა გათავდა და საბარგო გაჩერდა. წინ წყალი იყო. მეზარგულებმა შავი ყუთი ჩამოდგეს. კოლენი პირველად იყო სასაფლაოზე, რომელიც რალაც გაურკვეველი ფორმის კუნძულზე მდებარეობდა. კუნძულს მოხაზულობა წყლის წონასთან ერთად ხშირად ეცვლებოდა და ნისლებს მიღმა ბუნდოვნად მოჩანდა. საბარგო ნაპირზე დარჩა; კუნძულზე მოსახვედრად გრძელი, დრეკადი და ნაცრისფერი ფიცარი გამოიყენებოდა, რომ-

ლის შორეული ბოლოც ნისლში იკარგებოდა. მებარგულებმა უშვერი გინება დაიწყეს და პირველი მათგანი ფიცარს გაუყვა. ფიცარი ზუსტად იმ სიგანე იყო, რომ ზედ კაცს გაეგლო. შავი ყუთი მხებზე გადაგდებული და კისერზე შემოხვეული უხეში ტყავის ღვედებით ეჭირათ. მეორე მებარგულს სული ეხუთებოდა და უკვე მთლად გალურჯებულიყო; ნაცრისფერ ბურუსში გახვეული ეს ყოველივე ძალიან ნაღვლიან სანახაობას ქმნიდა.

კოლენი უკან მიჰყვა მათ; თავის მხრივ, ნიკოლა და იზისიც გაუდგნენ ფიცრის გზას; პირველი მებარგული განგებ აბაკუნებდა ფეხებს, რომ ფიცარი შეენჯღრია და მარჯვნივ და მარცხნივ გაექნია. თვითონ ორთქლში მიიმალა, რომელიც ისე იძენძებოდა, როგორც შაქრის ძაფები სიროპიან წყალში. ნაბიჯები დაღმავალი გამის ხმას გამოსცემდნენ და ფიცარიც თანდათანობით ჩაიზნითა: შუა ადგილს უახლოვდებოდნენ; როცა გადაიარეს, ფიცარი წყალს შეეხო და აქეთ-იქით პატარა სიმეტრიული ტალღები ატლაშუნდა; წყალი თითქმის ფარავდა ფიცარს; ბნელი იყო და გამჭვირვალე. კოლენი მარჯვნივ გადაიხარა და ფსკერს ჩახედა, ეგონა, თითქოს რაღაც თეთრი და ბუნდოვნად მოძრავი რამ დაინახა სიღრმეში; ნიკოლა და იზისიც გაჩერდნენ, თითქოს წყალზე იდგნენო. მებარგულები სვლას განაგრძობდნენ, გზის მეორე ნახევარი ზევით იწეოდა და შუა ადგილს რომ გასცდნენ, პატარა ტალღები მიწყნარდა და ფიცარიც სრუტვის ხმით დაშორდა წყალს.

მებარგულები გაიქცნენ. ფეხებს ატყაპუნებდნენ და შავი ყუთის სახელურები კედლებს ეხლებოდა. მათ კოლენზე და მის მეგობრებზე აღრე მიაღწიეს კუნძულს და დინჯად გაუდგნენ პატარა ბილიკს, რომელსაც, ორივე მხარეს, რაღაც მუქი მცენარის ღობე მიუყვებოდა. მწუხარე ფორმის ბილიკი უცნაურად იყო დაკლაკნილი, მიწა კი – ფოროვანი და ფხვიერი. ბილიკი ოდნავ განივრდებოდა. მცენარეების ფოთლებს ოდნავი ნაცრისფერი დაჰკრავდა, ხოლო ძარღვები ოქროსფრად ბრწყინავდა მათ



აფუებულ ხორცზე. გრძელი და ღრეკადი ხეები თაღებად მიუყვებოდნენ გზას ერთი ნაპირიდან მეორემდე. ამ გვირაბში ღლის შუქი თეთრად და მქრქალად აღწევდა. ბილიკი მრავალ განშტოებად გაიყო და მებარგულები უყოყმანოდ გაუყვნენ მარჯვენა მხარეს. კოლენმა, იზისმა და ნიკოლამ ფეხს აუჩქარეს მათ დასაწევად. ხეებს შორის ცხოველების ხმა არ ისმოდა. მხოლოდ ნაცრისფერი ფოთლები წყდებოდა ხანდახან და მიწაზე მძიმედ ცვიოდა. ისინი გზის განშტოებებს გაუყვნენ. მებარგულები ხეებს წიხლებს უქნევდნენ და მათი მძიმე ფეხსაცმელები დაჩვრეტულ მერქანში ღრმა მოლურჯო ლაქებს ტოვებდა. სასაფლაო კუნძულის ზუსტად შუაგულში იყო; ქვებზე თუ აცოცდებოდით, შორს, მეორე ნაპირისკენ, უძლური ხეების კენწეროების გადაღმა, შავად დასერილ ცას დაინახავდით, სადაც, ჟუნჟრუკისა და კამის მინდვრების თავზე, ღინჯად დაფრინავდნენ ალერიონები.

მებარგულები ერთ დიდ ორმოსთან შეჩერდნენ; À la salade-ს სიმღერით კლოეს კუბო გაიქნ-გამოიქნიეს და საკეტს თითი დააჭირეს. თავსახური აიხადა და რალაცამ ჭახანი გაადინა ორმოში; ნახევრადგაგულდული მეორე მებარგული ადგილზე ჩაიკეცა, რადგან ღვედი საჭირო სისწრაფით ვერ მოიხსნა კისრიდან. კოლენმა და ნიკოლამ მოირბინეს, იზისი მათ უკან მობოროძიკობდა. უეცრად, რალაც გორაკის უკნიდან ძველ, გაქონილ ტანსაცმელში გამოწყობილი მნუთე და შტიქროსანი გამოხტნენ და, მგლებივით აყმუვლებულებმა, ორმოში მიწისა და ქვების ჩაყრა დაიწყეს.

კოლენს მუხლები ეკვეთებოდა.თავი ხელებში ჩაერგო. ქვები ორმოში ჩავარდნისას ყრუ ხმას გამოსცემდნენ. სტიქაროსანმა, მნათემ და ორმა მებარგულმა ორმოს გარშემო ხელიხელჩაკიდებულებმა რონდო დაუარეს, მერე უცებ ბილიკისკენ გაცვივდნენ და ბუქნა-ბუქნით გაუჩინარდნენ. მნათე დიდ საყვირში უბერავდა და მკვდარ ჰაერში ჩახლეჩილი

ბგერები ჟღერდა. მიწა ნელ-ნელა თავისთავად იყრებოდა და, ორი-სამი წუთის შემდეგ, კლოეს სხეული სრულიად გაუჩინარდა.

## თავი სამოცდამეშვიდე

შავულვაშებიანმა ნაცრისფერმა თავგმა უკანასკნელად გაიბრძოლა და გაძვრომა მოახერხა. მის უკან ჰყერი ერთბაშად ჩამოიქცა იატაკზე და შეერთების ადგილებიდან ინერტულმა ნივთიერებებმა გრძელი მატლებით ნელი გრეხით ამოხეთქა. მთელი სისწრაფით მოკურცხლა შემოსასვლელის ბნელ დერეფანში, რომლის კედლებიც კანკალით უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, და კარის ქვეშ მოასწრო გაძვრომა. კიბესთან მივიდა, ჩაიარა და ტროტუარზე გაჩერდა. ერთი წამით შეეყოყმანდა, გეზი აიღო და სასაფლაოს გზას გაუდგა.

## თავი სამოცდამეორე

– მართალი გითხრა, მაინც და მაინც არ მაინტერესებს, – თქვა კატამ.

– ცდები, – უთხრა თავგმა, – მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ და ამ ბოლო დრომდე კარგად მკვებავდნენ.

– მეც კარგად ნაკვები ვარ, – თქვა კატამ, – და არავითარი სურვილი არა მაქვს თავი მოვიკლა. ეხლა ხვდები, რატომ მგონია ეს უჩვეულო?

– საქმე ის არის, რომ შენ ის არ გინახავს, – თქვა თავგმა. – რას შერე-  
ბა? – ჰკითხა კატამ. დიდი სურვილი არ ჰქონია ამის გაგებისა. ცხელოდა  
და ძალიან ფუშფუშა ბეწვები ჰქონდა. – წყლის პირასაა, – თქვა თავგმა,  
– იცდის, და დრო რომ დგება, ფიცარზე მიდის და შუაში ჩერდება. რალ-  
ცას ჩაჰყურებს. – ბევრს ვერაფერს დაინახავს, – თქვა კატამ, – დუმფა-  
რას, შეიძლება.

– ხო, – თქვა თავგმა, – და იცდის, ის როდის ამოვა, რომ მოკლას.

– სისულელეა, – თქვა კატამ. – აბა, ვის აინტერესებს ეს. – დრო რომ  
გადის, ნაპირზე ბრუნდება და ფოტოს უყურებს, – განაგრძო თავგმა.

– და საერთოდ არა ჭამს? – ჰკითხა კატამ.

– არა, – თქვა თავგმა, – და ძალიან სუსტდება. მე კი ამას ვერ ავიტან. ამ დღეებში ფეხი აუცდება იმ დიდ ფიცარზე გავლისას. – მერე შენ რა? – ჰკითხა კატამ. – ესე იგი, უბედურია? – უბედური არ არის, – თქვა თავგმა, – დარდი აწევს. აი, ამის ატანა არ შემიძლია. თანაც წყალში ჩავარდება, ძალიან იხრება ხოლმე.

– მაშინ, – თქვა კატამ, – თუ ეგრეა, გავიწევ მაგ სამსახურს, მაგრამ არ ვიცი, რატომ ვთქვი, თუ ეგრეა-მეთქი, იმიტომ რომ, საერთოდ ვერა-ფერი ვერ გავიგე.

– ძალიან კეთილი ხარ, – თქვა თავგმა.

– შემიყავი თავი ხახაში, – თქვა კატამ, – და მოიცადე. – დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს? – ჰკითხა თავგმა. – იქამდე, სანამ ვინმე კულზე არ დამაბიჯებს, – თქვა კატამ, – სწრაფი რეფლექსი მჭირდება. ჰო, გავყოფ კულს, ნუ გეშინია. თავგმა კატას ყბები გადაუწია და თავი ბასრ კბილებს შორის შერგო. თითქმის მაშინვე უკან გამოყო.

– ერთი ეს მითხარი, – თქვა მან, – დღეს დილას ზვიგენი ხომ არ გიჭამია?

– მომისმინე, – უთხრა კატამ, – თუ არ მოგწონს, შეგიძლია წახვიდე. სულ არ მეხატება გულზე ეგ ამბავი. შენ თვითონ მიხედე შენს თავს.

გაბრაზებული ჩანდა.

– ნუ გწყინს, – უთხრა თავგმა.

პატარა, შავი თვალები დახუჭა და თავი იმავე მდგომარეობაში დააბრუნა. კატამ ფრთხილად ჩამოდო თავისი პირბასრი ეშვები ნაზ და ნაცრისფერ კისერზე. უღვაშები ერთმანეთში აებურდათ. კატამ ფუმფულა კული გაშალა და ტროტუარზე გადო.

იულიუს მოციქულის ობოლთა თავშესაფრიდან თერთმეტი პატარა ბრმა გოგონა სიმღერით მოაბიჯებდა.

## დასასრული

მემფისი, 8 მარტი 1946 წელი.    დაკენზორტი, 10 მარტი 1946 წელი.

## ბორის ვიანის ბიოგრაფია

ბორის ვიანი 1920 წლის 10 მარტს, პარიზის სამხრეთდასავლეთით, ქალაქ ვილ-დ'ავრეში, ვერსალის ქუჩა 41-ში, ბურჟუაზიულ ოჯახში დაიბადა. მამა, პოლ ჟორჟ ვიანი, დაიბადა პარიზში 1897 წლის 4 მარტს, დედა, ივონ ფერნანდ ლუიზ ალის რავენესი – ნეილი-სურ-სენში. პოლ ვიანმა და ივონ რავენესმა ერთმანეთი 1914 წელს გაიცნეს და 1917 წლის 3 დეკემბერს დაქორწინდნენ. პირველი ვაჟი, ლელიო, ვიანების ოჯახს 1918 წლის 17 ოქტომბერს შეეძინა.

1921 წლის 24 სექტემბერს დაიბადა ბორისის მეორე ძმა, ალენი. დაახლოებით ერთი ასაკისანი, ბორისი და ალენი ერთმანეთს ძალიან ჰგავდნენ როგორც გარეგნობით, ასევე მრავალრიცხოვანი მიდრეკილებებით.

1924 წლის 14 სექტემბერს დაიბადა ბორისის და, ნინონი, პოლ და ივონ ვიანების უკანასკნელი შვილი. ამ დროისათვის ოჯახი ვერსალის ქუჩაზე დაქირავებულ სახლში ცხოვრობდა. შემდეგ, კვლავ ვილ-დ'ავრე-

ში, პრადიეს ქუჩაზე, ერთ-ერთი პარკის სიღრმეში, ვიანებმა იყიდეს დიდი ვილა, ვილა ლე ფოვეტი, სადაც ბავშვებს მხიარული, კულტურული და თავისუფალი გარემო ჰქონდათ. მამა, პოლ ვიანი, ძალიან ბევრ დროს უთმობდა შვილებს. მას, ისევე როგორც მოგვიანებით ბორისს, ყველაფრის კეთება შეეძლო, სცადა ღურგლობა, ელექტრიკოსობა, მექანიკოსობა; იყო პოეტი და, მიუხედავად იმისა, რომ ბაკალავრობას ვერ მიაღწია, თარგმნიდა ინგლისურიდან და გერმანულიდან. მეუღლე, იგონი, მელომანი, მუსიკოსი იყო და ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა; უყვარდა ოპერა და ამიტომაც შვილებს ცნობილი ოპერების პერსონაჟთა სახელები (ლელიო, ბორისი და ნინონი) დაარქვა. ვიანებს ნორმანდიაში, ლანდმერში (ლამანში) არაჩვეულებრივი სახლი ჰქონდათ, რომლის აღწერილობასაც ბორისი მოგვიანებით გულსაგლეჯის სახლის აღწერისას გამოიყენებს.

1925 წელს ბავშვების აღზრდა ბორისის დედის გაუთხოვარ დას, „ტატა“ ( დეიდა, ფრ.) ალის რავენესს მიენდო. მასწავლებელმა კარგად იმუშავა: 5 წლის ბორისმა წერა-კითხვა იცოდა. და ბევრიც იკითხა. 8 წლის ასაკში იგი აცხადებდა, რომ მთელ ფრანგულ ლიტერატურას იცნობდა მოპასანამდე.

1928 წელს ბორისი სევრის ლიცეუმის დაწყებით კლასში ჩაირიცხა და არდადეგები ლანდმერში გაატარა.

1929 წლის საბირჟო კრახის შედეგად ვიანების ოჯახს გაჭირვება დაატყდა თავს. პოლ ვიანი იძულებული გახდა ვილა ლე ფოვეტი იეჰუდი მენუჰინის ოჯახისათვის მიექირავებინა. 1932 წელს ბორისს კარდიალური რევმატიზმის პირველი შეტევა დაემართა, რომელმაც, ცუდად ნამკურნალევი მუცლის ტიფის შემდეგ, გულის მძიმე დაავადება გამოიწვია. ამავე წელს შევიდა ვერსალის ლიცეუმის მე-3 კლასში, სადაც ფილოსო-



ფიას სწავლობდა და კლასიკური განათლებაც მიიღო (ლათინური, ბერძნული და გერმანული). ავადმყოფობის გამო ხშირად უწევდა ხოლმე სწავლის შეწყვეტა.

1933 წელს ვიანების ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა: პოლ ვიანმა აბატ შოპიტრის ჰომეოპათიური ლაბორატორიების პროდუქციის გამსაღებლად (კომივოიაჟერად) დაიწყო მუშაობა. 1935 წელს, 15 წლის ასაკში ბორისმა შეღავათებით ჩააბარა საბაკალავრო გამოცდის პირველი ნაწილი – ლათინური და ბერძნული. ამავე წელს დაემართა მუცლის ტიფი.

1936 წელს ბორისი პარიზში, კონდორსეს ლიცეუმში ჩაირიცხა. აქ იგი ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკას ეუფლებოდა.

1937 წელს ბორისი ფილოსოფიისა და მათემატიკის ბაკალავრი გახდა. ჰოტ კლუბ დე ფრანსში შევიდა და საყვირზე დაკვრა ისწავლა. მათივე ბალის სიღრმეში მდებარე საგანგებო დარბაზში ძმები ვიანები იმპროვიზებულ საცეკვაო საღამოებს აწყობდნენ. წვეულებებზე ხანდახან 400 კაცი იყრიდა თავს. ვიანები ჯაზით დაინტერესდნენ.

1938 წელს პოლ ვიანი აბატ შოპიტრისაგან წამოვიდა და უძრავი ქონებით მოვაჭრე ერთ-ერთი სააგენტოს შუამავალი გახდა. ბორისი ცენტრალურ სკოლაში შესასვლელად ემზადებოდა და, ამავდროულად, ძმებთან და რამდენიმე მეგობართან ერთად ჯაზ-ორკესტრი ჩამოაყალიბა.

1939 წელს ბორისი ცენტრალურ სკოლაში მიიღეს. ამავე წელს იგი დიუკ ელინგტონის მეორე კონცერტს დაესწრო. აგვისტოში მშობლების გარეშე პირველად წავიდა არდადეგებზე ვანდემი სენ-ჟან-დე-მონში თავის მეგობართან, ზიზი სპინართან. იქიდან ლანდემერში, ოჯახთან გაემგზავრა. რამდენიმე დღეში ომი დაიწყო. ბორისი ავადმყოფი გულის გამო არ გაიწვიეს. 6 ნოემბერს, არდადეგების დამთავრებისთანავე, მივიდა

ცენტრალურ სკოლაში, რომელიც ანგულემში, მუნიციპალური ბიბლიო-თეკის დაუმთავრებელ შენობაში იყო შეხიზნული. იქ გაეცნო პიტულ წოდებულ ჟან ლეპიტუს, რომელმაც მოგვიანებით ბორისის და, ნინონი შეერთო ცოლად.

1940 წლის ივნისში საფრანგეთის არმია დაიშალა.

ცენტრალური სკოლა დაიხურა. ბორისი ველოსიპედით გაემართა ბორდოსაკენ, სადაც გზად სრულიად შემთხვევით შეხვდა თავის მშობლებს. ბორისმა არდადეგები კაპ-ბრეტონში გაატარა. იქ გაიცნო ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი და მრავალი ნაწარმოების პერსონაჟი, ჟაკ ლუსტალო (მეტსახელად „მაიორი“), და თავისი მომავალი მეუღლე, მიშელ ლეგლიზი, რომლის ოჯახიც ასევე დედაქალაქიდან გახიზნულიყო. აქვე იყვნენ მიშელის ძმები, ჟან-ალენი, რომელიც იმავე წელს დაიხრჩო, და პიერი, რომელიც პიტერ გნას სახელით ვიანის მრავალ ნოველაში გვხვდება. ავვისტოში ვიანებმა ბენზინის უქონლობის გამო თავიანთი მანქანა (“პაკარდი”) დატოვეს და ვილ-დ’ავრეში მატარებლით დაბრუნდნენ. 28 ოქტომბერს ბორისმა სწავლა პარიზის ცენტრალურ სკოლაში განაგრძო. 1941 წელს ბორისი თვითმფრინავის მცირე მოდელების კეთებამ გაიტაცა. ივლისში ბორისი მიშელ ლეგლიზზე დაქორწინდა. მიშელი ბორისს ინგლისურს ასწავლიდა და თარგმანში ავარჯიშებდა. ამ წელს დაწერა სონეტები და უამრავი სამომავლო მონახაზი გააკეთა. ვილ-დ’ავრეში განახლდა იმპროვიზებული საღამოები. ბორისმა ძმებთან ერთად საჭადრაკო კლუბი დააარსა, შემდეგ თავისივე პატარ-პატარა სცენარებით მოკლემეტრაჟიანი ფილმები გადაიღო, რომლებშიც თვითონაც ითამაშა.

1942 წელს ბორისი ძმებთან ერთად ინჟინერ კლოდ აბადის ჯაზის ორკესტრში შევიდა. 12 აპრილს გაუჩნდა ვაჟი, პატრიკი. ცენტრალური

სკოლა მეტალურგის დიპლომით დაასრულა და სამსახურის ძიებას შეუდგა. ათამდე კომპანია მზად იყო მის მისაღებად. 24 აგვისტოს ბორისმა ამოირჩია აფნორი, რომელმაც მას საწყის ხელფასად 4.000 ფრანკი შესთავაზა მაშინ, როცა სხვები 3.500-ზეც ევაჭრებოდნენ. ოჯახი საცხოვრებლად პარიზში, ფობურ-პუასონიერის 98-ში (მე-10 კვარტალი) გადავიდა. ზამთარში დაიწყო რომანის არეულობა ნაფთევებში) წერა, რომელიც 1943 წლის მაისში დაასრულა, რომლის გამოქვეყნება არც კი უცდია, და რომელმაც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1966 წელს იხილა დღის სინათლე. 1943 წლის 3 იანვარს მიშელის გასამხნევებლად, რომელსაც ოპერაცია დასჭირდა, კლოდ აბადის ორკესტრს აბადი-ვიანის ორკესტრი დაერქვა; ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო მოყვარულთა მეექვსე კონკურსში, მაგრამ ვერავითარი ჯილდო ვერ დაიმსახურა. ამავე წელს ბორისმა ვაზის მატლი და პლანქტონის წერა დაიწყო.

1944 წლის 2 იანვარს კლოდ აბადის ორკესტრმა (სადაც მესაყვირე ბორისი იყო) მოყვარულთა მესამე კონკურსში მიიღო მონაწილეობა. პრესაში საუკეთესო გამომხატურებაც ჰქონდა, მაგრამ, ორკესტრმა ერთ-ერთი ამერიკული ნაწარმოები დაუკრა (რაც ოკუპაციის დროს აკრძალული იყო) და ამით კონკურსს გამოეთიშა. 10 იანვარს ბორისმა კლოდ ლუტერი გაიცნო. მარტში, თავისი სახელისა და გვარის ანაგრამით, ანუ ბიზონ რავის ფსევდონიმით, ჟურნალ Jazz Hot-ისა და Hot Club de France-ის მიერ მოწყობილ კონკურსზე ვიანმა ბალადის ფორმის პოემა რეფერენდუმში გაგზავნა, სადაც იგი საფრანგეთიდან ნამდვილი (ამერიკული) ჯაზის გაქრობას ჩიოდა. პოემამ მეორე ადგილი დაიმსახურა. აგვისტოში ვიანი კლოდ ლეონს შეხვდა, რომელიც მოგვიანებით კლოდ აბადის ორკესტრში დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავდა და ბორისის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი გახდა. კლოდ ლეონს ვიანის უამრავ ნაწარმოებში შეხვდებით დოღის სახელით. პარიზის განთავისუფლების

შემდეგ კლოდ აბადის ორკესტრმა მრავალი კონცერტი გამართა სხვადასხვა ასოციაციებისა თუ ამერიკის არმიის სასადილოებისათვის.

22 ნოემბერს ბორისის მამა, პოლი ვილ-დ'ავრეში, სახლის სამზარეულოში ვილაც უცნობებმა მოკლეს. ცოტა ხნის შემდეგ ვილ-დ'ავრეს სახლი ჩალის ფასად გაიყიდა. 24 დეკემბერს, მოყვარულთა მერვე კონკურსზე, კლოდ აბადის ორკესტრი სამართლიანად დაამარცხა პოლ ვერნონის ორკესტრმა. კლოდ აბადიმ და მისმა მუსიკოსებმა ბორის ვიანისა და კლოდ ლეონის ნაქები ახალორლეანური სტილი გადაიღეს.

1945 წელს ბორისი ქრონიკებსა და ნოველებს წერდა. მარტში მან პირველი სტატია გამოაქვეყნა პატარა ჟურნალში, სახელად „ხელოვნების მეგობრები“. მას ლიტერატურის რუბრიკა მიჰყავდა, მიშელი, მისი ცოლი, კინოზე წერდა, ხოლო რემონ ფოლი – მუსიკაზე. ცოტა ხანში ბორისმა გაიცნო რემონ კენო (რომელიც იმხანად გამომცემლობა გალიმარის გენერალური მდივანი იყო) და მისი უახლოესი მეგობარი გახდა. კენოს დაჟინებით გალიმარი დათანხმდა ვაზის მატლი და პლანქტონის დაბეჭდვას.

1946 წლის 15 თებერვალს ბორისმა თავი დაანება ანფორის და, კლოდ ლეონის წყალობით, ქალაქისა და მუყაოს საწარმო და სავაჭრო პროფესიონალურ ოფისში დაიწყო მუშაობა. კლოდ ლეონი ამ ორგანიზაციაში მუშაობდა და დაარწმუნა, რომ იქ უკეთესი ხელფასი და სრული უსაქმურობა იქნებოდა. მართლაც, ვიანმა მარტში დაიწყო და მისში დაასრულა დღეთა ქაფის წერა. წერისას იგი ძალიან გულჩათხრობილი იყო და არავის არაფერს უზიარებდა. წლის დასაწყისშივე ბორის ვიანმა გაიცნო და დაუმეგობრდა ჟან-პოლ სარტრს, სიმონ დე ბოვუარს, ალბერ კამიუს და ჟურნალ Les Temps Modernes-ის მთელ გუნდს. 1 ივნისს ჟურნალმა გამოაქვეყნა მისი ნოველა დაბუჟება – პირველი ნოველა ამავე სახელწოდების კრებულისა, რომელიც მთლიანობაში მხოლოდ 1949

წელს გამოვიდა. 1 ივლისს იმავე ჟურნალმა გამოაქვეყნა მატყუარას ქრონიკები. ვიანმა მონაწილეობა მიიღო ლეგენდარული სენ-ჟერმენ-დე-პრეს დაბადებაშიც, სადაც ჯაზის „სარდაფებში“ ძირითადად „ეგზისტენციალისტები“ დადიოდნენ. 5 ივლისს დაბუყების მეორე ნოველა, ლურჯი ბატი ჟურნალ ლა რუს მე-5 ნომერში გამოაქვეყნდა; ვიანმა შემდგომშიც განაგრძო თანამშრომლობა ამ შესანიშნავ ჟურნალთან, რომლის არსებობამაც, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ გასტანა. ამ წელს ვიანმა დაწერა მრავალი ნოველა, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ მივიდა მკითხველამდე. ივნისში ბორისმა დღეთა ქაფი პლეიადის პრიზის კონკურსზე წარადგინა, რომელიც იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული ჯილდო იყო. ჟიურის წევრი, ჟან პოლანი, არწმუნებდა, რომ ყველა წესითა და რიგით პრიზს მას მიანიჭებდნენ და ბორისს უკვე აღარც ეპარებოდა ამაში ეჭვი. ჟიურში შედიოდნენ: ანდრე მალრო, პოლ ელუარი, მარსელ არლანი, მორის ბლანშო, ჟო ბუსკე, ალბერ კამიუ, ჟან გრენიე, ჟაკ ლემარშანი, ჟან პოლანი, ჟან-პოლ სარტრი, როლან ტუალი და რემონ კენო. ბევრნი უჭერდნენ მხარს დღეთა ქაფს, ყველაზე ხმამაღლა ამას რემონ კენო, ჟან-პოლ სარტრი და ჟაკ ლემარშანი გაიძახოდნენ, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე მწერლებისთვის რომ ესიამოვნებინათ და, ამავე დროულად, სარტრის პარპაშიც აღეკვეთათ, იმავე ჟან პოლანისა და მარსელ არლანის ზეწოლით, პრემიის ლაურეატი აბატი ჟან გროჟანი გახდა რელიგიური პოემების კრებულით დროის მიწა. ვიანს მხარი ბოლომდე მხოლოდ კენომ, სარტრმა და ლემარშანმა დაუჭირეს. კამიუ, რომელიც თავიდან მის სასარგებლოდ აპირებდა კენჭის ყრას, ბოლოს უმრავლესობისაკენ გადაიხარა. მარცხი ვიანმა ძალიან განიცადა. Les Temps Modernes-ის რედაქციამ ოქტომბრის მე-13 ნომერში დღეთა ქაფის ცა-

მეტი თავი დაბეჭდა. მძლავრი ფერწერული ციებ-ცხელებით შეპყრობილმა ბორისმა რამდენიმე დღეში მრავალი ფერწერული ტილო შექმნა, რომელთაგან რამდენიმე 2 დეკემბრიდან მოყოლებული ნალერე დე ლა პლენიადე-ში გამოიფინა. გამოფენას ერქვა „მწერალი მხატვრები ალფრედ დე მიუსედან ბორის ვიანამდე“. 5 აგვისტოს ბორისმა ორკვირიანი შვებულება აიღო და სენ-ჟან-დემონში გაემგზავრა, სადაც დაწერა რომანი მე დავაფურთხებ თქვენს საფლაგებს. ნაწარმოები კი წარადგინა როგორც შავკანიანი ამერიკელის, ვინმე ვერნონ სალივანის მიერ დაწერილი და შემდგომ ფრანგულად ნათარგმნი რომანი. წიგნი 1947 წლის ბესტსელერი და? ვიანისთვის მრავალი და ხანგრძლივი უსიამოვნების წყარო შეიქნა. სექტემბერში დაიწყო და ნოემბერში დაამთავრა ახალი რომანი შემოდგომა პეკინში. 1947 წლის 7 თებერვალს პროკურატურამ საქმე აღძრა რომანის მე დავაფურთხებ თქვენს საფლაგებს და მისი ამერიკელი ავტორის, ვერნონ სალივანის წინააღმდეგ. მოტივი – რომანი ახალგაზრდობას დებოშისაკენ მოუწოდებდა. პურიტანი არქიტექტორის, ვინმე დანიელ პარკერის მიერ შეტანილი სარჩელი ეყდრნობოდა 1937 წლის 29 ივლისის კანონს ფრანგული ოჯახის შესახებ. მაგრამ ამ საქმით რომანმა მხოლოდ და მხოლოდ რეკლამა მოიპოვა და შემდგომ წიგნი ათასობით გაიყიდა.

11 აპრილს დოფინის ქუჩა 33-ში შეიქმნა ბისტრო-კლუბი სახელად ტაბუ. კლუბში უკვე ივნისში გაჩნდა ნამდვილი ორკესტრი, რომელშიც ბორისი საყვირზე უკრავდა. აქვე იყო მისი ძმა ალენიც. ტაბუ ძალზე მოდური „სარდაფი“ გახდა, სადაც ახალი სენ-ჟერმენ-დე-პრეს რამდენიმე ვარსკვლავი: ჟიულ გრეკო, ან-მარი კაზალისი, ალექსანდრე ასტრუკი და სხვები იყრიდნენ თავს. დღეთა ქაფის ბეჭდვა 20 მარტს დასრულდა და აპრილში უკვე იყიდებოდა. 15 აპრილს ვიანმა დაასრულა პიესა საყო-

ველთაო გატყავება. რამდენიმე დღის შემდეგ ვინმე ემილ რუჟემ, კომერსანტმა და ნაცისტების ყოფილმა თანამშრომელმა, მონპარნასზე მდებარე რომელიღაც სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში ყელი გამოსჭრა თავის საყვარელს და მაგიდაზე დატოვა მე დავაფურთხებ თქვენს საფლაგებს, ზუსტად იმ გვერდზე გადაშლილი, სადაც რომანის მთავარი გმირის მიერ ყელის გამოჭრის სცენაა აღწერილი. პრესა სიხარულით ცაში ფრენდა და რომანს მკვლელობისათვის ხელის შეწყობას აბრალებდა. ვიანი შეწუხებული იყო დანიელ პარკერის მიერ თებერვალში შეტანილი საჩივრით და ინგლისურად დაიწყო ვითომდა ნათარგმნი რომანის ვითომდა ორიგინალის წერა.

21 მაისს ბორისმა წარმატებით ჩააბარა მართვის უფლების გამოცდა, რაც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა მის ცხოვრებაში, რადგან ძალზე გატაცებული იყო ავტომობილებით; თითქმის მაშინვე იყიდა გერმანიის არმიიდან მორჩენილი, მთლად დაშლილი ბემევეB, რომელიც მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად გამართა, და რაშიც ერთ-ერთი მისი უახლოესი მეგობარი, მორის გურნელი დაეხმარა. ზაფხულში გამომცემლობა „სკორპიონმა“ გამოაქვეყნა რომანი შემოდგომა პეკინში. 16 აგვისტოს კანონმა ამნისტიის შესახებ აკრძალა იმ რომანების დევნა, რომლებიც 1947 წლის 16 იანვრამდე იყო გამოქვეყნებული, რაც მე დავაფურთხებ თქვენს საფლაგებსაც შეეხო. დანიელ პარკერის საჩივარი დროებით გვერდზე გადაიდო. 21 ოქტომბერს, სადამოს, საუკეთესო საათებში რადიომ კარტ ბლანში მისცა ბორის ვიანსა და კლუბ ტაბუს ორკესტრს, რომლის მუსიკასაც ვიანის ბრწყინვალე ტექსტი დაედო. პრესამ კიდევ ერთხელ პირზე ქაფმომდგარმა დაგმო გადაგვარებულ ტაბუ-ელთა ბოროტი ტვინები და „ველური მუსიკა“. 2 ოქტომბრიდან მოყოლებული Hot Club de France ორად გაიხლიჩა, ერთ მხარეს იყო იუგ პანასიე, ტრადიციული ჯაზის მიმდევარი, მეორე მხარეს კი – შარლ დელონე, რომელიც

ჯაზის ახალი ფორმებისათვის გახსნას ემხრობოდა; ბორის ვიანი დელო-  
ნეს მხარეს იყო. 4 დეკემბერს, პარიზის კონსერვატორიის დარბაზში, ტუ-  
რიზში, შრომა და კულტურას ეგიდით გამართულ ჯაზის ორმოცდაათ  
წლისთავთან დაკავშირებულ საღამოზე, ვიანმა წაიკითხა მოხსენება,  
რომელსაც იუბერ ფოლისა და კლოდ ლუტერის დაკვრა ამშვენებდა. ამა-  
ვე წელს ბორისი საბოლოოდ ანებებს თავს ინჟინრობას.

1948 წელს „სკორპიონის“ გამომცემლობამ სალივანის ფსევდონიმით  
გამოაქვეყნა რომანი მკვდრებს, ყველას ერთნაირი კანი აქვთ. 7 იანვარს  
ბორისის მეგობარმა „მაიორმა“ თავი მოიკლა. თებერვლიდან აპრილამ-  
დე ფრანსე დიმანში გაგრძელებებით აქვეყნებდა სალივანის მესამე ნა-  
წარმოებს და ყველა საშინელს დახოცავენ. 16 აპრილს ბორისის ქალიშ-  
ვილი, კაროლი დაიბადა. 22 აპრილს ვერლენის თეატრში დაიდგა ბორი-  
სის რომანის მე დავაფურთხებ თქვენს საფლავებს, თეატრალური ადაპ-  
ტაცია. პიესა დადგა პასკუალიმ და არავითარი მინიშნება სალივანის შე-  
სახებ არ ყოფილა. პრესამ ახალი სკანდალი წამოიწყო. იმდენად, რომ  
მეტროს ღირექცია უარს ამბობდა იმ აფიშების გაკვრაზე, რომელიც ამ  
წყვეულ სათაურს ატარებდა. ივნისში ბორისმა დატოვა ტაბუ, სადაც მისი  
ძმა, ალენი 1950 წლამდე დარჩა. ბორისი სენ-ბენუას ქუჩაზე მდებარე  
ახალი სარდაფის, სენ-ჟერმენ-დე-პრეს კლუბის შექმნაში მონაწილეობ-  
და. მისი თქმით, სენ-ჟერმენის კლუბში ვერასოდეს ვერ შეიქმნა ტაბუს  
ატმოსფერო. მართლაც, სენ-ჟერმენის კლუბი მდიდართა კლუბი იყო, სა-  
დაც პროფესიონალი მუსიკოსები იკრიბებოდნენ. აქ ბორისმა დაპატიჟა  
ჯაზის დიდი ამერიკელი მუსიკოსები: დიუკ ელინგტონი, ჩარლი პარკერი,  
კენი კლარკი, მაილს დევისი და ა. შ. 20 ივნისს გამომცემლობა „სკორპი-  
ონმა“ გამოაქვეყნა და ყველა საშინელს დახოცავენ. გალიმარის გამომ-  
ცემლობის შავ სერიაში ვიანმა რაიმონდ ჩანდლერის ორი რომანის თარ-  
გმანი გამოაქვეყნა. ხელმეორედ გამოიცა რომანი მე დავაფურთხებ



თქვენს საფლაგებს, რითაც დანიელ პარკერმა ისარგებლა და სასამართლოში ახალი საჩივარი შეიტანა. აგვისტოში ჟან-ფრანსუა დევეს თანხლებით ვიანმა იმოგზაურა გერმანიაში, ამერიკული ოკუპაციის ზონაში, სადაც დაებადა ახალი რომანის, წითელი ბალახის იდეა და პირველი გვერდებიც იქვე დაწერა. 24 ნოემბერს ვიანმა მოსამართლე ბორესის წინაშე აღიარა, რომ ავტორი იყო რომანისა მე დავაფურთხებ თქვენს საფლაგებს. დანიელ პარკერმა სარჩელს მეორე რომანიც, მკვდრებს, ყველას ერთნაირი კანი აქვთ, დაუმატა.

1949 წლის მარტში ბორისი ჟურნალ ჯაზ ნიუს-ის მთავარი რედაქტორი გახდა. ამ „დიქტატურამ“ 1950 წლამდე, ივნისში გამოსულ მე-11 ნომრამდე გასტანა. გაჩნდა სერიოზული ბზარი ბორისსა და მის მეუღლეს, მიშელს შორის. 14 მაისს, კლუბ სენჟერმენ-დე-პრეში გამართული კოქტილის დროს, ბორისმა წარადგინა თავის პოემათა კრებული, კანტილენები ჟელეში, რომელიც კრისტიან ალანორმა დაასურათა და ჯაზით გატაცებულმა ლიმოჟელმა გამომცემელმა, ახალგაზრდა ჟან რუჯერიმ გამოსცა. ივლისში გამომცემლობა „სკორპიონმა“ გამოსცა დაბუჟება. 4-დან 11 სექტემბრამდე ვიანი კანის საერთაშორისო ფესტივალის მოყვარულთა ფილმების ჟიურის წევრი იყო. ამავე წელს მან სიმღერების წერა დაიწყო. სხვადასხვა ჟურნალებში გამოჩნდა მრავალი ნოველა, რომელიც ორი-სამი წლით ადრე იყო დაწერილი. ვიანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს სენ-ჟერმენ-დე-პრეს სახელმძღვანელოზე, რომელიც მომდევნო წელს დაასრულა, მაგრამ პირველად მხოლოდ და მხოლოდ 1974 წელს გამოიცა. 1949 წელი ვიანისათვის სერიოზული პიროვნული კრიზისის წელიწადი იყო.

1950 წელს ანდრე რეიბაზმა მთვარეულთა თეატრში ვიანის პიესა საყოველთაო გატყავება დადგა. გამომცემლობა ტუტენმა რომანი წითელი ბალახი გამოსცა, ხოლო გამომცემლობა „სკორპიონმა“ – სალივანის

ფსევდონიმით მეოთხე და ბოლო რომანი, ისინი ვერ ხვდებიან. 8 ივლისს, გამომცემლობა გალიმარში გამართულ კოქტიელზე, ვიანი პირველად შეხვდა როლან პეტის საბალეტო დასის წევრს, შვეიცარიელ მოცეკვავე ქალს, ურსულა კუბლერს. კრიზისი ბორისსა და მიშელს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

1951 წლის აპრილში ვიანმა დატოვა ოჯახი და ურსულასთან ერთად საცხოვრებლად პატარა ოთახში, კლიშის ბულვარის 8-ში გადავიდა. ლუკმაპურს ვიანი დიდი გაჭირვებით შოულობდა. დღეში თვრამეტი საათის განმავლობაში თარგმნიდა. ასე თითქმის 1953 წლამდე გაგრძელდა. დაწერა პიესა გენერალთა სამხარი, რომელიც მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ, 1962 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „პატაფიზიკოსთა კოლეჯში“ და დაიდგა ჯერ გერმანიაში 1964 წელს, ხოლო შემდეგ დიდი წარმატებით პარიზში, 1965 წლის სექტემბერში, გეტე მონპარნასის თეატრში. გაუფუჭდა ურთიერთობა სარტრთან და Les Temps Modernes-ის მთელ ჯგუფთან. გაჩნდა ერთგვარი სიახლოვე სარტრსა და მიშელს შორის, რამაც გაყრა გარდაუვალი გახადა. ვიანმა გალიმარს წარუდგინა გულსაგლეჯი, მაგრამ უარი მიიღო. საბოლოოდ დაანება თავი საყვირზე დაკვრას, რასაც 1949 წლიდან უკვე აღარც ეკიდებოდა სერიოზულად. დაიწყო მოქალაქეობრიობის ტრაქტატის ფრაგმენტების წერა, რომელიც, გარკვეულწილად, სარტრისა და ლეს თემპს მოდერნეს-ის წინააღმდეგ იყო მიმართული. დეკემბერში გაემგზავრა ურსულასთან, შვეიცარიაში და იქრემონ კენოსთან და ფანტასტიკით გატაცებულ სხვა პირებთან ერთად დააარსა Le Club des Aventuriers. 1952 წლის 8 ივნისს ვიანი შევიდა პატაფიზიკოსთა კოლეჯში, რომელიც, 1950 წლიდან მოყოლებული, აღფრედ ქარის თაყვანისმცემლებსა და მიმდევრებს აერთიანებდა. ვიანი აქ შევიდა როგორც პირველი კლასის გამატყავებელი იმ უდიდესი

სიამოვნების გამო, რომელიც საყოველთაო გატყავებამ მოუტანა კოლეჯს.

სექტემბერში ბორისი მიშელს გაეყარა. ის იძულებული იყო თავაუღებლივ ემუშავა თარგმანებზე, რაც ხშირად არაქათს აცლიდა. ეს იყო დებრესიის პერიოდი ვიანის ცხოვრებაში. მისი დღიურის ყველაზე შავბნელი და იმედს მოკლებული შენიშვნები სწორედ ამ პერიოდით თარიღდება. სწორედ ამ ყველაფრის გამოძახილს ვპოულობთ მის იმდროინდელ პოემებში, რომელთა კრებულიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოვიდა სახელით არ მინდა მოვკვდე .

1953 წლის დასაწყისშივე ბორისი და ურსულა საცხოვრებლად გადავიდნენ სიტე ვერონის 6-ში (მე-18 კვარტალი), სადაც მათ საერთო ტერასა ჰქონდათ ჟაკ და ჟანინ პრევერებთან. დაიდგა ოპერა თოვლის რაინდი. 15 იანვარს გამოქვეყნდა გულსაგლეჯი, რემონ კენოს ცნობილი წინასიტყვაობით. თებერვალში ვიანმა თანამშრომლობა დაიწყო ჟურნალ ლა პარიზინთან, რომელსაც ჟაკ ლორანი და ანდრე პარინო წარმართავდნენ. ამ უდავოდ მაღალი ხარისხის ჟურნალს მემარჯვენეთა იდეების მქადაგებლის რეპუტაცია ჰქონდა. თუმცა თვითონ ჟურნალი ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელი იყო და მართლაც ყველაფერი მოწმობს მის ნამდვილ დამოუკიდებლობას: ბორის ვიანი თავისუფლად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს, რომელსაც შეიძლება „მემარცხენე“ ეწოდოს. 11 მაისს ვიანი შევიდა პატაფიზიკოსთა კოლეჯის სატრაპთა ბრწყინვალე რიგებში, სადაც იგი რემონ კენოსა და ჟაკ პრევერის გვერდით იდგა. მაისშივე ბაბილონის თეატრში დაიდგა ვიანის მიერ ნათარგმნი გეორგ კაიზერის პიესა ხანძარი ოპერაში. 27 ოქტომბერს პარიზის სასამართლო დაუბრუნდა რომანის მე დავაფურთხებ თქვენს საფლავებს საქმეს, ვიანს თხუთმეტდღიანი პატიმრობა მიუსაჯა და მაშინვე გამოუცხადა ამნიცტია. ეს ცნობილი საქმე ამით საბოლოოდ დაიხურა. წლის ბოლოს ვიანმა

გამოიგონა ელასტიკური ბორბალი, რომლის პატენტზეც განაცხადი შეიტანა და 1955 წელს მიიღო კიდეც. 1954 წლის 8 თებერვალს ბორისი ურსულა კუბლერზე დაქორწინდა; ქორწილში ყოულ გუფეს (იხ. შენიშვნები რომანში) რეცეპტებით დამზადებული კერძები უხვად იყო. 15 თებერვალს დაწერა (სიტყვებიც და მუსიკაც) თავისი ყველაზე ცნობილი სიმღერა დეზერტირი. დეკემბერში პატაფიზიკოსთა კოლეჯმა ბორისი დააწინაურა და ორდენის წარჩინებული წამომწყების რანგში აიყვანა, რომლის დიდი კონსერვატორიც თვით რემონ კენო იყო.

1955 წელს ვიანი მიიწვიეს ჰოლანდიაში, Philips-ის მხატვრულ ხელმძღვანელად, სადაც მან ჯაზის კატალოგი შეადგინა. ამავე წელს შეთხზა უამრავი სიმღერა, მუსიკალურ კომედია და სცენარი. უფრო და უფრო იზიდავდა მუსიკალური კომედია. ამ პერიოდშივე დაწერა ფრანგი მონადირე, რომელიც მხოლოდ 1975 წელს დაიდგა. ახალი აღმოჩენა, რომელზეც ჯერ კიდევ ბევრს ლაპარაკობენ საფრანგეთში – პირველი ფრანგული როკ ენ როლის სიმღერების ტექსტები, მიშელ ლეგრანისა და ანრი სალვადორის მუსიკაზე, ბორის ვიანის დაწერილია! ვიანმა ფირფიტაზე ჩაიწერა შესაძლო და შეუძლებელ სიმღერები. 29 სექტემბერს გალიმარში, უილიამ ფოლკნერის პატივსაცემად გამართულ კოქტილზე დაპატიჟეს.

1956 წელს ბორისი დაუკავშირდა Philips-ის კომპანიის „ვარიეტეთა“ განყოფილებას და ჩაიწერა მრავალი ფირფიტა, რომელთა შორისაა ანრი სალვადორისა (ანრი კორდინგის ფსევდონიმით) და მაგალი ნოელის მიერ შესრულებული როკ ენ როლლ-ის ცნობილი სიმღერები. სიმღერათა უმრავლესობის სახუმარო ტექსტების ავტორი ბორის ვიანია. თებერვალში პარიზის ოპერას წარუდგინა თოვლის რაინდის საოპერო ვერსია, რომლის მუსიკაც ჟორჟ დელერუს ეკუთვნის. ივლისში დაემართა ფილტვების მძიმე შეშუპება, რამაც ორი კვირით ლოგინს მიაჯაჭვა. 8, 9 და 10 აგვისტოს ჟან დელანუას ფილმში, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,

მან ერთ-ერთი კარდინალის როლი შეასრულა. გასამრჯელო ძალიან ზუსტად ეძლეოდა – 19.878 ფრანკი დღეში. დაამთავრა თუ არა გადაღება, დასასვენებლად სენ-ტროპეზში გაემართა. ამავე წელს გამოაქვეყნა რომანის შემოდგომა პეკინში გადაკეთებული ვარიანტი.

1957 წელს ბორისი Philips-ის „ვარიეტების“ სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა. სამუშაო ძალიან მძიმე იყო – ევალეობდა შემსრულებლებისა და სიმღერების ამორჩევა და სტუდიაში ფირფიტების ჩაწერა. თვითონვე შეთხზა უამრავი საგარეკანო ტექსტი. ივლისი ვიანმა სენ-ტროპეზში გაატარა. იქ მან იმპერიის მშენებლები დაწერა და მთავარი გმირის გრძნობათა სრულყოფილი განცდისათვის მცირე ხნით წვერიც მოუშვა. პიესა 1959 წელს დაიდგა. ამავე წელს დაწერა კომენტარები ანრი გრუელის ფილმზე ჯოკონდა? სადაც, რამდენიმე წამის განმავლობაში, „ლიმილთა მასწავლებლის“ როლში თავადაც ჩანს. ფილმმა ტურის ფესტივალზე გრან პრი მოიპოვა, ხოლო კანში – ოქროს პალმა. ითამაშა პიერ კასტის ფილმში ჯიბის სიყვარული. ვიანმა განაგრძო სიმღერების წერა სრულიად სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად ნიჭიერი შემსრულებლებისათვის. წლის ბოლოს ფილტვები ხელახლა შეუშუბდა.

1958 წლის 20 სექტემბერს გამომცემლობამ „თანამედროვე წიგნი“ გამოაქვეყნა მისი წინ მუსიკა. ბორისმა თარგმნა აუგუსტ სტრინდბერგის ერიკ მეთოთხმეტე. 3 ოქტომბერს ბერლინის ოპერაში დაიდგა ფიესტა, ვიანის ტექსტითა და დარიუს მილჰაუდის მუსიკით. 26 ოქტომბერს ნატიფ ხელოვნებათა სკოლაში, ვიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე არქიტექტურა და ფანტასტიკა. ამავე წელს განაგრძო დიდი რაოდენობით მუსიკალური კომედიების წერა, მაგრამ ბოლომდე ვერაფერი მიიყვანა. ითამაშა პიერ კასტის კიდევ ერთ ფილმში ლამაზი ასაკი 1959 წელს კინოსტუდია „სიპრო“ მრავალი მოლაპარაკების შედეგად, რომლებსაც ვიანი არ დაასწრეს, გახდა მფლობელი რომანის მე დავაფურთხებ თქვენს

საფლავებს კინემატოგრაფიული ადაპტაციისა. სიპრო სცენარს თავის ნებაზე ათამაშებდა და ვიანს ურთიერთობა გაუფუჭდა ფილმის პროდიუსერსა და რეჟისორთან, რამაც ჯანმრთელობაც სერიოზულად გაუუარესა. ჟან ნეგრონმა დეკემბრის ბოლოს დადგა ვიანის პიესა იმპერიის მშენებლები. ბორისმა მრავალი როლი შეასრულა კინოში. რეჟისორ ვადიმის სახიფათო კავშირებში ჟანა მოროსთან ერთად პრევიანის როლი ითამაშა. 25 მაისს ტელეარხმა France 3 გააკეთა ვიანის მიერ მოფიქრებული გადაცემა პატაფიზიკის კოლეჯის დოსიეებსა და რვეულებზე. გადაცემა ნაწილი იყო ციკლისა, რომელიც ათ დიდ ფრანგულ სალიტერატურო ჟურნალს მიეძღვნა. ვიანი მიკროფონის წინ თავისსავე როლს ასრულებდა; ანრი სალვადორი რეპლიკებს ურთავდა, ხოლო ბეატრის არნაკი დიდი გემოვნებით მღეროდა სიმღერებს. 11 ივნისს ბორის და ურსულა ვიანების ბინაში, ვიანებისა და ჟაკ პრევერის საერთო აივანზე, გაიმართა პატაფიზიკოსთა კოლეჯის ახალი შეფის არჩევნისადმი მიძღვნილი უზარმაზარი დღესასწაული. ეს დღესასწაული, რომლის არცერთი სრულიად უმნიშვნელო დეტალიც კი ვიანს არ დაუტოვებია უყურადღებოდ, უკანასკნელი დიდი სიხარული აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ფილმი მე დავაფურთხებ თქვენს საფლავებს ბორის ვიანის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ გადაიღეს. იგი თავისი გვარის მოშორებასაც კი მოითხოვდა ფილმის ტიტრებიდან. და აი?

23 ივნისს, კინოთეატრ მარბეფში, 10 საათსა და 10 წუთზე, ფილმის პირველსავე კადრებზე ბორისი გარდაიცვალა. ბორის ვიანი დაკრძალულია მშობლიურ ქალაქ ვილ-დ'ავრეში. ბორის ვიანის ხელნაწერებისა და დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი ფონდები ურსულა ვიანის თაოსნობით თავმოყრილია ვიანის ფონდში, სიტე ვერონზე, პარიზში (მე-18 კვარტალი). ხელნაწერთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის დღეთა

ქაფის ხელნაწერი – მიშელ ვიანის კოლექციიდან საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

ჯერჯერობით არ არსებობს ბორის ვიანის საფოსტო მარკა, მაგრამ უკვე მოჭრილია მწერლის გამოსახულებიანი მედალიონი და მრავალ სასწავლო, კულტურულ თუ სანახაობრივ დაწესებულებას დღეთა ქაფის ავტორის სახელი მიენიჭა. სულ ახლახანს პარიზმა მისდამი პატივისცემის ნიშნად თავის ერთერთ ახალ არტერიას, სიტე ვერონზე (მე-18 არონდისმანი), სადაც ვიანის უკანასკნელი ბინა მდებარეობდა, ბორის ვიანის ქუჩა დაარქვა.

## შენიშვნა წინამდებარე გამოცემისათვის

აქ გამოქვეყნებული ტექსტი შეიცავს დაახლოებით ათას განსხვავებულ იმ ტექსტებისაგან, რომლებიც იბეჭდებოდა საფრანგეთში 1947 წლიდან მოყოლებული ლამის გუშინდლამდე და რომლის წაკითხვის საშუალებაც აქამდე ჰქონდათ ვიანის მოყვარულებს. ეს განსხვავებები უმრავლეს შემთხვევაში უმნიშვნელოა, განსაკუთრებით, როდესაც ეხება პუნქტუაციას. მაგრამ, არის ისეთებიც, რომლებიც სერიოზულ სხვაობებს გვაძლევს აქამდე გამოქვეყნებული ტექსტებისაგან.

საიდან გაჩნდა ეს ცვლილებები? ბოლო დროს, როდესაც ვიანის შემოქმედების უფრო სერიოზული კვლევა დაიწყო, დღეთა ქაფის ხელნაწერთა გულდასმითი კითხვისას აღმოჩნდა, რომ ეს უკანასკნელი ბევრად უფრო კოჰერენტული და, უბრალოდ, უკეთესია, ვიდრე აქამდე გამოქვეყნებული ვერსიები, თუმცა მასში მაინც მოიძიებოდა გარკვეული უსწორობები. მეორე მხრივ, ცხადია, რომ 1947 წლის შემდეგ დღეთა ქაფის



სტატუსი შეიცვალა: ის, რაც ახალგაზრდა, უღიარებელი და უცნობი ავტორის შემოქმედების ნაყოფი იყო, მილიონების მიერ წაკითხულ და დაფასებულ კლასიკად იქცა. ამრიგად, აუცილებელი გახდა, ამ წამოწყების სირთულის მიუხედავად, ერთხელ და საბოლოოდ დადგინილიყო ტექსტი, რომელიც სანდო და მისადაგებული იქნებოდა ავტორის სამწერლო თვისებებთან.

ზოგად წესად ავირჩიეთ ვიანის ხელნაწერისადმი ერთგულება, ხელნაწერისადმი, რომელიც გადაბეჭდვის დროს ცუდად იქნა წაკითხული. ავტორის გულგრილმა დამოკიდებულებამ თავისივე ტექსტის მიმართ და უმნიშვნელო ცდომილებებმა მბეჭდავებსა თუ გამომცემლებს მრავალრიცხოვანი ჩასწორებების სურვილი აღუძრა თავის დროზე, რაც დღეს არამართებულად მიგვაჩნია. ნებისმიერი გამომცემული ტექსტი ყოველთვის კომპრომისია ავტორის იდიოსინკრაზიასა და ეპოქის ლინგვისტურ თუ ტიპოგრაფიულ ნორმებს შორის. ზოგ შემთხვევაში ჩვენც დავემორჩილეთ ამ ნორმებს, რის გარეშეც რთულად წასაკითხი პასაჟები გვექნებოდა. და კიდევ, მეათედან-დან მეთვრამეტე თავამდე, ვენდეთ მანქანაზე გადაბეჭდილ ვარიანტს, რადგან იგი ბევრად უფრო დამუშავებულ ტექსტს გვაწვდის, ვიდრე ხელნაწერი. ჩვენი არჩევანი არ იყო ყოველთვის იოლი, მაგრამ ყოველთვის ეფუძნებოდა ნაწარმოების ხანგრძლივ შესწავლასა და პრაგმატულ რეფლექსიებს თითოეული წერტილისა თუ მძიმის შესახებ.

*ჟილბერ პესტიურო  
მიშელ რიბალკა*